საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. ფრანგიშვილი

ფსიქოლოგიური ნარკვევები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1987

88
ფ 871

წინამდებარე წიგნში გაერთიანებულია აკადემიკოს ა. ფრანგიშვილის მიერ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განვითარების მანძილზე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ენაზე და ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული გამოკვლევები ფსიქოლოგიის ისტორიისა და განწყობის ზოგადი, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხებზე.

რედაქტორი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი შ. ნადირაშვილი

0304000000 — 87
ფ 861(06) — 87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

ასახვის ლენინური თეორია — ფსიქოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი[1]

ასახვის თეორია პირველად კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ იყო მეცნიერულად დასაბუთებული. ვ. ლენინმა იგი განავითარა. ლენინის მიერ განვითარებულ ასახვის თეორიას ასახვის ლენინური თეორია ეწოდა. ასახვის ლენინური თეორია საბჭოთა ფსიქოლოგიის ურყევ მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზე მრავალი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიური თეორია. ამიტომაცაა, რომ დღეს ამ მეცნიერების აქტუალური და თანამედროვე საკითხების გარკვევისათვის ჩვენ კვლავ და კვლავ მივმართავთ ვ. ლენინის კლასიკურ შრომებს, რომლებშიც ფსიქოლოგიური მეცნიერების ღრმა თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემებია გაშუქებული.

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ საბჭოთა ფსიქოლოგიის მოწინავე კონცეფციები, რომლებიც ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასასრულისათვის ბუნებისმეტყველებაში მომხდარი რევოლუციური გადატრიალებები, აღმოჩენები და მათს საფუძველზე წარმოშობილი კრიზისი ძირითადად ფიზიკის სფეროთი შემოიისაზღვრებოდა. დღეისათვის ძირითადი გარდატეხები შეეხო მეცნიერების სულ ახალ და ახალ დარგებს, მათ შორის, ფსიქოლოგიასაც.

თანამედროვე ფსიქოლოგიის დარგშიაც დასტურდება მეცნიერული კვლევა-ძიების არაჩვეულებრივი მზარდი ტემპით წინსვლა, რაც თანამედროვე მეცნიერების განვითარების საერთო კანონზომიერებადაა აღიარებული.

თანამედროვე ფსიქოლოგიასაც, ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგებს, ყველაზე მეტი წარმატებები და აღმოჩენები სხვადასხვა მეცნიერების მომიჯნავე საკითხების შესწავლაში აქვს. თავის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ფსიქოლოგია წყვეტს მომიჯნავე მეცნიერებების

[1] „მაცნე", 1970, № 2.

(მათემატიკა, კიბერნეტიკა, ბიოლოგია, ფიზიოლოგია, გენეტიკა, სოციოლოგია, ლინგვისტიკა და სხვ.) დახმარებითა და სხვადასხვა მეცნიერებების ინტერესებთან დაკავშირებით. ამის დასადასტურებლად საკმარისია უბრალოდ თვალი გადავაელოთ მეცნიერული ფსიქოლოგიის ორი უკანასკნელი საერთაშორისო კონგრესის ძირითადი სიმპოზიუმების თემატიკას (XVIII, მოსკოვი, 1966; XIX, ლონდონი, 1969). მაგალითად, ამ კონგრესებზე მოსმენილი გამოკვლევები შეეხებოდნენ ასეთ საკითხებს: „მეხსიერების კვლევის ბიოლოგიური საფუძვლები", „ქცევის ელექტროფიზიოლოგიური კორელატები", „ფსიქოლოგიური პრობლემები ადამიანისა კოსმოსში", „ფსიქოლოგიური პრობლემები სისტემისა — „ადამიანი-მანქანა", „კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია", „სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები", „სწავლისა და მეხსიერების სტოქასტიკური მოდელები", „ფსიქოლოგიური და ლინგვისტური თეორიების ნათესაობა", „თანამშრომლობა ანთროპოლოგებსა და ფსიქოლოგებს შორის", „გამომთვლელი მანქანების გამოყენება ექსპერიმენტებში", „ქცევის გენეტიკა" და ა. შ.

ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით ინტენსიურად მუშავდება მეცნიერებათა სისტემაში ფსიქოლოგიის ადგილის გარკვევასთან დაკავშირებული პრობლემები (XVIII კონგრესზე მოსმენილი იყო თანამედროვეობის გამოჩენილი ფსიქოლოგის — ჟან პიაჟეს სპეციალური მოხსენებაც — „ფსიქოლოგია, დისციპლინათაშორისი კავშირები და მეცნიერებათა სისტემა", იხ. აგრეთვე Б. Г. Ананьев—Человек как предмет познания, Л., 1969).

ფსიქოლოგიაში დისციპლინათაშორისი გამოკვლევების განსაკუთრებულ ზრდასთან დაკავშირებით, იმის შედეგად, რომ მეცნიერულ ფსიქოლოგიაში მეტად ფართოდ დაინერგა ზუსტი ლაბორატორიული ექსპერიმენტი, ზუსტი მათემატიკური მეთოდები და ა. შ., კოლოსალურად გაიზარდა ამ მეცნიერების ფაქტობრივი მონაცემები, რომლებმაც ნრავალი, მეტად მნიშვნელოვანი დებულების დასაბუთება და ნრავალი საგულისხმო ჰიპოთეზის განვითარება გახადეს შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგიის დარგში ამ უდავო წარმატებებს, მეცნიერული მონაცემების ზრდის დიდ ტემპებს საოცრად ჩამორჩება განმაზოგადებელი ფსიქოლოგიური აზრის განვითარება. ყველაფერი ეს იწვევს უდიდეს სიძნელეებს ფსიქოლოგიაში მეცნიერული აღმოჩენების თეორიული, ფილოსოფიური განზოგადებების დარგში. ამის გამოა, რომ დღეს ასე მწვავედ დგას ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზის, ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიძნელის პრობლემა. ამ პრობლემის აქტუალობას მოწმობს თუგინდ ის ფაქტიც, რომ მის განხილვას ცენტრალური ადგილი დაეთმო მეცნიერული ფსიქოლოგიის უკანასკნელი

კონგრესების მუშაობაში (XVII კონგრესზე, აშშ, 1963 წ. და XVIII კონგრესზე მოსკოვში, 1966 წ.). XVII კონგრესზე, რომელიც 1963 წელს აშშ-ში (ვაშინგტონში) შედგა. ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთიანი სისტემის აგების სიძნელეების ბუნებისა და მათი დაძლევის პერსპექტიული გზების განხილვას სპეციალური მოხსენება მიეძღვნა. ამ მოხსენებაში ნაცადი იყო ფსიქოლოგიის სისტემის აგების პერსპექტიული გზების დასახვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის საფუძველზე.

ნოსკოვში შემდგარი მეცნიერული ფსიქოლოგიის XVIII საერთაშორისო კონგრესზე ფართოდ იყო წარმოდგენილი თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე პროგრესული და მოწინავე ფსიქოლოგია — საბჭოთა ფსიქოლოგია, რომელმაც ნათლად აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერების მთლიანობითი სისტემის აგების ურყევ საფუძველს ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია წარმოადგენს.

ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ საზღვარგარეთულ და საბჭოთა ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიის სისტემის აგების პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომის არსებითი თავისებურებები და ლენინური ასახვის თეორია, როგორც ამ პრობლემების გადაწყვეტის მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძველი.

მეცნიერული ფსიქოლოგიის XVII კონგრესზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ფსიქოლოგიას დღეს ფაქტობრივად არ გააჩნია ადამიანის ბუნების შესახებ ყოველმხრივი და საყოველთაოდ მიღებული თეორია". ფსიქოლოგია რჩება „მტკიცე პოსტულატების გარეშე, საყოველთაოდ მიღებული მთლიანობითი თეორიის გარეშე არსებულ მეცნიერებად".

ამ კონგრესზე გ. ოლპორტმა საგანგებო ანალიზის საუძველზე აჩვენა, რომ სწორედ მეცნიერული ფსიქოლოგიის პროგრესის შედეგია ფსიქოლოგიის თეორიის დარგში არსებული ანარქია.

ვ. ლენინის მოძღვრების თანახმად, მეცნიერების პროგრესი თეორიის დარგში ანარქიას რომ ბადებს, სწორედ ამაში გამოიხატება ბურჟუაზიული მეცნიერების კრიზისი.

ვ. ლენინმა მოგვცა ღრმა ანალიზი მეცნიერების საერთო კრიზისისა იმპერიალიზმის პირობებში.

ლენინმა ნათელი გახადა, რომ როდესაც მეცნიერების პროგრესი კრიზისს იწვევს, ეს მთლიანად და სავსებით თვით ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური წყობის თავისებურებებითაა გაპირობებული. ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზიული მეცნიერები (იმყოფებიან რა გაბატონებული იდეალისტური ფილოსოფიის გავლენის ქვეშ) მეცნიერებაში ძირითადი ცნებებისა და თეორიების გადასინჯვას ისევ იდეალისტური ფილოსოფიის ნიადაგზე ცდილობენ. ამიტომაცაა, რომ ისინი ვერ ახერხებენ მეცნიერების ახალი მიღწევების, ახალ მონაპოვართა შესატყვისი თეორიების დადგენას. წინააღმდეგობა ფაქტობრივ მონაპოვართა და

შეზღუდულ იდეალისტურ მეთოდოლოგიას შორის, რომლის საფუძველზეც ცდილობენ ამ მონაპოვართა განზოგადებას — ესაა მეცნიერების კრიზისის მიზეზი ბურჟუაზიული საზოგადოების ვითარებაში.

მხოლოდ თანამედროვე ბუნებისმეტყველების კრიზისის ლენინური ანალიზის საფუძველზე გახდა შესაძლებელი თანამედროვე საზღვარგარეთული ფსიქოლოგიის კრიზისის არსების გარკვევა და მისი დაძლევის გზების დასახვა.

ისევე როგორც თანამედროვე ბუნებისმეტყველების კრიზისს, ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიძნელესაც ამ მეცნიერების ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიზისი ქმნის.

საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში ძირითადი ცნებებისა და თეორიების გადასინჯვის აუცილებლობასთან დაკავშირებით აღმოცენებული წინააღმდეგობების დაძლევას ისევ იდეალისტურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით რომ ცდილობენ, სწორედ ესაა ფსიქოლოგიის თეორიაში გაბატონებული ანარქიის მიზეზი.

ამის ნათელსაყოფად მეტად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს მეცნიერული ფსიქოლოგიის XVII საერთაშორისო კონგრესის შედეგები. ეს კონგრესი, როგორც აღვნიშნეთ, იმითაა საგულისხმო, რომ მის პროგრამაში ცენტრალური ადგილი ეკავა ფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების, ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიძნელეების საკითხის განხილვას. საგულისხმოა, რომ ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა თანამედროვე ამერიკული ფსიქოლოგიის ისეთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, როგორიც არის გორდონ ოლპორტი. როდესაც ამ საკითხზე მოხსენებისათვის გ. ოლპორტი იყო მოწვეული, იგულისხმებოდა, რომ კონგრესის საპროგრამო კომიტეტს მისი მოხსენება მიაჩნდა ამ საკითხში თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში გაბატონებული შეხედულების გამომხატველად (თვითონ ოლპორტიც აღნიშნავდა, რომ დასმული საკითხის განხილვისას ის მხედველობაში ღებდა მთლიანად როგორც ამერიკული, ისე ევროპული ფსიქოლოგიის მონაცემებს).

თანამედროვე საზღვარგარეთული ფსიქოლოგიის თეორიაში „ანარქია" რომ ნამდვილად ამ მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიზისს გამოხატავს, ამას სრულიად ნათლად ისიც მოწმობს, თუ როგორი სათაური მიეცა ფსიქოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესზე ამ საკითხის განხილვისადმი მიძღვნილ გ. ოლპორტის ზემოხსენებულ მოხსენებას. რა საკითხის გადაწყვეტაზე იქნა დაყვანილი ამ კონგრესზე თანამედროვე ფსიქოლოგიის თეორიაში შექმნილი „ანარქიიდან" გამოსავალი გზების პრობლემა? ასეთი აღმოჩნდა საკითხი — „ეკლექტიზმის ნაყოფი მწარეა თუ ტკბილი?", ე. ი. საკითხი, რომელიც ფსიქოლო-

გიის მეთოდოლოგიის სფეროს განეკუთვნება. სწორედ ასე იყო ფორმულირებული გ. ოლპორტის მოხსენების თემა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ გ. ოლპორტის მოხსენების მთელი პათოსი იმის დამტკიცების ცდაში მდგომარეობდა, რომ გამოსავალი თანამედროვე ფსიქოლოგიის თეორიაში შექმნილი ანარქიიდან მხოლოდ ე კ ლ ე ქ ტ ი ზ მ ი ს მეთოდოლოგიაში არსებობს.

გ. ოლპორტი ეკლექტიზმის ნაყოფიერების დასაბუთებას იწყებს იმის ნათელყოფის ცდით, რომ მთლიანად ამერიკული ფსიქოლოგია თავისი არსით ეკლექტურია. მისი აზრით, ამერიკული ფსიქოლოგია მთლიანად ეკლექტიზმის დადებითი ნაყოფია. „ფაქტობრივად, — აღნიშნავს გ. ოლპორტი, — ყველა ჩვენი სახელმძღვანელო ცნება ნასესხებია ევროპიდან. ვიურცბურგიდან მარჯვედ ავიღეთ ატიტუდის ცნება, გაპირებულობა — ლენინგრადიდან, მელნის ლაქები—ციურიხიდან, გეშტალტები — ბერლინიდან, არაცნობიერი — ვენიდან, IQ — ბრიუსელიდან და პარიზიდან, სტატისტიკა — ინგლისიდან, პათოლოგია — საფრანგეთიდან და ა. შ.“.

რის გამო და რა საფუძველზეა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ეკლექტიზმი მიჩნეული ფაქტობრივი მონაცემების თეორიული გააზრებისა და ფსიქოლოგიის სისტემის აგების ერთადერთ გზად?

თუ არსებითის მხრივ გავაანალიზებთ საზღვარგარეთ ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ გამოკვლევას, უკანასკნელი პერიოდის საერთაშორისო ფსიქოლოგიური კონგრესებისა და სიმპოზიუმების პროგრამებს, საერთაშორისო გავრცელების მონოგრაფიებს და ა. შ., ადვილად დავინახავთ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქცევის ფსიქოლოგიის პრობლემებს აშუქებს. ეს მონაცემები ნათლად მოწმობენ, რომ თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში გაბატონებულია შეხედულება, რომელიც ამ მეცნიერების საგნად ქცევას მიიჩნევს. თანამედროვე ფსიქოლოგია ქცევის შესწავლისკენაა მიმართული. ფსიქოლოგიის საგანი ინდივიდის ქცევაა მისი ისეთი ფართო გაგებით. რომელიც განცდასთან მის განუყრელ ერთიანობას გულისხმობს, „ფსიქოლოგიური ფაქტი — ეს საბოლოო ანგარიშში ქცევაა“, „ფსიქოლოგიის საგანი ცოცხალი ადამიანია, რომელიც ქცევის მრავალფეროვან სახეებში ვლინდება“ (იხ. Поль Фресс, Жан Пиаже—„Экспериментальная психология“, М., 1966).

გ. ოლპორტი ზემოაღნიშნულ მოხსენებაში, პირველ ყოვლისა, ცდილობს გაითვალისწინოს, თუ ფაქტობრივად რა მდგომარეობაშია ქცევის ამ მრავალმხრივ გამოვლენათა შესწავლის საქმე თანამედროვე ფსიქოლოგიაში. ამისათვის იგი, მაგალითისათვის, განიხილავს სწავლის თანამედროვე ფსიქოლოგიის დონესა და მდგომარეობას. სწავლის ფსიქო-

ლოგიის დარგში არსებული ვითარება მას ტიპობრივად მიაჩნია თანამედროვე ფსიქოლოგიაში ინდივიდის სხვა სახის აქტივობების შესწავლის მდგომარეობის დასახასიათებლად.

ფაქტი ისაა, რომ სწავლის სხვადასხვა სახის ექსპერიმენტული გამოკვლევების მონაცემებმა შესაძლებელი გახადეს თანამედროვე ფსიქოლოგიაში ერთნაირად დასაბუთებულად სწავლის სულ სხვადასხვა სახის თეორიები ყოფილიყო წამოყენებული: სტიმულ-რეაქციის, ასოციაციონისტური, წვდომის (insight), ლატენტური და ბიოგრაფიული სწავლის და ა. შ. ყოველი თეორია წარმოდგენილია როგორც შესატყვისი ექსპერიმენტული მონაცემებით დასაბუთებული. მაგრამ არ არსებობს სწავლის ერთი ისეთი ზოგადი „მეტა-თეორია", რომელიც სწავლის ყველა ამ „პარტიკულარისტულ" თეორიას სწავლის ფსიქოლოგიის ერთ მთლიანობითს თეორიაში თავის ადგილს მიუჩენდა.

გ. ოლპორტს მიაჩნია, რომ ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე თანამედროვე ფსიქოლოგიაში ინდივიდის ყველა სხვა სახის აქტივობების შესწავლის მხრივაც.

ოლპორტის მიხედვით, ფსიქოლოგიაში დადგენილად უნდა მივიჩნიოთ ის ვითარება, რომ ემპირიული განზოგადების დონეზე, „როდესაც თავს ვუყრით სხვადასხვა ექსპერიმენტების და სხვა სანდო წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს, მაშინ ადგილი აქვს შეხედულებათა გარკვეულ შეთანხმებულობასა და ერთიანობას. მაგრამ იგივე მდგომარეობასთან არა გვაქვს საქმე თეორიის დონეზე განზოგადებისას, ფაქტების ჭეშმარიტი ბუნების გაგებისას. ერთი და იმავე ემპირიული განზოგადებისათვის ჩვენ შეიძლება მრავალი ალტერნატიული კონცეფცია გვქონდეს. ჩვენ აუცილებლობით ვადასტურებთ გარკვეულ ემპირიულ განზოგადებებს, მაგრამ არასოდეს არა ვართ აუცილებლობით იძულებული შევიწყნაროთ რომელიმე ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ამ ემპირიულ ფაქტს ეხება".

ოლპორტის მიხედვით, ასეთი ვითარება იმიტომ შეიქმნა, „რომ ფაქტობრივი მონაპოვრის ჭეშმარიტი ბუნება სხვადასხვა მკვლევრის მიერ სხვადასხვა მიმართულებებით და სხვადასხვა პარამეტრებშია წარმოდგენილი".

„ამის შემდეგ სრულიად არაა გასაკვირი, — ფიქრობს ოლპორტი, — როცა ერთი გზით შემუშავებულ კონსტრუქციებს არ შეუძლიათ აიტვისონ ასევე საფუძვლიანი, მაგრამ სხვა მიდგომის შედეგად მოპოვებული მონაცემები".

ასე ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიაში პ ა რ ტ ი კ უ ლ ა რ ი ს ტ უ ლ ი თეორიები და, საერთოდ, „პ ა რ ტ ი კ უ ლ ა რ ი ზ მ ი", როგორც ფსიქოლოგიური თეორიის განვითარების პრინციპი. პარტიკულარიზმის „სიმწარე" შეიძლება გაირკვეს ქცევის შესახებ საერთო მოძღვრებაში არსე-

ბულ ორი ურთიერთდაპირისპირებული „პარტიკულარისტული“ მიმ-
დინარეობების მაგალითზე. გ. ოლპორტის მიხედვით, ერთ მიმდინარე-
ობას ქმნიან პარტიკულარისტული თეორიები, რომლებიც „ფიზიკური
მონიზმისა და დეტერმინიზმის თვალსაზრისს იცავენ“; ესაა: ბიჰევიო-
რიზმი, სტიმულ-რეაქციის თეორია, პირობითი რეფლექსების თეორია,
ორთოდოქსალური ფსიქოანალიზი, კიბერნეტიკა, ინფორმაციის თეო-
რია, ჰომეოსტაზის მოძღვრება, მოძღვრება გამომთვლელი მანქანების
ანალოგების შესახებ და სხვ. ამ პარტიკულარისტული მიმდინარეობის
ტერმინებში წარმოდგენილი თეორიები შეუძლებელია სრულად შეეუ-
თანხმოთ მეორე პარტიკულარისტული მიმდინარეობის თეორიებს, რომ-
ლებიც იცავენ იმ აზრს, რომ ადამიანი გარკვეული მხრივ თვითონ იღებს
მონაწილეობას თავისი ბედის შექმნაში. ასეთია თეორიები: ეგოს-ფსი-
ქოლოგია, პერსონალიზმი, ექსისტენციალიზმი, ფენომენოლოგიის სხვა-
დასხვა ვარიაციათა უმრავლესობა და ა. შ.

გ. ოლპორტის მიხედვით, არ შეიძლება ითქვას, რომ არავითარი
საფუძველი არ აქვს ქცევის „რეაქტიულ“ თეორიებს. „ჩვენ ისე ბევრი
ვიცით ქცევის მექანიკური ბუნების შესახებ, რომ სრულიად შეუძლე-
ბელია უგულებელვყოთ პირველი ჯგუფის თეორიები“, „მაგრამ ისიც
ფაქტია, რომ ის მოვლენები, რომელთაც მეორე ჯგუფის თეორიები
ეყრდნობიან, შეუძლებელია დაყვანილ იქნეს „რეაქტივობაზე“. ისინი
აშკარად მოწმობენ ქცევის „პროაქტიულ“ თეორიათა სისწორეს.

პარტიკულარიზმით გამოწვეულ უბედურებასთან გვაქვს საქმე, —
აღნიშნავს გ. ოლპორტი, — „როდესაც მკვლევარი ამტკიცებს, რომ მის
მიერ უპირატესობამინიჭებული პარამეტრი ან მის მიერ არჩეული მო-
დელი მოიცავს მთელ პიროვნებას“. „სტიმულ-რეაქციის მოდელი შესა-
ნიშნავია იმ პირობით, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ საკუთარი ინდი-
ვიდუალობის შეგნების არსებობას, „ენვაირომენტალიზმი“ შესანიშნავია
იმ პირობით. თუ ადამიანს არაფერი ეცოდინება გენეტიკის არსებო-
ბის შესახებ. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ზუსტად მხოლოდ არაცნობი-
ერი მუშაობს, თუ ადამიანი დაიკიწყებს, რომ ჩვენი კონფლიქტების უმ-
რავლესობა კარგად არიან კონფიგურირებული ცნობიერებაში და ა. შ.“
გ. ოლპორტის მიხედვით გამოდის, რომ პარტიკულარიზმის გზა მცდა-
რია იმდენად, რამდენადაც ყოველი ფსიქოლოგიური თეო-
რია სწორია იმაში, რასაც ის ამტკიცებს, მაგრამ
მცდარია, როდესაც გულისხმობს, რომ ასეთი
მტკიცებით უარყოფილია სხვა თეორია. ამრიგად
პარტიკულარიზმი „მწარეა“!, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გ. ოლპორტის
მიხედვით, პარტიკულარიზმის დაძლევა, „მეცნიერული მონიზმის“ მიღ-
წევა და ფსიქოლოგიური თეორიის მთლიანობითი სისტემის აგება მაინც
შეუძლებელია თანამედროვე ფსიქოლოგიის ამოცანად იყოს დასახული.

ეს იმიტომ, ფიქრობს გ. ოლპორტი, რომ საბოლოო ანგარიშით დაპირისპირებული პარტიკულარისტული თეორიები ფსიქოლოგიაში ფიზიკურისა და ფსიქიკურის დუალიზმთან, მიზანმიმართულებისა და დეტერმინიზმთან დაკავშირებული ანტინომიებიდან მომდინარეობენ.

გ. ოლპორტის მიხედვით, მაგალითად, ქცევის ფსიქოლოგიაში, ერთი მხრივ, ფიზიკური მონიზმისა და დეტერმინიზმის, მეორე მხრივ, მიზანმიმართულების პარტიკულარისტულ თეორიათა შორის წინააღმდეგობა იმავე გადაუწყვეტელი ანტინომიის ნიადაგზეა აღმოცენებული, რაც ისტორიულად კონდილიაკის და ფიხტეს შეხედულებების სახით ჩამოყალიბდა.

გ. ოლპორტის მიხედვით, „კონდილიაკი ყველაფერს შეგრძნებიდან იღებდა; ფიხტე ყველაფერს საკუთარი მეს აქტივობიდან იღებდა. კონდილიაკი უგულებელყოფდა ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ს და ფიხტე უგულებელყოფდა ა ვ ტ ო მ ა ტ უ რ ს. ყოველი მათგანი დაბრმავებული იყო, მაგრამ თითოეული მათგანი მაინც მართალი იყო. იგივე წინააღმდეგობა, იმავე საკითხზე დღესაც არსებობს. რასაც კონდილიაკი და ფიხტე ამტკიცებდნენ, ამაში ისინი სწორი იყვნენ. რასაც ისინი თავისი მტკიცებით უარყოფილად გულისხმობდნენ, ამაში იყო მათი შეცდომა. იგივე შეიძლება გავიმეოროთ დღევანდელობის მიმართ. უარყოფის გულისხმობაა ფსიქოლოგიური თეორეტიზირების სისუსტის ძირითადი წყარო“.

ამრიგად, ფსიქოლოგიის სისტემის აგების სიძნელის გადალახვის, სინთეზური თეორიის ჩამოყალიბების პრობლემის გადაწყვეტა იმაზე შეიქნა დამოკიდებული, თუ როგორ იქნებოდა გაგებული ფსიქოლოგიაში ურთიერთდაპირისპირებული კონცეფციების საკმარისი დასაბუთებულობისა და ამასთანავე ურთიერთის „უარყოფის გულისხმობის შემცდარობის“ ფაქტი.

ფსიქოლოგიაში ურთიერთდაპირისპირებულ თეორიათა მართებულობის ფაქტი, გ. ოლპორტის მიხედვით, სრულიად აშკარად მხოლოდ იმას მოწმობს, რომ „დღესდღეობით შეუძლებელია მოვახდინოთ ყველა შეტად სარწმუნო თეორიის სინთეზი“. „ეს ამოცანა, — ამბობს ოლპორტი, — თანამედროვე ინტელექტის ლიმიტების ფარგლებს გარეთაა“. ამიტომ, თუ თანამედროვე ფსიქოლოგიის თეორიის დარგში სრული ანარქია სუფევს, — ეს, გ. ოლპორტის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ იმასთანაა დაკავშირებული, რომ ფსიქოლოგიის წინაშე პარტიკულარულ თეორიათა სინთეზირების გადაუწყვეტელ ამოცანას აყენებენ. ჯამოდის, რომ ფსიქოლოგიის თეორიაში ანარქიიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა — ესაა სინთეზური თეორიების ჩამოყალიბების ამოცანაზე უარის თქმა.

ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის თეორეტიკოსებს მიაჩნიათ, რომ დღევანდელ ვითარებაში ყველაზე მიზანშეწონილია ფსიქოლოგიის ამოცა-

ნად დასახულ იქნეს თეორიის აგება არა სინთეზირების, არამედ ეკლექ-ტიზმის პრინციპის საფუძველზე. „ფსიქოლოგიაში ეკლექტიზმად მე ვგულისხმობ, — განმარტავს გ. ოლპორტი, — სისტემას, რომელიც ფუნდამენტური პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს იმის შერჩევითა და შეკრებით, რასაც ის სწორად მიიჩნევს ფსიქოლოგიური მეცნიერებისადმი რამდენიმე კერძო მიდგომაში". გ. ოლპორტი ფიქრობს, თუ საბოლოოდ ოდესმე შეიქმნება ფსიქოლოგიის მთლიანობითი თეორია — „მეტათეორია" — ეს მხოლოდ „სისტემატური ეკლექტიზმის თანმიმდევრულად განხორციელების გზით". ამიტომაა, გ. ოლპორტის აზრით, „ეკლექტიზმის ნაყოფი ტკბილი!". ოლპორტი ცდილობს სისტემატური ეკლექტიზმი დაასაბუთოს, როგორც ეკლექტიზმის თავისებური და პროგრესული ფორმა.

* * *

ვ. ლენინმა ნათელი გახადა, რომ ნამდვილ, მეცნიერულ სინთეზს არაფერი აქვს საერთო ეკლექტიზმთან, რა სახითაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი წარმოდგენილი.

ვ. ლენინი გადაჭრით ებრძოდა დიალექტიკის ეკლექტიზმით შეცვლის ყოველგვარ ცდას. ვ. ლენინი აღნიშნავს, რომ დიალექტიკის შეცვლა ეკლექტიზმით ახალი არ არის. „ეს კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაშიც კი ხდებოდა" (ლენინი, თხზ.. ტ. 25, 1952, გვ. 490). ვ. ლენინი წერს: „ეკლექტიზმის ყალბი მიმსგავსება დიალექტიკისათვის ყველაზედ უფრო ადვილად ატყუებს მასებს, იძლევა მოჩვენებითს დაკმაყოფილებას, ვითომც ითვალისწინებს პროცესის ყველა მხარეს, განვითარების ყველა ტენდენციას, ყველა წინააღმდეგურ გავლენას და სხვ., ნამდვილად კი არ იძლევა საზოგადოებრივი განვითარების პროცესის არავითარ მთლიანსა და რევოლუციურ გაგებას" (იქვე, გვ. 491).

მეცნიერებაში ბრძოლა მიმდინარეობს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. ეკლექტიზმი არ არის ობიექტური ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის გზა. ეკლექტიზმის ასეთ ბუნებას ნათლად ამჟღავნებს ფსიქოლოგიაში ეკლექტიზმის დამცველთა მიერ შემოთავაზებული „სისტემური ეკლექტიზმის" კრიტერიუმების განსაზღვრება.

გამოჩენილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა — ე. ბორინგმა (მეცნიერული ფსიქოლოგიის XVII საერთაშორისო კონგრესის საპატიო პრეზიდენტმა) სცადა ეკლექტიზმის პრინციპები ჩამოეყალიბებინა და ეკლექტიზმის თვალსაზრისით სწორი და მცდარი თეორიების განმასხვავებელი კრიტერიუმი დაედგინა.

ეს ავტორი ეკლექტიზმის პრინციპად ჭეშმარიტების კრიტერიუმს კი არა, კონცეფციის პრაგმატულ ნაყოფიერებას მიიჩნევს. მისი აზრით,

თეორიის ეკლექტიკური მეთოდოლოგიით ჩამოყალიბებისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ ის კონცეფციები, რომლებიც „სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი აღმოჩნდნენ მეცნიერების განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში“ (ავტორის აზრით, მაგალითად, ასეთია დეტერმინიზმი, — თვისებების პრინციპთან შედარებით, ექსპერიმენტალიზმი — ემპირიზმის სხვა სახეობებთან შედარებით და ა. შ.). ე. ბორინგის მიხედვით, „ეკლექტიკოსი არის ის, ვინც ცნობს მხოლოდ დეტერმინიზმს, ვიწრო ემპირიულ მეთოდს და ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ა ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ“. სისტემატური ეკლექტიზმის მეორე წარმომადგენელმა — გ. ოლპორტმა ე. ბორინგის მიერ შემოთავაზებული პრინციპები მეტად შემზღუდველად მიიჩნია. იგი ეკლექტიზმისათვის უფრო ფართო გზების გახსნას მოითხოვს. მისი აზრით, ეკლექტიკოსს მოეთხოვება თეორეტიზირებას იმგვარად ახდენდეს, რომ „მის მიერ არჩეული პრინციპები არასოდეს გამორიცხავდნენ ადამიანის ბუნების შესახებ დასაბუთებულ მონაცემებს, რა წყაროდანაც არ უნდა იყვნენ მიღებული“.

ვ. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ფიზიკის კრიზისის არსება მდგომარეობს „მეცნიერული შემეცნების ობიექტური ჰეშმარიტების არსებობის გადაჭრით მტკიცებაზე უარის თქმაში“.

როგორც ზევით დავინახეთ, „მეცნიერული ჰეშმარიტების არსებობის გადაჭრით მტკიცებაზე უარის თქმის“ საფუძველზე აღმოცენდა მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს ფსიქოლოგიური თეორიის აგება სისტემატური ეკლექტიზმის ნიადაგზე.

მხოლოდ ეკლექტიზმის მეთოდოლოგიის ლენინური კრიტიკის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ნათელი გამხდარიყო, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში მეცნიერული ჰეშმარიტების სკეპტიციზმის ნიადაგზე აღმოცენებული სისტემატური ეკლექტიზმის მეთოდოლოგიას არაფერი აქვს საერთო ჰეშმარიტად მეცნიერულ სინთეზთან, ფსიქოლოგიის სისტემის აგების გზებთან.

ფსიქოლოგიის სისტემის ეკლექტიზმის მეთოდოლოგიაზე აგების აუცილებლობის დასაბუთების არაპირდაპირი გზებიცაა ცნობილი. მხედველობაში მაქვს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ა დ ა მ ი ა ნ ს ა დ ა მ ი ს ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ს ი ნ თ ე ზ უ რ ი, მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი თ ი თ ე ო რ ი ი ს ა გ ებ ა მ ხ ო ლ ო დ ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი გ ა ნ ზ ო გ ა დ ებ ი ს დ ო ნ ე ზ ე ა შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი. ასეთი მტკიცებისას თავისთავად იგულისხმება, რომ ადამიანისა და მისი პიროვნების სხვადასხვა მიმართულებით შესწავლის მონაცემების ერთ მთლიან, სინთეზურ თეორიაში გაერთიანება მეცნიერული შესწავლის დონეზე მიუღწეველია. ეს ფილოსოფიის ამოცანად ითვლება. რა არის ეს, თუ

არა იმის არაპირდაპირი გზებით დამტკიცების ცდა, რომ ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ მეცნიერული თეორია პრინციპულად ეკლექტიურია და იგი არ შეიძლება სინთეზური და სისტემატური იყოს. ასეთად მხოლოდ ფილოსოფიურ თეორიას გულისხმობენ.

ასეთი შეხედულების მცდარობა სრულიად ნათელია დიალექტიკური მატერიალიზმის მთავარი პრინციპის ლენინური განსაზღვრების საფუძველზე. ვ. ლენინი წერს: „დიალექტიკურ მატერიალიზმს არ ესაჭიროება არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებაზე მაღლა იდგეს". წინანდელი ფილოსოფიისაგან რჩება „მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა". დიალექტიკა კი, მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას..." (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21. გვ. 48—49, 1951). თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაცემები, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში შემდგარი მეცნიერული ფსიქოლოგიის საერთაშორისო კონგრესების შედეგები, სრულიად ნათელს ხდიან, რომ ადამიანისა და მისი პიროვნების შესწავლისას მეცნიერება განსაკუთრებით წინ მიიწევს იმ საკითხების გამოკვლევის მიმართულებით, რომლებიც ამ საგნის შემსწავლელ სხვადასხვა მეცნიერებათა მიჯნაზე არსებობენ. ადამიანი და მისი პიროვნება თავის მთლიანობაში საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მთელი სისტემის მეშვეობით შეიმეცნება.

ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს თვითონ შესწევთ ძალა მთლიანად ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ ჩამოაყალიბონ ერთიანი სისტემატური ცოდნა, სინთეზური თეორია. თუ ვინმე ამ ამოცანას ისევ ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს, ის ფაქტობრივად ფილოსოფიას უსაგნოდ ტოვებს (შეად. Н. Семенов—„Марксистско-Ленинская философия и вопросы естествознания", ჟურნ. „Коммунист", № 10, 1968, с. 48—51).

იმის ნაცვლად, რომ მეცნიერებაში ახსნილი და გარკვეული იქნეს წინააღმდეგობათა რეალური ერთიანობა და თეორიაში იგი ისე აისახოს, როგორც ეს რეალურად არსებობს, ეკლექტიზმის მეთოდოლოგია ცდილობს დაკმაყოფილდეს ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისების უბრალო შეკრებითა და შედგენით. ეკლექტიზმის მეთოდოლოგია მეცნიერებას საბოლოოდ ააცდენს მისი ჭეშარიტი ამოცანის გადაწყვეტისაკენ მიმავალ გზებს.

ვ. ლენინმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ დიალექტიკაზე დაფუძნებულ სინთეზს არაფერი აქვს საერთო ურთიერთმოწინააღმდეგე თვალსაზრისების ეკლექტიკურ გაერთიანებასთან.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერული ფსიქოლოგიის XVIII საერთაშორისო კონგრესზე (მოსკოვში) ფართოდ იყო წარმოდგენილი საბჭოთა ფსიქოლოგიის მიღწევები. საბჭოთა ფსიქოლოგიის მიღწევებმა ნათელი გახადა ამ კონგრესზე, რომ დღეს, როდესაც ფსიქოლოგია ძლიერი ტემპით ვითარდება და დაყოფილია სხვადასხვა მიმართულებებად, სხვადასხვა თვალსაზრისების ეკლექტიკური შეერთების მეთოდოლოგია ვერ შექმნის მისი განვითარების პირობას; პირიქით, სხვადასხვა უბანზე მიმდინარე მუშაობის ერთ მთლიან თეორიულ სქემაში სინთეზირებია მიღწევა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური მეცნიერების შემდგომ პროგრესსა და მისი სისტემის მტკიცე საფუძვლის აგებას.

ვ. ლენინმა თავის წიგნში — მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და შემდეგ წერილში — „მებრძოლი მატერიალიზმის შესახებ" ნათელი გახადა, რომ პასუხის გაცემა იმ ფილოსოფიურ, თეორიულ საკითხებზე, რასაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება აყენებს, სრულიად შეუძლებელია დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის გარეშე.

მაგრამ ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის დიალექტიკური აზროვნება, ბუნების დიალექტიკის შემეცნების მეთოდი, ვ. ლენინის ხატოვანი შედარება რომ მოვიშველიოთ, ჯერ კიდევ ცხრაკლიტულში მდებარე წიგნს წარმოადგენს.

ამას შესანიშნავად ადასტურებს თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში წარმოშობილი სისტემატური ეკლექტიზმის მიმდინარეობა.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ის ფაქტობრივი ვითარება, რასაც ეყრდნობა ფსიქოლოგიის ეკლექტიურ მეთოდოლოგიაზე აგების კონცეფცია, არ გვხვდება მხოლოდ ფსიქოლოგიის თეორიის სფეროში. მარტო ფსიქოლოგიაში არ ვხვდებით ისეთ თეორიებს, გ. ოლპორტის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელნიც „მართალნი არიან იმაში, რასაც ამტკიცებენ და მცდარი იმაში, რასაც თავისი მტკიცებით უარყოფილად გულისხმობენ". ერთ მოვლენაში პოლარული, ურთიერთგამომრიცხველი მხარეების და ტენდენციების არსებობა (ანალოგიური ოლპორტის მიერ მითითებული „ავტომატურობისა" და „ავტონომიურობის" პოლარული ტენდენციებისა ქცევაში) მრავალ სხვადასხვა სფეროშია დადგენილი.

თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში მეტად ფართო მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბუნების სფეროების, საგნების განვითარება დიალექტიკურად, ე. ი. წინააღმდეგობების გზით, მიმდინარეობს. როგორც სამართლიანად მიუთითებს ბ. კედროვი, თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარება იმაშიაც გამოიხატა, რომ ძველთაგანვე ცნობილი პოლარულობები, ვთქვათ, უსასრულობა-სასრულობის, უწყვეტობა-წყვეტილობის და ა. შ. ახალი მეცნიერული შინაარსით შეივსო.

თავდაპირველად გადაუწყვეტელ ამოცანად ჩანდა ერთ სინთეზურ

თეორიაში ყოფილიყო გაერთიანებული და გააზრებული ერთსა და იმავე ობიექტში ისეთი ორი პოლარული, ურთიერთის გამომრიცხველი მხარისა და ტენდენციის არსებობა, როგორიცაა უწყვეტელობა და წყვეტილობა და სხვ. მაგრამ თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა. ეს ამოცანა გადაწყდა უწყვეტელობა-წყვეტილობის და სხვა წინააღმდეგობათა ერთიანობის დადგენით. მაგალითად, კვანტურმა მექანიკამ ფიზიკურ მიკროობიექტებზე აჩვენა წინათ ერთმანეთისაგან განცალკევებული წინააღმდეგობის — კორპუსკულარობის და კონტინუალობის — განუყრელი ერთიანობა სინამდვილეში.

საგულისხმო ისაა, რომ პოლარობათა ერთ მთლიან თეორიაში გააზრება, თეორიული სინთეზი მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობის, იგივეობის დადგენის საფუძველზე განხორციელდა (შად. Б. Кедров, „Диалектика современного естествознания", Коммунист, 1966, № 13, с. 15—57).

ბ. კედროვს მოჰყავს იმის დამადასტურებელი ვრცელი ფაქტი, რომ ბუნებისმეტყველება წინ მიიწევს თვით ბუნების დიალექტიკაში ჩაწვდომის გზით და მისი შესატყვისი ასახვით საბუნებისმეტყველო თეორიებისა და კონცეფციების დიალექტიკაში (იქვე, გვ.59).

კვანტური მექანიკა შეიქმნა არა ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების ეკლექტიკური შეერთების გზით, არამედ ნამდვილი მეცნიერული სინთეზის შედეგად, რომელსაც მტკიცე ობიექტური საფუძველი ჰქონდა. კვანტურ მექანიკაში უწყვეტობისა და წყვეტილობის მთლიანობა იქნა გამოკვლეული და სინთეზური თეორია ჩამოყალიბდა არა სხვადასხვა მიმდინარეობის ფიზიკოსთა შეხედულებების ეკლექტიკური შეერთებით, არამედ იმის კვალობაზე, თუ რეალურად როგორ არსებობდა ამ წინააღმდეგობათა ერთიანობა. აქედან სრულიად სამართლიანად დაასკვნის ბ. კედროვი: „მეცნიერული სინთეზი გულისხმობს არა ურთიერთსაპირისპირო სუბიექტურ შეხედულებათა და თვალსაზრისების ეკლექტიკურ გაერთიანებას, არამედ ობიექტურად არსებული წინააღმდეგობების. როგორც თვით ობიექტური სამყაროს საწინააღმდეგო მხარეების ან ტენდენციების, რეალური ერთიანობის გახსნას" [1].

---

[1] ასეთი თვალსაზრისი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ. კედროვი, პრინციპულად გამორიცხავს ყოველგვარ აზრს ძირითადი მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმდინარეობის — მატერიალიზმისა და იდეალიზმის — სინთეზის შესახებ. პირველი ზუსტად მეცნიერულია, მეორე ანტიმეცნიერული. მარქსი, ენგელსი, ლენინი ყოველთვის გადაჭრით ებრძოდნენ ამ ორი მოპირდაპირე ფილოსოფიის შერიგების ყოველგვარ ცდას.

მეცნიერული სინთეზის ზემომოყვანილი განსაზღვრების თანახმად სრულიად ცხადია, რომ „სხვადასხვა (ან ურთიერთსაწინააღმდეგო) თვალსაზ-

დიალექტიკის, როგორც შემეცნების მეთოდის, უკუგდების გამო ვერ შეძლო გ. ოლპორტმა ფსიქიკური აქტივობის „ავტომატიზმისა“ და „ავტონომიურობის“ პოლარული ტენდენციების ერთ მთლიანობაში წარმომდგენი სინთეზური თეორიის გააზრება. ამიტომაც იყო, რომ მან ასეთი სინთეზური თეორიის აგების ამოცანა „თანამედროვე ინტელექტის ლიმიტების ფარგლებს გარეთ მდებარედ“ მიიჩნია. ამან მიიყვანა იგი ფსიქოლოგიის სისტემის აგების ერთადერთ მეთოდოლოგიად ეკლექტიზმის აღიარებამდე.

ასახვის ლენინურმა თეორიამ გახადა ნათელი ფსიქიკური აქტივობის დიალექტიკური ბუნება. ასახვის ლენინურმა თეორიამ შექმნა ნამდვილად სინთეზური ფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძველი.

ვ. ლენინი წერდა: „ასახვა ადამიანის აზრში უნდა გვესმოდეს არა როგორც „მკვდარი“, აბსტრაქტული“, მოძრაობას მოკლებული, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს მოკლებული, არამედ მუდმივმოძრაობის, წინააღმდეგობათა წარმოშობისა და მათი გადაწყვეტის მარადიულ პ რ ო ც ე ს შ ი მყოფი“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, 1963, გვ. 192).

ვ. ლენინი „მეტაფიზიკური მატერიალიზმის“ ძირითად უბედურებას იმაში ხედავდა, რომ მას არ შეუძლია გამოიყენოს დიალექტიკა Bildtheorie-ის მიმართ, შემეცნების პროცესისა და განვითარების მიმართ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, 1963, გვ. 192).

მეცნიერული ფსიქოლოგიის XVIII საერთაშორისო კონგრესზე საგანგებოდ იყო განხილული საკითხი ასახვის თეორიის, როგორც ფსიქოლოგიის სისტემის აგების მეთოდოლოგიური საფუძვლის, შესახებ (მომხს. ა. ლეონტიევი).

ასახვის ლენინური თეორიის თანახმად ფსიქიკური ასახვისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ობიექტის მოცემულობა, ობიექტის გარეგანი ზემოქმედება. ამისათვის აუცილებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუბიექტისაგან მომდინარე პროცესი ან, როგორც ა. ლეონტიევი ამბობს „სუბიექტის მოქმედება ასასახავი სინამდვილის მიმართ“. ასეთი აქტიური ურთიერთზემოქმედების პროცესში მიმდინარეობს ასახვა.

ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესზე მრავალი ფაქტობრივი მონაცემი იყო წარმოდგენილი, რომლებიც ნათელს ხდიდნენ ამ დებულებას. მოყვანილი იყო მხედველობითი აღქმის გამოკვლევის შედეგები. ეს გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მხედველობითი აღქმისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ის, რომ „თვალწინ იყოს ობიექ-

---

რისების შ ე ე რ თ ე ბ ა ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ა შ ი ა რ ა რ ი ს დ ა ს ა შ ვ ე ბ ი, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მათგანის მიმართ მისი არამეცნიერულობაა დასაბუთებული“ (იხ. ბ. კ ე დ რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62).

ტური მოცემული". მხედველობით აღქმა ამასთან ერთად გულისხმობს მხედველობითი სისტემის აქტივიზაციასაც. ანალოგიური მონაცემები სხვა მოდალობის აღქმის სფეროშიცაა დადასტურებული. „სწორედ ობიექტის ნიმართ სუბიექტის მოქმედება, — აღნიშნავს ა. ლეონტიევი, — არის პროცესი, რომელსაც „გადაჰყავს" ასახვა ასახვაში".

ამრიგად, აზრს კარგავს გარეგანი ზემოქმედებით აღძრული პროცესების (გ. ოლპორტის სიტყვებით — „ავტომატიზაციის" ტენდენციის) და სუბიექტის აქტივობის (გ. ოლპორტის სიტყვებით — „ავტონომიურობის" ტენდენციის) ურთიერთდაპირისპირება[2]. ამ პროცესების ერთიანობაში გამოიხატება ასახვის პროცესის დიალექტიკური ბუნება. „ასახვის პროცესი ზემოქმედების კი არა, არამედ ურთიერთზემოქმედების შედეგია, ე. ი. შედეგია ურთიერთშემხვედრი პროცესებისა. ერთი მათგანია — ობიექტის მოქმედება ცოცხალ სისტემაზე, მეორეა — თვით სისტემის აქტივობა ობიექტის მიმართ, რომელიც ზემოქმედებს. ეს უკანასკნელი პროცესი სწორედ თავისი მიმსგავსებით ობიექტური რეალობის თვისებებისადმი თავის თავში ატარებს მას ასახვას" (ა. ლეონტიევი).

აღნიშნულთან დაკავშირებით ისმის ასეთი კითხვა: ხომ არ ნიშნავს ყველაფერი ეს იმას, რომ საბოლოო ანგარიშით მაინც სუბიექტი ახდენს ობიექტის „კონსტრუქციას"? რასაკვირველია, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. „შინაგანი მოქმედება, — აღნიშნავს ა. ლეონტიევი, — ისევე როგორც გარეგანი მოქმედება, ახორციელებს სიცოცხლის პროცესს, რომელიც პრაქტიკულად აკავშირებს სუბიექტს სინამდვილესთან, იგი ჩართულია ამ პროცესში, მისგანაა დამოკიდებული და მითაა განსაზღვრული" (შდრ. А. Леонтьев, „Понятие отражения и его значение для психологии". Президентская речь на XVIII Международном психологическом конгрессе,—Вопросы философии, № 12, с. 48-56, 1966).

მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიური სინთეზი ადამიანის მოქმედების დიალექტიკური ბუნებიდან გამომდინარეობდა. მარქსი და ენგელსი წერდნენ: „გარემოებანი იმდენად ქმნიან ადამიანებს, რამდენადაც ადამიანები ქმნიან გარემოებებს". მარქსიზმ-ლენინინიზმის მოძღვრებით ადამიანები თვითონ ქმნიან ისტორიას, მაგრამ ქმნიან ისეთ პირობებში, რომელთა არჩევა ნებისმიერად არ შეუძლიათ. მარქსიზმ-ლენინიზმი

---

[2] დეტერმინიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტური კონცეფციის შუქზე ნათელია ასეთი დაპირისპირების მცდარობა. თანახმად დეტერმინიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებისა, — წერს ს. რუბინშტეინი, — „გარეგანი მიზეზები მოქმედებენ გამეშვეებული შინაგანი პირობებით (რომლებიც ფორმირდებიან გარეგანი პირობებისგან დამოკიდებულებაში)".

არის მ ო ქ მ ე დ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს შესახები მოძღვრება, რომელიც ამასთანავე მტკიცედ დგას მატერიალური დეტერმინიზმის ნიადაგზე.

ქცევის მიზანმიმართულებებისა და დეტერმინიზებულობის დიალექტიკური ერთიანობა, მეცნიერულ მონაცემების საფუძველზე, განწყობის ფსიქოლოგიაშია (დ. უზნაძე) გაშუქებული. განწყობის თეორიის თანახმად, ინდივიდი მიზანშეწონილი ქცევის სუბიექტი იმით ხდება რომ იგი მოცემული მოქმედების მიმართულებით უშუალოდ ამ მოქმედების გახორციელების მომენტში კი არ „ორიენტირდება", არამედ მანამდეა წინასწარორიენტირებული, წინასწარმომართული, „განწყობილი" ამ მოქმედებისადმი.

„ცარიელი ადგილიდან" არც ერთი ქცევა არ იწყება. ყოველი მიზანმიმართული ქცევა წარმოიქმნება რეაგირების გარკვეული ფორმისადმი წინასწარმომართულების ნიადაგზე. მაშასადამე, განწყობა წინასწარ განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება ინდივიდის ნიერ მომავალში გამოვლენილი მოქმედება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მომავალში გამოვლენილი ქცევის სპეციფიკა წინასწარ, თვითონ ქცევის გამოვლინებამდეა მოცემული განწყობის სახით. ქცევა ანტიციპირებულია ინდივიდის მთლიანობითს მდგომარეობაში, რომელშიც, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვაში, ანტიციპირებულია ქცევის ზ ო გ ა დ ი ხასიათი, მისი ძირითადი სქემა, მისი შესატყვისობა ობიექტურ საქმის ვითარებასთან. ამრიგად, განწყობა, როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის — ქცევის ამ ორი დეტერმინატის — ურთიერთმიმართების ფსიქოლოგიური შინაარსი, რომლის ნიადაგზეც წარმოიქმნება გარკვეული მიმართულების მქონე მოქმედება, გვევლინება როგორც ქცევის მ ი ზ ა ნ ი, როგორც ქცევის ყოველ მიზანში, განწყობაშიც ანტიციპირებულია მომავალი ქცევის მოდელი. ამრიგად, განწყობის ცნების შუქზე ქცევა, რ ო მ ე ლ ი ც დ ე ტ ე რ მ ი ნ ი რ ებ უ ლ ი ა მ ი ს ი წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი თ, ა მ ა ვ ე დ რ ო ს გ ვ ე ძ ლ ე ვ ა რ ო გ ო რ ც მ ი ზ ა ნ მ ი მ ა რ თ უ ლ ი ქ ც ე ვ ა (შდრ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თავი „განწყობა"; იხ. დ. უზნაძე, შრომები, ტ. III—IV, თბ., 1964, გვ. 82—93).

დ. უზნაძის დამსახურებაა, რომ მან დეტერმინიზმის დიალექტიკური მატერიალისტური გაგების საფუძველზე, განწყობის ცნებაზე დაყრდნობით მოგვცა ნებისმიერი ქცევის მიზანმიმართულებისა და აქტივობის ბუნების დეტერმინისტული გაშუქების საფუძვლიანად დასაბუთებული ცდა. ნებისმიერი გადაწყვეტილება არის აქტუალურ სიტუაციაზე დაფუძნებული განწყობიდან იმ განწყობაზე გადართვა, რომელიც აზრითი სიტუაციისა და არააქტუალური მოთხოვნილების (ობიექტივაციის) საფუძველზე წარმოიქმნება. განცდა „მე მინდა" ფაქტიურად არის განცდა „მე სხვანაირად არ შემიძლია", რამდენადაც იგი გამოხატავს მომავალი

აქტივობის განსაზღვრული ფორმისადმი წარმოქმნილი მზაობის შეცვლის ფაქტს. ნებისმიერი ქცევის მიზანმიმართულება, დ. უზნაძის მონაცემთა მიხედვით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანტიციპირებულია და მოქმედების წინასწარმომართულობის, განწყობის სახითაა მოცემული მოქმედება, რომელსაც სუბიექტისათვის არა უშუალო, არამედ შუამავლის მნიშვნელობა აქვს. ამრიგად, განწყობის ცნება საშუალებას იძლევა გავიგოთ ნებისმიერი ქცევის როგორც დეტერმინირებულობა, ისე თავისუფლება და მიზანმიმართულება (შდრ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, კარი მეხუთე; გვ. 218—222).

დასასრულს, მოკლედ შევეხოთ ე. წ. ფსიქო-ფიზიკურ პრობლემასთან დაკავშირებულ ანტინომიასაც, რომლითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ეკლექტიზმის მეთოდოლოგიის გამართლებას ცდილობენ.

ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის დარგშიაც თანამედროვე მეცნიერების განვითარება სრულიადაც არ მიმდინარეობს ეკლექტიზმის გამართლების ნიშნით.

იდეალისტური მეთოდოლოგიის მიხედვით ეს პრობლემა მეცნიერული შესწავლის მიმართ არარელევანტურად ითვლებოდა. მას ფილოსოფიის და თეოლოგიის სფეროს მიაკუთვნებდნენ.

თანამედროვე მეცნიერება ვითარდება სამყაროს ერთიანობის ყოველმხრივი შემეცნების მიმართულებით. აღნიშნულია, რომ თანამედროვე მეცნიერების შედეგად ჩამოყალიბდა სისტემური მეცნიერული ცოდნა მატერიის სტრუქტურულ სახესხვაობათა შორის არსებული მტკიცე ურთიერთკავშირის შესახებ, რაშიაც მატერიის ორგანიზაციის დონეებისა და მატერიის განვითარების საფეხურების ერთიანობაა ასახული.

ვ. ლენინი წერდა: „განვითარების საყოველთაო პრინციპი უნდა შევუერთოთ, დავუკავშიროთ, შევუთავსოთ სამყაროს, ბუნების, მოძრაობის, მატერიის etc ერთიანობის პრინციპს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, 1963, გვ. 260).

თანამედროვე მეცნიერება ამტკიცებს სრულ შესაბამისობას თვალსაზრისისას, რომლის მიხედვით მეცნიერების ფარგლებში „ფსიქიკური“ შესწავლილი უნდა იქნეს „გამოცალკევებულად“ ფიზიოლოგიურისაგან, და ა. შ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მეცნიერებაში ფსიქიკურის შემეცნება არაჩვეულებრივად მაღალი ტემპებით მიიწევს იმ საკითხების შესწავლის დარგში, რომლებიც ფსიქოლოგიის მოსაზღვრე მეცნიერებათა მიჯნაზე მდებარეობენ (ბიოლოგიის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ფიზიოლოგიისა და სხვ.). მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც მეცნიერულ შემეცნების მეთოდის, საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი ამ ფაქტის გაგება. თითონ მატე-

რიის, ბუნების მატერიალური ერთიანობა და შინაგანი მთლიანობა, ე. ი. თვითონ ობიექტის დიალექტიკაა ასახული იმ ფაქტში, რომ მეცნიერება ადამიანის შესწავლის დარგში პროგრესს ამ ობიექტის შემსწავლელ სხვადასხვა მეცნიერებათა ურთიერთზემოქმედების შედეგად აღწევს. თანამედროვე საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს თვითონ შესწევთ ძალა და მათს კომპენტენციაშიაცაა ზემოდასახელებული პრობლემის შესწავლა.

* * *

თანამედროვე ბუნებისმეტყველების კრიზისის ლენინური ანალიზის საფუძველზე გახდა ნათელი, რომ, წინააღმდეგ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ეკლექტიზმის გავრცელებული მიმდინარეობისა, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისების ეკლექტიკური შეერთება და შერიგება კი არა, წინააღმდეგობათა რეალური ერთიანობის გახსნა ინდივიდის ქცევაში, როგორც ფსიქოლოგიის საგანში, მათი ასახვა შესატყვისი თეორიების დიალექტიკაში წარმოადგენს ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზისა და ფსიქოლოგიის სისტემის აგების მტკიცე საფუძველს.

ამრიგად, მატერიალური დიალექტიკის, ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი სწორად იქნეს გაგებულიცა და დაძლეულიც ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიძნელენი.

ნუთუ ადამიანის შესახებ მეცნიერული ცოდნის მთელი სისტემა მხოლოდ ეკლექტიკურია და მეცნიერების კომპეტენციაში არ შედის მთლიანად ადამიანის ბუნების შეეცნება და მის შესახებ სინთეზური თეორიის განვითარება?

(ა. ბოჭორიშვილის წერილის გამო)

ჟურნალ „მაცნეს" 1970 წლის მე-2 ნომერში გამოვაქვეყნე წერილი სათაურით — „ასახვის ლენინური თეორია — ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძველი".

ა. ბოჭორიშვილი ამ წერილს გამოეხმაურა ოთხი წლის შემდეგ [1],

---

[1] ა. ბოჭორიშვილის მოღვაწეობაში ამ სახის „დაგვიანებული რეაქციის" „ოპტიმალური ვარიანტიცაა" ცნობილი. 1949 წელს, დ. უზნაძემ გამოსცა თავისი ცნობილი მონოგრაფია — „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები". ა. ბოჭორიშვილს ამ წიგნში გამოქვეყნებული შეხედულებების წინააღმდეგ დ. უზნაძის სიცოცხლეში არაფერი დაუწერია. დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ კი ა. ბოჭორიშვილმა დასაშვებად მიიჩნია დ. უზნაძის ეს მონოგრაფია გამოეცხადებინა ისეთ შრომად, რომელშიც „განწყობის თეორიიდან არაფერი არ არის დარჩენილი". ამ საკითხზე დისკუსიაც კი წამოიწყო ჟურნალში „Вопросы психологии" (№ 1, 1966 წ.). თუ არა, როგორც იტყვიან, „დელიკატური" მომენტები, ისე სხვა მხრივ ვერაფერს დაუწუნებ დისკუსიის წამოყენებას გარდაცვლილ ავტორთან. ასეთი დისკუსია წარმატების უზრუნველყოფის ჭეშმარიტად ოპტიმალური ვარიანტია. ბოჭორიშვილი, ასეთი „დისკუსიის წესით" გამოქვეყნებულ წერილში, დ. უზნაძის აღნიშნულ მონოგრაფიაში განწყობის თეორიის საკითხებზე გამოთქმულ დებულებებთან დაკავშირებით წერს: «Можно уверенно сказать, что в результате введения в теорию установки Д. Н. Узнадзе понятия бессознательной психики понятие установки по содержанию превращается в свою противоположность (ხაზი ავტორისაა. ა. ფ.). От теории установки Д. Н. Узнадзе, по существу, ничего не остается» (ხაზი ჩვენია—ა. ფ. იხ. იქვე, გვ. 154).

დ. უზნაძის მონოგრაფია ა. ბოჭორიშვილმა გამოაცხადა შრომად, რომელშიც „განწყობის თეორიიდან არაფერი არ არის დარჩენილი", სწორედ იმ წელს (1966 წ.), როდესაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილმა საერთაშორისო გამომცემლობამ, დ. უზნაძის მონოგრაფია როგორც ფუნდამენტალური გამოკვლევა განწყობის თეორიაში ინგლისურ ენაზე გამოსცა — D. Uznadze. The Psychology of Set, Editor: A. S. Prangishvili. The International Behavioral Sciences Series. New York, 1966.

და ამავე ჟურნალის 1974 წლის მე-2 ნომერში გამოაქვეყნა წერილი — „ნუთუ ფილოსოფიას ეკრძალება ადამიანის შესწავლა? (ა. ფრანგიშვილის წერილის გამო)".

მიუხედავად ასეთი დიდი დროისა, ა. ბოჭორიშვილმა მაინც ვერ მოახერხა მიუკერძოებლად გადმოეცა ჩემი წერილის ამოცანა და დასკვნები. ამიტომ იძულებული ვარ გავიმეორო ის, რაც ადრე უკვე ნათქვამი იყო ჩემს წერილში, რათა მკითხველს გავუთვალისწინო საქმის ნამდვილი ვითარება.

ა. ბოჭორიშვილის აზრით, ჩემი წერილის სათაური („ასახვის ლენინური თეორია — ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძველი") მავალებდა, და მკითხველიც ჩემგან ამასვე მოელოდა, რომ გამერკვია „ორი ცნების — ფ ს ი ქ ი კ ი ს როგორც ა ს ა ხ ვ ი ს დ ა ფ ს ი ქ ი კ ი ს როგორც ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს. ს ა გ ნ ი ს — ურთიერთმიმართება" (ა. ბოჭორიშვილის დასახ. წერილი, გვ. 169). საკვირველია, მეტი რომ არ ვთქვათ, რატომ უნდა ჰქონოდა მკითხველს ჩემს წერილში იმ საკითხის გარკვევის მოლოდინი, რომელიც ასახვის ლენინურ თეორიაზე ფსიქოლოგიის დაფუძნების პრობლემის განხილვისას ა. ბოჭორიშვილს გაუჩნდა; ხოლო არ უნდა ჰქონოდა იმ საკითხების გარკვევის მოლოდინი, რომლებიც მე თვითონ დავაყენე ჩემს წერილში და რომელთა-გარკვევის ცდასაც მკითხველს მე თვითონ დავპირდი!

ჩემი წერილი დაიბეჭდა ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო წელს და ამ თარიღს მიეძღვნა. ამ გარემოებამ განსაზღვრა წერილის ხასიათი. მე მიზნად დავისახე ასახვის ლენინური თეორიისა და დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ ლენინური მოძღვრების უკვდავი და ცხოველმყოფელი ძალა გამეშუქებინა. ამ ამოცანის განხორციელება იმის საფუძველზე ვცადე, რომ მეჩვენებინა, თუ როგორ ქმნის დღესაც ასახვის ლენინური თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის იმ ცენტრალური და აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის ურყევ მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომლის უქონლობასთანაცაა დაკავშირებული ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ფსიქოლოგიის თეორიის დარგში შექმნილი სრული ანარქია და გაუგებრობა.

ჩემს წერილში ნათლად არის ნათქვამი, თუ რა საკითხის გარკვევას ვისახავთ მიზნად. წერილის დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ „ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ საბჭოთა ფსიქოლოგიის მოწინავე პოზიციები, რომლებიც ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით" (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 17). ამის შემდეგ ვაზუსტებ რა მიგვაჩნია ასეთ პრინციპულ საკითხად და ვადასტურებ, რომ „დღეს... მწვავედ დგას ფსიქოლოგიაში თეორიული სინ-

თეზის, ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიძნელის პრობლემა“ (იქვე, გვ. 18). ყველაფერი ამის შემდეგ ნათლად განვსაზღვრავ ჩემი წერილის ამოცანას: „ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ საზღვარგარეთულ და საბჭოთა ფსიქოლოგიაში სისტემის აგების პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომის არსებითი თავისებურებანი და ლენინური ასახვის თეორია, როგორც ამ პრობლემის გადაწყვეტის მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძველი“. ამრიგად, ჩემს წერილში მიუკერძოებელი მკითხველისათვის სრულიად ნათლადაა გარკვეული, რომ მე ვცდილობ განვიხილო წ ე რ ი ლ ი ს ს ა თ ა უ რ ი ს რ უ ლ ი ა დ შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი და საბჭოთა ფსიქოლოგიისათვის სავსებით კანონიერი და აქტუალური საკითხი.

ახლა გავარჩიოთ ის საკითხი, რომელიც, ბოჭორიშვილის აზრით, ვალდებული ვარ, რომ განვიხილო როგორც წარმოდგენილი სათაურის მქონე წერილის ავტორმა, თუმცა მას თავი არ შეუწუხებია იმის დამტკიცების ცდით, თუ რატომ უნდა ჩამეთვალოს წერილის თემიდან გადახვევად ჩემ მიერ წამოყენებული კანონიერი საკითხის განხილვა და რატომ იქნებოდა მის მიერ დასმული საკითხის განხილვა უფრო შესაფერისი ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის თარიღთან დაკავშირებით?! ა. ბოჭორიშვილის აზრით, „ასახვის ლენინური თეორიის გამოყენებისათვის ფსიქოლოგიის დაფუძნების საქმეში“ პირველ რიგში უნდა გაირკვეს „ორი ცნების — ფ ს ი ქ ი კ ი ს როგორც ასახვის და ფსიქიკის როგორც ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს ს ა კ ვ ლ ე ვ ი ს ა გ ნ ი ს — ურთიერთმიმართება. რ ო გ ო რ უ ნ დ ა ვ ი ა ზ რ ო თ მ ა თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ი ს ე, რ ო მ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა ში შ ე ს ა მ ე ც ნ ე ბ ე ლ ი და შ ე მ ე ც ნ ე ბ ა ე რ თ მ ა ნ ე თ ს ა რ გ ა ვ უ ი გ ი ვ ო თ და მ ი თ კ ა ნ ტ ი ა ნ უ რ ი შ ე ც დ ო მ ა ა რ გ ა ვ ი მ ე ო რ ო თ“ (იქვე, გვ. 169).

საქმე ისაა, რომ ა. ბოჭორიშვილი ასახვის თეორიაზე ფსიქოლოგიის დაფუძნებისას კანტიანური შეცდომის დაშვების საფრთხის განუხილველობას არა მარტო ჩემი წერილის „არამეცნიერულობის“ მაჩვენებლად მიჩნევს „ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგის“ (ა. ბოჭორიშვილია სიტყვებია. იხ. გვ. 174) ა. ლეონტიევის გამოკვლევასაც „Понятие отражения и его значение для психологии“ (Журн. „Вопросы философии“, 1966, № 2) ა. ბოჭორიშვილი „წარუმატებლად“ (!) მიჩნევს ამავე საკითხის განუხილველობის გამო. საკითხავია, რატომაა წარუმატებელი ეს გამოკვლევა, თუ იგი ფსიქოლოგთა მე-18 საერთაშორისო კონგრესზე იყო მოსმენილი, როგორც სპაროგრამა, მოხსენება და გამოქვეყნებული იყო მარქსისტულ

-ლენინური ფილოსოფიის ისეთ ცენტრალურ ორგანოში, როგორი-ცაა — „Вопросы философии"? ა. ბოჭორიშვილმა კი ა. ლეონტიევის გამოკვლევა „წარუმატებლად" მისი გამოქვეყნებიდან 8 წლის შემდეგ გამოაცხადა და თანაც ისე, რომ ეს არც ლეონტიევისათვის და არც საბჭოთა ფსიქოლოგთა და ფილოსოფოსთა ფართო წრეებისათვის არ გამხდარიყო ცნობილი და მისაწვდომი. საკითხი იმის შესახებ ხომ არ შეიცავს ასახვის თეორიაზე ფსიქოლოგიის დაფუძნება კანტიანური შეცდომის დაშვების საფრთხეს — საბჭოთა ფსიქოლოგიაში, საერთოდ, არავის დაუყენებია და შეუსწავლია. ეს გარემოება აქვს, ალბათ, ა. ბოჭორიშვილს მხედველობაში, როცა წერს, რომ „მარქსისტული ფილოსოფიის ძირითადი მომენტი — ასახვის თეორია — ჯერ კიდევ არაა საკმაოდ განხილული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური დაფუძნების თვალსაზრისით" (ა. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 169). ამრიგად, თვითონ ა. ბოჭორიშვილის წერილიდანაც ნათლად ჩანს, რომ ასახვის თეორიაზე ფსიქოლოგიის დაფუძნებისას კანტიანური შეცდომის დაშვების საფრთხე საბჭოთა ფსიქოლოგიაში არავის მიუჩნევია კანონიერ საკითხად და ამიტომ არც არავის განუხილავს იგი. ა. ბოჭორიშვილს მიაჩნია, თითქოს მე ვალდებული ვიყავი, რომ ეს საკითხი განმეხილა, იმას კი ვერ ამჩნევს, თუ ასეთი საკითხის დაყენებით მკითხველის თვალში თითონ რა საოცრებად გამოიყურება. ა. ბოჭორიშვილის — საბჭოთა ფსიქოლოგს (რომელიც იმის მოწმეა, რომ ასახვის ლენინურ თეორიაზე დაფუძნებული საბჭოთა ფსიქოლოგია ნახევარ საუკუნეზე მეტია ვითარდება როგორც მოწინავე მეცნიერება) — კიდევ გამოსარკვევად მიაჩნია: ხომ არ შექმნის კანტიანური შეცდომის საფრთხეს ასახვის ლენინურ თეორიაზე ფსიქოლოგიის დაფუძნების საქმე?

ამრიგად, ა. ბოჭორიშვილი, სხვა რომ არა ვთქვათ რა, მეტად მიკერძოებულად წარმოუდგენს მკითხველს იმ ვითარებას, თუ „რა ევალებოდა" ჩემს გამოკვლევას და „რას მოელის მისგან მკითხველი" (იქვე, გვ. 169). მაშასადამე, ჩემი წერილის სათაური: „ასახვის ლენინური თეორია — ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძველი" სულ არ გულისხმობს, როგორც ეს ა. ბოჭორიშვილს ჰგონია, ერთმნიშვნელოვნად და აუცილებლად ფსიქოლოგიის ასახვის თეორიაზე დაფუძნებისას კანტიანური შეცდომის დაშვების საფრთხის განხილვას.

ახლა განვიხილოთ ჩემს წერილში დასმული საკითხის გმოკვლევის შედეგები და მათი შეფასება ა. ბოჭორიშვილის მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ამოცანა იყო შეგვესწავლა, თუ როგორ დგას თანამედროვე მეცნიერებაში ფსიქოლოგიის სისტემის აგების, ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზის საკითხი. ცნობილია, რომ ფსიქოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესზე, სრულიად ახალ ასპექტში გახდა საგანგებო მსჯელობის საგნად თეორიული სინთეზის სი-

ძნელის პრობლემა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. ამიტომ ამ საკითხში ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის პოზიციების დასახასიათებლად ჩვენ, არსებითად, შემოვიფარგლეთ მეცნიერული ფსიქოლოგიის XVII კონგრესის მასალების ანალიზით; კერძოდ, ვეყრდნობოდით გ. ოლპორტის საპროგრამო ხასიათის მოხსენებას, რომელიც ეხება თეორიული სინთეზის პრობლემას თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში. გამოირკვა, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში შექმნილ ვითარებას თვით ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის თეორეტიკოსები ასე ახასიათებენ: ფსიქოლოგიას დღეს „არ გააჩნია ადამიანის ბუნების შესახებ ყოველმხრივი, საყოველთაოდ მიღებული თეორია“ და იგი რჩება მტკიცე პოსტულატების გარეშე, საყოველთაოდ აღიარებული მთლიანობითი თეორიის გარეშე არსებულ მეცნიერებად“ (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 19). გამოირკვა ისიც, რომ ეს მდგომარეობა ბურჟუაზიულ მკვლევრებს სრულიად გადაულახავად მიაჩნიათ. თეორიული სინთეზი ფსიქოლოგიაში მიუღწეველად მიაჩნიათ ამ მეცნიერებაში შექმნილ ისეთ ვითარებასთან დაკავშირებით, როდესაც ერთი და იგივე, მტკიცედ მოპოვებული ემპირიული განზოგადება ერთნაირად ასაბუთებს ურთიერთის სრულიად გამომრიცხველ და საწინააღმდეგო თეორიებს. ამის საგულისხმო აღიარების მაგალითად ჩემს წერილში მოყვანილია გ. ოლპორტის სიტყვები: „ჩვენ აუცილებლობით ვადასტურებთ გარკვეულ ემპირიულ განზოგადოებებს, მაგრამ არასოდეს არ ვართ აუცილებლობით იძულებული შევიწყნაროთ რომელიმე ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ამ ფაქტს ეყრდნობა“ (იქვე, გვ. 21). ამ კონტექსტში განხილული მაქვს გ. ოლპორტის შეხედულებაც იმის შესახებ, რომ თეორიული სინთეზის მიღწევა ფსიქოლოგიაში მით უფრო შეუძლებელი, რომ ყველა „პარტიკულარისტული“ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია მომდინარეობს ფიზიკალიზმისა და მენტალიზმის, დეტერმინიზმისა („ავტომატიზმის“) და მიზანმიმართულების („ავტონომიურობის“) კონცეფციათა შორის არსებული წინააღმდეგობებიდან, რომლებიც გ. ოლპორტს ფსიქოლოგიის ძირითად ა ნ ტ ი ნ ო მ ი ე ბ ა დ აქვს წარმოდგენილი.

აქედან გამომდინარე, აღნიშნულია ჩემს წერილში, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასე ითვლება, რომ, თუ ფსიქოლოგიური თეორიის დარგში დღეს სრული ანარქია სუფევს, — ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეცნიერული სისტემის ასაგებად ცდილობენ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიათა სინთეზირების დაუძლეველი ამოცანის გადაწყვეტას (იქვე, გვ. 23).

ამრიგად, ჩემს წერილში ასე დადგინდა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში (რომელიც მარქსიზმის გარეშე ვითარდება) და საბჭოურ ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზის პრობლემის გადაწყვე-

ტისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა იმან განაპირობა, თუ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიების ერთიანად დასაბუთებულობის სიძნელის გადასალახავად რა მეთოდოლოგია იყო ადეკვატურად მიჩნეული.

როგორც აღვნიშნე, ჩემი წერილიც ამ ამოცანას ისახავდა: განმეხილა საზღვარგარეთულ და საბჭოთა ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიური სისტემის აგების პრობლემის გადაწყვეტისადმი განსხვავებული მიდგომის არსებითი თავისებურებანი და მეჩვენებინა ასახვის ლენინური თეორია, დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ ლენინური მოძღვრება, როგორც ამ პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგიური საფუძველი (გვ. 18—19).

ამასთან დაკავშირებით განხილული მაქვს ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ფსიქოლოგიაში ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიების ობიექტური დასაბუთებულობა და, ამასთანავე, ურთიერთის უარყოფის შემცდარობა, სრულიად შეუძლებელს ხდის ფსიქოლოგიაში „მეცნიერული მონიზმის“ მიღწევას „თეორიული სინთეზის გზით“. ამიტომ ასე ითვლება, რომ ადამიანის ბუნების შესახებ საყოველთაოდ აღიარებული „მეტათეორიის“ დამუშავება სხვადასხვა თეორიათა ეკლექტიკური მორიგების გზითაა მხოლოდ შესაძლებელი (გ. ოლპორტი). ამის შესაბამისად გ. ოლპორტმა ასე ჩამოაყალიბა „კატეგორიული იმპერატივი“ „ფსიქოლოგიის თეორეტიკოსებისათვის“: „ეკლექტიკური მანერით, სისტემისაკენ სწრაფვით მივაღწიოთ ყოვლისმომცველ მეტათეორიას“.

ჩემს წერილში ნაჩვენებია: „ეკლექტიზმის მეთოდოლოგიის ლენინური კრიტიკის საფუძველზე გახდა მხოლოდ შესაძლებელი ნათელი გამხდარიყო, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში მეცნიერული ჭეშმარიტების სკეპტიციზმის ნიადაგზე აღმოცენებულ სისტემატურ ეკლექტიზმის მეთოდოლოგიას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტად მეცნიერულ სინთეზთან, ფსიქოლოგიის სისტემის აგების გზებთან“ (იქვე, გვ. 24). დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ ლენინური მოძღვრების საფუძველზე ნათელია, რომ „მეცნიერული მონიზმი“ მიიღწევა არა ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიების ეკლექტური მორიგებით, როგორც ამას ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ფიქრობენ, არამედ იმის შედეგად, რომ ობიექტურად არსებული წინააღმდეგობები როგორც თვით ობიექტური სამყაროს საწინააღმდეგო ბზარების ან ტენდენციების რეალური ერთიანობა იქნება მეცნიერულად შემეცნებული (გვ. 27) [2].

---

[2] მე იძულებული ვიყავი გამემეორებინა უკვე გამოქვეყნებულ წერილში წარმოდგენილი შედეგები, რათა მკითხველისათვის ნათელი ყოფილიყო: ჯერ ერთი, რომ ა. ბოპორიშვილი თავის სპასუხო წერილში სრულიად გვერდს უვლის ფსიქოლოგიაში

ჩემს წერილში. სხვათა შორის, ამის მაგალითად მოყვანილია მიზანშეწონილი ქცევის თეორია განწყობის ფსიქოლოგიაში. განწყობის თეორია ჩამოყალიბდა არა როგორც ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ მექანიკისტური და ვიტალისტური თეორიების ეკლექტიკური მორიგება, არამედ როგორც ქცევის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების რეალური ერთიანობის მეცნიერული შემეცნების შედეგი. განწყობის ცნების შუქზე ქცევა, რომელიც დეტერმინირებულია მისი წარმოქმნის პირობებით, ამავე დროს გვევლინება როგორც მიზანმიმართულიც (დ. უზნაძე).

ადამიანის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების საკითხის განხილვა, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, არ წარმოადგენდა ჩემი წერილის უშუალო ამოცანას. ამ დიდი პრობლემის მხოლოდ ერთი კერძო ასპექტის განხილვის აუცილებლობის წინაშე დავდექი იმ შეხედულების კრიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ფსიქოლოგიის სისტემის აგებას, ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზის მიღწევას შესაძლებლად მიიჩნევს „პარტიკულარისტულ" თეორიათა ეკლექტიკური შერიგების გზით (გ. ოლპორტი).

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში წარმოიშვა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს ადამიანის შესახებ მეცნიერებისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართება ისე გაიგოს, რომ შესაძლებლად იქნას მიჩნეული ადამიანისა და მისი ქცევის შესახებ ცოდნაში თეორიული სინთეზის მიღწევა სხვადასხვა პარტიკულარისტული ფსიქოლოგიური თეორიების ეკლექტიკური მორიგებით. გ. ოლპორტი ამ მიმდინარეობას ეკლექტიზმის „მასპინძელს" უწოდებს, და ასეთად თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიურ მიმდინარეობას ასახელებს. ამის ნათელსაყოფად გ. ოლპორტს მოყავს van Kaam-ის შეხედულებები. ვან კაამი, წერს ოლპორტი, — მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიაში. აღწევენ ადამიანის ქცევის მხოლოდ იზოლირებული პრობლემების შემეცნებას. ამ იზოლირებული მონაცემების სრული ინტეგრაციისათვის, მისი აზრით, სრულიად არაა საკმარისი არც მათემატიკური, არც სტატისტიკური, არც ფიზიოლოგიური, არც ბიოქიმიური და სხვა ამგვარი კონსტრუქციები. ვან კაამს მიაჩნია, რომ ამ ნაწილობრივი ასპექტის ურთიერთდაკავშირება ადა-

---

თეორიული სინთეზის სიძნელის დაძლევის პრობლემის იმ ასპექტში განხილვას, რასაც ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესზე, და რაც ჩემი წერილის ამოცანას წარმოადგენდა. მეორეც, ის რომ ბოჭორიშვილი არასწორად გადმოსცემს საქმის ნამდვილ ვითარებას, როდესაც წერს, თითქოს ჩემს წერილში მიზნად ვისახავდე „არა იმის გარკვევას თუ რა კონკრეტულ სახეს იღებს ასახვის ლენინური თეორია ფსიქოლოგიაში", არამედ, — ადამიანისა და მისი პიროვნების შესწავლიდან ფილოსოფიის საბოლოო ჩამოცილებას (ბ. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 175).

მიანის არსების შესახებ იმ მთლიანობითი ფილოსოფიური თეორიის საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი, რასაც ბვთავაზობს ეგზისტენციალური მიმართულება. ეს მიმართულება მაქვს მე მხედველობაში, როდესაც ჩემს წერილში აღვნიშნავ: ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ „ადამიანისა და მის პიროვნების შესახებ სინთეზური, მთლიანობითი თეორიის აგება მხოლოდ ფილოსოფიური განზოგადების დონეზეა შესაძლებელი". ამასთანავე დავსძენ: ფილოსოფიური თეორიის მნიშვნელობის ასეთი გაგება იმის აღიარებას ნიშნავს, რომ „ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ მეცნიერული ცოდნა პრინციპულად ეკლექტიკურია და იგი არ შეიძლება სინთეზური და სისტემატური იყოს" (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 25). გამოდის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ეკლექტიზმი რჩება ფსიქიოლოგიის ხვედრად ადამიანისა და მისი ქცევის შესახებ ცოდნის სისტემის აგების საქმეში. ამ კონცეფციაში ადამიანის ფილოსოფიური ცოდნა გააზრებულია, როგორც ადამიანის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებზე „მაღლა მდგომი" „მეტათეორია".

მიმაჩნია რა ასეთი შეხედულება მცდარად, ვწერ: „თანამედროვე საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებებს თვითონ შესწევთ ძალა მთლიანად ადამიანისა და მისი ბუნების შესახებ ჩამოაყალიბონ ერთიანი სისტემატური ცოდნა, სინთეზური თეორია. თუ ვინმე ამ ამოცანას ისევ ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს, ის ფაქტობრივად ფილოსოფიას უსაგნოდ ტოვებს" (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 25).

ჩემი ამ დებულების თაობაზე ა. ბოჭორიშვილი წერს: „რას ველოდით და რა მივიღეთ? იმის ნაცვლად, რომ მოგვესმინა ფილოსოფიის როლის შესახებ ფსიქოლოგიის მუშაობაში, ადამიანისა და მისი პიროვნების შემეცნებაში, ა. ფრანგიშვილი გვეუბნება: ეს მთლიანად სპეციალური მეცნიერების საქმეა და ფილოსოფია აქ ზედმეტია, — მისი ჩარევა ამ საქმეში მომაკვდინებელია თვითონ ფილოსოფიისათვის, ეს მისი უსაგნოდ დატოვებაა; ლაპარაკი ფილოსოფიის დადებითი ფუნქციის შესახებ ადამიანის შესწავლის საქმეში უსაფუძვლოა... ასეთია ა. ფრანგიშვილის გამოკვლევის შედეგი" (ა. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 170). ამის მსგავსს მე არაფერს ვამტკიცებ! პირიქით ჩემს წერილში ნაჩვენები მაქვს სწორედ „ფილოსოფიის როლი ფსიქოლოგიის იმ მუშაობაში", რომელიც მიმართულია ფსიქოლოგიაში „მეცნიერული მონიზმის", მეცნიერული სინთეზის მისაღწევად ადამიანის ქცევაში ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციების — „ავტომატიზმისა" და „ავტონომიზმის" და ა. შ. — ერთ სინთეზურ თეორიაში. წარმოდგენა ბურჟუაზიულმა ფსიქოლოგიამ ვერ შეძლო, ამიტომაც სინთეზური თეორიის აგების ამოცანა „თანამედროვე ინტელექტის ლიმიტების ფარგლებს გარეთ მდებარედ" (გ. ოლპორტი) იქნა მიჩნეული.

ჩემს წერილში ვეცადე გამერკვია, რომ მხოლოდ დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ ლენინური მოძღვრების შუქზე ხდება ნათელი, რომ ერთი და იმავე მოვლენაში ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციებისა და მხარეების დადგენა წარმოადგენს ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში თეორიული სინთეზის მიღწევის საფუძველს; გარკვეული იქნა ესეც: ასახვის ლენინური თეორია ნათელს ხდის, რომ ადამიანის ქცევის შესახებ მოძღვრებაში „ავტომატიზმისა" და „ავტონომიზმის" თეორიების ერთნაირად დასაბუთებულობის ფაქტიდან არაფრით არ გამომდინარეობს ფსიქოლოგიაში მეცნიერული სინთეზის ეკლექტიზმით შენაცვლების აუცილებლობა, რის დამტკიცებასაც ცდილობდა გ. ოლპორტი თავის მოხსენებაში მეცნიერული ფსიქოლოგიის XVII საერთაშორისო კონგრესზე. ჩემს წერილში მთელი მსჯელობა ისეა მიმართული, რომ საფუძველს მაძლევს დავასკვნა სწორედ „ფილოსოფიის როლის შესახებ ფსიქოლოგიის მუშაობაში": „ამრიგად, ნათქვამია წერილის დასკვნაში, მატერიალისტური დიალექტიკის, ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი სწორედ იქნეს გაგებულიცა და დაძლეულიც ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიძნელენი" (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 32). ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ა. ბოჭორიშვილი სწორედ არ გადმოცემს საქმის ნამდვილ ვითარებას, როდესაც წერს, თითქოს მე ვემხრობოდე „ადამიანის შესწავლის საქმეში ფილოსოფიის დადებითი ფუნქციის მტკიცების უსაფუძვლობას" (ა; ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 170). პირიქით, ჩემს გამოკვლევაში ნაჩვენებია სწორედ „ფილოსოფიის როლი ფსიქოლოგიის მუშაობაში"; მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ფილოსოფიის მნიშვნელობა ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზის პრობლემასთან დაკავშირებით.

როგორც აღვნიშნე, მე ამ საკითხს მხოლოდ ერთ ასპექტში განვიხილავ; სახელდობრ, იმ მხრივ, რომ ვაჩვენო: დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის ლენინური განსაზღვრა გამორიცხავს ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ თეორიასა და ადამიანის მეცნიერულ, ფსიქოლოგიურ მოძღვრებას შორის ურთიერთდამოკიდებულების ისეთ გაგებას, რომელსაც ავითარებს, მაგალითად, ვან კაამი, გამომდინარე ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის პრინციპებიდან. ა. ბოჭორიშვილი ცდილობს ეს კონცეფცია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიიდან გამომდინარედ წარმოგვიდგინოს.

ადამიანის ფილოსოფიურ და მეცნიერულ ცოდნას შორის ურთიერთობის შესახებ ზემოაღნიშნული ეგზისტენციალური კონცეფცია, არსებითად, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების სისტემის, ეკლექტიზმის ნიადაგზე აგებას აკანონებს. ეკლექტიზმის მეთოდოლოგიის

ლენინური კრიტიკის შუქზე კი ნათელია, რომ ეკლექტიზმის მეთოდოლოგია მეცნიერებას საბოლოოდ აშორებს მისი ჭეშმარიტი ამოცანის გადაწყვეტისაგან მიმავალ გზებს (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი. გვ. 25).

დიალექტიკური მატერიალიზმის მთავარი პრინციპის ლენინური განსაზღვრებიდან გამომდინარეობს ეგზისტენციალიზმის იმ შეხედულების მცდარობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ფილოსოფიური თეორია, როგორც მეცნიერებაზე „მაღლა მდგომი მეტათეორია", წარმოადგენს ფსიქოლოგიაში ადამიანის ქცევის ცალკე ასპექტების შესახებ არსებული მონაცემების ინტეგრაციას. დიალექტიკური მატერიალიზმის მთავარი პრინციპის ლენინური განსაზღვრების თანახმად, „დიალექტიკურ მატერიალიზმს არ ესაჭიროება არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა იდგეს". აქედან ის გამომდინარეობს, აღნიშნულია ჩემს წერილში, რომ „ბუნებისმეტყველებას და საზოგადოებრივ მეცნიერებებს თვითონ შესწევთ ძალა მთლიანად ადამიანის შესახებ ჩამოაყალიბონ ერთიანი სისტემური ცოდნა და განავითარონ ადამიანის ბუნების შესახებ სინთეზური თეორია". ჩემს წერილში აგრეთვე აღვნიშნე: როდესაც ფილოსოფიის განვითარების თანამედროვე საფეხურზე დგება ადამიანის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების ჩამოყალიბების ამოცანა, ამ შემთხვევაში თუ ვინმე დაივიწყებს დიალექტიკური მატერიალიზმის ლენინურ პრინციპს [3] და ადამიანის

---

[3] ამ მიმართულებით „გულმავიწყობის" ფაქტი ა. ბოკორიშვილის საპასუხო წერილშიაც აღინიშნა. ა. ბოკორიშვილი აღნიშნავს: „ა. ფრანგიშვილის მოღვაწეობაში ადრეც შეიმჩნეოდა ვ. ლენინის დამოწმება ისეთ საკმეზე და იმგვარად, რაზედაც ვ. ლენინს საერთოდ არაფერი უთქვამს, და, რომც ეთქვა, იმას მაინც არ იტყოდა, რასაც მას მიაწერს ა. ფრანგიშვილი" (ა. ბოკორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). ა. ბოკორიშვილს დიდი შრომა გაუწევია იმისათვის, რომ რათა როგორმე ასეთი განცხადების გაკეთებისათვის რაიმე „საბუთი" მოენახა. მას არ დაზარებია 40 წლის ხანდაზმულობის სამეცნიერო არქივს გაცნობოდა და ასეთი საბუთის „აღმოჩენად" მიუჩნევია ერთი ადგილი ჩემ მიერ 1934 წელს გამოქვეყნებულ წერილში. მე მიწერია: ...პედოლოგია თანამედროვე მდგომარეობა ფოითხოვს მისი თეორიული საკითხების „განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფების თვალსაზრისით" განხილვას, როგორც ამბობდა ამხ. ლენინი... (იხ. ა. ბოკორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). ამ ფრაზის შესახებ ა. ბოკორიშვილი წერს: „ვ. ი. ლენინის ნაშრომი არ არის მითითებული, არც შეიძლება იყოს მითითებული: ვ. ი. ლენინს არსად უხსენებია „პედოლოგია" (იხ. Справочный том к полному собранию сочинений В. И. Ленина, ч. I, М., 1969) და არც მისი დაცვა უკისრია". (იქვე, გვ. 179).

ჩემი წერილიდან ა. ბოკორიშვილის მიერ ამოღებულ ფრაზაში მე ვავითარებ საკუთარ დებულებას პედოლოგიის თეორიული საკითხების განხილვის წესის თაობაზე; კერძოდ, ვიცავ მოსაზრებას ამ საკითხების პარტიულობის პრინციპის მიხედვით განხილვის აუცილებლობის შესახებ. პარტიულობის პრინციპის მიხედვით საკითხების განხილვის შინაარსი კი გადმოცემული მაქვს ლენინის სიტყვებით. ამ წინადადებაში ის,

ბუნების შესახებ სინთეზური თეორიის ამოცანას ი ს ე ვ ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს, იგი ფაქტიურად ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებას უსაგნოდ დატოვებს:

რაც მოტანილია როგორც ლენინის გამოთქმა, მართლწერის წესის მიხეთვით, ბრჭყალებშია ჩასმული — ესაა გამოთქმა: — „განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფების თვალსაზრისით". ა. ბოკორიშვილი ცდილობს მიჩქმალოს ეს ფაქტი, შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი და საქმის ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოს მოყვანილ ციტატაში როგორც ლენინის გამოთქმა მოტანილი იყოს მთელი ეს ფრაზა დაწყებული სიტყვა „ჰედოლოგიით".

ვიმეორებ, რაც ამ ციტატაში ნამდვილად მოტანილია როგორც ლენინის გამოთქმა, ის, სათანადო წესს დაცვით, ბრჭყალებშიცაა ჩასმული.

ახლა ისაა გასარკვევი, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ლენინს ის გამოთქმა, რომელიც ა. ბოკორიშვილის განცხადებით, მე მივაწერე ლენინს, თორემ თვითონ ლენინს ასეთი გამოთქმა არსად არ აქვს ნახმარი. მივიყვან მთელ წინადადებას, საიდანაც ჩემს წერილში ციტირებული გამოთქმაა ამოღებული. ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი" წერს: „მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოელენათა ყოველი შეფასების დროს საეალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ს ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ზ ე" (ხაზი ჩვენია, ა. ფ.) — იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ. მეოთხე გამოცემა, თბილისი, ტ. I, გვ. 481. ცნობილია, რომ ჩვენ მიერ დამოწმებული გამოთქმა გამოხატავს ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ ლენინური თეორიის დედაზრსს ა. ბოკორიშვილი წერს რომ მე ზემომოყვანილ ფრაზაში „ლენინს ვიმოწმებ ისეთ საქმეზე, რაზედაც ვ. ლენინს საერთოდ არაფერი უთქვამს" (ა. ბოკორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). გამოდის, რომ ლენინს არაფერი უთქვამს ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

მე 1934 წელს არ ჩავთვალე საჭიროდ ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ ლენინის ზემომოყვანილი კლასიკური გამოთქმის წყაროს დასახელება, რადგანაც იგი მეტად ცნობილად მიმაჩნდა. როგორც წარმოვიდგენდი, რომ 40 წლის შემდეგ — 1974 წელს — ფილოსოფიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ლენინის თხზულებათა სრული გამოცემის „საცნობარო ტომშიაც" ვერ მონახავდა იმ ადგილს, სადაც მითითებულია ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ ლენინის გამონათქვამების პირველწყაროები! ა. ბოკორიშვილი წერს, რომ მან ვერ ნახა გამოცემაში — «Справочный том к полному изданию собраний сочинений В. И. Ленина», т. I, М., 1969- მითითება ლენინის იმ გამოთქმაზე, რომელიც ჩემი წერილიდან მის მიერ ამოღებულ ფრაზაშია ნახსენები. ა. ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ი ყ ო მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს წ ე ს ე ბ ი გ ა ე თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი ნ ა და ლენინის თხზულებათა გამოცემის «Справочный том»-ში ეძებნა იმ გამონათქვამის პირველი წყარო, რომელიც ჩემს ფ რ ა ზ ა შ ი, რ ო გ ო რ ც ლ ე ნ ი ნ ი ს გ ა მ ო თ ქ მ ა, ბ რ ჭ ყ ა ლ ებ შ ი ა ჩ ა ს მ უ ლ ი; მაშინ ის ადვილად მიაგნებდა იმ ადგილს, სადაც აღნიშნულ გამოცემაში ამ გამოთქმის პირველი წყაროა მითითებული. ამ გამოცემაში აღნიშნული გამოთქმის პირველი წყარო მითითებულია დანაყოფში: «Партийность в общественной науке и философии», I, 418—419 (Справочный том к полному собранию сочинений В. И. Ленина, ч. I, М. 1972, с. 455). ფილოსოფიაში პარტიულობის პრინციპის შესახებ ლენინური მოძღვრების პირველი წყაროების კვლავ და კვლავ მოგონება მით უფრო საჭირო და აუცილებელია, რომ ჯერ კიდევ, და არც

ა. ბოჟორიშვილმა ჩემი ასეთი დასკვნები ისე წარმოადგინა, ვითომ შე ვამტკიცებდე, რომ „ფილოსოფიას ეკრძალება ადამიანის შესწავლა“. „რომ ადამიანის შესწავლაში ფილოსოფიის ჩარევა დაუშვებელია“ (გვ. 178) და მოვითხოვდე „ადამიანისა და მისი პიროვნების შესწავლის საქმიდან ფილოსოფიის საბოლოო ჩამოცილებას“ (ა. ბოჟორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). არსად არაფერს ამგვარს ჩემს წერილში მე არ ვამტკიცებ. ამას ის ადგილებიც მოწმობენ, რომლებიც ჩემი წერილიდან მოყავს ა. ბოჟორიშვილს. ჯერ ერთი, ჩემს წერილში მე არ განმიხილავს, საერთოდ, ადამიანის როგორც ფსიქოლოგიის საგნის საკითხი. გარდა ამისა, ადმიანის შესახებ ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის ურთიერთმიმართების შესახებ არა ყოველგვარი, არამედ სრულიად გარკვეული შეხედულება მიმაჩნია შეუთავსებლად მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიასთან. დიახ! კატეგორიულად ვამტკიცებ: მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიასთან სრულიად შეუთავსებელია ადამიანის ფილოსოფიური ცოდნისა და მეცნიერული, ფსიქოლოგიური ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხის გადაჭრა ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიიდან მომდინარე თვალსაზრისის მიხედვით (ვან კაამი), რომელსაც გამოექომაგა ა. ბოჟორშვილი. ეს თვალსაზრისი იმის მტკიცებაზეა აგებული, რომ მეცნიერული, ფსიქოლოგიური ცოდნა მხოლოდ ეკლექტიკურია, რომ მეცნიერებას არ მოეთხოვება ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ სინთეზური თეორიის განვითარება, და ასეთი თეორიის შემუშავება მეცნიერებაზე „მაღლა მდგომად“ წარმოდგენილი ფილოსოფიის კომპეტენციაში შედის, და არა მეცნიერებისა. ადამიანის შესახებ ფილოსოფიური და მეცნიერული, ფსიქოლოგიური ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტის ყოველგვარი ცდა, რომელიც აღნიშნული ხასიათის მტკიცებას არ გამორიცხავს, სრულიად შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან, რომელსაც არ ესაჭიროება „არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა იდგეს“. ვინც ადამიანის შესახებ ფილოსოფიური ცოდნის კანონიერებას სხვა გზით ვერ დაამტკიცებს, თუ არა ადამიანის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებაზე „მაღლა მდგომი“ ფილოსოფიური „მეტათეორიის“ არსებობის აუცილებლობის დამტკიცების ცდით, ის ჭეშმარიტად უსაგნოდ დატოვებს ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებას. ადამიანის შესახებ სინთეზური თეორიის დამუ-

---

ისე იშვიათად, ვხვდებით ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის ისეთ გამოკვლევებს, რომლებიც ოდნავადაც არ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნას, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფიის თეორიების ყოველი შეფასების დროს სავალდებულოა დადგომა „განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“, როგორც ამბობდა ამხ. ლენინი.

შავება მეცნიერებას მოეთხოვება და მის კომპეტენციაში შედის. ამას გვასწავლის დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია. ა. ბოჭორიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ მოძღვრება თავისთავად იმას ნიშნავს, რომ „სპეციალურ მეცნიერებას არ შეუძლია საკუთარი ძალებით ააგოს ადამიანის, მისი ქცევის და მისი პიროვნების შესახებ ერთიანი სინთეზური თეორია". ამის მიხედვით, ასე გამოდის, რომ მეცნიერების კომპეტენციად არ იგულისხმება ადამიანის შესახებ სინთეზური თეორიის აგება (ა. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 176). დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის მნიშვნელობის ასეთ ინტერპრეტაციას რომ არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ ფილოსოფიასთან, ამას მოწმობს ენგელსის ცნობილი დებულება: „მატერიალიზმი არსებითად დიალექტიკურია და აღარ საჭიროებს სხვა მეცნიერებაზე მაღლა მდგომ ფილოსოფიას. როგორც კი თითოეული ცალკე მეცნიერებას წაუყენებთ მოთხოვნას, ნათლად გამოირკვიოს თავისი ადგილი საგნებსა და საგნების შესახებ ცოდნის ს ა ყ ო ვ ლ თ ა ო კ ა ვ შ ი რ შ ი, ყ ო ვ ე ლ ი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ა მ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე ს ა ხ ებ ზ ე დ მ ე ტ ი ხ დ ე ბ ა. მაშინ ის, რაც ადრინდელი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას კიდევ ინარჩუნებს, არის მოძღვრება აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა, ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი შ ე დ ი ს პ ო ზ ი ტ ი უ რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი ბ უ ნ ებ ი ს ა დ ა ი ს ტ ო რ ი ი ს შ ე ს ა ხ ებ (ხაზი ჩვენია, — ა. ფ.). (იხ ფ. ენგელსი — „ანტიდიურინგი", გვ. 32, 1952, სახელგამი).

ცნობილია, რომ დისკრეტულობა — უწყვეტობის ერთ სინთეზურ თეორიაში გაერთიანება და გააზრება „მეცნიერებაზე მაღლა მდგომ" ფილოსოფიურ მეტათეორიაში მეცნიერების ეკლექტიკური თეორიების „შერიგების" წყალობით კი არ მოხდა, არამედ იმის შედეგად, რომ ეს განცალკევებულად გააზრებული დაპირისპირებულობანი ერთ სინთეზურ თეორიაში გაერთიანებულად წარმოადგინა ქვანტურმა მექანიკამ ფიზიკური მიკროობიექტების მიმართ. განწყობის თეორიამ ერთ სინთეზურ თეორიაში გაიაზრა ადამიანის ქცევის დეტერმინიზაციისა და მიზანმიმართულობის ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციათა ერთიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული სინთეზი გულისხმობს თვით ობიექტური სამყაროს საწინააღმდეგო მხარეების ან ტენდენციების რეალური ერთიანობის გახსნას მეცნიერული შემეცნების გზით. დაპირისპირებულთა ერთიანობის მეცნიერული შემეცნების გზით მიიღწევა თეორიული სინთეზი, — ესაა „კატეგორიული იმპერატივი" ფსიქოლოგიის თეორეტიკოსებისათვის, გამომდინარე ლენინური მოძღვრებიდან დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ.

აქედან ნათელია, რომ დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ მოძღვრება იმის მტკიცებას კი არ გულისხმობს, რომ მეცნიერებას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი ძალებით ააგოს ერთიანი სინთეზური თეორია, როგორც ფიქრობს ა. ბოჭორიშვილი, არამედ პირიქით, იმ შეხედულების განვითარებას, რომ ყველაფერი, რაც შეეხება სინთეზურ თეორიასა და მოთხოვნას, რათა მცნიერებამ გამოარკვიოს „თავისი ადგილი საგნებსა და საგნების შესახებ ცოდნის საყოველთაო კავშირში“ (ენგელსი), ეს მთლიანად „შედის პოზიტიურ მეცნიერებაში“, როგორც ამბობს ენგელსი. „წინანდელი ფილოსოფიისაგან რჩება „მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა“. დიალექტიკა კი, მარქსის გაგებით, ავრეთვე ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. XXI, გვ. 48—49, 1951).

ზემოთქმულიდან სულაც არ გამომდინარეობს იმის უარყოფა, რასაც აღნიშნავს ა. ბოჭორიშვილი თავისი საპასუხო წერილის დასკვნით ნაწილში. სწორია, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აქტუალურია „ადამიანისა და მისი პიროვნების ფილოსოფიური შესწავლა დიალექტიკურ მატერიალიზმში“. უთუოდ დადებით შეფასებას იმსახურებს ა. ბოჭორიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ადამიანის რაობის, მისი არსის ფილოსოფიური თეორია, რომელიც ემყარება ლენინურ თეორიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიად იწოდება, არის უშუალო მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ი (ხაზი ჩვენია, — ა. ფ.) ხელმძღვანელის სპეციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერული დისციპლინებისა, რომლებიც თავის მხრივ აწვდიან ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას ახალ მასალას მისი მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ი ს (ხაზი ჩვენია, — ა. ფ.) განვითარებისათვის“ (ა. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 179). ამასთან დაკავშირებით, ჩვენს წერილში ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ თუ „ადამიანის რაობისა და მისი არსის ფილოსოფიური თეორია“ ისევ აიგება მეცნიერული ცოდნის ეკლექტურობის მტკიცებაზე და მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ი ს მნიშვნელობა ადამიანისა და მისი ქცევის შესახებ მეცნიერების თეორიული სინთეზის კვლავ ფილოსოფიით შენაცვლებაში იქნება დანახული, მაშინ ადამიანის შესახებ ფილოსოფიური თეორია ისევ უსაგნოდ დარჩება. ახალი ვითარების შესატყვისად ადამიანის შესახებ ფილოსოფიური პრობლემის გადაჭრის ახალი გზების დასახვაა საჭირო და არა „სხვა მეცნიერებებზე მაღლა მდგომი ფილოსოფიის“ (ენგელსი) შესახებ უკვე უკუგდებული კონცეფციის აღწარმოება.

(„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის
და სამართლის სერია, № 4, 1974).

საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორია

ფსიქოლოგიურ ცოდნას საქართველოში ხანგრძლივი წარსული აქვს. ხალხური ფსიქოლოგია წარმოდგენილია ხალხის შემოქმედების ქმნილებაში (ენა, ანდაზა, მითი, ზნე-ჩვეულებები და ა. შ.), რომელიც ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე დაკვირვების გამოცდილებას, სიბრძნეს ასახავენ. მაგ., ქართული ენის ფსიქოლოგიური გამოკვლევით დადასტურდა (ა. ჩიქობავა, შ. ნუცუბიძე, ა. ფრანგიშვილი), რომ ქართულ ენაში ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოსახვისას ძირითადად და ფუძეობრივ წესს წარმოადგენს მისი აღნიშვნა „გულ" ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში („გულნაკლულობა", „გულისწყრომა", „გულისთქმა", „გულისხმიერება" ა. შ.). ზოგი მკვლევარის შეხედულებით ქართულში განცდის სინამდვილე ისეა გამოსახული და სულიერი ცხოვრების ძირითად ფაქტად ის იგულისხმება, რომ ყოველი ფსიქოლოგიური პროცესი პიროვნების ცხოვრების ფსიქოლოგიურ შინაარსს წარმოადგენს.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ადამიანის სულიერი ცხოვრების წვდომაში მხატვრული სახის სპეციფიკითაა განსაზღვრული. ამ მიმართებით საგულისხმოა XI—XII სს. ქართული რენესანსის ამსახველი ნაწარმოები — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", როგორც „ადამიანისაკენ მობრუნების" გამომხატველი ნაწარმოები, სადაც ადამიანის ნამდვილი სულიერი ცხოვრების ბუნების წვდომა მხატვრული შემოქმედების ცენტრშია მოქცეული. თეიმურაზ I-ის, არჩილ II-ის, ს-ს ორბელიანის შემოქმედებაში ადამიანის ბუნების გაგება, მისი შესაძლებლობების განსაზღვრა და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ლიტერტურული ნაწარმოების მნიშვნელოვან პრობლემადაა წარმოდგენილი.

საქართველოში ფილოსოფიური აზრის განვითარების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების შესახებ ფილოსოფიური რეფლექსიის საფუძველზე აგებულ შეხედულებათა სისტემების ჩამოყალიბების ისტორია. მაგ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებებში განვითარებულია ნეოპლატონური ფილოსოფიიდან გამომდინარე შეხედულებები ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ. ყურადღებას იპყრობს პატრისტიკული ფსიქოლოგიის ძეგლების (გრიგოლ

ნოსელი, ნემესიოსის ემესელი და სხვა) ადრეული ქართული თარგმნები. ნემესიოს ემესელის ცნობილი ფსიქოლოგიური კომპენდიუმი „ბუნებისათვის კაცისა“ იოანე პეტრიწმა ქართულ ენაზე უფრო ადრე თარგმნა, ვიდრე ქრისტიანული სამყაროს რომელიმე სხვა ენაზე ითარგმნებოდა.

ფსიქოლოგიური რეფლექსიის საფუძველზე აგებული ფსიქოლოგიური კონცეფციების ჩამოყალიბების მხრივ საგულისხმოა ს-ს ორბელიანის შემოქმედება. მის „ქართულ ლექსიკონში“ (1685—1716) ფსიქოლოგიურ ცნებათა განმარტებები ფსიქოლოგიური ცოდნის ერთიან სისტემას წარმოგვიდგენს.

ანტონ I-ის შემოქმედებიდან აღსანიშნავია „სპეკალი“ (1752), რომლის III თავში განხილულია სულის შესახებ ფილოსოფიური ცოდნის საკითხები. მისი ნათარგმნი და შედგენილი ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო ხასიათის შრომები გარკვეულ ფსიქოლოგიურ ცოდნას შეიცავს. ქართულ მწერლობაში პირველად მასთან გვხვდება ტერმინი „ფსიქოლოგია“ ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ ფსიქოლოგიური ცოდნის დარგის აღსანიშნავად. ემპირიული-სენსუალისტური ფსიქოლოგია წარმოდგენილია იოანე ბატონიშვილის ნაწარმოებში „მოქმედებათათვის სულისა“ (1824) და მის ენციკლოპედიურ ხასიათის თხზულებაში „კალმასობა“ (1813—28).

ქართული ფილოსოფიური ფსიქოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს. დოდაშვილს. მის „ფილოსოფიის კურსში“ (1827) განხილულია საკითხის ფსიქოლოგიის ადგილის შესახებ ფილოსოფიის სისტემაში. ქართული ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაში კონკრეტულ ფსიქოლოგიის ამოსავალ ცნებად რეალური, მთლიანი ადამიანის ცნების დასახვა პროგრესული მოვლენა იყო და ამ მიმართულებით პირველი გაბედული ნაბიჯი ს. დოდაშვილმა გადადგა.

XVIII ს. საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის განვითარების ისტორიაში გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისის (1755) და თელავის (1758; 1782) სემინარიებში ფსიქოლოგიის, როგორც ფილოსოფიური ცოდნის დარგის სწავლებამ.

ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, საქართველოში ჩაისახა და განვითარდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე (1918). მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა საქართველოში პროფ. დ. უზნაძემ უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიის განყოფილება, ფსიქოლოგიის კათედრა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგის ლაბორატორია, ხოლო 1927 წელს — ფსიქოლოგთა საზოგადოება. მისივე ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1925-35 წლებში თსუ-ის გარდა სამეცნიერო მუშაობა გაიშალა პედაგოგიური, ფსიქიატრიული და ფსიქონევროლოგიური პროფილის სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტსა და ლაბორატორიაში, სადაც

პედაგოგიური ფსიქოლოგიის, ბავშვის ფსიქოლოგიის, ფსიქოტექნიკურ და პათოფსიქოლოგიის დარგებში სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგები: ა. ბოჭორიშვილი, ი. ბეალავა, ქ. მდივანი, რ. ნათაძე, ვ. ნორაკაძე, დ. რამიშვილი, გ. ხმალაძე, ზ. ხოჯავა, ბ. ხაჭაპურიძე და სხვ. 30-იან წლებში შრომის ფსიქოლოგიის და ფსიქოტექნიკის საკითხებზე გამოცემული შრომებიდან აღსანიშნავია დ. უზნაძის „პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის" (1933, რუს. ენაზე) და „თბილისის ტრამვაის ვატმანთა ფსიქოტექნიკური გამოცდა და მისი შედეგები" (ჟურნ. „მნათობი", 1929, № 1) რ. ნათაძის „კლოპფერისტისა და რადისტის ფსიქოგრამა (1933, რუს. ენაზე), დ. რამიშვილის „ვატმანის პროფესიოგრამისათვის" (1935).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების (1941) შემდეგ მის სისტემაში ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიური სექტორი, რომელიც 1943 წ. გადაკეთდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტად. 40-იანი წლების დამდეგისათვის ქართველ ფსიქოლოგთა მიღწევები გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს — უცხო ენაზე გამოქვეყნდა გამოკვლევები აღქმის საგნისა და შინაარსის ურთიერთმიმართებისა და სახელდების პრობლემების შესახებ, აღქმის კონსტანტობის საკითხზე (დ. უზნაძე); გამოიცა აგრეთვე შრომები ბავშვობის ასაკში აზროვნების განვითარების პრობლემების შესახებ: შემეცნებითი ინტერესების განვითარება (ფ. ხუნდაძე), ტექნიკური აზროვნების განვითარება (დ. უზნაძე, ა. ავალიშვილი), ცნებითი აზროვნების განვითარება სკოლამდელ ასაკში (დ. უზნაძე), სასკოლო ასაკში (რ. ნათაძე) და სხვა.

ქართველმა ფსიქოლოგებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მათთვის სპეციფიკური პრობლემის — განწყობის ცნების — შესწავლის მიმართულებითაც. ამ გამოკვლევათა შედეგები ასახულია გამოცემებში. „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის" (1938, ტ. I), თსუ-ის „შრომები" (1940, ტ. 17). წერილში „განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები" (თსუ-ის „შრომები", 1941, ტ. 19) დ. უზნაძე ასახელებს რამდენიმე ათეულ ნაშრომს, რომლებიც ეხება განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებს და დამუშავებულია ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში მისი მოწაფეების მიერ (ა. ავალიშვილი, ა. ბოჭორიშვილი, ნ. ელიავა, ი. ბეალავა, ქ. მდივანი, რ. ნათაძე, ვ. ნორაკიძე, ბ. ხაჭაპურიძე, გ. ხმალაძე, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი და სხვ.). თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრისა და ლაბორატორიის შრომებში (დ. უზნაძე, Impersonalia, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება", 1922, № 1, მისივე, „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1925, და სხვ.) ნათლად განისაზღვრება ახალი ფსიქოლოგიური მიმართულება — ნაცვლად რევოლუციამდელ უნივერ-

სიტეტში გაბატონებული იდეალისტურ სუბიექტივისტურ ინტროსპექციონისტული ფსიქოლოგიისა, კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოსავალი ცნებების გამოკვლევა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შუქზე საფუძვლად დაედო შემდეგში განწყობის თეორიის (დ. უზნაძე) განვითარებას.

ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევებს განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა ფსიქოლოგიაში. ხსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში („Психологическая наука в СССР, ტ. 1—2, 1959-60) გამოქვეყნებულია ქართველ ფსიქოლოგთა (ა. ფრანგიშვილი, რ. ნათაძე) გამოკვლევები, რომლებიც ეხება განწყობის თეორიასა და განწყობის ფსიქოლოგიას, არკვევს განწყობის თეორიის ადგილს საბჭოთა ფსიქოლოგიურ სისტემაში. ამ კრებულში განხილულია ქართველ მეცნიერთა ცალკეული გამოკვლევები, რომლებშიც გაშუქებულია ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. ამრიგად, ქართველმა ფსიქოლოგებმა დაასაბუთეს რომ პიროვნების, როგორც მთელის, პრობლემა კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოსავალი პრობლემაა. ადამიანის ქცევის, როგორც მისი მთლიანობითი პიროვნების გამოვლინებისა, ძირითად პრობლემას, დ. უზნაძისა და მისი მიმდევრების გამოკვლევების მიხედვით, წყვეტს განწყობის თეორია. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ მოქმედების სუბიექტი (პიროვნება) გვევლინება განწყობის გარკვეულ მოდიფიკაციაში, მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში (დ. უზნაძე). ქართველი ფსიქოლოგების მრავალრიცხოვან გამოკვლევებში (აღქმის, მეხსიერების, ხასიათისა და სხვა ფსიქიკურ პროცესთა და მდგომარეობათა ნორმისა და პათოლოგიის შესახებ) განწყობა გამოვლინდა როგორც ცნება, რომელიც აშუქებს მთლიანი სუბიექტის აქტივობის საფუძვლებს, მის ფორმებსა და კანონზომიერებებს.

ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა განწყობის ზოგადი, გენეტიკური დიფერენციული და პათოლოგიური ფსიქოლოგიის სისტემა. 1949 გამოქვეყნებულ დ. უზნაძის მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგია" განზოგადებულია ქართველ ფსიქოლოგთა მიერ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მრავალი წლის გამოკვლევის შედეგები (1966 აშშ-ში გამოიცა ინგლისურ ენაზე). 1966 მოსკოვში ჩატარდა ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესი. მის ფარგლებში მოეწყო სპეციალური სიმპოზიუმი „განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია", რომლის ორგანიზაცია ქართველ ფსიქოლოგებს დაეკალა.

ბოლო წლებში განწყობის ფსიქოლოგიის მონაცემები (მოქმედების ფუნქციური სტრუქტურის შესახებ) დამუშავდა კიბერნეტიკის შუქ-

ზე. განწყობა (მოქმედების გარკვეული ფორმისათვის მზაობა, რეაქციის საბოლოო შედეგის „კოდირებული მოდელი", რომელიც წინ უსწრებს რეაქციას დროში) წარმოდგენილია როგორც მიზანშეწონილი მოქმედების სტრუქტურის განუყოფელი კომპონენტი, რომლის გარეშეც პრინციპულად გამორიცხულია მოქმედების რეგულაციის ყოველგვარი შესაძლებლობა (ი. ბჟალავა, ფ. ბასინი, ვ. ჭავჭანიძე და სხვ.).

უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საკითხების შესახებ ჩატარებულ მოსკოვის თათბირზე (1962) იმ დებულების განხილვასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია ინდივიდის ქცევისადმი მექანისტური მიდგომის დაძლევა და ქცევის, როგორც მთლიანობითი და აქტიური პროცესის შესახებ მოძღვრების შექმნა, საგანგებოდ იყო აღნიშნული ის მნიშვნელობა, რაც ამ მიმართულებით აქვს ქართველ ფსიქოლოგთა განწყობის თეორიას. ამავე თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა განწყობის თეორიის მნიშვნელობა არაცნობიერი ფსიქიკურის საკითხების მეცნიერული გაშუქებისა და ფროიდიზმის კრიტიკისათვის.

გარდა განწყობის თეორიის პრინციპული საკითხების გამოკვლევისა. გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებიც განწყობის ცნების საფუძველზე აშუქებენ ზოგადი, გენეტიკური, პედაგოგიური, დიფერენციული, პათოლოგიური ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921) განვითარდა თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი დარგი.

ზოგადი ფსიქოლოგიის დარგში შესწავლილია შემდეგი ძირითადი პრობლემები: 1. შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ზ. ხოჯავა, ი. ბჟალავა, შ. ნადირაშვილი, ო. ტაბიძე და სხვ.); 2. მეხსიერება, ფანტაზია, შემოქმედება (რ. ნათაძე, დ. რამიშვილი, ა. ფრანგიშვილი და სხვ.); 3. ყურადღება (დ. უზნაძე, გ. ბაქრაძე, ა. მოსიავა და სხვ.); 4. აზროვნება (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ნ. ელიავა, დ. რამიშვილი, მ. ყოლბაია, შ. ნადირაშვილი და სხვ.); 5. ენა და მეტყველება (დ. უზნაძე, ა. ბოჭორიშვილი, დ. რამიშვილი, ა. ბაინდურაშვილი, ზ. ხოჯავა, ა. ავალიშვილი, ნ. ჭრელაშვილი, ნ. იმედაძე, ა. ალხაზიშვილი, მ. ყოლბაია და სხვ.); 6. მოთხოვნილება, მოტივი, ნებისყოფა (დ. უზნაძე, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი, რ. ნათაძე და სხვ.); 7. ჩვევა (ზ. ხოჯავა, ო. ტაბიძე და სხვ).

დამუშავებული და გამოცემულია ბავშვის ფსიქოლოგიის სისტემატური კურსის სამტომეული (რედ. პროფ. ნორაკიძე).

გამოცემულია აგრეთვე პედაგოგიური ფსიქოლოგიის სისტემატური კურსის ორტომეული (რედაქტ. პროფ. შ. ჩხარტიშვილი).

დეფექტოლოგიური ფსიქოლოგიის დარგში თვალსაჩინო კვლევა-

ძიება ჩატარდა დეფექტურ (გონებრივად ჩამორჩენილ, ყრუ-მუნჯ, უსინათლო) ბავშვთა ფსიქოლოგიური სწავლა-აღზრდის პრობლემასთან დაკავშირებით (ვ. ნორაკიძე, ზ. ხოჯავა, გ. ნიკოლაიშვილი, მ. ყოლბაია და სხვ.).

1935-მდე შრომის ფსიქოლოგიის საკითხებზე ფსიქოტექნიკური პროფილის დაწესებულებებში მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობა ჩატარდა. აქ ხელახლა გაიშალა ინტენსიური მუშაობა 50-იან წლებიდან. ამჟამად განსაკუთრებით საგულისხმო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს თსუ-ის ფსიქოლოგიის განყოფილების საინჟინრო ფსიქოლოგიის კათედრაზე და ტექნიკურ ესთეტიკურ საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში (გ. კეჩხუაშვილი და სხვ.).

ფსიქოპათოლოგიის პრობლემებიდან უმთავრესად შესწავლილია განწყობის თავისებურებანი სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევებში. შესწავლილია აგრეთვე განწყობის ფიზიოლოგიური საფუძვლები (ი. ბჟალავა, ვ. ნორაკიძე, მ. საყვარელიძე და სხვ.).

დიფერენციული ფსიქოლოგიის, ქარაქტეროლოგიის პრობლემების სისტემური კვლევა-ძიების შედეგები, განზოგადებულია ვ. ნორაკიძის მონოგრაფიულ ნაშრომებში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ნათელყო რომ პროექციული მეთოდებით გამოვლინებული ლატენტური და გაცნობიერებული ნიშნები, როგორც ქცევის მოტივები, კანონზომიერად ნაწილდება ფსიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილ ტიპებს შორის. შემუშავებულია პიროვნების შესწავლის მეთოდები.

პირველი ზოოფსიქოლოგიური გამოკვლევა საქართველოში ეკუთვნის დ. უზნაძეს. ორმოციანი წლებიდან შედარებითი ფსიქოლოგიის დარგში მუშაობა გაიშალა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში (ნ. ვოიტონისი, ნ. ადამაშვილი, ნ. ჭრელაშვილი, დ. რამიშვილი).

მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიურ პრობლემებზე გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, გ. კეჩხუაშვილი, ა. ავალიშვილი, ზ. ხოჯავა, ვ. ნორაკიძე). მუსიკალური განცდის ფსიქოლოგიური საკითხები ცალკე გამოკვლევების საგანს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დარგში გ. კეჩხუაშვილის გამოკვლევები. სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიის საკითხებს ეხება რ. ნათაძის გამოკვლევები და მონოგრაფია. ლექსთწყობის, მეტაფორის, სინესთეზიისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმის საკითხებს ეხება დ. რამიშვილის გამოკვლევები; ესთეტიკური აღქმის საკითხები გენეტიკურად გამოკვლეული აქვს ფ. ხუნდაძეს.

60-იანი წლებიდან ფართოდ ვითარდება გამოკვლევები სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებზე (ა. ფრანგიშვილი, შ. ნადირაშვილი და სხვ.). საქართველოში ფსიქოლოგიური აზრის ისტორიის საკითხებს ეხება ა. ფრანგიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა.

60-70-იანი წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიის ახალი დარგი — სპორტული ფსიქოლოგია (ვ. ნორაკიძე და სხვ.).

სამხედრო ფსიქოლოგია. სამამულო ომის პერიოდში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მუშაობა ფრონტის ინტერესების შესაბამისად გარდაიქმნა. საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიურ საკითხებზე გამოიცა რიგი შრომებისა (ი. ბეჟალავა, რ. ხათაძე, ვ. ნორაკიძე, ნ. ელიავა, ა. მოსიავა, დ. რამიშვილი, ხ. ხოჯავა, ა. ფრანგიშვილი). ამ საკითხებს მიეძღვნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული („ფსიქოლოგია", 1942 ტ. II). ფილოსოფიური ფსიქოლოგიის მიმართულებით პირველი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დ. უზნაძის გამოკვლევები გ. ლაიბნიცის, ვ. სოლოვიოვისა და ა. ბერგსონის შესახებ. აღსანიშნავია ა. ბოჭორიშვილის სამტომეული „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები". ეს შრომა მიზნად ისახავს ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკას და მარქსისტული ფსიქოლოგიის პრინციპების კონკრეტული სისტემატიკას. აქ მოცემულია ვ. ვუნდტის, პ. ნატორპის, ჰ. მიუნსტერბერგის, ე. ჰუსერლის, მ. შელერის, ჰ. კრიუგერისა და სხვ. ვრცელი კრიტიკა. ა. ფრანგიშვილის გამოკვლევებში გაშუქებულია განწყობის ცნების შემეცნებითი ღირებულება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან. ფსიქოლოგიაში არაცნობიერის პრობლემას მიეძღვნა ა. შეროზიას მონოგრაფიული გამოკვლევა. გამოვიდა კოლექტიური მონოგრაფიის ოთხ ტომეული: „არაცნობიერი, მისი ბუნება, ფუნქციები და კვლევის მეთოდები". ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი თეორიების კრიტიკა წარმოდგენილია ვ. კაკაბაძის, გ. ცინცაძის, ო. ტაბიძის და სხვ. შრომებში.

საბჭოთა საქართველოს „ფსიქოლოგიური სკოლა" ცნობილია როგორც თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება. უკვე 20-ანი წლებიდან დაიწყო დ. უზნაძის გამოკვლევების პუბლიკაცია. შემდეგში ციტატები ამ გამოკვლევებიდან ბევრმა უცხოელმა ავტორმა (ვ. კელერი, ფრებესი, ვილვოლი, კ. კოფკა, ჟ. პიაჟე) შეიტანა თავის შრომებში. თსუ-ის ლაბორატორიაში დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ექსპერიმენტულად დადგინდა ფაქტები, რომლებიც შევიდა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა „ოქროს ფონდში" (განწყობის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია, ახალ შინაარსთა ნომინაციის ინტერინდივიდური კორელაცია და სხვ). ზოგი მათგანი მსოფლიო მეცნიერებაში ცნობილია „უზნაძის ეფექტის" სახით (ასეთია, მაგ., ჟ. პიაჟეს შრომის ქვესათაური).

ქართველ ფსიქოლოგთა შრომები ხშირად ქვეყნდება გდრ-ში, გფრ-ში აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, უნგრეთში. გამოქვეყნებული შრომები ეხება არა მარტო განწყობის პრობლემატიკას, არამედ სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებსაც. აღქმის, წარმოსახვის, აზროვნების, მეტყველების, მეხსიერების, მუსიკალური აღქმის, სასცენო გარდასახვის და სხვ. პრობლემებს. საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ ზოგიერთ შრომას გამოეხმაურნენ თანამედროვე ფსიქოლოგები გორდონ ოლპორტი, ფროიდ ოლპორტი, კენტრილი, ჟ. პიაჟე და სხვ.

აშშ-ის ფსიქოლოგიური ჟურნალის („Soviet Psychology") VI ტომის № 2 (1968—69) მთლიანად ეძღვნება ქართველ ფსიქოლოგთა შრომებს და ქართველი ფსიქოლოგების შრომების ვრცელ ბიბლიოგრაფიას. უნგრეთში და გდრ-ში გამოქვეყნდა ქართველ ფსიქოლოგთა შრომების კრებული...

უნდა აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რომელიც გაწეულია ქართულ ენაზე ფსიქოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელოების შესაქმნელად. არსებობს ზოგადი ფსიქოლოგიის რამდენიმე ქართული სახელმძღვანელო (დ. უზნაძის „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები", ტ. I, 1925: მისივე, „ზოგადი ფსიქოლოგია", 1940; ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი „ფსიქოლოგია", 1950, 1963; რ. ნათაძის „ზოგადი ფსიქოლოგია", 1956, მისივე გადამუშავებული გამოცემა, 1977, ბავშვის ფსიქოლოგიის დ. უზნაძისეული სახელმძღვანელო („ბავშვის ფსიქოლოგია", 1947), აგრეთვე რ. ნათაძის „ფსიქოლოგიის მოკლე კურსი" (4-ჯერ გამოიცა 1972—76), შ. ნადირაშვილის „სოციალური ფსიქოლოგია" და სხვ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებობს საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება.

ფსიქოლოგიის დარგის პერიოდული გამოცემაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია. ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს აქვეყნებს აგრეთვე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრება".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის არაპერიოდული გამოცემებია: „Исследования по Экспериментальной психологии установки", გამოვიდა 5 ტომი, „Психологические исследования", გამოვიდა 2 ტომი; შრომების კრებული „ფსიქოლოგია" (რედკოლეგია), გამოვიდა 14 ტომი (1980).

ფსიქოლოგიური კვლევის ცენტრებია: საქართველოს სსრ მეცნი-

ერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თსუ-ის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის კათედრები, ი. გოგებაშვილის სახ. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კომუნისტური აღზრდის სექტორი, სსრკ ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ერგონომიკის განყოფილება, თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიკის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრა, მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის, გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედ. ინსტიტუტის, თელავის ი. გოგებაშვილის სახ. პედ. ინსტიტუტის, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტის, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის, სამხრეთ ოსეთის პედ. ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სამეცნიერო სექტორის, თბილისის რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის ლაბორატორიები.

ლიტ.: ნათაძე რ., თბილისის უნივერსიტეტის ღვაწლი საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება-განვითარებაში, თბ., 1968 (თსუ საიუბილეო სესია 1918—1968); მისივე, ფსიქოლოგიური მეცნიერება თბილისის უნივერსიტეტში. 1918—1978, თბ., 1979; უზნაძე დ., ფსიქოლოგია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის მანძილზე, ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის, 1941, № 2—3; ფრანგიშვილი ა., ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (მე-17, მე-18 სს. და მე-19 ს. დასაწყისში), თბ., 1958, მისივე, ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 40 წლის თავზე, კრ.: ფსიქოლოგია, ტ. II, თბ., 1957; მისივე, ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში, „სკოლა და ცხოვრება“, 1967, № 11; Натадзе Р. Г. Вопросы мышления и речи в трудах психологов Грузинской ССР, „Вопросы психологии“, 1957, его же, Психологическая наука в Грузии за 50 лет, там же, 1967, № 4; Прангишвили А. С. Научная работа в Ин-те психологии АН ГССР, там же, 1955, № 3; Прангишвили А. С., «30 лет Институту психологии им. Д. Н. Узнадзе АН ГССР (1941—1971 гг.)», сбор. «30 лет Институту психологии им. Д. Н. Узнадзе АН Грузинской ССР (1941—1971 гг.)». Тб., 1972; Мчедлишвили Г. Н., Надирашвили Ш. А., Сакварелидзе М. А., Библиография трудов Института психологии им. Д. Н. Узнадзе АН ГССР (1941—1971 гг.), там же.

(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, „საქართველოს სსრ“, „მეცნიერება“ — „ფსიქოლოგია“, გვ. 219—221).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის საკითხისათვის

ვუძღვნი ჩემს მასწავლებელს —
აკად. შალვა ნუცუბიძეს — 80
წლის შესრულების გამო

1. „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის საკითხი რუსთველოლოგიის ძირითად საკითხთა რიგს მიეკუთვნება.

მკვლევარი, რომელიც მიზნად დაისახავს მის შესწავლას, ვალდებულია აჩვენოს ყველა ის მონაცემი, რაც ნათელს გახდიდა ამ გენიალური ქმნილების არსებით კავშირს ქართველი ხალხის ეროვნული შემოქმედების საუნჯეებთან, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნული გონის ნაყოფთა მტკიცე ნიადაგზეა აგებული.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობა ამ ნაწარმოების სულ სხვადასხვა თვალსაზრისით და სულ სხვადასხვა მხრით შესწავლის შედეგად შეიძლება იყოს დადასტურებული. „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მაღალმხატვრულ ნაწარმოებს, მრავალი ისეთი განზომილება აქვს, რომელშიც მისი ხალხურობაა გამოვლინებული. ჩვენი ნარკვევი მიზნად ისახავს „ვეფხისტყაოსანი“ განიხილოს მის ერთ განზომილებაში, რომლის ჭრილშიაც, ვფიქრობთ, სრულიად ნათლად ჩანს ამ გენიალური ქმნილების ხალხური საწყისები და ხალხური ფესვები.

2. გავითვალისწინოთ ზოგიერთი წანამძღვარი, რომელიც კანონიერს ხდის ჩვენ მიერ საკვლევად აღებულ საკითხს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ამ ნაწარმოების ყველაზე არსებითი თავისებურება, რაც მას, როგორც ქართული რენესანსის (შ. ნუცუბიძე [1]) გამომხატველ ნაწარმოებს, ახასიათებს. თუ რა იგულისხმება ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება დავიმოწმოთ აკად. კონრადი. მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც შ. რუსთაველის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, თქვა: „კარგად ცნობილია რენესანსის განსაზღვრება. ძალიან მოკლედ რომ გამოვთქვათ, შუასაუკუნეობრიობის წინა გმირულ ეპოსში აღტაცებას

[1] იხ. შ. ნუცუბიძე, „Руставели и восточный ренессанс“, 1947.

იწვევდა გმირობა, მამაცობა, ხოლო რენესანსში აღტაცებას იწვევს არა ეს, არამედ ადამიანი, რომელიც გმირობას ჩადის, რომელსაც შეუძლია უყვარდეს ისე, როგორც უყვართ რენესანსის ეპოქაში და არა შუა საუკუნეებში" [2]. იგულისხმება, რომ „ვეფხისტყაოსანში", როგორც რენესანსის გამომხატველ ნაწარმოებში, სწორედ ესაა არსებითი. მისი მხატვრული სახეები თვით ადამიანის ბუნების შესახებ მეტყველებენ, მხატვრული შემოქმედების ცენტრში მოქცეულია ადამიანი, იგია ღრმა სულიერი განცდების მატარებელი, მან იცის მაღალი სიყვარულიცა და სამაგალითო მეგობრობაც, ისაა, საჭიროების შემთხვევაში თავგანწირვამდე გმირობას რომ ავლენს და ა. შ. — ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანში", როგორც იტყვიან, „ადამიანისაკენ მობრუნებასთან" გვაქვს საქმე.

მაგრამ საქმე ისაა, რომ „ადამიანისაკენ მობრუნების" შესახებ მსჯელობისას სულ სხვადასხვა რამეს გულისხმობენ: ზოგჯერ იმას, რაც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ განყენებული ფსიქოლოგიის კატეგორიებში და მორალის, ეთიკის, ესთეტიკის ცნებებში; ზოგჯერ კი იმას, — რაც მხოლოდ მხატვრული ხატია და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანში" როდესაც „ადამიანისაკენ მობრუნების" შესახებ ვმსჯელობთ, ჩვენი ყურადღების საგანია ის, რაც ემპირიულად მოცემულია როგორც ადამიანისათვის ყველაზედ არსებითი და დამახასიათებელი რამ, — ესაა მისი ცნობიერება, მისი პიროვნება და მისი განცდების ემპირიული სამყარო. ამიტომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის", როგორც რენესანსის გამომხატველი, „ადამიანისაკენ მობრუნების" მაჩვენებელი ნაწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებად ის სპეციფიკური გზები და საშუალებები უნდა იქნეს მიჩნეული, რომელთა მეშვეობითაც მის მხატვრულ სახეებში ადამიანის პიროვნება, მისი სულიერი განცდების სამყაროა წარმოდგენილი.

სრულიად ცხადია, რომ პოეტური ხატი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისთავში დასაბუთებული რეალობაა. მისი შესწავლის გზებიც ამითაა განსაზღვრული. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც ცხადია, რომ მხატვრული ხატი, მართალია, სპეციფიკური მაგრამ მაინც სინამდვილის ასახვაა. ამიტომ ვფიქრობთ, სრულიად კანონიერი იქნება „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სახეებში წარმოდგენილი ადამიანის პიროვნებისა და მისი განცდის შინაგანი სამყაროს გარკვეული ცოდნა და გარკვეული ფსიქოლოგია ვეძიოთ. ამ ცოდნის გარეშე ვერავითარი მხატვრული სახე ვერ შეიქმნებოდა. ასეთი ძიების კანონიერება თვით შ. რუსთაველის

---

2 აკად. ნ. კონრადმა ამავე სესიაზე საგანგებოდ იმასაც ეაუსვა ხაზი, რომ შ. ნუცუბიძე იყო პირველი, რომელიც „ყველას გასაგონად ალაპარაკდა აღმოსავლეთის რენესანსის შესახებ".

შეხედულებებიდან გამომდინარეობს. შ. რუსთაველი შაირობას სიბრძნის დარგად მიიჩნევს. ამიტომ გასაგებია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის სულიერი ცხოვრების გამომხატველი მხატვრული სახეების უთუოდ მნიშვნელოვან „ფერმენტს“ ამ სინამდვილის შესახებ ცოდნა და სიბრძნე შეადგენდა, ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ცოდნის გამოვლინება მეცნიერული ძიების კანონიერ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი საძიებელი საკითხის გარკვევისათვის გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ვითარებაც. საქმე ისაა, რომ ყოველ ერსა და ხალხს ადამიანსა და მისი სულიერი ცხოვრების შესახებ ჯერ თავისი ხალხური სიბრძნე გააჩნდა და მერე იქმნებოდა ცოდნისა და ხელოვნების დარგები. შორსაა ჭეშმარიტებებიდან შეხედულება, თითქოს, თავდაპირველადვე ხალხი ადამიანისა და მისი სულიერი ცხოვრების შესახებ მხოლოდ მითურ და რელიგიურ წარმოდგენას ქმნიდა. ასე რომ ყოფილიყო, საზოგადოებაში ადამიანთა ერთობლივი მუშაობა ვერ მოეწყობოდა. ეს უთუოდ გულისხმობს თვით ადამიანისა და მისი სულიერი ცხოვრების შესახებ პრაქტიკის გზით მოპოვებულ გარკვეული დონის ცოდნას. ამის გარეშე, ვიმეორებთ, შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა ერთობლივი მუშაობა, ასეთი ხალხური სიბრძნე და ცოდნა ადამიანისა და მისი სულიერი ცხოვრების შესახებ ნათლადაა წარმოდგენილი ხალხური შემოქმედების ქმნილებებში, როგორიცაა: ენა, ანდაზა, თქმულება, ზნე-ჩვეულება და ა. შ. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ენა, როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ ხალხური სიბრძნისა, ხალხური ცოდნისა და გამოცდილების ასახვა.

ცნობილია, რომ, საერთოდ, ენა ასახავს და გადასცემს ადამიანთა შემეცნებითი მუშაობის შედეგებს, კერძოდ იგი ასახავს ხალხის გამოცდილების წარმატებასაც ადამიანის ბუნებისა და მისი სულიერი ცხოვრების შემეცნების მიმართულებით. ადამიანთა სულიერი ცხოვრების შესახებ ხალხურ სიბრძნესა და ცოდნას ხალხური ფსიქოლოგია ეწოდება. ხალხური ფსიქოლოგიური ცოდნა, პირველ რიგში, ენაშია ასახული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ენობრივ ფაქტებს, რასაც ჩვენ „ხალხური ფსიქოლოგიის“ სფეროს მივაკუთვნებთ, ენის სხვადასხვა თეორია სხვადასხვა კატეგორიის ქვეშ აერთიანებს. ზოგი, მაგალითად, ამ ფაქტებს გონის კატეგორიას აკუთვნებს (მაგ., ვაისგერბერი და სხვ.). ამის მიხედვით საქმის ვითარება შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: როდესაც ქართულ ენაში ადამიანის ფსიქიკური მოქმედებების აღმნიშვნელი სიტყვები გვაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვების მეშვეობით (სრულიად გარკვეული შინაარსის საფუძველზე) გამოყოფილია ადამიანის ცალკეული ფსიქიკური მოქმედებები, როგორც გარკვე-

ული ერთეულები. იგულისხმება, რომ ქართული სიტყვა ადამიანის ფსიქიკური მოქმედებების გამოსახვისას იმ ერთეულებს აღნიშნავს, რომლებშიც ენობრივმა გონმა ადამიანის რეალური ფსიქიკური მოქმედებები გააერთიანა და ჩამოაყალიბა. გამოდის, რომ ქართული ენის ფსიქოლოგიური ლექსიკონი „ენობრივი გონის" მიერ ადამიანის ფსიქიკური მოქმედებების რეალურ ფაქტებზე აგებულ, გონის სისტემაში მოყვანილსა და ჩამოყალიბებული ადამიანის ფსიქიკური მოქმედებების სფეროს გამოხატავს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ენის ფსიქოლოგიური ლექსიკონი ენობრივი გონის მიერ ჩამოყალიბებულსა და გადამუშავებულ შინაარსს გამოხატავს. ამასთანავე იგულისხმება, რომ ეს შინაარსი სპეციფიკური ენობრივი ფაქტია, განსხვავებული და დამახასიათებელი იმ მიმართულების გონითი გადამუშავებისათვის, რაც ენაშია გამოვლენილი. ამ საკითხზე თეორიების განხილვა, ცხადია, არ წარმოადგენს ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს.

ზემოთქმულიც, ვფიქრობთ, სკმარისია იმისათვის, რათა მკითხველს გავუთვალისწინოთ, თუ რა ენობრივ ფაქტებს ვგულისხმობთ, როდესაც ვლაპარაკობთ ენაში ასახული „ხალხური ფსიქოლოგიის" შესახებ.

ქართულ ენას, ისევე როგორც ყოველი ერის ენას, მოეპოვება პირველადი და ფუძეობრივი ფორმები და საშუალებები, რომლებითაც იგი ადამიანის ფსიქიკურ მოქმედებებს, მისი შინაგანი განცდის სამყაროს მოვლენებს წვდება და წარმოგვიდგენს. ამ სახითაა ქართულ ენაში აღბეჭდილი და განმტკიცებული ხალხური გონი, ხალხური ფსიქოლოგია.

ზემოთ გათვალისწინებული წანამძღვრებიდან კანონიერად გამომდინარეობს ასეთი საკითხი: —ვეფხისტყაოსანში", როგორც „ადამიანისაკენ მობრუნების" გამომხატველ ნაწარმოებში, ადამიანის სულიერი ცხოვრების წარმოდგენისას როგორ არის ასახული ქართულ ენაში აღბეჭდილი და განმტკიცებული ხალხური სიბრძნე და ცოდნა ადამიანის ფსიქოლოგიური მოქმედების შესახებ?

გსარკვევია: რამდენად არსებითადაა დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანში" ადამიანის განცდების შინაგანი სამყაროს გამომხატველი მხატვრული სახეების შექმნის გზები და საშუალებები ქართულ ენაში ამ სინამდვილის ასახვის თავისებურებებთან?

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სახეებში წარმოდგენილი ფსიქოლოგიისა და ქართულ ენაში ასახული ხალხური ფსიქოლოგიის შედარებითი შესწავლა, ვფიქრობთ, ამ გენიალური ქმნილების ხალხურობის დამადასტურებელი სრულიად გარკვეული რიგის მონაცემების გამოვლინების ერთ-ერთ კანონიერ გზად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენს ნარკვევში ამ მიმართულებით ვეცდებით „ვეფხისტყაოსნის" ხალხურობის გამორკვევას.

3. ამისათვის პირველ რიგში უნდა გაირკვეს: ა) ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფუძეობრივი ფორმები და საშუალებები, რომლებითაც ამ ენაში გამოისახება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება, ბ) რა წესითაა „ვეფხისტყაოსანში“ ეს სინამდვილე გამოსახული.

შ. ნუცუბიძემ თავის გამოკვლევაში — „ადამიანის იდეა და აღზრდის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“ (იხ. კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბილისი, 1937 წ.) — აღნიშნა ის ფაქტი, რომ „გულ“ — სიტყვას თვალსაჩინო ადგილი უკავია „ქართულ სააზროვნო სიტყვახმარებაში“.

ჩვენს გამოკვლევაში, რომელიც 1944 წელს გამოქვეყნდა („გულ“ — სიტყვის სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“, „ფსიქოლოგია“, ტ. III), დადასტურებულია, რომ ქართულ ენაში ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოსახვისას ძირითადად და ფუძეობრივ წესს წარმოადგენს მისი აღნიშვნა „გული“ — ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში.

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ ადამიანის სულიერი ცხოვრების მოვლენები ამავე წესითაა გამოსახული.

ახლა ამოცანა ისაა, იმის დამადასტურებელი მონაცემები მოვიყვანოთ და ნათელი გავხადოთ, რომ ნამდვილად „ვეფხისტყაოსანშიაც“ ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ყველა სფერო მართლაც „გულ“ ფუძის მეშვეობით და მასთან კავშირში გამოიხატება.

ტრადიციული მეცნიერული ფსიქოლოგია ფსიქიკური მოქმედებების კლასიფიკაციისას გარკვეული პრინციპით ხელმძღვანელობს. ძირითადი კლასების გამოყოფისათვის აქ საორიენტაციოდ აღებულია ობიექტური სინამდვილის ის სფეროები, რომლებიც ამ განცდებს იწვევენ ან რომლისადმიც ისინი მიმართულნი არიან. ამასთანაა დაკავშირებული ის ფაქტი, რომ ტრადიციულ ფსიქოლოგიაში (კანტისა და ტეტენსის შემდეგ) ფსიქიკურ მოვლენათა ძირითადი კლასები ლოგიკის, ესთეტიკის და ეთიკის შესაბამისადაა გამოყოფილი: შემეცნება, გრძნობები და ნებელობა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ამოცანაა მოვიყვანოთ იმის მონაცემები, თუ ფსიქიკურ განცდათა ძირითადი კლასები როგორაა გამოხატული „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ფსიქოლოგიურ ლექსიკონში. ამ ამოცანის გადაწყვეტის სიძნელე სწორედ იმასთანაა დაკავშირებული, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც „გულ“-ფუძის მეშვეობითაა გამოხატული ადამიანის შინაგანი განცდები, ამ რეალობის მოვლენათა მოწესრიგება და კლასიფიკაცია სულ სხვა პრინციპის მიხედვითაა გაჩენილი, ვიდრე ამას ტრადიციულ ფსიქოლოგიაში მიღებული კლასიფიკაცია გულისხმობს.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის ფსიქიკური განცდების ძირითადი კლასების („გულ“ ფუძის მეშვეობით) გამოსახვის შესახებ ენობრივ მასალას გავითვალისწინებთ ფსიქიკურ ფენომენთა ჩვეულებრივად მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით.

ტრადიციულ მეცნიერულ ფსიქოლოგიაში ფსიქიკურ პროცესთა შემდეგი კლასიფიკაციაა მიღებული: ემოციური მდგომარეობები (გრძნობა, ემოცია, აფექტები, ენებები, ე. წ. „ცნობიერების მდგომარეობანი“), აქტივობის განცდები (ყურადღება, ნებელობა, მოთხოვნილებები და ა. შ.), შემეცნების პროცესები (მეხსიერება, აზროვნება და სხვ.), პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებანი (ნიჭი, ტემპერამენტი, ხასიათი და სხვ.). მასალა „ვეფხისტყაოსნიდან“ ამ კლასიფიკაციის მიხედვით მოგვყავს.

ადამიანის სულიერი პროცესების გამოსახვის მაგალითები ჯერ მოვიყვანოთ იმ წყაროების მიხედვით, რომელიც შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამდე, XII საუკუნემდე იყო ცნობილი. ასე გავითვალისწინებთ ქართული ენის ფსიქოლოგიური ლექსიკონის ძირითად ფონდს. ამის პარალელურად მოვიყვანოთ იმის ნიმუშებიც, თუ შესატყვისი ფსიქიკური პროცესები როგორაა გამოსახული „ვეფხისტყაოსანში“ [3].

ტრადიციულ ფსიქოლოგიაში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, ადამიანის სულიერი განცდების ძირითადი კლასების გამოსახვის მაგალითები ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ძეგლებში ასეთია:

ემოციური მდგომარეობანი:

გრძნობები: „არა იყო... ჭამადთა გულისსათქუმელთა (приятных б. марн) მოყუარე“ (გ. მერჩულე — „ცხ. გრ. ხანძთ.“, 1959, მე-5, გამოც. პ. ინგოროყვასი). ემოციები:..... რა გულსა უთხრნა გულისა სიტყვანი საგულისონი“ („ვეფხისტყაოსანი“, 721,1. რედ. ა. შანიძე, ა. ბარამიძე, თბ., 1966, გამ. „მეცნიერება“); გულნაკლულობა — „... გულკლებულ იქნების და ასე ჩვენი სიხარული...“ („ამირანდარეჯანი-

---

[3] ქართული ენის ის თავისებურება, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს, „ძველი და ახალი აღთქმის“ წიგნების თარგმანებშიც იჩენს თავს. მაგალითად, „ახალი აღთქმის“ წიგნების ქართულ თარგმნებში გულ-ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში ისეთი გამოთქმები გვხვდება, რომელთა შესატყვისი ბერძნულ ტექსტებში ამ ფუძის მეშვეობით არაა გამოთქმული. „ახალი აღთქმის“ წიგნებიდან შესადარებლად ისეთი ადგილები ავიღეთ, რომელთაც ტიშენდორფის გამოცემის მიხედვით სხვა ვარიანტი არ აქვთ (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი გამოკვლევა „ფსიქოლოგია“, ტ. III, 1944 წ., აგრეთვე ჩვენი მონოგრაფია „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“, 1959).

ანი"), „მისთათვის, რომელ გულის-კლება(огорчение Н. Марр) აქუნდა" (გ. მერჩ. — „ცხ. გრ. ხანძ."); „აბჯრითა გხედავთ, შეგვქმნია აწ ამად გულ-ნაკლულობა..." (445,1, „ვეფხტყ.").

აფექტი: გულისწყრომა (ярость) — „...აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა..." (ლ. 4, 28. ი. იმნაიშვილი — „ქართული ოთხთავის სიმფონია", რედ. ა. შანიძე); „სავსე იყო გულის წყრომით" (дыша угрозами). („საქმე" „ახალ. აღთქ.") „...არ შეექმნა დარბაზობა მას დღე როსტანს გულგამწყრალსა..." (ვეფხტყ" 815,2).

გუნება: „...უბრძანა ძმასა მას გულ-დებულად (спокойно, Б. Марр) განსვლად" (გ. მერჩულე, „ცხ. გრ. ხანძთ."), „... გული დადევ დაიჯერე ვერ წაგიტან, ვერა ვერა!..." („ვეფხტყ.", 785,4).

ინტელექტუალური გრძნობები: გულსავსე (уверенный) — „...გულსავსედ სარწმუნოვებისათვის" (ლ. 1,1. „ოთხთავი"); „ამა მონათ, ჩემ ზედა გარდაუხდელი გულია, ამოდ მმსახურეს, თქვენი-მცა გული ამათთვის სრულია..." (ვეფხტყ." 1323,2).

აქტივობის განცდები

ყურადღება — „...გრიგოლ ძიება ჰყო გულს-მოდგინედ..." (გ. მერჩულე, „ცხ. გრ. ხანძთ." 167, 25); „...მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები იქ ები..." (ვეფხტყ.", 1550,4).

მოთხოვნილება, მისწრაფება და ა. შ: გულის-თქმა (желание,вожделение, потребность),„რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას" („кто смотрит с вожелением)" — ოთხთავი", მათე, 5-28); „მომეც დათმობა სურვილთა მფლობელო გულის-თქმათაო..." (ვეფხტყ.", 811,4). ნებელობა: „...მგულებელ (хотим, ა. ფ.) ვართ ვერ შეძლებასცა..." (ნემესიოსი, „ბუნებ. კაცისა"); „...მეომარი გულოვნობდეს..." („ვეფხტყ.", 11,2).

შემეცნების პროცესები

მეხსიერება — „ნუ გულსა დაიდებს („не помяни") („მეფეთა" — „ახალ. აღთქ."), „...მარიამს... ესე სიტყუანი... დაედვა გულსა..." (ლ. 2,19, „ოთხთავი"); „...მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა..." („ვეფხტყ.", 1306,2).

აზროვნების პროცესები: გულისხმიერება (сметливость, благоразумие) „ხოლო გულისჴმიერობად" (способность к учению, Н. Марр)გან-

საკვრველელი იყო ფრიად“ (გ. მერჩ., 158,15), „...თქუენცა უგულისკმოვე ხართ...“ (მ. 15,16, „ოთხთავი“); „მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დაჰხვდეს გულ-ხმიერად...“ (ვეფხტყ.,“ 1412,2), „...ბრძოლაი გულისსიტყჳსა და გულის თქუმისა“ („борьба между рассудком и вожделением — ნემესიოს ემესელი, „ბუნ. კაცისა“) „...გულისა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა...“ (იაკ. ცურტ., „მარტ. შუშანიკისი“, რედ. ი. აბულაძე, 1938, XIII,5), „...აწ გულსა ეტყვის...“ („ვეფხტყ.“, 966,1).

პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები (ნიჭი, ტემპერამენტი, ხასიათი და ა. შ.): გულფიცხი „...მოსე გულფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა...“ (მ. 19,8 „ოთხთავი“), „...კაცი აგრე გულ-ფიცხელი...“ („ვეფხტყ.“, 625,3). გულოვანი „...გულოვანი ჭაბუკი ხარო...“ („ამირანდარეჯანიანი“); „...ჩემებრვეა გულოვანი...“ („ვეფსტყ.“, 1039,4) და ა. შ.

ზემომოყვანილი მონაცემები იმის უტყუარი საბუთია, რომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის ფსიქიკური პროცესებისა და მდგომარეობათა გამოსახვის ძირითად და წამყვან გზად მათი „გულ“-ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში გამოსახვა უნდა მივიჩნიოთ, ყოველივე ეს ერთნაირად შეეხება როგორც სუბიექტური მდგომარეობის განცდების (ემოციური პროცესები), აქტივობის განცდების (ყურადღება, ნებელობა, მოთხოვნილებები) და შემეცნების პროცესების (მეხსიერება, აზროვნება და ა. შ.), ასევე პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებების (ნიჭი, ტემპერამენტი, ხასიათი) გამოსახავს.

ადამიანის სულიერი მოქმედების გამოსახვის ეს წესი, როგორც აღვნიშნავთ, ქართულში ამ სინამდვილის გამოსახვის პირველადსა და ფუძეობრივ ფორმებსა და საშუალებებს განეკუთვნება.

3. ადამიანის სულიერი ცხოვრების წარმოდგენისას შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მტკიცე კავშირი ქართველი ხალხის გონის საუნჯეებთან, რასაკვირველია, არ დაიყვანება ამ სინამდვილის გამოსახვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ფორმალური“ წესის ერთიანობაზე.

ფაქტია, რომ „გულ“-ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში წარმოქმნილი ტერმინები ქართული ენის ფსიქოლოგიური ლექსიკონის თავისებურებას ქმნიან. ამიტომაცაა, რომ სულიერი ცხოვრების პროცესების გამოსახვისას ამ ტერმინოლოგიას ვხვდებით სხვადასხვა ეპოქის სულ სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებში; ამას ნათლად მოწმობენ ზემომოყვანილი მაგალითებიც, თუმცა ამასთანავე იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი განსაკუთრებით, რომ „გულ“-ფუძის მეშვეობით და მასთან კავშირი ადამიანის ფსიქიკური მოქმედებები ისე ღრმად და მრავალმხრივად, ისე თანმიმდევრობით, მტკიცედ და სისტემატურად ქართული მხატვრული ლიტერატურის არც ერთ ძეგლში არაა გამოსახული, როგორც ამას ადგილი აქვს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ადამია-

ნის სულიერი განცდის სამყაროს „გულ"-ფუძის მეშვეობით გამოსახვა შ. რუსთაველის მხატვრული სტილის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვიმეორებთ, ქართული ენის გონთან „ვეფხისტყაოსნის" უფრო ღრმა ფესვების მქონე ერთიანობა დასტურდება.

საქმე ისაა, რომ „გულ"-ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ცალკე პროცესების აღნიშვნის წესი ასახავს ადამიანის სულიერი ცხოვრების გარკვეულ გაგებას. ქართულ ენაში ასახული „ხალხური ფსიქოლოგიისა" და „ვეფხისტყაოსნის" „ფსიქოლოგიის" ერთიანობა იმაში გამოიხატება, რომ ერთსა და იმავე განზომილებაშია განლაგებული „გულ"-ფუძის მეშვეობით როგორც ქართული ენის გონის მიერ ჩამოყალიბებული ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროს გონითი სისტემა, ისე — რენესანსის იდეების საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სახეებში ჩამოყალიბებული ადამიანის სულიერი ცხოვრების სამყარო.

ეს ერთიანობა უნდა იქნეს მიჩნეული ერთ-ერთ ძირითად პირობად, რამაც, ჩვენი ფიქრით, შესაძლებელი გახადა „ვეფხისტყაოსანში" ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი სამყაროსაკენ მობრუნების იდეები მათთვის მეტად ადექვატურ, მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ფორმებში ჩამოყალიბებულიყო და ამ მხრით სწორედ ქართული რენესანსის გამომხატველი ნაწარმოები შექმნილიყო.

4. ქართული ხალხური ფსიქოლოგიისა და „ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიის ერთიანობის ანალიზი, პირველ ყოვლისა, იმ ფაქტის ნათელყოფით დავიწყოთ, რომ ეს ორი სხვადასხვა წყობის ფსიქოლოგიური ცოდნა ადამიანის სულიერი ცხოვრების მოვლენებისადმი მიდგომის ერთი და იმავე წესის საფუძველზეა აგებული.

„ვეფხისტყაოსანში" ადამიანის სულიერი განცდების გულ-სიტყვის მეშვეობით ან ამასთან კავშირში გამოთქმის ფაქტი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთი რომელიმე კლასის თუ „სეგმენტის" გაბატონებული მნიშვნელობის აღიარებასთან გვაქვს საქმე.

მაგალითად, არ იქნება სწორი, თუ ამ შემთხვევაში გულ-სიტყვის მნიშვნელობად ვიგულისხმებთ, ვთქვათ, ცალკე აღებული გრძნობის ან ნება-სურვილის განცდათა სფეროს და ა. შ.

ამაში ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ „ვეფხისტყაოსანში" ისეთი გამოთქმების არსებობასაც (თუ გინდა ეს იყოს მეტაფორებიც), სადაც „გულ"-სიტყვა როგორც გრძნობისაგან, ისე ნება-სურვილისაგან დიამეტრულად განსხვავებული განცდების გამოსახვის შემთხვევაშიაც ამოსავალი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი.

მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ გულ-სიტყვის მეშვეობით ადამიანის ინტელექტუალური მოქმედების სფეროც გამოიხატება.

„გონიერი გული, ლბილი“ (147,4); „მერმეღა გაბრქეკ მართალი მაგა გულითა ბრძენითა“ (907,2);

ასევე გვხვდება გამოთქმები, რომლებშიაც „გულ“-სიტყვის მნიშვნელობა სცილდება ადამიანის სურვილებისა და წადილთა სფეროს; მაგალითად, „მომეც ღ.თმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო“ (811,4) და ა. შ.

იმის საფუძველზე რაც ზემოთ ითქვა, თითქოს უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ის მოსაზრება, რომ თუ „ვეფხისტყაოსანში“ გულ-სიტყვას ადამიანის სულიერი ცხოვრების განცდების გამოსახვისას ამოსავალი მნიშვნელობა აქვს, ეს სრულიადაც არაა იმასთან დაკავშირებული, რომ რუსთაველი განცდათა ერთ რომელიმე ცალკე აღებულ კერძო სფეროს (ვთქვათ, გრძნობებს და ა. შ.) გაბატონებულ და წამყვან მნიშვნელობას ანიჭებს. „გულ“-სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა განცდის სინამდვილის გამოსახვისას სულ სხვა ვითარებებზე მიუთითებს.

„ვეფხისტყაოსანში“ გულ-სიტყვას ცალკეული ფსიქიკური პროცესების გამოსახვისას, იმიტომ აქვს ამოსავალი მნიშვნელობა, რომ ამ სიტყვით აღინიშნება სრულიად კონკრეტული, პირველადი და მთლიანობითი (ადამიანის შინაგანი განცდების ცალკეული „სფეროებისა“ და „მხარეების“ მიმართ) რეალობა (ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული პროფ. ვლ. ნორაკიძის მონოგრაფიაში „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1966, „გულის“ ფსიქოლოგიური შინაარსი“, გვ. 91-108). გულ-სიტყვით გამოხატულ ასეთ პირველად და მთლიანობით რეალობას გულისხმობს რუსთაველი, როდესაც წერს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკე მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“ (849).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის სულიერი ცხოვრების პროცესების გამოხატვა „გულ“-ფუძის მეშვეობით შინაგანი სამყაროს განცდებისადმი გარკვეულ მიდგომასთანაა დაკავშირებული.

შ. რუსთაველი ადამიანის სულიერი ცხოვრების ცალკეულ პროცესებსა და მდგომარეობებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზემოდან ჰვრეტს და მათ ადამიანის სულიერი ცხოვრების მთლიანობისა და კონფიგურაციის კატეგორიების მიხედვით წარმოგვიდგენს.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის სულიერი ცხოვრების ცნობიერი განცდების ცალკეული სახეები, როგორც გარკვეულად ორგანიზებული,

„გულ"-ფუძით აღნიშნული მთლიანობის, სტრუქტურის შიგ მიმდინარე პროცესებადაა წარმოდგენილი, მაგალითად, ასე: „მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დაჰხვდეს გულხმიერად".

ამავე წესით (ე. ი. მაღალი მთლიანობის შიგ მიმდინარე პროცესების სახით) წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსანში" „მოსმენა", „ეოგონება", „ნება", „სიყვარული" და ფსიქიკური მოქმედებათა სხვა სახეები; მაგალითად, შემდეგ გამოთქმებში:

„არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა,
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე
იგონებდა" (1182, 1-2).
„რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინღა მიეალ არაბეთს, მომხვდენ მის მზისა ხლებანი"
(1478, 1-2)
აწ, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების;
გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი არ მეხლების? (741, 2)
„მძულს უგულოდ სიყვარული" (25)
„ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე-ერთ სიტყვები
გულისა (1468, 1).
„ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა
გასაგმირონი" (124, 3).

ახლა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებული ენობრივი ფაქტიც (ადამიანის სულიერი ცხოვრების პროცესების გამოსახვა გულ-ფუძის მეშვეობით) ქართული ენის გონის მხრივ (ქართული ხალხური ფსიქოლოგიის მხრივ) ადამიანის სულიერი ცხოვრების ისეთსავე მიდგომას გულისხმობს, რასაც „ვეფხისტყაოსანში" ეხვდებით.

ქართულ ენაში წარმოდგენილი ხალხური ფსიქოლოგიაც უშუალოდ და ცნობიერად მოცემული განცდის სინამდვილეს, მის ცალკეულ პროცესებს „გულ"-ფუძით აღნიშნულ მთლიანობით რეალობაში ჩართულად, მის ცალკეულ მომენტებად გულისხმობს.

გულ-სიტყვა მისი მეშვეობით ან მასთან კავშირში ცალკეული ფსიქიკური პროცესების გამოხატვისას ქართულ ენაში იმიტომ გამოდის ასეთი ამოსავალი მნიშვნელობის, სემანტიკურად მსაზღვრელის როლში, რომ ამით აღინიშნება (ადამიანის შინაგანი განცდის სამყაროს ცალკეული „სფეროებისა" და „მხარეების" მიმართ) მთლიანობითი რეალობა (იხ. ამ საკითხზე ჩვენი ზემოთ დასახელებული გამოკვლევა).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიაში და ქართულ ენაში წარმოდგენილ ხალხურ ფსიქოლოგიაში ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი სამყაროს ცალკეული ემპირიული პროცესები ამ სინამდვილისადმი ერთი და იმავე მიდგომის („განზომილების") მიხედვითაა გარკვეულ წესრიგში მოყვანილი და გარკვეული სახის მქონე რეალობად

წარმოდგენილი. ორივე შემთხვევაში ადამიანის სულიერი ცხოვრებია ცალკეული პროცესებისადმი მიდგომა ადამიანის სულიერი ცხოვრების მთლიანობის, კონფიგურაციის კატეგორიების მიხედვით ხდება.

ამის შესაბამისად, ერთნაირადაა აგებული ორივე ფსიქოლოგიის „კოორდინატთა სისტემა" ერთი და იმავე „გული"-სათვის მიხედვით[4]. გულ-სიტყვის მნიშვნელობა ორივე ფსიქოლოგიის „კოორდინატთა სისტემის" სათავეა, რადგანაც ამით აღინიშნება სრულიად გარკვეული, პირველადი და მთლიანობითი (ადამიანის შინაგანი განცდების ცალკეული „სფეროებისა" და „მხარეების" მიმართ) რეალობა.

5. ახლა გასარკვევი ისაა, თუ ეს პირველადი და მთლიანობითი (ადამიანის ფსიქიკური პროცესების მიმართ) რეალობა როგორაა გაგებული „ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიაში და ქართულ ენაში ასახულ „ხალხურ ფსიქოლოგიაში".

ადამიანის განცდის სინამდვილის ცალკეული მხარეებისა და სფეროების მიმართ პირველადი და მთლიანობითი რეალობის აღნიშვნასას „გულ"-სიტყვა სულ სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოდგება და ამიტომ იგი ქართულ ენაში მეტად რთულსა და მრავალფეროვანი გამოთქმების აზრს განსაზღვრავს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართებით „გულ"-სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობის გამომსახველია, მაინც სრულიად ადვილი შესამჩნევია, რომ „გულ"-სიტყვის ეს მნიშვნელობები ქართული ენის ფსიქოლოგიურ ლექსიკონში განმტკიცებული, ამ სიტყვის ერთი დომინირებული მნიშვნელობის გარშემო ლაგდებიან.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია „გული"-სიტყვის ის მნიშვნელობა ქართულში, რომელიც ნათლადაა გამოკვეთილი სული-სიტყვის მნიშვნელობასთან მიმართებაში.

ქართული გამოთქმა — „სულის ამოხდომა" — სიცოცხლის დაკარგვას, სიკვდილს ნიშნავს. ამის მიხედვით, სულის მნიშვნელობად სიცოცხლის საწყისი იგულისხმება. სულიერი — ყოველი ცოცხალი არსებაა. ამისგან განსხვავებით, გულ-სიტყვა სულ სხვა საწყისის არსებობაზე მიუთითებს. „გულის წასვლა" ან „გულის მობრუნება" არ ნიშნავს სიცოცხლის დაკარგვას და ა. შ. ის საწყისი, რაც ამ შემთხვევაში გულ-სიტყვის მნიშვნელობად იგულისხმება, რასაკვირველია სიცოცხლესთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისგან არსებითად განსხვავე-

---

[4] „კოორდინატთა სისტემის" „სათავის" მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი რუსულში „стол" — სათავე აგებს თავისებურ სფეროს სისტემას: „ столовая", „столоваться " და ა. შ. ქართულში „დილა" არის იმავე სფეროს სისტემის აგების სათავე: „სადილი", „სასადილო" და ა. შ. ანალოგიურად ამისა, „ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგია და ქართული ხალხური ფსიქოლოგია გულ-სათავით ერთი და იგივე სისტემის მქონე სფეროს აყალიბებს.

ბულია. გამოთქმა „გულის წასვლა“ სიცოცხლის პროცესებისაგან განსხვავებულ პროცესს გულისხმობს. „გულ“-სიტყვა ამ შემთხვევაში აღნიშნავს ადამიანის შეგნებული, ცნობიერი მოქმედების, ადამიანის მრავალმხრივი განცდების, მისი ფსიქიკური მდგომარეობებისა და პროცესების წარმომქმნელის, მათი მატარებელსა და მათ მარეგულირებელ საწყისს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია იმის გარკვევა, თუ ქართულ ენაში გულ-სიტყვა ადამიანის ცნობიერი მოქმედების საწყისის აღნიშვნისას რა შინაარსითა და რა მნიშვნელობითაა წარმოდგენილი [5].

ქართულ ენაში ამ სიტყვით აღინიშნება ერთიანი, მრავალმხრივი, ფსიქოფიზიკურად მთლიანი ინდივიდუალობა, ადამიანის პიროვნება. კალირერმა, მრავალი სხვადასხვა ენის შესწავლის საფუძველზე, ის ფაქტი დაადგინა, რომ, როდესაც ენაში თავდაპირველად ისახება ადამიანის ინდივიდუალობის, პიროვნების ცნება, იგი სხეულის ცენტრალური ნაწილების („თავი“, „გული“, „კუჭი“ და ა. შ.) სახელით არის ხოლმე მასში წარმოდგენილი.

ქართული ენობრივ ეონსაც უნდა მიეგნო ამ რეალობის არსებობისათვის. ქართულ ენაში უნდა გაჩენილიყო და გაჩნდა კიდეც ადამიანის ინდივიდუალობის, პიროვნების ენობრივი ცნება და ამ მნიშვნელობის აღმნიშვნელი სიტყვაც. ისეთივე როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ენების შემთხვევაში, ქართულ ენაშიაც ეს მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმის ცენტრალური ნაწილის სახელს დაუკავშირდა — გულ-სიტყვას.

გულ-სიტყვა აღნიშნავს ადამიანის ფსიქოლოგიურ ინდივიდუალობას და ამას გულისხმობს გულ-სიტყვა გამოთქმებში: „დიდი გულის“, „გულით მაღალი“, „გულით ვიწრო“, „მთელი გულით“, „გულის სიღრმეში და ა. შ. „გულსა ეტყოდა“, говорит с собой (გ. მერჩ. ცხ. გრ. ხანძთ. 171), „ძირი არ აქვს გულსა თვისსა“ — не имеет корня в себе („მათე“ „ახ. აღთქ.“).

ქართულ ენაში მეტად რთული და მრავალფეროვანი გამოთქმების აზრს გულ-სიტყვა განსაზღვრავს თავისი იმ მნიშვნელობებით, რისი შინაარსიცაა „გული“-დან მომდინარე ტენდენცია, როგორც მთლიანად

---

[5] რამდენად ღრმა ფესვების მქონეა ქართულ ენაში გულ-სიტყვის ასეთ მნიშვნელობასთან კავშირი, ამას ნათლად მოწმობს პროფ. ვ. ბარდაველიძის გამოკვლევა: „ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან“ („მიმომხილველი“, ტ. 1, 1949). პროფ. ვ. ბარდაველიძე „გულ“-სიტყვის მნიშვნელობას ქართულ ენაში უკავშირებს საქართველოში რელიგიური აზროვნების ისტორიის მონაცემებს, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოში არსებობდა რელიგიური რწმენა ადამიანის წინაგრძნობების, სიზმრების, მოჩვენებების და სხვა განცდების საწყისისა და ხელმძღვანელის არსებობის შესახებ.

აღებული ადამიანის ინდივიდუალობის სიღრმიდან მომდინარე ტენდენცია. გულ-სიტყვის მნიშვნელობა მრავალ გამოთქმაში აღნიშნავს ადამიანის ფსიქოლოგიურ ინდივიდუალობას, აღებულს თავის მთლიანობაში.

ასეთი მნიშვნელობით გვხვდება გულ-სიტყვა, მაგალითად, ქართულ ხალხურ ანდაზებში: „გული თუ არ ერჩის კაცსა, ფეხით სულ ვერ ივლის", „მარწყვი მპირდება გასუქებასა, გული არ ამბობს შესრულებასა", „ცეცხლსა ხელს ვკიდებდი და გულსა მწვავდაო" და ა. შ.

ქართული ენის თავისებურება იმაშია, რომ გულ-ფუძის მეშვეობით ყოველ ფსიქიკურ პროცესს გამოხატავს როგორც პიროვნების ცხოვრების ფსიქიკურ შინაარსს.

ქართულ ენაში გულ-სიტყვა ცალკეული ფსიქიკური პროცესების გამოსახვისას იმიტომ გამოდის ამოსავალი მნიშვნელობის როლში, რომ ამით აღინიშნება ფაქტი — პიროვნებაა ფსიქიკურ მოქმედებათა მომწესრიგებელი და მათი მატარებელი. ხალხური ფსიქოლოგიის ეს სიბრძნეა ასახული ქართულ ენაში, როდესაც ფსიქიკური პროცესები „გულ"-ფუძის მეშვეობით ან მასთან კავშირში გამოითქმის.

ამასთან დაკავშირებით ისაა საგულისხმო, რომ ირკვევა „ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიასა და ქართულ ენაში ასახულ ხალხურ ფსიქოლოგიას შორის ერთიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფსიქოლოგიური პროცესებისადმი ერთნაირი მიდგომის ფაქტით, ე. ი. იმით, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდის სამყაროს ცალკეული პროცესები წარმოდგენილია როგორც „გულ"-ფუძით აღნიშნული უფრო მაღალი მთლიანობის ნაწილობრივი გამოვლენები. საქმე ისაა, რომ გულ-ფუძით აღნიშნული თვით ამ მაღალი მთლიანობის ბუნების შესახებ ამ ორი წყობის ფსიქოლოგიაში, მართალია, სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ პრინციპულად მაინც ერთი და იმავე ამოსავალი შეხედულების განვითარებასთან გვაქვს საქმე.

ადამიანის ფსიქიკური პროცესების მიმართ ამ პირველადი და მთლიანობითი რეალობის შესახებ „ვეფხისტყაოსანში" ქართული ხალხური ფსიქოლოგიისა და ხალხური სიბრძნის იგივე იდეებია განვითარებული და მაღალ მხატვრულ სახეებში წარმოდგენილი, რომელთა ასახვადაც მივიჩნიეთ ჩვენ ქართულ ენაში ფსიქიკური პროცესების გულ-ფუძის მეშვეობით გამოთქმის ფაქტი.

„ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ გამოთქმაში „გულ"-სიტყვა, როგორც გმირების განცდათა და მოქმედებათა ცალკეული პროცესების მიმართ პირველადი და მთლიანობითი რეალობის აღმნიშვნელი, სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. მაგრამ აქაც ეს მნიშვნელობები „გულ"-სიტყვის ერთი დომინირებული მნიშვნელობის განზომილებაზე ლაგდებიან.

პირველ ყოვლისა ისაა აღსანიშნავი, რომ „ვეფხისტყაოსანშიც“, ისევ როგორც ქართულ ხალხურ ფსიქოლოგიაში, ის იდეაა განვითარებული, რომ სიცოცხლეს თავის საწყისად ისა აქვს, რაც სულ-სიტყვის მნიშვნელობაა.

„ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“ (275, 4)

„ამისგან განცხვავებულია რეალობა, რომელსაც გულ-სიტყვა აღნიშნავს. გულ-სიტყვის მნიშვნელობად ის საწყისი იგულისხმება, რის გამოც „კაცი კაცობს“ ე. ი. ადამიანი პიროვნებაა და ინდივიდუალობა. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, უსულოდ ადამიანი ვერ ცოცხლობს, „უგულოდ“ კი „კაცი ვერ კაცობს“.

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წაელენ და მისკე მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

„კაცის კაცურობა“ — ეს მისი „გულია“, ე. ი. მისი ინდივიდუალობა, თავისებური და მთლიანი. იგულისხმება, რომ ადამიანის ყოველგვარი განცდები „გულისაგან“, ე. ი. ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობისაგან მომდინარეობენ. იგი იგულისხმება მათ მატარებლად, მათი მიმდინარეობის წარმმართველად და მომწესრიგებლად. ამიტომაცაა, რომ „რა გული წავა“, ისინიც „წაელენ და მისკენ მიდიან“.

„თქვის: საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა,
ეთქვა, ვისად?
შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“ (182, 3-4)

„ვეფხისტყაოსანში“ „გულ“-სიტყვის მნიშვნელობად ცალკეული ფსიქიკური პროცესების მიმართ პირველადი და მთლიანობითი რეალობის აღნიშვნისას ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობა იგულისხმება. ამ შემთხვევაში ადამიანის სულიერი ცხოვრების ძირითად ფაქტად მისი ინდივიდუალური ხასიათია მიჩნეული.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობა სხვადასხვა მხრითაა დახასიათებული, ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობა („გული“) შ. რუსთაველის საოცარი სირთულის მქონე კომპლექსად აქვს წარმოდგენილი; მას იმდენად რთული ბუნების მქონედ მიიჩნევს, რომ „კრულსაც“ კი უწოდებს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გულია ყამ-ყამ ყოველთა ჭირთა მომო, ლხინთა მდომელი,
ბულიბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი“ (720).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობა რთულად „მოწყობილი“ კომპლექსია,

რომელიც თავის მთლიანობაში მოიცავს: ამა თუ იმ ინდივიდს „ხედვის“ (ე. ი. ფართოდ გაგებული „პერცეფციის“ — ე. ი. შემეცნების) თავისებურებებს, მის თავისებურ დამოკიდებულებას სინამდვილის მოვლენებისადმი („ჟამ-ჟამ ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომები“), მისი ინტერესების სფეროს, მისი ხასიათისა და ტემპერამენტის ნიშნებს და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობა — „გული“ — თავის თავში დასაბუთებული, თავისებური რეალობაა: მას „ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი“.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის ინდივიდუალობის („გულის“) გამოვლენილი ფსიქიკური მოქმედებები ისეა წარმოდგენილი, რომ ამ მოქმედებების „უკან“ და ინდივიდის „შიგ“ („გულში“) მათი წარმართველი ტენდენციის და შინაგანად გამაწონასწორებელი ფაქტორის არსებობა იგულისხმება.

ადამიანის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის ბუნებაში ჩაქსოვილი ასეთი წარმმართველი ტენდენციისა და გამაწონასწორებელი ფაქტორის მოქმედების შესახებ აქვს მსჯელობა შ. რუსთველს „გული კრულის“ შესახებ ზემოთ მოყვანილ ტაეპში. ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის („გულის“ მოქმედების) ამავე ბუნებას წარმოგვიდგენს შ. რუსთაველი შემდეგი ვითარებების აღწერისას:

„ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა
  გულსა უთხრის, თუ: „დათმეო“, ამად არ დია ბნდებოდა“ (181, 3-4)
„ყრმა მივიდა გულ მოკლული, ცრემლთა ველი მოედინა
მართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.
ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაეძინა!
რაცა აჯა დათმობისა გულმა ვისცმა მოუსმინა“. (726).

6. „ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიაში ადამიანის ფსიქიკის ამგვარი ინდივიდუალური ხასიათი სხვა მხრითაცაა წარმოდგენილი და დახასიათებული.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში წარმმართველი ტენდენციების სტრუქტურისა და მათი მთლიანობის გამომხატველ ცნებას პიროვნების ცნება წარმოადგენს. ამიტომაც „გული“-ცნება, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ინდივიდის ქცევის მიმართულების განმსაზღვრელი ტენდენციების სტრუქტურული მთლიანობის მნიშვნელობით გვხვდება, პიროვნების ცნების სინონიმია.

„ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული შემოქმედების სპეციფიკური გზებითა და საშუალებით პიროვნების ფსიქოლოგიის სხვადასხვა მომენტებია გაშუქებული. ამასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, ისაა აღსანიშნავი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიაში ადამიანის სული-

ერი ცხოვრების პროცესების გამოხატვა „გულ"-ფუძის მეშვეობით არსებითად იმ ფაქტის ასახვას წარმოადგენს, რომ ყოველი ფსიქიკური პროცესი „პიროვნების ფორმაში მიმდინარეობს" (უ. ჯემსი).

„ვეფხისტყაოსანში" პიროვნების მაორგანიზებულ სტრუქტურად ყოველთვის წარმმართველი ტენდენცია იგულისხმება.

ამიტომაცაა „გულ"-სიტყვა „ვეფხისტყაოსანში" პიროვნების მოქმედების მოტივთა ერთიანობასაც რომ გამოხატავს. ასე, მაგალითად:

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება" (6, 1).
„მე მოვახსენე: „პატრონო, გული აწ უფრო მრთელია" (353, 2)
„აწ ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგითმინდეს" (751, 1).

„ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიის მიხედვით იგულისხმება, რომ ყოველ პიროვნებაში არსებობს ჭეშმარიტად ნამდვილი ფსიქიკური სტრუქტურა, რაც პიროვნების ფსიქიკურ მოქმედებათა შინაგან ერთიანობას გასაგებს ხდის. ამას გულისხმობს შ. რუსთაველი, როდესაც ამბობს:

„ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!"
(884, 4).

„გულია" ნამდვილად ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური სტრუქტურა და იმისი „ვაზირობითაა", რომ ყოველი ადამიანის ქცევა შინაგანად მთლიანი და თანმიმდევრულია.

7. ამასთან დაკავშირებით ერთი საგულისხმო ვითარებაა აღსანიშნავი. შ. რუსთაველი ასხვავებს გულს, გონებას, ცნობას. „გონებაო, სულო, გულო" (311,2) და ა. შ. როდესაც „გულ"-ცნება ასეთი განსხვავების კონტექსტში გვხვდება, შთაბეჭდილება ისეთია, რომ შ. რუსთაველი ამ შემთხვევაში „გული" ცნებას გრძნობის მნიშვნელობით ხმარობს. მაგრამ თუ „გული" — ცნება ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის, პიროვნების სინონიმია, მაშინ როგორ შეიძლება, რომ იგი გრძნობის მნიშვნელობის მქონეც იყოს?

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში „გული"-გრძნობა განსხვავებულია გრძნობისაგან ვიწრო მნიშვნელობით (იხ. ჩვენი გამოკვლევა, „ფსიქოლოგია", ტ. III, 1944). „გულის"-განცდა „ვეფხისტყაოსანში" — ეს არის გრძნობა, რომელიც სიამოვნება-უსიამოვნების ან სხვა ასეთ ელემენტარულ განზომილებებში არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი. რომ „გულის" განცდა ასეთ დიფერენცირებულ გრძნობებს არ გულისხმობს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი გრძნობები, რომლებიც კერძო შინაარსებთან და აქტებთან არიან დაკავშირებული და იმ თვისებას გვითვალისწინებენ, რომელსაც საგანი სუბიექტზე მოქმედების შემთხვევაში იჩენს „ვეფხისტყაოსანში", სახელდებული არიან, როგორც: „გულნაკლულობა", „გულჩუყრალობა" და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით სულ სხვაა „გულის“ განცდა. იგი წარმოდგენილია როგორც ყველაზე დაუნაწევრებელი და მთლიანი შინაარსის განცდა ყველაზე დაუნაწევრებელი და მთლიანი შინაარსის განცდათა შორის...

მოვიყვანოთ ადგილები, სადაც ასეთი შინაარსითაა წარმოდგენილი „გულის“ განცდა.

„ყრმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გაძლებდა,
უკუღმაკე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა,
ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა
გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა“ (139).
„გული წამსვე წამიღო, — ვერათ ვერ შევინახე, — მან“ (740).
„ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა“ (612).

პიროვნების ჭეშმარიტად ნამდვილი ფსიქოლოგიური სტრუქტურა „გული“ ისე გაუნაწევრებლად და მთლიანად არსად არ ეძლევა განცდას როგორც „გულის განცდის“ შემთხვევაში.

გულის განცდა ცნობიერების გარეთ მოქმედ პიროვნულ ძალებში ჩაფუძნებულ და მათგან უშუალოდ დაკავშირებულ განცდად იგულისხმება. იგი სწორედ პიროვნების შინაგან ტენდენციებთან კავშირში პოულობს თავის აზრს. იგი არ რის პირველადი რამ, რასაც თავისთავად შეუძლია არსებობა; ითვლება რაღაც ცნობიერების გარეთ მდებარე საფუძვლებიდან გამომდინარედ. გულის განცდა ამ საფუძვლებს მხოლოდ განცდის მხრიდან საზღვრავს.

როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები „გულ“-სიტყვის მნიშვნელობასთან კავშირში გამოითქმის, ამით იმ ვითარებისათვისაა შუქი მოფენილი, რომ პიროვნებას თავისი ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური სტრუქტურის ბუნება გულის განცდის (გრძნობის) მეშვეობით ეძლევა.

ამრიგად, ცხადია, რომ მაშინაც, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ „გული“ — სიტყვა გრძნობის მნიშვნელობით გვხვდება, იგი მაინც პიროვნების მხატვრული ხატის შექმნას ემსახურება.

8. განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიისა და ენაში ასახული ქართული ხალხური ფსიქოლოგიის ერთიანობის კიდევ ერთი მაჩვენებელი.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადამიანის სულიერი განცდები ისე, როგორც ისინი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ სახეებში და გამოთქმებშია წარმოდგენილი, მეტად პირობითად შეიძლება გავითვალისწინოთ ტრადიციულ ფსიქოლოგიაში მიღებული ფსიქიკურ მოქმედებათა კლასიფიკაციის სქემის მიხედვით (შემეცნება, გრძნობა, ნებელობა და ა. შ.).

საქმე ისაა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ადამიანის სულიერი ცხოვრების განცდების სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის შემთხვევაში ამოსავალია ობიექტური სინამდვილის ის მხარეები, რომლებიც ამ განცდებს იწვევენ.

სულ სხვა ორიენტაციის საფუძველზეა აგებული „ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგია.

„ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიის თავისებურება ისაა, რომ აქ ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდების სამყარო წარმოდგენილია თვით განცდის, როგორც სუბიექტის მდგომარეობის, მახასიათებლების მიხედვით. ამიტომაც ხდება შეუძლებელი აქ წარმოდგენილ განცდათა მრავალფეროვნების გათვალისწინება ტრადიციულ ფსიქოლოგიაში მიღებული კლასიფიკაციის სქემის მიხედვით.

ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდების მრავალფეროვნების წარმოდგენა თვით განცდის მახასიათებლების მეშვეობით ერთი იმ ძირითადი განზომილებათაგანია, რომლის მიმართებითაა გაშლილი „ვეფხისტყაოსანში" ადამიანისაკენ მობრუნება.

ამ განზომილებაში იჩენს თავს შ. რუსთაველის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი თავისებურება. ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდების გამოსახვისას ასეთი ორიენტაციის მქონე პოეტური შემოქმედებისათვის სრულიად ცხადია, რომ ადექვატური იყო გულ-ფუძეზე აგებული ქართული ენის ფსიქოლოგიური ლექსიკონი. ეს იმიტომ, რომ ქართულ ენაში გულ-ფუძის მეშვეობით ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდების მოწესრიგება და გამოსახვა ადამიანის ფსიქიკის ინდივიდუალური ხასიათის ფაქტს ეყრდნობა. ამიტომაცაა, რომ ამ შემთხვევაში, მაგალითად, საქმე გვაქვს ისეთ გამოთქმებთან და ტერმინებთან, როგორიცაა: „გულისთქმა" („ოცნება"), „გულისხმისყოფა" („აზრი"), გულისხმიერება („გონიერება") და ა. შ. ამ მხრივ ქართული ენის ფსიქოლოგიური ლექსიკონის უფრო დაწვრილებითი ანალიზი იხ. ჩვენს შრომაში „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში" [6].

შ. რუსთაველის პალიტრის სიმდიდრე ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდების (როგორც სუბიექტის მდგომარეობების) პოეტური გამოთქმებისა და სახეების შექმნისას უთუოდ განუყრელადაა დაკავშირებული ქართული ენის ფსიქოლოგიის აღნიშნულ თავისებურებებთან.

ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდების (როგორც სუბიექტის მდგომარეობების) გამოსახვისას, გულ-ფუძე ქართულში

---

[6] ცალკე შესწავლის საგანია თუ რა შემთხვევაში მიმართავს შ. რუსთაველი ფსიქიკური მოქმედების გამოხატვას იმ სიტყვით, რომლებიც გულ-ფუძის მქონე არ არიან.

საოცრად რთულს და მრავალფეროვან გამოთქმებს აწარმოებს. შ. რუსთაველიც ქართული ენის ამ თავისებურებას ეყრდნობა და ამით აღწევს ადამიანის განცდათა მრავალფეროვანი მხატვრული სახეების შექმნას თვით განცდის მახასიათებლების მიხედვით. ამ შემთხვევაში იმდენად დიდი მოცულობის მასალასთან გვაქვს საქმე, რომ სრულიად შეუძლებელია ამ ნარკვევის ფარგლებში მისი სრული აღრიცხვა და ანალიზი დავისახოთ მიზნად. მოვიყვანთ მხოლოდ იმის რამდენიმე ნიმუშს, რომ შ. რუსთაველის პალიტრის სიმდიდრე ადამიანის შინაგანი განცდების მხატვრული სახეების შექმნისას (თვით განცდის, როგორც სუბიექტის მდგომარეობის მახასიათებლების მიხედვით) ნამდვილად ქართული ენის ზემოთ აღნიშნულ თავისებურებების საფუძველზეა აგებული. ამის ნიმუშია გამოთქმები: „გული უმაგარდა", „გული მეტად შეშიძრწუნდა", „გული უც მისთვის მწყრომარე", „გული უფრორე დამიჭრა", „გული მივეც თამბაქმნათა", „შემექმნა გული მართ ვითა სალია", „გული წამსვე გამიღო", „აღარ დარჩეს გული ავლად", „გული ერთსა დაჯეროს", „გულია აწ უფრო მრთელია", „გული მი და მო მიარა", „მჭვრეტელთა გული", „გული მინდორს არ გაიჭრას", „რად დააგდე გული ცივად". „სხვისგან იყო გული მისი", „გული გულსა განაცვალი", „გულსა უთხრნა გულისა სიტყვანი საგულისანი" და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანში" „ადამიანისაკენ მობრუნების" ერთ-ერთი მაჩვენებელი — ეს ადამიანის სულიერი ცხოვრების განცდების მხატვრული სახეების შექმნაა. „ვეფხისტყაოსნის" პოეტური ხატების ის თავისებურება, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდები თვით განცდის, როგორც სუბიექტის მდგომარეობის, მახასიათებლებითაა წარმოდგენილი, განუყრელ ერთიანობაშია ქართულ ენაში ასახულ გონთან, ხალხურ ფსიქოლოგიასთან და გულფუძეზე აგებული ქართული ენის ფსიქოლოგიურ ლექსიკონთან.

9. ახლა თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს, რაც ზემოთ წარმოდგენილი განხილვის შედეგად დადგინდა, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ ვცადოთ გარკვეული პასუხის ჩამოყალიბება იმ საკითხზე, რომელიც ჩვენი გამოკვლევის საგანს წარმოადგენდა: „ვეფხისტყაოსანში", როგორც „ადამიანისაკენ მობრუნების" გამომხატველ ნაწარმოებში, ადამიანის სულიერი ცხოვრების წარმოდგენისას როგორ არის ასახული ქართულ ენაში აღბეჭდილი და განმტკიცებული ხალხური სიბრძნე და ცოდნა ადამიანის ფსიქიკური მოქმედების შესახებ?

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ ვცდილობთ მხოლოდ და მხოლოდ იმ მონაცემების საფუძველზე, რაც შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც ჩვენ ამას ვუწოდეთ, „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სახეებში წარმოდგენილი ფსიქოლოგიისა და

ქართულ ენაში ასახული ხალხური ფსიქოლოგიის შედარებითი შესწავლის საფუძველზე.

პირველ ყოვლისა, ისაა აღსანიშნავი, რომ დადასტურდა: „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ არა გვაქვს საქმე მხოლოდ იმ ფაქტთან, რომ აქ გარკვეული იდეები ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ უბრალოდ გამოთქმულია ქართული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფსიქოლოგიური ლექსიკონის მეშვეობით.

„ვეფხისტყაოსანში“ „ადამიანისაკენ მობრუნება“ (მასში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ცოდნის ანალიზის მონაცემების მიხედვით) იმაში გამოიხატა, რომ ამ ნაწარმოებში „აღმოჩენილი“ იქნა პიროვნება, როგორც ადამიანის სულიერი განცდების წარმომშობი, მათი მატარებელი და მათი მომწესრიგებელი. სულიერი ცხოვრების ძირითად ფაქტად ისაა მიჩნეული, რომ ფსიქიკური განცდები „პიროვნულ ფორმებში“ მიმდინარეობენ. იგულისხმება, რომ ყოველ პიროვნებაშია წარმოდგენილი მყარი და მიზანმიმართული ბირთვი, ჭეშმარიტად ნამდვილი, ფსიქიკური სტრუქტურა,— მისი „გული“, რაც ინდივიდის ფსიქიკურ მოქმედებათა შინაგანი ერთიანობისა და თანმიმდევრობის საფუძვლად იგულისხმება.

ადამიანის სულიერი ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომით ხასიათდება, პირველ რიგში, „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრებისაკენ მობრუნების, ე. ი. რესენანსის გამომხატველი ნაწარმოები.

ძირითადი იდეა ადამიანის სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტად ნამდვილი ფსიქიკური სტრუქტურის არსებობის შესახებ, რაც ადამიანის ფსიქიკური მოქმედების მთლიანობასა და თანმიმდევრობას უდევს საფუძვლად, შ. რუსთაველმა ასე გამოთქვა:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წაელენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

ამიტომაცაა, რომ შ. რუსთაველის იდეები ადამიანის ჭეშმარიტად ნამდვილი ფსიქიკური სტრუქტურის ბუნების შესახებ შესაძლებელი გახდა ხორცშესხმულად წარმოდგენილიყო „გული“ — სიტყვით შექმნილი მხატვრული სახეების მეშვეობით და მასთან კავშირში.

ადამიანის სულიერი ცხოვრება ქართულ ენაშიაც ისეა გამოსახული, რომ ამ რეალობის ძირითად ფაქტად შინაგანი განცდის პროცესების „პიროვნულ ფორმებში“ მიმდინარეობა იგულისხმება. ამიტომაცაა ქართულ ენაში ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი განცდის პროცესები „გულ“-სიტყვის მნიშვნელობის მეშვეობით ან მასთან კავშირში რომ გამოითქმის.

აქედან ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის სულიერი

ცხოვრების გამომხატველი პოეტური სახეების მრავალფეროვნება, მათი ესთეტიკური და იდეური დონე არსებითის მხრივ იყო იმით გაპირობებული, რომ ყველაფერ ამას თავისი ღრმა ფესვები ქართულ ენაში წარმოდგენილ გონში, ხალხურ ფსიქოლოგიაში ჰქონდა და მასთან განუყრელ ერთიანობას ქმნიდა.

ქართული ენის ბუნება უქმნიდა შ. რუსთაველის გენიას უსაზღვრო შესაძლებლობებს, რათა ადამიანის სულიერი ცხოვრების შინაგანი სამყაროს შესახებ რენესანსის იდეები ესთეტიკურად მაღალი დონის პოეტურ სახეებში ჩამოეყალიბებინა. რუსთაველის ეპოქის იდეოლოგიური წინააღმდეგობების ვითარებაში ამ იდეებს ის ღრმა ფესვები ასაზრდოებდა, რომელიც მათ გადგმული ჰქონდათ ქართულ ხალხურ სიბრძნეში, ხალხის რეალისტურ შემოქმედებაში.

„ვეფხისტყაოსანში" ადამიანის სულიერი განცდების პოეტური სახეების იმ განზომილებაში შესწავლა, რაც მათ ქართული ენის ბუნებას უკავშირებს, ესთეტიკის დარგს განეკუთვნება.

ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემები, ვფიქრობთ, იმ მაჩვენებელთა შორისაა გასათვალისწინებელი, რომლებიც სრულიად ნათლად მოწმობენ: ა) „ვეფხისტყაოსანში" „მობრუნება ადამიანისაკენ" განვითარდა ადამიანის პიროვნების ნამდვილი სულიერი, სტრუქტურის ბუნების გამოხატვის მიმართულებით და ამიტომ იგი რენესანსს (შ. ნუცუბიძე) განეკუთვნება, ბ) ამ მობრუნების გამომხატველი მხატვრული სახეების შექმნის სპეციფიკური გზები და საშუალებები „ვეფხისტყაოსანში" ქართველი ხალხის გონის შემოქმედების ნიადაგზეა განვითარებული და იგი საკუთრივ ქართულ რენესანსს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიურ ცოდნათა სისტემა ანტონის „სპეკალში“

(მოხსენების თეზისები)

„სპეკალის“ შესახებ არსებული გამოკვლევები (აკად. კ. კეკელიძის, ისტ. მეცნ. კანდ. აპ. როგავასი) ამ ნაწარმოების მრავალსა და მეტად მნიშვნელოვან მხარეებს აშუქებენ, მაგრამ არ ისახავენ მიზნად „სპეკალში“ წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ცოდნის საგანგებო სისტემატურ განხილვასა და შესწავლას. ამ მხრივ „სპეკალი“ დღემდე შეუსწავლელია. წარმოდგენილი მოხსენების ამოცანაა როგორც მასალისა ფსიქოლოგიური აზრის ისტორიისათვის საქართველოში, გაშუქებულ იქნას „სპეკალის“ ავტორის ზოგიერთი ფსიქოლოგიური შეხედულება.

1. „სპეკალის“ შინაარსს არსებითად შეადგენს მოძღვრება მეცნიერული შემეცნების მეთოდსა და შემეცნების ფსიქოლოგიაზე. ფილოსოფიური ცოდნის ეს დარგებია ანტონის მიერ წარმოდგენილი როგორც ყოველგვარი ცოდნის „სპეკალი“.

„სპეკალის“ ფსიქოლოგიური ნაწილი ორ განყოფილებას შეიცავს: „მეტაფიზიკური“ ფსიქოლოგიის განყოფილებას (თავი 121-130), სადაც სულის არსის პრობლემაა განხილული, დაკავშირებით შემეცნების ფსიქოლოგიის საკითხებთან, და „ემპირიული“ ფსიქოლოგიის განყოფილებას (თავი 131—149), რომელშიაც გრძნობადი და რაციონალური შემეცნების შესახებ პოზიტიური ცოდნის სისტემის დადგენაა ნაცადი. საკითხების განხილვა ორივე ნაწილში სპეკულატური და აბსტრაქტულია.

2. მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის ნაწილი აგებულია „მყოფის“ შემეცნების გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე. ანტონის შეხედულება სულის არსის შესახებ წარმოადგენს ორიგინალურ „სინთეზს“ არისტოტელის ფსიქოლოგიის ელემენტებისას პეტრიწის სკოლის შეხედულებებთან.

3. სულის არსის გაგების საკითხში ანტონი მატერიალიზმს ებრძვის. ამ საკითხში მისი შეხედულებები ანალოგიურია იმ შეხედულებათა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაისახა და განვითარდა მეცნიერული მატერიალისტური მოძღვრება ფსიქიკურის შესახებ. მიუხედავად სულის არსის შესახებ მოძღვრების მანკიერებისა მთლიანად, მეტაფიზი-

კურ ნაწილში „სპეკალისა“ მაინც მოიპოვება ცალკეული საგულისხმო მოსაზრებები. პეტრიწის ფილოსოფიური შეხედულების საფუძველზე აღიარებული ფსიქიკურის იმ თავისებურების დასაბუთებისათვის, რომ მასში „რაჲცა ძალ — იგივე მოქმედებაჲ და რაჲცა მოქმედებაი — იგივე ძალ“, ანტონი დამოუკიდებლად მივიდა ცნობიერების პრობლემამდე და ცნობიერება აღიარა ადამიანის ფსიქიკის არსებით თავისებურებად. ანტონმა წამოაყენა ცნობიერების ორიგინალური ცნება: სულისა „ვითარებანი, ესე იგი სათნოებანი თავით თვისით იცნობებიან, დაღათუ მოქმედებითა მისითა ხორცთა მიერ იჩვენებიან“ (თ. 125).

4. სხვა ავტორებიდან მოტანილი ადგილები „სპეკალის“ მთლიან კონტექსტში ძლიერ ხშირად სულ სხვა შეხედულებას ასაბუთებენ და ავითარებენ, ვიდრე იმ ნაწარმოებში, საიდანაც არიან მოტანილი.

5. „ემპირიული“ ფსიქოლოგიის ნაწილი ნაკადია აგებულ იქნეს მატერიალისტური მსოფლმხედველობის პრინციპების ნიადაგზე. ამრიგად, მთლიანად „სპეკალის“ ფსიქოლოგიური მოძღვრება მისი ავტორის ეკლექტიკური მსოფლმხედველობის ნაყოფს წარმოადგენს.

6. სულიერი ძალების შესახებ დასრულებული ცოდნის წარმოდგენის მიზნით „სპეკალში“ ავტორის მიერ გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება წადიერებითი ძალების შესახებაც (თ. თ. 131, 140). „ძალი“, „ანაგები“ და „ვნებები“ წარმოდგენილია ძირითადად სულიერ მოძრაობებად.

7. ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისტორიაში პირველად „სპეკალში“ გვხვდება ჩამოყალიბებული თეორია და ცოდნა გრძნობადი შემეცნების პროცესების შესახებ (თ. თ. 131-137; 141-147). გამომდინარე არისტოტელის იმ შეხედულებებიდან, რომლებიც მატერიალიზმს უახლოვდებიან, ანტონი გრძნობად შემეცნებას განიხილავს როგორც „პყრობას“ (აპრეჰენზიას) და დაჰყოფს მას გარეგანად („ხუთნი „კერძოვანნი „გრძნობანი“) და შინაგნად („ზოგადითი გრძნობაჲ“, „წარმოჩინებაჲ“, „იქვი“, „ჰაზრი, გინა განზრახვაჲ“, „მეხსიერობაჲ“).

8. გრძნობადი აღქმის ზოგადი თეორიის საკითხებში ანტონი უარყოფს შეგრძნების იდეალისტურ თეორიას პორფირიუსისას და ამოდის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ „კერძოვანთა საგრძნობელთა შინა... არა რაჲ არს პყრობაჲ, თვინიერ აწმყოსა საგრძნოსა“ (თ. 131), ე. ი. გარეშე ობიექტური საგნის ზედმოქმედებისა გრძნობის ორგანოებზე შეგრძნება არ არის. აპრეჰენზია მთლიანად გაგებულია როგორც „მიმღებლობითი“ და „ვნებითი გვარის“ ძალა. პყრობითი ძალების ვნებითი ბუნება გააზრებულია იმ ფაქტების საფუძველზე, რომ პყრობითი ძალების აქტუალიზაცია ობიექტური საგნის არსებობას გულისხმობს და რომ „ყოველთა მათ შორის არს პყრობაჲ მხოლოობითისა გვარისა“. ანტონი'ს შეხედულებებში იგულისხმება, რომ საგანი გრძნობის ორგანოზე მო-

ქმედებს არა მასალით, არამედ ფორმით. ანტონი არისტოტელის შედარებით სარგებლობს და „სახის მიღებას“ უწოდებს „შეტვიფრვით შეწუნარებას“. შეგრძნობა გრძნობის ორგანოში შესაძლებლობის სახით მოცემულად იგულისხმება. ის რომ „მოქმედებიანი“ გახდეს, აუცილებელია „სხეულებითმა“ საქმით „სრულჰყოს“ „საქმარი თვისი“.

შეგრძნების ზოგად თეორიაში ანტონი ცდილობს შეგრძნება განიხილოს როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის პროცესი, გარკვეულ თვალსაზრისით დამოკიდებული გრძნობის ორგანოს და გამაშუალებელი გარემოს თავისებურებაზე და აგრეთვე გამღიზიანებლის ინტენსივობაზე.

9. „ზოგადი გრძნობის“ ცნება ანტონის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში გრძნობადი აღქმის იმ ფაქტების ასახსნელადაა მოწოდებული, რომლებიც მხოლოდ „კერძოვანნ გრძნობათა“ მოქმედებით ვერ იქნებიან გასაგები. ზოგადი გრძნობა („ძალი მიმთვალველობითი წინდადებადთა ყოველ კერძოვანთა გრძნობათასა“ (თ. 133), რომლისადმი „შემოიყვანებიან გრძნობილნი ყოველთა თვითოთა გრძნობათანი“ თ. 133), როგორც ერთიანი აღქმის აქტი იგულისხმება ცნობიერად, ამდენად არსებითად სულიერად. ამიტომაც ზოგადი გრძნობით იწყება „სპეკალში“ გრძნობადი აღქმის ძალების განხილვა და შენიშნულია: „პირველად გარეგნითა გრძნობათა შინაგანითნი გრძნობანი ამისათვის მოვიჯსენენით, ვინათგან სულისათვის არს სიტყვა ჩვენი“ (თ. 133, მინაწერი).

10. შინაგანი პყრობითი ძალების ფუნქციათა გარჩევა გამომდინარეობს „ხატისა“ და „მნიშვნელობის“ ძირითადი განსხვავებიდან.

„წარმოჩენითი ძალის“ ფუნქცია აღქმულის ხ ა ტ თ ა („გვართა) დაცვაშია („ძალსა უკვე ამას წოდებულ „საუნჯე გვართა“, რამეთუ ამის შორის დაიცვიან გვარნი მიღებულნი კერძოვანთგან გრძნობათა“ — თ. 134). „წარმოჩენის“ აქტი ხატის გამოწვევაში მდგომარეობს („წარმოჩენითი არს, რაჲ საცავე გრძნობილსა შემოსწერდეს ვითარცა აწმყოსა გარდასრულთა“). შინაგანი გრძნობის სხვა ძალების თავისებურება „წარმოჩენით“ მიღებულ ხატთან მიმართებაშია: „იჭვი“ შეავსებს მას გრძნობებით („იპყრობს სიყუარულსა და მტერობასა“) და ამ საფუძველზე ჩნდება მისწრაფების ან გარიდების („დაყუდების“ ან „დაუყუდელობის“) ტენდენციები.

„განზრახვის ფუნქციაა ხატებისა და მნიშვნელობათა ურთიერთ კომბინაცია (იგი „ჰრთავს გვართა გვართა ზედა, გვართა ჰაზრთა ზედა და ჰაზრთა ჰაზრთა ზედა“ — თ. 136). ამ ფუნქციას მიეწერება ცხოველთა ქცევის მრავალი თავისებურება (მომავლის გრძნობა, მსჯელობის ექვივალენტური ცოდნა, არჩევანი და სხვ.). ცხოველთა სამყაროში ფანტაზიას ინსტინქტი („ბუნებით გრძნობა“) მიმართავს და ამიტომ მისი გამოვლენის სახეები ერთფეროვანია, ადამიანის შემთხვევში კი — მრავალფეროვანია, რადგან მისი მოქმედება გონებას ექვემდებარება. ამის

გარდა, მნიშვნელობა იმასაც აქვს, რომ ცხოველი „მიზიდვით“ მოქმედებს, ე. ი. პასიურია, ადამიანი კი აქტიურია — „მიმართებით“ მოქმედებს. ანტონის აზრით ფანტაზიას ძილის მდგომარეობაშიაც აქვს ადგილი. ამის შედეგია სიზმარი.

11. „სპეკალში“ ფსიქოლოგიის ახლნით პრინციპად აღიარებულია ფსიქიკურ ფუნქციათა ანატომიურ ორგანოთა დადგენა და ფსიქიკურ პროცესთა თავისებურების დაყვანა მატერიალურ სუბსტრატში მიმდინარე პროცესების თავისებურებებზე. მიუხედავად „სპეკალის“ ავტორის ფსიქო-ფიზიოლოგიურ შეხედულებათა გულუბრყვილობისა და ნექანიზმისა, მასში წარმოდგენილი პრინციპი ფსიქიკური პროცესის ახლნისა უთუოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაში.

(ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მე-8 სამეცნიერო სესია, 1949, IV).

ვახტანგ VI და მეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ჩვენ ამ გამოჩენილი ადამიანის მოღვაწეობის იმ მხარეზე შევჩერდებით, რაც განსაზღვრავს მის ადგილს მშობლიური მეცნიერების განვითარებაში.

ცოდნა და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის. მეცნიერება ცოდნის სისტემაა, ე. ი. მეცნიერება საგნის კანონზომიერების ადეკვატური მეთოდის, საგნის ლოგიკის საფუძველზე აგებული ცოდნაა.

მეცნიერების საგნის გამოკვლევის მეთოდიკისა და ნამდვილად მეცნიერული მეთოდოლოგიის ფილოსოფიური თეორიის ერთიანობის დონე — მეცნიერების განვითარების საფეხურის განმსაზღვრელია. ამიტომ, ისტორიულად მეცნიერების განვითარების დონე განუხრელად იყო დაკავშირებული მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიის, მეცნიერების ფილოსოფიური თეორიის ჩამოყალიბების პროცესთან. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას პროგრესული მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, იმ მსოფლმხედველობის განვითარების მხრივ ჰქონდა, რაც მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიის საკითხებში მისი დროისათვის მოწინავე შეხედულებების დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ამ შეხედულებათა პროგრესულობის ნათელსაყოფად გასათვალისწინებელი ისაა, თუ მანამდე საქართველოში მსოფლმხედველობრივ საკითხებში რა იდეოლოგია ბატონობდა.

ეს იყო რელიგია მართლმადიდებლური ეკლესიის სახით. ეკლესია განსაზღვრავდა იდეოლოგიურ სანქციებს მეცნიერული ცოდნის დარგში. ცოდნის წყაროდ ღვთაებრივი გამოცხადება — „საღვთო წერილი“ ითვლებოდა. ამის მიხედვით რეალური სინამდვილე გაგებული იყო როგორც შემოქმედის მიზნების განხორციელება, როგორც მისი სიბრძნის გამოხატულება ასე ითვლებოდა, რომ „საღვთო წერილში“ ღვთის ის მიზნებია გამოცხადებული, რის განხორციელებასაც წარმოადგენს ვითომ რეალური სინამდვილე.

ამ საკითხებში ქრისტიანული ეკლესიის დოგმები ნათლად იყო ჩამოყალიბებული იოანე დამასკელის ცნობილ თხზულებაში „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. იოანე

დამასკელის ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში თარგმნა ეფრემ მცირემ. იოანე დამასკელის ამ ნაწარმოების თარგმანთან დაკავშირებით ეფრემ მცირე წერს, რომ მანამდე „...ენასა ჩუენსა სხუა არარაჲ ოდეს თარგმნილ-ჲა საფილასოფოსთა წიგნთაგანი". იოანე დამასკელის თარგმნის მნიშვნელობის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „იოანე დამასკელის გადმოთარგმნით ეფრემმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ფილოსოფიური მწერლობის განვითარებას" (იხ. კ. კეკელიძე — „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. 1, 1941, გვ. 343). ჩვენში „ფილოსოფიური მწერლობის საფუძვლის ჩამყრელ" ნაწარმოებში იოანე დამასკელი აღნიშნავს, რომ „ჯერ იყო გამოცხადებაჲ დამბადებლისაგან ზრახვისაჲ, რამეთუ ეს არს ჩუმულებათა და შჯულთა შუენიერებაჲ, — ვინაჲცა ვერვინ ჰრქუას დამბადებელსა: „რაჲსა ესრეთ შემქმენ?" — რამეთუ ჯელმწიფებაჲ აქუს მეკეცესა მის მიერ შეზელილისა მის თიკისაგან ქმნად თითო ფერთა ჭურჭელთა გამოსაჩინებელად სიბრძნისა თჳისისა". ამრიგად, ეკლესიის იდეოლოგიური სანქციების მიხედვით რეალური სინამდვილის მიმართ უკანონო კითხვის დასმა: რატომ არსებობს იგი იმ სახით, როგორც არსებობს? იოანე დამასკელის შედარების მიხედვით, თიხა არ შეიცავს თავისთავში გარკვეული სახის ჭურჭლის არსებობის მიზეზს. ჭურჭელს ის სახე აქვს, რისი გამოსახვის განზრახვაც ჰქონდა „ძეკეცეს".

ამრიგად, ქრისტიანობის დოგმების მიხედვით გამოდიოდა, რომ სინამდვილე თავის თავში არ შეიცავს იმგვარად არსებობის მიზეზს, როგორც იგი არსებობს.

ცხადია, ასეთი იდეოლოგიის ბატონობა გამორიცხავდა მეცნიერული აზრის განვითარებას. მეცნიერული აზრის განვითარების წანამძღვარი ისაა, რომ სინამდვილე თავისთავში შეიცავს მიზეზს მისი იმგვარად არსებობისას, როგორც იგი არსებობს. ამიტომაა მეცნიერების ამოცანა იმის ნამდვილი მიზეზების გამორკვევა, თუ რატომ არსებობს სინამდვილე ისე, როგორც იგი არსებობს.

ასეთ ვითარებაში მეცნიერული აზრის განვითარებისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელი იყო „მსოფლმხედველობითი რეაბილიტაცია" სინამდვილისა, როგორც თავისთავშივე თავისი მოვლენების მიზეზის შემცველისა.

ცნობილია, რომ გამოცხადების ქრისტიანული დოგმატების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება სინამდვილის თავისთავში დასაბუთებულობის შესახებ — **განმანათლებლობის** რეალისტური ფილოსოფიის არსს წარმოადგენს.

ეკლესიის იდეოლოგიური სანქციების ვითარებაში გასაგებია, რომ რეალური სინამდვილის „რეაბილიტაციის" თვალსაზრისის დაცვის დიდ

შესაძლებლობას მხატვრული სახეების შექმნის გზა, მხატვრული ლიტერატურის განვითარება შეიცავდა.

ვახტანგ VI-ის და მისი მასწავლებლის სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების სახელთანაა დაკავშირებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში განმანათლებლობის რეალისტური მიმდინარეობის ჩასახვა და განვითარება.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მაშინდელი ვითარების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ისტორიული პერიოდის პროგრესულ მსოფლმხედველობას მთლიანად მხატვრული ლიტერატურა წარმომადგენლობდა. ამ ეპოქის მხატვრული ლიტერატურა აგრეთვე ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის განვითარების დონის გამომხატველი იყო. ლიტერატურული მიმდინარეობის სახით ჩამოყალიბებული განმანათლებლობის ხასიათის რეალიზმი მეცნიერების რეალისტური მეთოდოლოგიის განვითარების ნიადაგსაც ქმნიდა. აღსანიშნავია, რომ ზოგი ავტორი (მაგალითად, ვ. ვინდელბანდი) განმანათლებლობის ხანის თავისებურებადაც კი მიიჩნევს ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებების წარმოშობას, რომლებშიც ფართოდაა წარმოდგენილი ფილოსოფიური მხარე, იმდენად ფართოდ, რომ მათი აზრით, ძნელად გასარჩევიც კი ხდება, რასთან გვაქვს საქმე — ლიტერატურულ ნაწარმოებთან თუ ფილოსოფიური ხასიათის ნარკვევებთან.

XVII—XVIII სს. საქართველოში პროგრესულ მსოფლმხედველობას მთლიანად ქართული მხატვრული ლიტერატურა რომ გამოსახავდა, ჩვენი აზრით, ეს გასაგები ხდება, თუ მისი ძირითადი თემატიკის თავისებურებას გავითვალისწინებთ.

როგორც ცნობილია, ამ ხანაში გაბატონებული იდეოლოგია — რელიგია ადამიანს, ინდივიდუალობას არაფრად მიიჩნევდა ღვთაების განზრახვას დაქვემდებარებულ უნივერსუმში. ასეთ ვითარებაში პროგრესული იყო ის მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის ბუნების პრობლემას, როგორც მორალისა და უფლების საფუძვლის პრობლემას განიხილავდა.

ვახტანგ VI-ის და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების რეალიზმი, პირველ რიგში, იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი შემოქმედების წამყვანი თემა — ეს იყო ადამიანის ბუნების პრობლემა, როგორც ადამიანის ცხოვრების გარდაქმნისა და მისი გაუმჯობესებისაკენ მიმართული რეალური მოქმედების პრობლემა.

ადამიანის პრობლემა მეტად ფართო დიაპაზონის შქონე მსოფლმხედველობითი ხასიათის საკითხებს უკავშირდებოდა. ამიტომაც, ქართული მხატვრული ლიტერატურის განმანათლებლობის ხასიათის რეალიზმის მიმართულებით განვითარებას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVII—XVIII სს. საქართველოში ფილოსოფიური და მეცნიერული

აზრის გარკვეული საფეხურის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ნიადაგის შემზადებისათვის.

ვახტანგ VI-ეს სინამდვილის თავისთავში დასაბუთებულობის რეალისტური იდეა ასე აქვს მხატვრულ სახეებში გამოთქმული:

„რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო
რაც მე შევსვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო.
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
მე აღმოვფხარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?“

(„სალბუნად გულისა“ — ვახტანგ VI-ის ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 32).

აქ ისაა ხაზგასმული, რომ სინამდვილე სინამდვილითვეა განსაზღვრული. თავად სინამდვილეშია პრინციპი და მიზეზი მისი მოვლენების წარმოშობისა.

ვახტანგ VI ადამიანის ბუნების საკითხებთან დაკავშირებითაც განმანათლებლობის მიმართულების რეალიზმის თვალსაზრისს იცავს.

ქრისტიანობის დოგმატების მიხედვით, ადამიანის გამოცდილებაში მოცემული „ამქვეყნიური“ სინამდვილე „შემთხვევითია“. ვახტანგ VI მის მასწავლებელ სულხან-საბა ორბელიანთან ერთად „ამქვეყნიური“ ცხოვრების „რეაბილიტაციას“ მისი რეალობის შესახებ მოძღვრების განვითარებით აღწევს.

სულხანა-საბა ორბელიანის არაკის — „მოტირალი და მოცინარის“ — იდეის შესაბამისად, ვახტნგ VI შემოქმედებაშიც ის თვლსაზრისია გამოხატული, რომ „საწუთოს საქმეების“ დაგმობაში, ამქვეყნიერის საქმეებისაგან ასკეტურ მოწყვეტაში, „საუკუნო სამჯავროზე“, „იმქვეყნიურ“ არსებობასა და მასზე ზრუნვაში არ უნდა იყოს გატარებული ცხოვრება. ამქვეყნიური სინამდვილე ნამდვილი სინამდვილეა, ამიტომ ადამიანს, თუ კარგის გაკეთება შეუძლია, იგი ამქვეყნიურის საკეთილდღეოდ უნდა იყოს შესრულებული. რეალური საზრუნავი ამქვეყნიური კეთილდღეობა და სიკეთეა.

„კაცმან უნდა...
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს...
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა რამე დარგოს“
(დასახ. თხზ., გვ. 15)

ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში ადამიანის ბუნების, მისი სულიერი ცხოვრების სიმდიდრე, რეალსტური კონცეფციის შესაბამისად, წარმოდგენილია, როგორც ადამიანისვე გამოცდილებაში, რეალური პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული სინამდვილე. ეს თვალსაზრისია გატარებული ვახტანგ VI-ის ცნობილ აფორიზმში:

„ნახა ყრმა ავად მქცეველი, ურიგოდ მოარულია,
გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია“.
(დასახ. თხზ., გვ. 115)

ვახტანგისა და სულხანა-საბა ორბელიანის შემოქმედებაში ასეთი იდეების შინაარსი ძლიერ ხშირად დიდაქტიკურ მნიშვნელობამდე დაჰყავთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მხარე არ არის არსებითი. ამ იდეების არსებითი მნიშვნელობა იმ რეალიზმშია, რომლის მიხედვით ადამიანის ბუნება მხოლოდ ადამიანისვე რეალური ქცევის, მისი რეალური ცხოვრების პროცესის თავისებურების საფუძველზე შეიძლება იქნეს ახსნილი და გაგებული. ვახტანგს მიაჩნია, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების სიმდიდრე პრაქტიკულ მოქმედებაში ყალიბდება და იგი რეალური ცხოვრების სიმდიდრის გამოხატულებაა. ამიტომაც, მისთვის ადამიანის ცხოვრებაში მთავარია მოქმედების პრინციპი. ვახტანგი წერს:

„ვის მიხვდება დიდ-სახელად უბრძოლველად გამარჯვება“.
(დასახ. თხზ., გვ. 96)

ვახტანგი ადამიანის სულიერი ცხოვრების სიმდიდრის ასკეტურ „ავად დაგდებას“ გმობს:

„რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და?
მოგიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამედა
მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამადა“.
(იქვე, გვ. 44)

მოლვაწეობაშია სიკეთე, ამაშია ცხოვრების აზრი; ამასთან ერთად ვახტანგი დასძენს:

„უჰკუოდ კაცის სიკეთე, ვაი რა ცარიელია“
(დასახ. თხზ., გვ. 96)

განმანათლებლობის რეალისტური („ჩვენი სოფლის ჩვენობის“) კონცეფციის შესაბამისად, ვახტანგი, ქრისტიანობის დოგმატების საპირისპიროდ, ამტკიცებს ადამიანის უბრალოებას და იმას, რომ ადამიანი „ჩვენს სოფელში“ ბედნიერების მიღწევისათვის მოწოდებული არსებაა. მთავარი ისაა, რომ ვახტანგის შეხედულებით მხოლოდ გონების ძალით და სიბრძნით შეიძლება ადამიანი ბედნიერი გახდეს:

„ავსა კაცსა ცოდნის სწავლა მის სიავეს გაუკარგავს“
(დასახ. თხზ., გვ. 139)
„სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე, ძვირფასი არის სახისა,
დაცემულთ მაღლა ამწევი, მადიდებელი გლახისა“
(იქვე, გვ. 140)

ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში განმანათლებლობის რეალისტური

კონცეფციის რაციონალიზმის მიმართულებით განვითარება უთუოდ პროგრესული მსოფლმხედველობის დამკვიდრებას მტკიცე საფუძველს უქმნიდა. ადამიანის გონების უსაზღვრო ძალის საკითხს ვახტანგი მრავალჯერ უბრუნდება.

„დაიქე თუ ხარ კარგვარად სწავლული, განაბრძენია
არც ბედისაგან მოგეცა, მამით არ შეგიძენია,
ვერცა მოგიშლის სიბერე, ვერც სიყრმე გამაძენია,
ვერცა წაგართმევს ბედი და ვერც ვისი მკლავ-სიგრძენია“.

(დასახ. თხზ., გვ. 137)

„ბრძენსა აქვს დიდი სიმდიდრე, არვისგან მისაღებელი
არცა დაბერდა და არც გაცვდა, არც არი შესაღებელი,
იმ საპურპლისა კლიტენი გაღებად გაუღებელი.
უხვობს და არა აკლდების სიუხვით წარსაგებელი“.

(დასახ. თხზ., გვ. 130)

განმანათლებლობის რეალიზმის რაციონალიზმის მიმართულებით განვითარება, ღვთაებრივი გამოცხადების დოგმის საპირისპიროდ, სინამდვილის მეცნიერული შემეცნების ფილოსოფიური წანამძღვრების შემუშავებას ფართო გზას უხსნიდა. მეცნიერული ცოდნის კანონიერერების აღიარების მიმართულებით ეს რაციონალური კონცეფცია მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. კითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს „ფილოსოფოსთა ბრძნობას“ (ამაში იგულისხმება, საერთოდ, ყოველგვარი ცოდნა სინამდვილის შესახებ) ვახტანგი უპასუხებს, რომ ამას ჭეშმარიტების შემეცნებისათვის აქვს მნიშვნელობა. ვახტანგი თავის თანამემამულეებს სინამდვილის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლებისაკენ მოუწოდებს.

„ჰკითხეს: რას ირგებ შენისა ფილასოფოსთა ბრძნობითა?
თქმა შემიძლია ყოველ კაცდაგან მართალი ენა ძნობითა!
ბრძენი სოკვდილსა არ ელტვის, მძლავრს ეტყვის სწორსა გრძნობითა,
არ იამების მართალი მარტო კაცს მისაგნობითა“

(დასახ. თხზ., გვ. 100)

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში ვახტანგ VI, ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანი, ათეიზმამდე და დეიზმამდე ვერ ამაღლდებოდნენ და არც ამაღლებულან. ამ პროგრესული მოაზროვნეებისათვის ქრისტიანული რელიგია ისევ რჩებოდა მსოფლმხედველობის საფუძვლად. მაგრამ ისე და იმ სახით (ამ სახის თავისებურებათა დადგენა ცალკე ფილოსოფიური გამოკვლევის საგანია), რომ იგი განმანათლებლობის რეალიზმის მიმართულებით იყო დაძლეული.

ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში განმანათლებლობის რეალისტური მსოფლმხედველობა მეტად მარტივი სახით გამოიყურება; მაგრამ ეს მარტივია მხოლოდ თანამედროვე მეცნიერების მოწინავე მეთოდოლოგიის შუქზე. ვ. ი. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ამა თუ იმ მოღვაწის, ამ თუ იმ მოაზროვნის პროგრესულობისა და რეაქციულობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა თანამედროვე თვალსაზრისით, არამედ იმის მიხედვით, თუ ამა თუ იმ მოაზროვნემ რა გააკეთა თავისი დროისათვის. სხვაგვარად შეუძლებელია ისტორიული გამოკვლევის წინაშე მდგარი ამოცანის გადაწყვეტა (იხ. В. И. Ленин—«От какого наследства мы отказываемся», соч,, т. 2. М., 1946).

ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, თუ ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში განმანათლებლობის რეალისტური მსოფლმხედველობა როგორ ქმნიდა მეცნიერული ცოდნის განვითარების წინამძღვრებს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეცნიერების წინსვლა გულისხმობს მეცნიერების ფილოსოფიური თეორიის განვითარებასთან ერთად საგნის ადეკვატური მეთოდის, საგნისათვის სპეციფიკური ლოგიკის საფუძველზე ცოდნის სისტემის აგებას.

როგორ იყო გადაწყვეტილი ვახტანგ VI-ის მოღვაწეობაში მეცნიერული ცოდნის განვითარების ამ ძირითადი წანამძღვრების საკითხები? ამის ნათელსაყოფად ისევ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში გაბატონებული იდეოლოგიაა გასათვალისწინებელი. მეცნიერების სფეროში ეკლესია აკანონებდა ღვთისმეტყველების სამსახურის დოგმატებს. ეფრემ მცირედან მოყოლებული, საქართველოში ის შეხედულება ბატონობდა, რომ ცოდნის ყოველი დარგის ამოცანას მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის დოგმატების მტკიცება წარმოადგენს, რომ ცოდნის ყოველი დარგი ღვთისმეტყველებას უნდა ექვემდებარებოდეს. ეფრემ მცირე ფილოსოფიური ცოდნის (იგულისხმება ყოველი დარგის ცოდნის) მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ ამ ცოდნით, „წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილასოფოსთა და მათითავე ისრითა განგურემდენ მათ".

ვახტანგ VI-ემ დაამკვიდრა თეოლოგიის სამსახურისაგან **ცოდნის დარგების ემანსიპაციის** მიმართულება.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პროგრესულობა იმაშია, რომ ის იღვწოდა მეცნიერული ცოდნის დარგების, როგორც **თავისთავადი** მნიშვნელობის მქონე დარგების, როგორც სინამდვილის შემეცნების დარგების განვითარებისათვის. ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე წინგადადგმული პროგრესული ნაბიჯი იყო... „საქართველო შეიმოსა მეცნიერებითა ახლითა"... (ანტონ ბაგრატიონი).

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის სახელთან არის დაკავშირებული რო-

გორც სინამდვილის შემსწავლელი, თავისთავადი მნიშვნელობის მქონე მეცნიერების დარგების განვითარება: ასტრონომიის, ქიმიის, მედიცინის, ისტორიოგრაფიის, ლექსიკოლოგიის და სხვ. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეს ემსახურება ვახტანგ VI-ის მიერ ქართული სტამბის დაარსებაც.

ანტონ ბაგრატიონი ასე ახასიათებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას: „ფრიად მოსწაფე იყო მეფე იგი (ვახტანგ VI — ა. ფ.), რათა მეცნიერებისა ნათლის მიმართ მიიზიდამცა სამეფოჲ თვისი; და ამის ზედა შემოწმების მთელი საქართველოჲ; რამეთუ უწყოდა საკვირველმან, რომელ მეცნიერებისა ახლისა შემოსითა მიიყუანდა ერსა თჳისსა მისადმი, რომელი მყოფ არს ნათელსა მიუწვდომელსა“ (ზურაბ შანშოიანის გრამატიკის ალ. ცაგარლისეული გამოცემა, 1891, გვ. XIII. ციტირებულია ქ. შარაშიძის შრომის — „პირველი სტამბა საქართველოში“ — მიხედვით).

პირველნაბეჭდი მეცნიერული შინაარსის ნაწარმოების — „აიათი ანუ ქმნულების ცოდნა“ — წინასიტყვაობაში ვახტანგი ადგენს, რომ „განმარტნეს ფილასოფოსთა მრავალ მეცნიერებანი და მათი სწავლანი“ (ციტირებულია ქ. შარაშიძის შრომის — „ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში“ — მიხედვით. იხ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, ტ. 1, თბ., 1937, გვ. 37). ამასთანავე ვახტანგი აღნიშნავდა „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა“.

ამასთან დაკავშირებით ვახტანგი იმითაა დაღონებული, რომ „სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ მათი ჩამორჩენილობის გამო“ (დასახ. თხზ.).

ვახტანგის მოღვაწეობას ამ მიმართულებით ის შეხედულება განსაზღვრავდა, რომლის მიხედვითაც ცოდნა სინამდვილის შესახებ უკვე „განმარტებულია“, მოპოვებულია და წარმოდგენილია ავტორიტეტულად მიჩნეულ წყაროებში. ამიტომ, ვახტანგს მთავარ ამოცანად ის მიაჩნდა, რომ ეს „განმარტებული“ ცოდნა მისაწვდომი გამხდარიყო იმ დროის განათლებული ქართველობისათვის.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის სამეცნიერო მოღვაწეობის პროგრესულობა ის არის, რომ იგი მიმართული იყო მეცნიერების როგორც სინამდვილის შესახებ თავისთავადი მნიშვნელობის ცოდნის გავრცელებისაკენ.

საქართველოში მეცნიერული აზრის განვითარების ამ საფეხურზე ჯერ კიდევ არაა შეგნებული, რომ ცოდნა სინამდვილის შესახებ მოსაპოვებელია და საძიებელია. იგი მეცნიერული მეთოდის საფუძველზე სინამდვილის უშუალო შესწავლის შედეგად შეიძლება იყოს მოპოვებული და არა ავტორიტეტულად მიჩნეული წყაროების გავრცე-

ლების გზით. მეცნიერული კვლევის მეთოდის საკითხების გარკვევის ცდის დასაწყისს მხოლოდ შემდეგ პერიოდში, ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობის ხანაში ვხვდებით. ვახტანგ VI სამეცნიერო მოღვაწეობის ისტორიული შეზღუდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ვახტანგისათვის უცნობი იყო მისი დროის მოწინავე მეცნიერება: კოპერნიკის (1543) მათემატიკურ-ასტრონომიული სისტემა, გალილეის (1632) მოძღვრება, ნიუტონის ფიზიკა და ა. შ. ვახტანგი მიმართავდა, მისი დროისათვის მოწინავე ბუნებისმეტყველებასთან შედარებით, მეტად ჩამორჩენილი ცოდნის შემცველ ირანულ-თურქულ-არაბულ წყაროებს.

ეს ასე მოხდა მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია (მ. თამარიშვილის მონაცემებით), ვახტანგ VI ასტრონომიას ასწავლიდა იტალიელი კათოლიკე მისიონერი. მაგრამ კათოლიკური ეკლესიის გზით საქართველომდე აღწევდა მხოლოდ ის ცოდნა, რაც ინკვიზიციის მიერ ნებადართული და მოწონებული იყო. არა მხოლოდ ვახტანგ VI-ის, არამედ უფრო გვიანი პერიოდის მოღვაწის ანტონ ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს იმისას, თუ XVII—XVIII საუკუნეებში ქართული ფსიქოლოგიური და მეცნიერული აზრის წარმომადგენლებს რის მიღება შეეძლოთ დასავლეთ ევროპის „კულტურასთან" კათოლიკური ეკლესიის გზით დამყარებული „კავშირით": ეს იყო ინკვიზიციის მიერ ნებადართული ფილოსოფია და მეცნიერება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მოწინავე ფილოსოფიურ და მეცნიერულ აზრთან.

სულ სხვა ვითარება შეიქმნა, როდესაც საქართველომ შინაგანი ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი გააბა რუსეთთან.

სულ სხვა გახდა იმ მოღვაწეთა (ანტონ ბაგრატიონი და სხვა) შეხედულებათა სისტემა და მათი შეხედულებების ისტორიული პერსპექტივები მას შემდეგ, რაც ისინი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ-ფილოსოფიური მეცნიერული აზრის მონაპოვრებს ეზიარენ და რუსეთის მოწინავე ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის მეშვეობით გაეცნენ XVII—XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ახალ მიმდინარეობებს ფილოსოფიასა და მეცნიერებაში.

ამ ისტორიულმა ფაქტებმა ისევ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პროგრესული მიმართულება გახადა ნათელი: ვახტანგ VI იყო ის დიდი მოღვაწე, რომლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსი რუსეთთან კავშირში მდგომარეობდა. ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება, მისი ბრწყინვალე მომავალი ამის გარეშე მას ვერ წარმოედგინა.

(ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", № 5, 1976)

ს. დოდაშვილი და ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარება საქართველოში

(დაბადების 150 წლისთავის გამო)

დიდი ქართველი მოაზროვნის ს. დოდაშვილის (1805-1836) მოღვაწეობასა და შემოქმედებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ს. დოდაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი დეკაბრისტების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ზეგავლენით ყალიბდებოდა. იგი 1832 წლის შეთქმულების პროგრესულ-რესპუბლიკურ ფრთას ეკუთვნოდა.

ს. დოდაშვილი — რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე დემოკრატიული იდეების დამნერგავი ჩვენში და ამ იდეებისათვის მებრძოლი — მეფის ხელისუფლებამ ვიატკაში გადაასახლა და იქვე გარდაიცვალა 1836 წელს.

ს. დოდაშვილი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ტრადიციებზე აღიზარდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1827 წ.) ის ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას ეწეოდა საქართველოში. ს. დოდაშვილის განმანათლებლობა გამსჭვალულია მოწინავე ფილოსოფიური, მეცნიერული და დემოკრატიული იდეებით.

ს. დოდაშვილი, როგორც განმანათლებელი, პოლიტიკური ბრძოლის წარმატების, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს განათლებაში ხედავდა. განათლების მნიშვნელობის შესახებ იგი წერდა: „განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილ მდგომარეობისა. ყოველმან უწყის, საზოგადოება, შემდგარი კეთილ აღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყაროდ საეროთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებელობისა“. განათლებას ს. დოდაშვილი არა წოდებრივი განსხვავების, არამედ ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისა და მისი როგორც მოქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სამსახურში აყენებდა. ს. დოდაშვილის

აზრით, განათლება სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ უმეცრებაა „სარწმუნო თანამგზავრი მონებისა“ („ივერია“, 1887 წ. № 228)

აღზრდა და განათლება მომავალ თაობაში ჭეშმარიტად ადამიანური ღირსების განვითარებას ემსახურება. „არა გუარითა იქების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვანად“ (იქვე). ადამიანები „სწავლისა შინა დიდკაცისა და მცირისა ერთნი არიან“, — წერს ს. დოდაშვილი. იგი იმ აზრისაა, რომ ადამიანი სწავლა-აღზრდის ნაყოფია. „განათლება გონებისა და განვითარებისა გულისა ხშირად შეცვლის ყოველადობასა კაცისასს“ (იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაწ. 11, 1944. ს. დოდაშვილის წერილები, გვ. 108).

მაგრამ ადამიანის ღირსების პატივისცემა, ადამიანის საკითხი ს. დოდაშვილისათვის მარტო პოლიტიკური ბრძოლისა და საგანმანათლებლო მოღვაწეობის საკითხი როდი იყო. ცნობილია, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის განვითარება XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში იმით ხასიათდება, რომ იგი განუყრელადაა დაკავშირებული პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებთან, ადამიანის როგორც მოქალაქის თანასწორობისა და თავისუფლებისათვის, მონობისაგან გლეხობის განთავისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკასთან. სწორედ მიუთითებდა პროფ ა. ანანიევი, რომ, მაგალითად, რადიშჩევის შემოქმედებაში ადამიანის საკითხის პოლიტიკური, ფილოსოფიური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დაყენება განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან, ამ ტრადიციების გაგრძელებას ვხვდებით ს. დოდაშვილის შემოქმედებასა და მოღვაწეობაშიც.

ადამიანის შესახებ მეცნიერების მეთოდოლოგიური საკითხები ს. დოდაშვილს ფილოსოფიური სისტემის ცენტრალური მომენტია. აქედან გასაგებია, რომ ამ სისტემაში გარკვეული ადგილი ექნებოდა დათმობილი ფსიქოლოგიას, როგორც ადამიანის შესახებ ცოდნის ერთ-ერთ დარგს. წინამდებარე წერილი ს. დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების, მისი ფილოსოფიური სისტემის ამ ერთ მხარეს ეხება. ფსიქოლოგიური ცოდნა პედაგოგიკური აზრის განუყრელი მომენტია. ამდენად, აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანი მასალა იქნება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს პედაგოგიური აზრის განვითარების შესწავლისათვის.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის სფეროში მწვავედ დადგა ფსიქოლოგიის ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები. მეტაფიზიკურ-რაციონალისტურ ფსიქოლოგიას (ანტონი და მისი სკოლა, იონა ხელაშვილი) დაუპირისპირდა მატერიალისტური-ემპირიულ-სენსუალისტური ფსიქიოლოგია (იოანე

ბაგრატიონი)[1] ფსიქოლოგიური ცოდნის შემდგომი განვითარება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად იქნებოდა დაძლეული და გადალახული ის ცალმხრიობა და შეზღუდულობა, რაც ამ მიმდინარეობებს ახასიათებდათ მატერიალისტური ფილოსოფიის მტკიცე ნიადაგზე ფსიქოლოგიური ცოდნის დაფუძნების საქმეში. იმის მიხედვით, თუ რა როლი შეასრულა ამ მიმართულებით ს. დოდაშვილის შეხედულებებმა, განისაზღვრება მისი ადგილიც ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. დოდაშვილს არ დასცალდა ჩამოეყალიბებია ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემა. მის ნაწარმოებებში წარმოდგენილია მხოლოდ ასეთი სისტემის აგების რამდენიმე ძირითადი პრინციპი. განვიხილოთ ს. დოდაშვილის ზოგიერთი შეხედულება ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებზე.

1. უწინარეს ყოვლისა, ერთი საკითხის გარკვევაა საჭირო. როგორც ცნობილია, რუსეთის ფილოსოფიის ისტორიის იდეალისტი მკვლევარები — რადლოვი, კოლუბოვსკი და სხვ. იმ მცდარ შეხედულებას გამოთქვამენ, რომ თითქოს ს. დოდაშვილი არსებითად კანტის ფილოსოფიის ნიადაგზე იდგა და კანტიანურ შეხედულებებს ავითარებდა. იმის გასაგებად, თუ რამდენად მართებულია ასეთი აზრი ს. დოდაშვილის ფსიქოლოგიურ შეხედულებათა შესახებ, ჯერ გავარკვიოთ კანტის შეხედულებანი ამ საკითხზე. კანტისათვის, ისე როგორც ყველა იდეალისტისათვის, ამოსავალი დებულებაა „მე ვაზროვნებ". მაგრამ დებულებიდან „მე ვაზროვნებ", კანტის აზრით, არ შეიძლება გამოვიყენოთ შესაძეცნებელი ობიექტის არსებობა, როგორც ამას სჩადის, ვთქვათ, რაციონალისტური ფსიქოლოგია. რაციონალისტური ფსიქოლოგია, კანტის აზრით, ასე მსჯელობს: „მე ვაზროვნებ", მაშასადამე, მე სუბიექტი, სული ვარსებობ. აქედან, რაკი აზროვნება და არსებობა ერთია, მე ისეთია, რომლის არსი აზროვნებაშია და ა. შ. ასე აიგება რაციონალური მოძღვრება სულის შესახებ. კანტის აზრით, ვისაც დებულებიდან „მე, ვაზროვნებ" გამოაქვს დასკვნა „მე"-ს როგორც შესაძეცნებელი საგნის არსებობის შესახებ, იგი შეცდომას სჩადის: როცა აზროვნების ლოგიკური სუბიექტის ადგილას ჩასვამს რეალურად მოაზროვნე სუბსტანციას, იგი „მე"- ჰიპოსტაზირებას ახდენს. კანტის მოძღვრების მიხედვით, „მე"-ს, პიროვნების თეორიული ფილოსოფიის საგნად წარმოდგენა ლოგიკური ჰიპოსტაზირებაა. ამრიგად, კანტის თეორიულ ფილოსოფიაში არ დარჩა

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. ფრანგიშვილი „ფსიქოლოგიური ცოდნათა სისტემა ანტონის „სპეკალში". სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 39, 1950.; მისივე, „მასალები ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიისათვის საქართველოში", კრებული „ფსიქოლოგია", ტ. VII, 1950 წ. და ფსიქოლოგიური ცოდნა იოანე ბაგრატიონის ნაწარმოებებში", კრებული „ფსიქოლოგია", ტ. IX, 1954. წ.

ადგილი ფსიქოლოგისათვის. მან რაციონალისტური ფსიქოლოგია — მოძღვრება სულის, შემეცნების სუბიექტის, „მე"-ს, პიროვნების შესახებ უარყო, ემპირიული ფსიქოლოგია კი არ ჩათვალა მეცნიერებად. ასეთია კანტის შეხედულებანი.

ასეთსავე მდგომარეობაშია თუ არა ფსიქოლოგია ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ სისტემაში? აქ, როგორც დავინახავთ, სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. სახელდობრ, ფსიქოლოგია არათუ გამორიცხული არაა თეორიული ფილოსოფიიდან, არამედ მის განუყოელ ნაწილად არის წარმოდგენილი. ს. დოდაშვილი წერს: „ფილოსოფიამ უნდა წარმოგვიდგინოს: 1. კანონები: a) აზროვნებისა, в) კანონები სულიერი ძალებისა საზოგადოდ — ლოგიკა და ფსიქოლოგია, 2. კანონები შემეცნებისა და შესამეცნებელის — მეტაფიზიკა ყველა მისი ნაწილებით, და ა. შ." („ლოგიკა, გვ. 12). ს. დოდაშვილის მიხედვით, ადამიანის „შინაგანი იდეალური ცხოვრება თავის თავში (SIC!) და თავის მოვლენებში" მუდმივ კანონებს ექვემდებარება („ლოგიკა", გვ. 14). „ჩუენ ვუწყით, რომელ თეორიასა აქუს ნაწილნი: ლოღიკა, ფსიხოლოღია და მეტაფიზიკა". ს. დოდაშვილი განმარტავს „ფსიხოლოღია სადა არს? თეორიას შინა. თეორია რაჲსათჳს არს სწავლა-კაცისა თავისთჳს, სადამცა იწყებიან ყოველნი ზრახუანი, რომელიცა არა დასაბამი ანუ ხატოვან დასაბამი ძალთა სულისათა და სხეულთა ძარღვთა („წერილები", გვ 133).

ამრიგად, კანტი და ს. დოდაშვილი საწინააღმდეგო შეხედულებისა არიან იმ საკითხზე, შეიძლება თუ არა შეტანილ იქნეს ფსიქოლოგიური ცოდნა თეორიულ ფილოსოფიაში, ე. ი. ფილოსოფიის იმ ნაწილში, რომელიც არის მოძღვრება შემეცნების შესახებ.

ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ს. დოდაშვილი ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებში კანტის იდეალისტური მოძღვრების საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავდა, რაც, თავის მხრივ, იმას მოწმობს, რომ ს. დოდაშვილი ადამიანის ცნობიერების, შემეცნების შესახებ პრინციპულად სხვა თვალსაზრისს ავითარებდა, ვიდრე კანტი და იდეალისტური ფილოსოფია.

2. ფსიქოლოგიის გამორიცხვა კანტის „ლოგიციზმზე" მიუთითებდა. კანტმა რეალური „მე"-ს, პიროვნების, სუბიექტის ნაცვლად თეორიულ ფილოსოფიაში ამოსავლად წამოაყენა რეალურ შინაარსს მოკლებული ცნება „აბსტრაქტული სუბიექტისა", „ცნობიერებისა საერთოდ" თავისი საყოველთაო და აუცილებელი აპრიორული „ფორმებით" და „კატეგორიებით", რომლებიც მოწყვეტილია ობიექტურ სინამდვილეს, კონკრეტული ისტორიულ-საზოგადოებრივი პრაქტიკის რეალურ სუბსტრატსა და მატერიას. ამ „ლოგიციზმში" ადვილი დასანახია იდეალიზმი. ლენინი წერს: „გონება, აზროვნება, ცნობიერება აქ პირველადია,

ხოლო ბუნება — მეორადი. გონება კი არ არის ბუნების ნაწილაკი, ერთ-ერთი მისი უმაღლესი პროდუქტი, მისი პროცესების ანარეკლი, არამედ ბუნებაა ნაწილაკი გონებისა, რომელიც თავისთავად იზრდება ჩვეულებრივი, უბრალო, ყველასათვის ცნობილი ადამიანური გონებიდან და, როგორც დიცგენი ამბობდა, „უჩვეულო" იდუმალ ღვთაებრივ გონებად იქცევა" (თხზ., ტ. 14, გვ, 197).

ამრიგად, კანტის ფილოსოფიურ მოძღვრებაში „არაადამიანური" გონებისა და ცნობიერების შესახებ თავისი აპრიორული „ფორმებითა" და „კატეგორიებით" ლენინი იდეალისტური ფილოსოფიისათვის ჩვეულ სიყალბეს ხედავდა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ამრიგად განასხვავეს იდეალისტური და მატერიალისტური წესი ცნობიერების საკითხის განხილვისა: „ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას. განხილვის პირველი წესის დროს გამოდიან ცნობიერებიდან, როგორც ცოცხალი ინდივიდიდან, მეორე წესით განხილვისას კი, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას შეესაბამება, გამოდიან თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდებიდან და განიხილავენ ცხოვრებას მხოლოდ როგორც მათს ცნობიერებას" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან", გვ. 25).

მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ არაადამიანური იდეა, არაადამიანური გონება, არაადამიანური ცნობიერება, შეგრძნება და ა. შ. არ არსებობს. ცნობიერება, გონება ადამიანამდე და ადამიანის გარეშე, როგორც ლენინი მიუთითებს, იდეალისტური თეორიების ნათხზავია, იდეალისტური ოინბაზობაა. მატერიალიზმი ამბობს, რომ პირველადია მატერია, ბუნება, ხოლო გონება არის მისი ნაწილაკი, „ერთ-ერთი მისი უმაღლესი პროდუქტი". ცნობიერების ბუნება არის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის მომენტი. ენგელსი მიუთითებს, რომ ადამიანის გონების განვითარების ყველაზე არსებითი და უახლოესი საფუძველი იყო ადამიანების მიერ ბუნების შეცვლა, და არა მარტო ბუნება, როგორც ასეთი. ადამიანის გონება ვითარდებოდა იმის შესაბამისად, თუ როგორ სწავლობდა ადამიანი ბუნების შეცვლას (ფ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა"). ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში" წერს, რომ ინსტინქტური ადამიანი, ველური არ გამოჰყოფს თავის თავს ბუნებისაგან, შეგნებული ადამიანი გამოჰყოფს თავის თავს ბუნებისაგან, და გონების კატეგორიები სხვა არაფერია, თუ არ ამ გამოყოფის საფეხურებიო („ფილოსოფიური რვეულები", გვ. 94). ლოგიკის ფიგურების შესახებ ლენინი იქვე წერს, რომ ადამიანის პრაქტიკა მილიარდჯერ განმეორების შედეგად ცნობიერებაში განმტკიცდება ლოგიკის ფიგურების სახით. გონების, ცნობიერების მოწყვეტა ჩვეულებრივი ადამიანის გონებისა და ცნობიერებისაგან მის „უჩვეულო", იდუმალ, ღვთაებრივ გონებად და ცნობიერებად აქცევდა.

თუ კანტის თეორიულ ფილოსოფიაში ფსიქოლოგიის გამორიცხვა „ლოგიციზმზე“ და, ამდენად, საკითხების განხილვის იდეალისტურ „წესზე“ მიუთითებდა, ს. დოდაშვილის თეორიული ფილოსოფიის სისტემაში ფსიქოლოგიური ცოდნის გათვალისწინება იმაზე მიუთითებს, რომ დოდაშვილი ცნობიერების საკითხების „განხილვის იმ წესს“ იზიარებდა, რომელიც, მარქსისა და ენგელსის თქმით, „ნამდვილ ცხოვრებას“ შეესაბამება, სახელდობრ, იმ წესს, რომელიც „გამოდის თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდიდან და განიხილავს ცნობიერებას მხოლოდ როგორც მათს ცნობიერებას“. ს. დოდაშვილი პირდაპირ წერს „ფილოსოფიაში შემმეცნებელი პირი და შემეცნების უმთავრესი საგანი ადამიანია. ფილოსოფია არის მეცნიერება **მთელი ჩვენი მოქმედების უკანასკნელი საფუძვლების შესახებ**“. „თავისი თავის შემეცნება სხვა არაფერია, თუ არა უნარი იმისა, რომ სწორედ ვიმსჯელოთ მთელ ქმედით ჩვენს ძალაზე“, გვქონდეს ცოდნა „ჩვენი აზრების, ცოდნათა და საქმეთა საკმაო მიზეზების შესახებ“ („ლოგიკა“, გვ. 11). ამრიგად, ს. დოდაშვილი ფილოსოფიის ამოცანად რეალური ადამიანის ცნობიერებისა და შემეცნების შესწავლას სახავს (იხ. ა. ქუთელია, ს. დოდაშვილი და მისი ლოგიკა, წინასიტყვაობა, ს. დოდაშვილის ლოგიკისადმი, გვ. LV). ის ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის მატერიალისტურ „წესს“ იცავდა

როგორც ს. დოდაშვილის ნაწარმოებთა შესწავლა გვარწმუნებს, იგი, მართალია, თეორიული ფილოსოფიის საკითხების განხილვის სწორ გზას დაადგა, მაგრამ ის თანმიმდევრულად ვერ განავითარა, ნამდვილი მოქმედი ადამიანის ბუნების გაგებამდე ვერ ამაღლდა, ვერ გაიგო ადამიანის ბუნება ისე, როგორადაც ის განპირობებულია „მწარმოებლური ძალებისა და მათი შესაბამისი ურთიერთობის განსაზღვრული განვითარებით“ (მარქსი). ის, რაც ლენინმა ჩერნიშევსკის ანტროპოლოგიზმის შესახებ თქვა, ს. დოდაშვილის მიმართაც შეიძლება გავიმეოროთ, ს. დოდაშვილის მიერ ფილოსოფიის ამოსავალ პრობლემად ადამიანის პრობლემის დასახვის შემთხვევაში ჩვენ მატერიალიზმის ამოსავალი პოზიციების „არაზუსტ და სუსტ აღწერასთან გვაქვს საქმე“.

3. ს. დოდაშვილის მიერ ფსიქოლოგიის გათვალისწინება ისეთი ფილოსოფიური სისტემის ნაწილად, რომლის ამოსავალ პრობლემად ადამიანის „აზრების, ცოდნათა და საქმეთა საკმაო მიზეზების“ შემეცნება იყო დასახული, საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობის გარდატეხას მოაწყვებდა. ეს ნიშნავდა ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების დაყენებას „ნამდვილად შინაარსიანი“ და „რეალური“ მეცნიერების გზაზე. ამ გზიდან აცდენდა მას არა მარტო მეტაფიზიკური რაციონალისტური

ფსიქოლოგია, არამედ თავისი დროისათვის მოწინავე ემპირიული, სენსუალისტური ფსიქოლოგიაც, რამდენადაც მას ფსიქოლოგიური ცოდნა, ბოლოს და ბოლოს, აბსტრაქტული ფუნქციების ანალიტიკურ ცოდნამდე დაჰყავდა.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიის როგორც ადამიანის შესახებ რეალური და შინაარსიანი ცოდნის განვითარებას ჩვენში ხელს უწყობდა ს. დოდაშვილის, როგორც განმანათლებლის მოღვაწეობა.

4. ფსიქოლოგია არ ნიშნავს ფსიქოლოგიზმს. ამიტომ ფსიქოლოგიის გათვალისწინება ფილოსოფიური ცოდნის სისტემაში ფსიქოლოგიზმი არ არის. როგორც ცნობილია, ლენინი იმ მეცნიერებათა შორის, რომელზედაც იგება შემეცნების თეორია და დიალექტიკა, ფსიქოლოგიასაც ასახელებს. ს. დოდაშვილის შეხედულებით, თეორიული ფილოსოფია, რაც ადამიანის შესახებ ცოდნად არის წარმოდგენილი, არ დაიყვანება ფსიქოლოგიურ ცოდნამდე. ს. დოდაშვილი ფსიქოლოგიურ ცოდნას განასხვავებს თეორიული ფილოსოფიის სხვა დარგების ცოდნისაგან.

„ლოგიკის" დასკვნითს პარაგრაფში ს. დოდაშვილი ასე წერს: „ეს მოკლე შინაარსი იმისა, რაც უნდა შეადგენდეს წმინდა ანუ საკუთრივ ეგრედ წოდებული ლოგიკის საგანს. იგი არ იკვლევს შემეცნებასა და ჭეშმარიტებას: ვინაიდან იგი არ არის მეტაფიზიკა... არ იკვლევს არც ცრურწმენასა და ვნებებს, როგორც შემეცნების ხელშემშლელთ: ვინაიდან იგი არ არის ფსიქოლოგია; არც, ბოლოს, ჭეშმარიტების დასაბუთებათა და მეცნიერების წყაროს გადმოცემას: ვინაიდან იგი განყენებულია ყოველი საგნისაგან და არ არის რიტორიკა" („ლოგიკა", § 42).

ამრიგად, ს. დოდაშვილის შეხედულებით, ფსიქოლოგია ვერ შეცვლის ვერც ლოგიკას, ვერც შემეცნების თეორიას — ჭეშმარიტების ძიებას და ა. შ. ის ფაქტი, რომ ს. დოდაშვილს პრინციპულ სიმაღლემდე აჰყავს განსხვავება, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური რწმენისა და „ცრურწმენის" და, მეორე მხრივ, ჭეშმარიტისა და შეუსაბამოს გნოსეოლოგიურ ცნებებს შორის, ნათლად მოწმობს, რომ დოდაშვილის შეხედულებებს არაფერი აქვს საერთო სუბიექტური იდეალიზმის შეხედულებებთან.

ს. დოდაშვილის „ლოგიკიდან" ზემოთ მოყვანილი ადგილი თითქოს იმას მოწმობს, რომ ს. დოდაშვილის მიხედვით ფსიქოლოგიური ძიება ფილოსოფიურისაგან იმით განსხვავდება, რომ ფსიქოლოგია იკვლევს ცნობიერებას, აზროვნებას, შემეცნებას როგორც რეალურ პროცესს, იკვლევს მოქმედებას, ინდივიდუალური ცნობიერების ფაქტს. ფსიქოლოგია არ ახასიათებს მათ ჭეშმარიტებისა და მცდარობის კატეგორიებში. ამასთანავე, თითქოს ისიც იგულისხმება, რომ ფსიქოლოგიის საგანი არ არის მოწყვეტილი ცნობერების, შემეცნების, აზროვნების ფილოსოფიური შესწავლისაგან. ამ რთული საკითხის შესახებ ს. დოდაშვილის

შეხედულებათა დაზუსტება, ს. დოდაშვილის იმ ნაწარმოებთა მიხედ-ვით, რომლებიც ჩვენს ხელთ არის, შეუძლებელია. ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რა მიმართულებით ექნებოდა რეალიზებული მას ის ზო-გადი მოსაზრებანი, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს გამო-თქმული, მას რომ ფილოსოფიური ცოდნის სხვა დარგების, მათ შორის ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემა ჩამოეყალიბებინა.

5. ს. დოდაშვილის ნაწერებში ფსიქოლოგიის საგნის შედარე-ბით ზუსტი განსაზღვრებებიც გვაქვს მოცემული. როგორც ჩანს, მას და იონა ხელაშვილს ჰქონიათ მსჯელობა საერთოდ სულის შესახებ — მეცნიერებისა და, კერძოდ ფსიქოლოგიის, როგორც სულის მეცნიერე-ბის შესახებ. როგორც ცნობილია, იონა ხელაშვილი სულის სუბსტან-ციურობისა და უკვდავების მისტიკურ-რელიგიურ შეხედულებას იცავ-და და სულს მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის საგნად სახავდა. ს. დოდა-შვილი ეწინააღმდეგება იონა ხელაშვილის ამ მავნე, ყალბ შეხედულე-ბებს და თავის წერილში ჯერ აყენებს კითხვას, თუ ფილოსოფიური ცო-დნის რომელ დარგს შეიძლება მიეკუთვნოს მოძღვრება სულზე, და ივ აზრს ავითარებს, რომ იგი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ფსიქოლო-გიას. ამის შემდეგ იგი კითხვას აყენებს თუ ფილოსოფიური ცოდნის რომელი დარგის ნაწილია ფსიქოლოგია და უპასუხებს, რომ ის არის თეორიული ფილოსოფიის, ე. ი. ფილოსოფიის იმ დარგის ნაწილი, რო-მელიც სინამდვილს ობიექტურ კანონზომიერებას ასახავს და წარმო-ადგენს „კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა". თუ ასეა, განაგრძობს მსჯელობას ს. დოდაშვილი, ობიექტური კანონების შესახებ მეცნიერული ცოდნის საგნად სული ვერ ჩაითვლება; ასეთად მხოლოდ ადამიანი შე-ეძლება იყოს მიჩნეული. კონკრეტული ფსიქოლოგიის საგანი, მისი აზ-რით, მხოლოდ ადამიანია. მოვიყვანოთ წერილის ტექსტი: „პსიხოლო-გია სად არს? თეორიას შინა? თეორია რაჲსათჳს არს სწავლა? კაცისა თავისთათჳს?" წინააღმდეგ იდეალისტური შეხედულებებისა, რომლებ-საც ადამიანი ცნობიერებასა და სულიერ ძალებზე დაჰყავთ, ს. დოდა-შვილი ადამიანის ცნებაში სულიერისა და სხეულებრივის განუყოფელ ერთიანობას გულისხმობს. იგი წერს: თეორია არის სწავლა „კაცისა თავისათვის, საიდამაცა იწყებიან ყოველი ზრახუანი: რომელიცა არს დასაბამი ანუ ხატოვან დასაბამი ძალთა სულისათა და სხეულის ძარღ-ვთა".

ადამიანი, ს. დოდაშვილის მიხედვით, როგორც რეალური მთლიანობა, ფსიქოლოგიის საგანია. სავარაუდოა, რომ ს. დოდაშვილი ადამიანის ფსიქოლოგიური შესწავლის თავისებურებას, განსხვავებით ფილოსო-ფიის სხვა დარგების ამოცანებისაგან, იმაში ხედავს, რომ ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანს, როგორც კონკრეტულ, რეალურ მთლიანობას. წინააღმდეგ იმდროინდელი ევროპის ფსიქოლოგიაში გაბატონებული

ატომიზმისა და ცალმხრივი ინტელექტუალიზმისა, ს. დოდაშვილი ფსიქიკური მოქმედების მეცნიერული შესწავლის პრინციპად აყენება შემეცნებითი, ემოციური და ნებელობითი პროცესების განუყოელ მთლიანობასა და ურთიერთმოქმედებაში შესწავლის პრინციპს.

ს. დოდაშვილის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკურ მოქმედებას გონების, გულისა და გრძნობის „ღარმონირებ მოქმედება“ ახასიათებს. ამ „ღარმონირებ მოქმედებაში“ იგი ერთიანობის სხეულებრივ საფუძველსაც გულისხმობდა: „გარნა ყოველივე ნაწილი იგი შეკრულ არიან ურთიერთშორის, ე. ი. გონება, გული და გრძნობა არიან ღარმონირებ მოქმედნი ანუ თანხმანი: მაგ. იზრახვს სული, იტყვის გული, რომელ რაიცა აქუნდა სულსა გრძნობისა მიერ მიღებული და ესრეთ. სულისა მოქმედებანი იწყებიან ტვინსა შინა. გარნა თჳთ სული არა ყოველგან და იქმნების ყოველთათჳს“. ამრიგად, სულიერი მოქმედებანი „იწყებიან ტვინსა შინა“, სულიერი მოქმედების საწყისი, საფუძველი ტვინია. სულიერი მოქმედების სხვადასხვა სახისა და მათი საწყისის — ტვინში მიმდინარე პროცესების ეი ასეთ ერთიანობას წარმოადგენს ადამიანი როგორც ფსიქოლოგიის საგანი. მხოლოდ ამ ერთიანობაში, „ღარმონირებ მოქმედებაში“, ს. დოდაშვილის აზრით, მდგომარეობს „სულიერობა“.

ს. დოდაშვილის კონცეფცია ფსიქიკურის შესახებ, ადამიანის ბუნების შესახებ სრულიად ნათლად უპირისპირდება სულის უკვდავების მისტიკურ-რელიგიურ შეხედულებას. სულიერი მოქმედების საწყისი ტვინია, — ამტკიცებს ს. დოდაშვილი. ფაქტია, რომ მისი აზრით, სულიერი ძალები ტვინის მოქმედებასთან ერთად ჩნდებიან და მისი მოქმედების შეწყვეტისთანავე მათი მოქმედებაც წყდება. ს. დოდაშვილის აღნიშნული შეხედულებანი ეხმაურებიან იმას, რასაც ამ საკითხებთან დაკავშირებით ამტკიცებდა XVIII ს. გამოჩენილი რუსი ფილოსოფოს-მატერალისტი რადიშჩევი.

ამგვარად, ს. დოდაშვილი, ანტონისა და იონა ხელაშვილის მეტაფიზიკურ-რაციონალისტური ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებს, რომ ფსიქოლოგიას არავითარ ზებუნებრივ ძალებთან არა აქვს საქმე. წინააღმდეგ იოანე ბაგრატიონის ემპირიული ფსიქოლოგიური შეხედულებებისა, ს. დოდაშვილი ამტკიცებს, რომ ფსიქოლოგიის საგანია ადამიანი მის „ღარმონირებ მოქმედებაში“ (როგორც ცნობიერების მოვლენებისა და მათი სხეულებრივი საფუძვლების ერთიანობა) და იგი შეიძლება შემეცნებულ იქნეს „თავის თავში და თავის მოვლენებში“. ს. დოდაშვილის ასეთი შეხედულებანი ფსიქოლოგიის საგნის შესახებ ახალი ნაბიჯი იყო წინ ჩვენში ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების საქმეში. აღნიშნული წანამძღვრებიდან გამომდინარე, გასაგებია, ს. დოდაშვილი იმ აზრს ავითარებს, რომ ადამიანის ბუნება და მისი მოქმე-

დება ობიექტურ კანონებს ექვემდებარება. იგი წერს: „გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ნაწილი ადამიანის შედგენილობაში, თუნდაც ერთი მოქმედება ამ მცირე სამყაროსი, რომელიც მუდმივ კანონებს არ ექვემდებარებოდეს. მისი შინაგანი იდეალური ცხოვრება თავის თავში და თავის მოვლენებში ისევე, როგორც ორგანული და ცხოველური არსებობაც, აუ შეიძლება და არც უნდა იყოს შეუწყობელი უწესრიგოდ" („ლოგიკა", გვ. 14).

ამრიგად, ს. დოდაშვილი ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემის აგებას მოითხოვს დეტერმინიზმის პრინციპის განუხრელად განხორციელების საფუძველზე.

6. ჩვენ ზეოთ წარმოვადგინეთ ს. დოდაშვილის ის შეხედულებანი ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც მას გამოთქმული ჰქონდა უშუალოდ ფსიქოლოგიის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ს. დოდაშვილის ნაწერებში ვხვდებით ისეთ შეხედულებებსაც, რომლებიც მას უშუალოდ ფსიქოლოგიის საკითხებთან არ დაუკავშირებია, მაგრამ რომლებიც არსებითად ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ საკითხებს აშუქებენ. ჩვენ ვეცდებით, რამდენადმე მაინც, ს. დოდაშვილის ასეთი შეხედულებებიც განვიხილოთ. როგორც ცნობილია, რაციონალისტური და ემპირიული ფსიქოლოგიის ცალმხრიობას, მის უძლურებას — გაერკვია ფსიქიკურის კანონის არსი და მისი შესწავლის გზები, არსებითად საფუძვლად ედო ყალბი შეხედულებანი კერძოსა და ზოგადის, მოვლენისა და კანონის შესახებ. ამ საკითხების გარკვევისას ს. დოდაშვილი უდავოდ მატერიალისტურ თვალსაზრისს იცავდა და, ამდენად, სწორ გზას სახავდა ფსიქოლოგიური აზრის განვითარებისათვის, რაციონალური და ემპირიული ფსიქოლოგიის შეცდომათა დაძლევისა და გადალახვის მიმართულებით.

ს. დოდაშვილი, მართალია, ვერ მიწვდა ზოგადისა და კერძოს დიალექტიკური კავშირის არსს, მაგრამ მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ იგი ამტკიცებს: ზოგადი და კერძო რეალურად აქვთ სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს და ობიექტურად არსებობენო.

ს. დოდაშვილის შეხედულებებს ანალიზისა და სინთეზის ერთიანობის შესახებ ასევე უშუალო კავშირი აქვს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, მეთოდოლოგიურ საკითხებთან. ს. დოდაშვილი წერს: „ანალიზური მსჯელობა გულისხმობს სინთეზურს; ეს უკანასკნელი შეუძლებელია სასარგებლო იყოს პირველის გარეშე და ორივე აუცილებელია შემეცნებისათვის" („ლოგიკა", გვ. 44 იხ. Г. Каландаришвили, Очерк по истории логики в Грузии, გვ. 124).

ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების, არსებობა შეუძლებელი იქნება, თუ სუბიექტის, როგორც მთლიანობის, თავისებურებანი იმთა-

ვითვე მოცემულად იქნება ნაგულისხმევი, როგორც ამას „სინთეზური“, იდეალისტური ფსიქოლოგია ამტკიცებს.

ს. დოდაშვილი ანალიზისა და სინთეზის ერთიანობის შესახებ იმ შეხედულებას ავითარებს, რომელიც შუქს ჰფენს მთლიანის მეცნიერული შემეცნების გზებს. ს. დოდშვილის შეხედულებით, მთლიანი არ არის იმთავითვე მეტაფიზიკურად მოცემული; იგი თავისებურებაა, მაგრამ თავისებურება ანალიზისათვის მოცემულ ელემენტთა ერთიანობისა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. დოდაშვილის კონცეფცია ცნობიერების შესახებ, კონცეფცია, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება ცნობიერების სუბიექტივისტურ-ინტროსპექტულ კონცეფციას. დეკარტეს აზრით ცნობიერება — ეს თვით ცნობიერებაა და არ ეხება ცნობიერების გარეშე არსებულ საგანს. ამრიგად, დეკარტეს კონცეფციით იგულისხმება, რომ ცნობიერება ამომწურავად განისაზღვრება თავისი დამოკიდებულებით თავის თავისადმი. ამის მიხედვით, ფსიქიკური უნდა შესწავლილიყო მხოლოდ მისი სუბიექტისათვის მოცემულობის ფარგლებში, ე. ი. როგორც წმინდა სუბიექტური სინამდვილე.

ს. დოდაშვილს ცნობიერების სულ სხვა კონცეფცია აქვს. „ცნობიერება, როგორც განსხვავება თავისი თავისა საგნებისაგან და თვით საგნებისა ერთმანეთისაგან, გულისხმობს: 1. იმ არსების მყოფობას, რომელიც იცნობს თავის თავს ან შეიცნობს; 2. შეცნობილი საგნის მყოფობას; 3. მათ ურთიერთ დაპირისპირებას. ამრიგად, შემეცნების ყოველ საფეხურზე ერთობლივ იმყოფება საგანიც და სულიერი მთელიც; ყოველი წარმოდგენა შინაგანი და გარეგანი სამყაროს ნაწილებია“ („ლოგიკა“, გვ. 29).

ამ შეხედულებიდან ის გამომდინარეობს, რომ ცნობიერება არის განსხვავება „თავისი თავისა თავისი საგნებისაგან“. მაშ, ცნობიერება გაშუალებულია, როგორც იტყვიან, თავისი დამოკიდებულებით ობიექტურ საგნებთან და ამიტომაც ამ დამოკიდებულების საფუძვლით უნდა განისაზღვროს. ცნობიერება სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობაა. მაშ, ობიექტურთან მიმართების გარეშე არ არსებობს გაცნობიერება. ს. დოდაშვილი ძალიან შორსაა ობიექტ-სუბიექტის აქტიური, პრაქტიკული ურთიერთზემოქმედების არსში ჩაწვდომისაგან, მაგრამ მის კონცეფციაში ცნობიერების შესახებ მნიშვნელოვნად დაძლეულია ცნობიერების იდეალისტური სუბიექტურ-ინტროსპექტული კონცეფცია.

მიუხედავად იმისა, რომ ს. დოდაშვილმა ზოგად ფორმულებში, ასე თუ ისე, სწორად ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიური მეცნიერების ზოგიერთი პრინციპი, მან ამ პრინციპების რეალიზაციისას მაინც ვერ შეძლო თანმიმდევრულად დაეცვა მატერიალისტური ხაზი. ს. დოდაშვილი ვერ ჩაწვდა ადამიანის ცნობიერების ნამდვილ ბუნებას, მის დამოკიდებულებას ადამიანის საზოგადოებრივი პირობებისაგან, ადამიანის საწარ-

მოო მოქმედებისაგან, ვერ ამაღლდა დიალექტიკურ-მატერიალისტურ მონიზმამდე, ვერ ჩაწვდა ნამდვილ ბუნებას დიალექტიკური გადასვლისას შეგრძნებიდან აზროვნებისაკენ, კერძოსა და ზოგადის ერთიანობის დიალექტიკურ არსს და სხვ.

ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ ჭეშმარიტი მეცნიერების განვითარების მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძველი მხოლოდ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა შექმნა. ამ წანამძღვრების საფუძველზე მოწინავე ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარება შესაძლებლი გახდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობებში.

შდრ. Психологические воззрения С. Додашвили — А. С. Прангишвили, журн. „Вопросы психологии", № 3, с. 128—133, 1960.

დ. უზნაძის თეორიის განვითარების სათავეებთან

განწყობის თეორიამ გაიარა თავისი შინაგანი განვითარების ეტაპები. განვიხილოთ განწყობის თეორიის განვითარების დასაწყისი ეტაპის ზოგიერთი საკითხი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდანვე, 1918 წ., მის სისტემაში ჩამოყალიბდა პედაგოგიური ფაკულტეტი, რომელშიაც შედიოდა ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის განყოფილებები. ფსიქოლოგიის კათედრასა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორიას განაგებდა პროფესორი დ. უზნაძე, ფილოსოფიის კათედრას კი პროფესორი შ. ნუცუბიძე. ფსიქოლოგიის კათედრა ამუშავებდა „ქვეფსიქიკურის" („ბიოსფერული ფსიქოლოგიის") თეორიას (დ. უზნაძე), ფილოსოფიის კათედრა კი „ალეთოლოგიური რეალიზმის" ფილოსოფიური კონცეფციის საკითხებს (შ. ნუცუბიძე).

ფსიქოლოგიის დარგში მეცნიერული მუშაობა ერთხანს მოწყვეტილი იყო მარქსიზმისაგან. 20-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ფსიქოლოგიური მეცნიერების შეგნებულად აგებისათვის ძლიერი მოძრაობა. პროფ. ა. ლეონტიევი შენიშნავს, რომ ამ პერიოდში შესრულებულ შრომებში ჯერ კიდევ გაუხსნელი რჩებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის მრავალი იდეა და ცნება, რომელიც ფსიქოლოგიისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე იყო. მარქსიზმის მნიშვნელობა ფსიქოლოგიისათვის უფრო სრულად იყო გაგებული მხოლოდ 30-40-იანი წლების შრომებში (ლ. ვიგოტსკი, ა. ლეონტიევი, ს. რუბინშტეინი, დ. უზნაძე).

მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის აგების ამოცანასთან დაკავშირებით 20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დასაწყისში ფართო დისკუსიები გაიშალა ფსიქოლოგიის ძირითად თეორიულ საკითხებზე.

1929 წელს შედგა რეფლექსოლოგიისადმი მიძღვნილი დისკუსია, რომელმაც საბოლოოდ დაგმო რეფლექსოლოგიის პრინციპები.

20-იან წლებში საბჭოთა ფსიქოლოგიაში გაბატონებული იყო ინტროსპექტული ფსიქოლოგიისა და ბიჰევიორიზმის სინთეზის კონცე-

ფცია. თავის შრომებში საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარებისათვის ამ გზას სახავდა კ. კორნილოვი. 1930-1931 წლებში მოეწყო რექტოლოგიური დისკუსია, რომელმაც უარყო კ. კორნილოვის კონცეფცია და ა. შ.

30-იანი წლების დასაწყისში საქართველოშიაც ჩატარდა დისკუსია „ბიოსფერული ფსიქოლოგიის" დ. უზნაძისეული კონცეფციის საკითხებზე. დ. უზნაძეს 20-იანი წლების დასაწყისში ეს კონცეფცია არ წამოუყენებია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ფსიქოლოგიის შეგნებულად აგების ამოცანის გადასაწყვეტად. დისკუსია მიმდინარეობდა საქართველოს სსრ ცაკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გაერთიანებულ სხდომებზე, 1931 წელს, მაისში [1].

საქართველოს სინამდვილეში პირველად ამ დისკუსიაზე იყო განხილული ფსიქოლოგიური მეცნიერების პრობლემების მარქსისტული გაშუქების ამოცანები. „ბიოსფეროს", „ქვეფსიქიკურის" როგორც ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენების გამაშუალებელი ნეიტრალური სუბსტანციის შესახებ დ. უზნაძის თეორია ზემოაღნიშნულ დისკუსიასა და ჩემს ზემოდასახელებულ წერილშიაც გაკრიტიკებული იყო როგორც არამარქსისტული კონცეფცია.

სავსებით სწორად აღნიშნავს ა. სმირნოვი ფსიქოლოგიის საკითხებზე 20-30-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული დისკუსიების შესახებ: „მართალია 20-30-ანი წლების დასაწყისში ჩატარებულ დისკუსიებზე ცალკეული კრიტიკული მიდგომები და საწინააღმდეგო გამოსვლები, მიმართულნი რიგი საბჭოთა ფსიქოლოგების მიმართ, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ა რ ი ყ ო ს ა კ მ ა რ ი ს ა დ დ ა ს ა ბ უ თ ე ბ უ ლ ი დ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი, მ ა ი ნ ც ა მ პ ე რ ი ო დ ი ს მ თ ე ლ ს დ ი ს კ უ ს ი ა ს უ დ ი დ ე ს ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა ს ა ბ ჭ ო თ ა ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს შ ე მ დ გ ო მ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. მ ა ნ გ ა მ ო ა ვ ლ ი ნ ა ძ ი რ ი თ ა დ ი შ ე ც დ ო მ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც ც ა ლ კ ე უ ლ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ე ბ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ მ ა ი მ დ რ ო ს დ ა უ შ ვ ე ს, გ ა მ ო ი წ ვ ი ა მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ-ლ ე ნ ი ნ უ რ ი თ ე ო რ ი ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ მ ე ტ ა დ ფ ა რ თ ე დ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი დ ა უ ფ ლ ე ბ ა, დ ა ს ა ხ ა, დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე, ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მ რ ა ვ ა ლ ი პ ი რ ვ ე ლ ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი პ რ ო ბ ლ ე მ ი ს დ ა დ ებ ი თ ი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა, ძ ი რ ი თ ა დ ა დ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ს ა ბ ჭ ო თ ა ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს შ ე მ დ გ ო მ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ი ს გ ზ ა" (А. А. Смирнов, „Разви-

---

[1] იხ. ვ. ფრანგიშვილი, „იდეალისტური ფსიქოლოგიის ერთი სისტემის შესახებ (დ. უზნაძის „ბიოსფერული ფსიქოლოგია")" — ჟურნ: „კომუნისტური აღზრდისათვის", 1932, № 5—7, № 8—9, თბილისი.

тие и современное состояние психологической науки в СССР", М., 1975, с. 184).

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში „ბიოსფერული ფსიქოლოგიის" შესახებ ჩატარებული დისკუსიის შესახებაც.

20-იანი წლებისა და 30-იანი წლების დასაწყისში ფსიქოლოგიის მარქსისტული თეორიის საკითხები ჯერ კიდევ საკმარისი სიღრმით ვერ შეისწავლებოდა, ამიტომ ბიოსფეროს, ქვეფსიქიკურის დ. უზნაძისეული კონცეფციის ცალკეული დებულებების ისტორიული პერსპექტივები მაშინდელ დისკუსიაში სრულიადაც არ ჩანდნენ. მხოლოდ მომდევნო პერიოდში, მარქსისტული ფსიქოლოგიის თეორიის საკითხების შესწავლისას მიღწეული წარმატებების შედეგად, ნათლად გამოიკვეთა დ. უზნაძის ადრეული ფსიქოლოგიური კონცეფციის რიგი ფუნდამენტური დებულებების მნიშვნელობათა ფართო ისტორიული პერსპექტივები.

თუ როგორ წარიმართა დ. უზნაძისა და მისი სკოლის ძიებები საბჭოთა ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის, ამის შესახებ ნათელი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ თუ გავითვალისწინებთ როგორ არის გაშუქებული საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემები (მაგალითად, ფსიქო-ფიზიკური კაუზალობის პრინციპის, არაცნობიერი ფსიქიკურის და სხვა პრობლემები) დ. უზნაძის მონოგრაფიაში — „განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები" (1949 წ.) და მის მიერ შედგენილ ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში, რომელიც გამოვიდა 1934-1940 წლებში და ა. შ.

ადრეულ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის მიერ გამოქვეყნებული შრომების შედეგების ისტორიული პერსპექტივის გამოვლინებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა თვით დ. უზნაძისა და მისი ხელმძღვანელობით შესრულებული გამოკვლევების შედეგებმა. მომდევნო წლებში შესრულებულ გამოკვლევებში, მეცნიერულ-ექსპერიმენტულ მონაპოვართა მონაცემების მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე, გადმოცემული იყო ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრინციპების ახლებური გაშუქება.

„ქვეფსიქიკურის" კონცეფციის ზოგადი დებულებების ისტორიული პერსპექტივის საკითხების გასაშუქებლად ქვემოთ განვიხილავთ ჩვენ მიერ უკანასკნელ ხანს და უზნაძის პირად არქივში მიკვლეულ მის რეცენზიას შ. ნუცუბიძის სადოქტორო დისერტაციაზე- Waheit und Erkentnisstruktur, Berlin - Leipzig, 1926. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის დაცვაზე დ. უზნაძე გამოჰყო ოფიციალურ ოპონენტად. დ. უზნაძის პირად არქივში რეცენზიასთან ერთად აღმოჩნდა

მისი ჩანაწერები ამ დისერტაციასთან დაკავშირებული პაექრობისათვის.

რეცენზიაში, პირველ ყოვლისა, დ. უზნაძის ადრეული შეხედულებები მოცემულია სპეციფიკურ ასპექტებში, რაც საგულისხმო მასალას იძლევა განწყობის თეორიაში მოქმედების სუბიექტის ცნების შემუშავების წინა ისტორიის დასადგენად.

გარდა ამისა, შ. ნუცუბიძის სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებული დისკუსია იმ შემოქმედებითი კავშირების ნათელ სურათს წარმოგვიდგენს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის არსებობის დასაწყის პერიოდში ფსიქოლოგიისა (დ. უზნაძე) და ფილოსოფიის (შ. ნუცუბიძე) კათედრებს შორის არსებობდა.

დ. უზნაძე თავის რეცენზიაში „ალეთოლოგიური რეალიზმის" ფილოსოფიურ კონცეფციას განიხილავს სხვადასხვა პოზიციებიდან, მათ შორის, „ქვეფსიქიკურის" შესახებ თავისი ფსიქოლოგიური კონცეფციის თეორიული პოზიციებიდანაც. ამასთან დაკავშრებით გამოთქმული მოსაზრებები, როგორც აღვნიშნეთ, სპეციფიკური ასპექტით წარმოგვიდგენენ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ საკითხებზე დ. უზნაძის მაშინდელ შეხედულებებს და გვაძლევენ 20-იან წლებში დ. უზნაძის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში წარმოდგენილი ზოგიერთი პრინციპული მნიშვნელობის მქონე შეხედულებების ახლებურად შეფასების შესაძლებლობას.

მეტად საგულისხმოა დ. უზნაძის მოსაზრებები ალეთოლოგიური რეალიზმის ძირითადი კატეგორიების — „ჭეშმარიტება თავისთავად" (Wahrheit an sich) და „არსებულზე ზეწარმატებული" (Mehr-ais-sein) შესახებ. დ. უზნაძე აღნიშნავს ფსიქოლოგიური თეორიისათვის მათ მნიშვნელობას. ამ უკანასკნელ ცნების შესახებ ის პირდაპირ აცხადებს, რომ ეს ცნება იმავე მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც მის კონცეფციაში „ბიოსფეროს", „ქვეფსიქიკურის" ცნება.

ჩვენ შორსა ვართ „ალეთოლოგიური რეალიზმის" ფილოსოფიური კონცეფციის სისტემატური განხილვის პრეტენზიისაგან. კატეგორიები — „ჭეშმარიტება თავისთავად" და „არსებულზე ზეწარმატებული" ვეცდებით განვიხილოთ მხოლოდ იმ კონტექსტში და იმის მიხედვით, როგორიცაა იგი წარმოდგენილი დ. უზნაძის რეცენზიაში. ამიტომაც, შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური კონცეფციის გათვალისწინებისას ჩვენ მივყვებით ამ მოძღვრების დალაგებას დ. უზნაძის აღნიშნულ რეცენზიაში.

შ. ნუცუბიძე თავის შრომაში, იკვლევს რა ჭეშმარიტების თეორიასა და შემეცნების სტრუქტურას, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს ნამდვილი ფილოსოფიის ამოსავალი დებულებების დადგენას. ის ხაზს უსვამს, რომ ფილოსოფია (სოკრატე, დეკარტი, კანტი, ჰეგელი და ა. შ.) ყოველთვის მიისწრაფოდა მოენახა ასეთი ამოსავალი პუნქტი. შ. ნუ-

ცუბიძის თქმით, ნამდვილი ფილოსოფიური აზრი ყოველთვის ესწრაფოდა მსოფლმხედველობაში ყოველივე „ადამიანისეულის“ გადალახვას, არა მარტო ფსიქოლოგიზმისა, არამედ უფრო ფართოდ, საერთოდ, ანთროპოლოგიზმის დაძლევას.

შ. ნუცუბიძეს იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა გვესმოდეს „ადამიანური“, რომელიც ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ უნდა გადალახოს, შემოაქვს ორი ცნება: „სპეციფიკურ ადამიანური“ და „სპეციალურ ადამიანური“. „სპეციფიკურ ადამიანურია“ ყოველივე ის, რაც ადამიანის ბუნებითაა განსაზღვრული და მისგან გამომდინარეობს. „სპეციალურ ადამიანურის“ ცნება კი იმას გამოხატავს, რაც სპეციფიკურ“ პირობებში იღებს „ადამიანურის სახეს“. მაგალითად, შეცდომა განეკუთვნება „სპეციფიკურ ადამიანურის“ სფეროს. იგი არ გამომდინარეობს ადამიანის ბუნებისაგან და ჩნდება მხოლოდ სპეციფიკურ პირობებში: უცოდინარობის, მსჯელობის მანკიერების შემთხვევაში და ა. შ.

ფილოსოფიური აზრის მისწრაფება ამოსავალი პუნქტის ძებნისაკენ არსებითად მიმართული იყო ისეთი დებულების დადგენისაკენ, რომელიც თავისუფალი იქნებოდა „სპეციფიკურ ადამიანურისაგან“. შ. ნუცუბიძე ამტკიცებს, რომ ფილოსოფიამ ვერ მონახა ისეთი დებულება, რომელიც ყოველთვის ძალის მქონე იქნებოდა, იმის მიუხედავად, სპეციფიკურ ადამიანურის თვალსაზრისით ჭეშმარიტად თუ შეცდომად იქნებოდა იგი ჩათვლილი. შ. ნუცუბიძის მიხედვით ამ მიმართებით შესაძლებელია. წარმატება, თუ ფილოსოფიის მეთოდი, საერთოდ, ფილოსოფიური გამოკვლევა განთავისუფლდება ყოველივე იმისაგან, რაც „სპეციფიკურად ადამიანურისაგან“ მიმდინარეობდა. ამის მიხედვით სპეციფიკურ ადამიანური ახლოს დგას ტრანსცენდენტალურის ცნებასთან. შემეცნება ექვემდებარება ტრანსცენდენტალურის პირობებს, ამდენად ადამიანურისათვის არ არსებობს შემეცნება ამ პირობის გარეშე. მთელი ტრანსცენდენტალური ფილოსოფია სპეციფიკურ ადამიანურის საფუძველზეა აგებული. შ. ნუცუბიძის შეხედულებით იგივე მდგომარეობაშია ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია თავისი „წმინდა ცნობიერებით“. „წმინდა ცნობიერება“ მაინც ცნობიერებაა, არც ფენომენოლოგიაა განთავისუფლებული „სპეციფიკურ ადამიანურისაგან“. ამრიგად, გამოდის, რომ ფილოსოფია დღემდე სპეციფიკურ ადამიანურია ფარგლებში დარჩა. მაგრამ, ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი სპეციფიკურ ადამიანურისაგან განვითარებული უნდა იყოს.

შ. ნუცუბიძის შეხედულებით, სპეციფიკურ ადამიანურის სფეროს მიეკუთვნება ლოგიკურს, ლოგიკურის სფერო კი წინააღმდეგობათა სფეროს. ამიტომ, ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ლოგიკის გარეშე, ე. ი. ჭეშმარიტება — შეცდომის რელაციის გარეშე. არ შეიძლება ფილოსოფიის ამოსავალი დებულებების ლოგიკური გზით

ზამოყვანა. ამ გზით იგი მიუწვდომელია. აქედან ცხადია, რომ ფილოსოფიური აზროვნების ნამდვილი ამოსავალი პუნქტი წინ უსწრებს ლოგიკურს. ამიტომ ფილოსოფიის საძიებელი ამოსავალი პუნქტი მიეკუთვნება წინარელოგიკურის (Vorlogische) სფეროს, რომელიც ჭეშმარიტება-შეცდომის წინააღმდეგობათა გარეშე დგას. ასეთ სფეროდ შ. ნუცუბიძეს „ჭეშმარიტება თავისთავადის" არე მიაჩნია. ავტორი განასხვავებს წინარელოგიკურს, მეტალოგიკურს და ტრანსცენდენტალოგიკურს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია იმის ხაზგასმა, რომ შ. ნუცუბიძის მიხედვით წინარელოგიკური ის სფეროა, რომელიც ლოგიკურის აუცილებელი პირობაა. წინარელოგიკური კი ყოველი დაპირისპირების გარეშე დგას და ჰო-არას მიმართებას არ ექვემდებარება.

„ალეთოლოგიური რეალიზმის ძირითადი დებულება — წერს დ. უზნაძე — „წინარელოგიკურისა" და „ჭეშმარიტება თავისთავადის" ცნებების სისტემატური მნიშვნელობის მტკიცებაში მდგომარეობს".

შ. ნუცუბიძე „ჭეშმარიტება თავისთავადის" ცნებას არკვევს შემცდარი მსჯელობის მაგალითზე. მსჯელობა შეიძლება შემცდარი იყოს, მაგრამ თვით მსჯელობის პროცესი (das Urteilen), როგორც ამგვარობის, გარკვეულობის (Soseinstatsache) ფაქტი, ურყევია, მიუხედავად იმისა მსჯელობა შინაარსის მიხედვით ჭეშმარიტია თუ შემცდარი. შემცდარი მსჯელობა, როგორც მსჯელობის ფაქტი, თავისთავად ჭეშმარიტია. შეცდომის ფაქტის ამგვარად არსებობის ჭეშმარიტებას არ მიუდგება გამოთქმები: სწორი და შემცდარი. ამგვარი ჭეშმარიტების მიგნებით აღმოჩენილია ახალი არე, რომელიც ყოველგვარ წინააღმდეგობათა გარეშე არსებობს. სპეციალურ მეცნიერებაში სწავლობენ არსებულს, ხოლო ალეთოლოგია — ამ არსებულის ჭეშმარიტებას. ახლა გასარკვევია, როგორ გავიგოთ დ. უზნაძის მხრივ „ჭეშმარიტება თავისთავადის" ცნების დადებითი შეფასება.

დ. უზნაძე წერს — „არაა საეჭვო, რომ ყველაფერი რაც არის არის ისე, როგორც არის... არსებული გაკვეულია, ეს ყოველი შემეცნების უპირველესი წინამძღვარია და მის გარეშე შემეცნების ფაქტი შეუძლებელი იქნებოდა".

„ჭეშმარიტება თავისთავადის" ცნებაში, უნდა ვიფიქროთ, დ. უზნაძისათვის განსაკუთრებით საგულისხმო ის იყო, რომ იგი მიჩნეულია შემეცნების პირობადაცა და შემეცნების მიზნადაც. შ. ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ ყოველი შემეცნება გარკვეული წინამძღვრებიდან ამოდის; შემეცნება ყოველთვის არის ცნობილიდან უცნობზე გადასვლის პროცესი. წინასწარული ცოდნა მოცემული უნდა იყო იმისათვის, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იქნეს შემეცნების შემდგომი საფეხურის აგება. ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციაში შემეცნების შე-

საძლებლობის ასეთ პირობად წარმოდგენილია „ჭეშმარიტება თავისთავად“: რომ არსებული გარკვეულია, არსი არა მარტო არსის სახით, არამედ გარკვეული არსის სახით არსებობს, არსებული არა მხოლოდ არსებულია, არამედ გარკვეულად არსებულია. ეს „წინასწარული“ „ჭეშმარიტება თავისთავად“ არსის გარკვეულობა ყოველგვარი შემეცნების უპირველეს წინამძღვრადაა მიჩნეული. ითვლება, რომ ამის გარეშე შემეცნება შეუძლებელია.

„ჭეშმარიტება თავისთავადიდან“ (როგორც შემეცნების პირობის) გამომდინარე შ. ნუცუბიძე ავითარებს თავის კონცეფციას შემეცნების ორდიმენსიალობის შესახებ. შემეცნების ორდიმენსიონალობა შემდეგნაირადაა გაგებული. შემეცნება, თანახმად შ. ნუცუბიძის კონცეფციისა, ერთდროულად როგორც პროგრესული, ისე რეგრესული პროცესიცაა. რამდენადაც შემეცნების პროცესში ადგილი აქვს უცნობი საგნის შემეცნებას, ეს პროცესი წინ მიმართულია, პროგრესულია. ამ მიმართულებით მოძრაობისას ადგილი აქვს შესამეცნებელი საგნის სულ ახალი და ახალი მხარეების აღმოჩენას. საქმე ისაა, რომ შემეცნებაში წინსვლის მომენტი მხოლოდ შემეცნებელი სუბიექტის პოზიციებიდან წარმოჩინდება. მაგრამ, შემეცნებას აქვს სხვა განზომილებაც — რეგრესული მიმართულებაც, შემეცნების პროცესის დაწყებამდე არსის გარკვეული არსის სახით არსებობა. ე. ი. „ჭეშმარიტება თავისთავად“ შემეცნების პირობაა, იგი მოცემულია როგორც შემეცნების პირველსაწყისი (in der Art eines Ursprungs). ამის თანახმად შემეცნება „ჭეშმარიტების თავისთავადის“ ჭეშმარიტებად ჩვენთვის“ ქმნადობაში მდგომარეობს. ამ მიმართებაში შემეცნების პროცესი რეგრესულია: შემეცნებისას ყოველი ნაბიჯი წინ არის ნაბიჯი უკან, იმისაკენ, რაც პირველსაწყისშივეა მოცემული. „ჭეშმარიტება თავისთავად“, როგორც გარკვეულობა, პირველადია შემეცნების პროცესისადმი. შემეცნების პროცესი რეგრესულია „ჭეშმარიტების თავისთავად“ მიმართ. შემეცნების პროცესის პროგრესულობისა და რეგრესიულობის ერთიანობაშია შემეცნების ორდიმენსიონალობა. ამრიგად, ორდიმენსიონალობა შემეცნების სტრუქტურის მახასიათებელია.

შ. ნუცუბიძის კონცეფციის მიხედვით, შემეცნების ამოცანა არის საგნის შემეცნება. ამ ამოცანის გადაწყვეტა შემეცნების თეორიის საგანია. შემეცნება, როგორც ინტენცია, საგნისადმი მიმართულობა, თვით შეიძლება გახდეს შესწავლის საგანი. შემეცნების არსების (Wesen) შესწავლა ფენომენოლოგიის სფეროა. არც შემეცნების თეორია, არც ფენომენოლოგია შემეცნების საერთო სტრუქტურას არ შეისწავლის. ორდიმენსიონალობა, როგორც შემეცნების სტრუქტურის თავისებურება, შ. ნუცუბიძის აზრით, მხოლოდ ალეთოლოგიის საგანია.

ალეთოლოგიის მოძღვრება ყოფიერების გარკვეულობის, როგორც შემეცნების პირობის შესახებ სავსებით შეესატყვისება იმ შეხედულებას, რომელსაც 20-იან წლებში დ. უზნაძე მიზანშეწონილი ქცევის ბუნების შესახებ ანვითარებდა. ამიტომაც შენიშნავს დ. უზნაძე, რომ მას „მოსწონს“ „W. a. s.“- ის ცნება. მაგრამ საქმე ისაა, რომ „ჰეშმარიტების თავისთავადის“ ცნება და აქედან გამომდინარე შეხედულება შემეცნების სტრუქტურის ორდიმენსიონალობის შესახებ ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციაში წარმოდგენილია როგორც ფილოსოფიური მოძღვრება იმ სფეროს შესახებ, რომელიც „სპეციფიკური ადამიანურის“ ფარგლებს გარეშეა, და მიჩნეულია ამ უკანასკნელის დაძლევის შედეგად მოპოვებულად. აქედან ცხადია, რომ ალეთოლოგიური რეალიზმის ცნებისათვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მინიჭება იმის მტკიცებას გულისხმობს, რომ ის ალეთოლოგიის ცნებებს კი არ განეკუთვნება, არამედ რელევანტურნი არიან „სპეციფიკურ ადამიანურის“ შესახებ მეცნიერების (ფსიქოლოგიის) პრობლემების მიმართ. ჩვენის აზრით სწორედ ამის მტკიცების ცდა არის მოცემული დ. უზნაძის ზემოთ დასახელებულ რეცენზიაში. საქმე ისაა. რომ დ. უზნაძე იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებულის გარკვეულობა, ე. ი. „ჰეშმარიტება თავისთავად“, შემეცნების უპირველესი წანამძღვარია, მაგრამ ამასთანავე საეჭვოდ მიაჩნია იმის მტკიცება, რომ „ჰეშმარიტება თავისთავად“ თითქოს წინარელოგიკურის სფეროს განეკუთვნება და სრულიად მიუწვდომელია ადამიანის მსჯელობის ლოგიკური პრინციპების გზით. ამის ნათელყოფას დ. უზნაძე სხვადასხვა გზით ცდილობს. მაგალითად, განიხილავს „ალეთოლოგიის დიალექტიკის“ უსაფუძვლობას და ა. შ. ჩვენს საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა დ. უზნაძის ზოგიერთი სხვა შენიშვნა „ჰეშმარიტების თავისთავადის“ ცნების შესახებ. დ. უზნაძე წერს: „ვთქვათ, რომ მართლა არსებობს ის, რასაც ავტორი „წინარელოგიკურს უწოდებს“. ამის შეწყნარების შემდეგ მაინც გასარკვევი რჩება საკითხი: როგორ შეიძლება წინარელოგიკურის სფეროს წვდომა? ალეთოლოგიის პასუხი ასეთია — მისი წვდომა შეიძლება არა ლოგიკური მსჯელობით, არამედ „თეორიის“ გზით, „მიმართულებას მოკლებული ჭვრეტის გზით“. მოვიყვანოთ ამონაწერი დ. უზნაძის რეცენზიიდან: „ლოგიკური, ვერ სწვდება წინარელოგიკურს, ეს გასაგებია: ლოგიკური აზრი სპეციფიკურ ადამიანური ფუნქციაა. წინარელოგიკურს კი სპეციფიკურ ადამიანურის გარეშე ან ზემოთ ყოფნა უნდა. ცხადია, რომ ლოგიკური მას ვერ სწვდება და ალეთოლოგიისათვის ეს ალბათ კარგიცაა, ვინაიდან ნიშანია იმისა, რომ წინარელოგიკური მართლა სპეციფიკურ-ადამიანურის სფეროს არ ეკუთვნის. მაგრამ, სამაგიეროდ თეორიით შეიძლება ამ ალეთოლოგიურის ჭვრეტა უშუალოდ“. დ. უზ-

ნაძე აყენებს კითხვას, სად არის იმის საბუთი, რომ „თეორია“, „ჭვრეტა“ არაა სპეციფიკურ ადამიანური ფუნქცია. „ხომ ცხადია რომ ადამიანს აქვს თეორიის, ასე ვთქვათ, უნარი. მე ვკითხულობ — განაგრძობს დ. უზნაძე — სადაა გარანტია, რომ თეორია, რომელიც თუ არის, ადამიანში არა სპეციფიკური ადამიანისეულია და ამიტომ მხოლოდ იგია ის ძალა, რომელიც აბსოლუტურს სჭვრეტს“. დ. უზნაძე აცხადებს, რომ „ალეთოლოგიაში ამის გარანტია არ ჩანს, თანაც ნიშნისმოგებით შენიშნავს — „არ იცის კაცმა რად უნდა იყოს ადამიანში სწორად არა ადამიანის?!“

გარდა ამისა, „მიმართულებას მოკლებული ჭვრეტის“ კონცეფციასთან დაკავშირებით დ. უზნაძე შენიშნავს: „ბერგსონის ჭეშმარიტებას ლოგიკური ვერ ხედავს, მაგრამ თუ ინტუიციამ დაინახა, ხომ ლოგიკაც გაიგებს. აქ კი ასე არაა. ეს კი შეუძლებელია. ჩვენ არა გვაქვს ფაქტიურად ისეთი ევიდენტობის შემთხვევა, რომ ლოგიკურ ევიდენტობას ეწინააღმდეგებოდეს“.

ამრიგად, დ. უზნაძის რეცენზიის მიხედვით გამოდის, რომ ის, რაც შ. ნუცუბიძის კონცეფციაში გაგებულია როგორც ალეთოლოგიურის სფერო, სპეციფიკურ-ადამიანურის ბუნებისაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დისერტაციის დაცვისას, ალბათ, შ. ნუცუბიძე არ დაეთანხმებოდა დ. უზნაძის აღნიშნულ შენიშვნას და ამის სათანადო არგუმენტირებასაც შეეცდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მასალა და, საერთოდ, აღნიშნული პაექრობის დოკუმენტებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ამის დადგენა კი შესაძლებელს გახდიდა საქართველოში ფსიქოლოგიური აზრის ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტების გაშუქებას. არსებული მასალა უფრო მეტად გვიქმნის დ. უზნაძის მაშინდელი შეხედულებების სპეციფიკურ ასპექტში განხილვის შესაძლებლობას.

კერძოდ, დ. უზნაძის დადებითი დამოკიდებულება „ჭეშმარიტება თავისთავადის“ ცნების მიმართ კიდევ უფრო ნათელს ხდის იდეალისტური თელეოლოგიზმისა და ფინალიზმის საწინააღმდეგოდ მიზანშეწონილობის პრობლემის დეტერმინიზმის პრინციპების საფუძველზე დ. უზნაძისეული გადაწყვეტის ცდის ორიგინალობას.

ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემა, ნ. ბერშტეინის სიტყვებით რომ ვთქვათ, შემდეგში მდგომარეობს: როგორ არის შესაძლებელი, რომ ქცევის მიზანი, როგორც ისეთი რამ, რაც ქცევის შედეგად მომავალში იქნება განხორციელებული, ამ ქცევის აწმყოში წარმოშობის მიზეზი გახდეს? დ. უზნაძემ ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის გადაწყვეტა ჯერ „ქვეფსიქიკურის“ „უცნობი არის“ აბსტრაქტული შინაარსის იდეის ვარაუდის მიხედვით სცადა, შემდეგ კი განწყობის — ქცევისადმი მზაობის ექსპერიმენტულად — მეცნიერულად დასაბუთებული ცნების მტკიცე მონაცემებზე დააფუძნა. საგულისხმო ისაა,

რომ ორივე შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტისადმი ერთი და იგივე მიდგომის გზა იგულისხმებოდა — ქცევის ორდიმენსიონერი ბუნების წვდომის გზა. ამ მიდგომის თანახმად არც ერთი ქცევა ცარიელ ადგილზე არ იწყება, მას წინ უსწრებს „წინარე მდგომარეობა". უფრო გვიან შესრულებული ექსპერიმენტული გამოკვლევებით ეს „წინარემდგომარეობა" განწყობაა. ყოველი ქცევა გარკვეული მოქმედებისათვის მზაობის საუძველზე ჩნდება. ქცევა დეტერმინირებულია ქცევის გარკვეული ფორმისადმი მზაობით. მზაობაში, დისპოზიციაში წინასწარ არის გარკვეული თუ როგორი იქნება გამოვლენილი ქცევა. ე. ი. მომავალი ქცევის სპეციფიკა ქცევის გამოვლინებამდე ასე და არა სხვაგვარად ქცევისადმი მზაობის სახითაა მოცემული. განწყობა ქცევის დეტერმინანტების მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსია. ამის საფუძველზე აღმოცენდება გარკვეული მიმართულების მქონე ქცევა. ის, რაც ქცევის სახით მომავალში გაიშლება, წინასწარაა განსაზღვრული მოთხოვნილებისა და სიტუაციით დეტერმინირებული განწყობით. ამრიგად, განწყობა ქცევის მიზეზიცაა და მიზანიც. განწყობაში, მზაობაში, როგორც ყოველ მიზანში მომავალი ქცევის მოდელი უკვე მოცემულია. ქცევა ჰეშმარიტად ორდიმენსიონალურია: რაც უნდა გაიშალოს და გამოვლინდეს მომავალში (პროგრესული მიმართულება), იგი წინასწარ უკვე მოცემულია ქცევის მოდელის, ქცევის მზაობის სახით (არსებითად რეგრესიულია). ამრიგად, დ. უზნაძემ მიზანშეწონილი ქცევის დეტერმინირებული გაგება მხოლოდ ქცევის ორდიმენსიონალური ბუნების მეცნიერული მეთოდების შესწავლის საფუძველზე გაარკვია. მაგრამ, როდესაც დ. უზნაძე ამბობდა, რომ მას შ. ნუცუბიძის მიერ შემოთავაზებული ცნება „ჰეშმარიტება თავისთავად" მოსწონს, მაშინ ის მიზანშეწონილების პრობლემების ქცევის ორდიმენსიონალური ბუნების წვდომის გზის „უსახო გრძნობით" ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ დ. უზნაძეს „ჰეშმარიტება თავისთავადის" ცნება იმიტომ მოეწონა, რომ ეს ცნება შემეცნების მიზანმიმართული პროცესს ორდიმენსიონალობის მოდელის მიხედვით წარმოაჩენს. შემეცნების სტრუქტურის ასეთი გაგება სრულად ემთხვევა მიზანშეწონილი ქცევის შესახებ დ. უზნაძის მიერ შემოთავაზებულ თეორიას.

გადაჭრით შეიძლება იმის მტკიცება, რომ საბჭოთა მეცნიერებაში ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის გადაწყვეტა ქცევის „ორდიმენსიონალური" ბუნების საფუძველზე იქნა მიღწეული. ამ პრობლემების დეტერმინისტური გადაწყვეტის სხვა გზა არ არის ცნობილი. საბჭოთა მეცნიერებაში ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემების დეტერმინისტული გადაწყვეტის ეს პრინციპი დ. უზნაძემ შემოიტანა. ასეთი

გადაწყვეტის ისტორიულ პერსპექტივას ნათელს ხდის უკანასკნელ ხანებში აღმოცენებული თეორიები (პ. ანოხინი, ნ. ბერშტეინი და სხვ.).

სინამდვილის „წინასწარული ასახვისა“ და აქტივობის ფიზიოლოგიის ცნობილ კონცეფციაში (პ. ანოხინი, ნ. ბერშტეინი) ქცევის ორდიმენსიონალური ბუნებაა გახსნილი. თვითონ პ. ანოხინი აღნიშნავს „წინასწარული ასახვის“ კონცეფციის სიახლოვეს „განწყობის თეორიასთან“. საგულისხმოა აგრეთვე პ. ანოხინის აზრი განწყობისა და მოქმედების აქცეფტორის ცნებათა სიახლოვის შესახებ [1]. პ. ანოხინმა დაამუშავა ფუნქციონალური სისტემების თეორია. მან ექსპერიმენტულად შეისწავლა ბუნება სპეციალური მექანიზმებისა, რომელიც უფრო ადრე ფორმირდება, ვიდრე ქცევა შესრულდება, და შეიცავს მომავალი რეზულტატის ნიშნებს. პ. ანოხინი წერს: „შედეგების წინასწარი ჩვენების ფუნქცია უნივერსალურია და მოქმედების ყოველ სახეში გვხვდება“ (6. 35).

ნ. ბერშტეინი, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, მიზანშეწონილი ქცევის პრობლემას ასე სვამს: „როგორაა შესაძლებელი, რომ მოქმედების მიზანი, ე. ი. ისეთი რამ, რაც უნდა ამ მოქმედების შემდეგ განხორციელდეს მომავალში, შეიძლება გახდეს აწმყოში მოქმედების შესრულების მიზეზი. თანახმად ნ. ბერშტეინისა, ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მეცნიერებაში ქცევის შესახებ დამკვიდრდა კოდისა და კოდირების, „საჭირო მომავლის მოდელის“ წინასწარი მოცემულობის ცნება. ნ. ბერშტეინი წერს: მიზანი, გაგებული როგორც ტვინში კოდირებული ორგანიზმისათვის საჭირო მომავლის მოდელი, განაპირობებს პროცესებს, რომლებიც უნდა გაერთიანდეს მიზანსწრაფულობის ცნებაში.

ამ კონცეფციაშიც „ორგანიზმისათვის საჭირო მომავლის მოდელი“ წარმოჩენილია როგორც ქცევის მიზეზიცა და მიზანიც.

1962 წლის მაისში მოსკოვში შედგა თათბირი უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ საკითხებზე. ამ თათბირზე ფართოდ იყო განხილული ქცევისადმი მექანიცისტური მიდგომის დაძლევის აუცილებლობის საკითხი; ქცევის, როგორც მთლიანობითი და აქტიური პროცესის, შესწავლის მიმართულებით ქცევადმეცნიერების გარდაქმნის ამოცანები. ამის აუცილებლობა დამაჯერებლად იყო დასაბუთებული.

საგულისხმო ისაა, რომ ამასთან დაკავშირებით თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელი მონაცემებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იქნა მიჩეული ქცევის პრეორიენტაციის (ანტიციპატიის), მზაობის პროცესების ბუნების შესწავლის შედეგები. აქედან გამომდინარე,

[1] Вопросы психологии, 1955, № 6.

ნათელი გახდა ქცევადმეცნიერების იმ მიმდინარეობის განვითარების აუცილებლობა, რომლებიც წინასწარული ასახვისა და უკუკავშირებია გზით მიღებული ინფორმაციის მასთან შეპირისპირების მექანიზმის ბუნებას შეისწავლიან. ამასთან დაკავშირებით თათბირზე აღნიშნული იყო დ. უზნაძის განწყობის თეორიის მონაცემების დიდი მნიშვნელობა. ამ თათბირის შედეგებიც ნათელს ხდიან ისტორიულ პერსპექტივებს იმ დებულებებისა, რომლებიც ქვეფსიქიკურის „ორდიმენსიონალობის" კონცეფციაში იყო წარმოდგენილი.

ამრიგად, შ. ნუცუბიძის დისერტაციის რეცენზიაში დ. უზნაძის მიერ „ჭეშმარიტების თავისთავადის" ცნების დადებითი შეფასება იმის საფუძველი გახდა, რომ ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ დ. უზნაძის მიერ ადრე გამოთქმული შეხედულებების ისტორიული პერსპექტივები გამოკვეთილად ყოფილიყო წარმოჩენილი.

დ. უზნაძის რეცენზიაში „ჭეშმარიტება თავისთავადის" ცნების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა გახსნილია არა მხოლოდ მიზანშეწონილი ქცევის ორდიმენსიონალური ბუნების შესახებ კონცეფციის მეცნიერულ საბუთიანობასთან დაკავშირებით, არამედ სხვა ასპექტებშიაც.

„არსებულზე ზეწარმატებულის" ცნების ასპექტში წინა პლანზეა წამოწეული ქცევის სხვა, ასევე მნიშვნელოვანი, თავისებურება. ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფცია განასხვავებს არსებულსა და „არსებულზე ზეწარმატებულს". ყველაფერი რაც არის, არის ისე როგორც არის. იგი მეტია ვიდრე რაც არის. მეტი ვიდრე არსებობა მის გარკვეულობას ნიშნავს. არსებობის გარკვეულობა მეტია არსებობაზე. დ. უზნაძე შენიშნავს, რომ „ჩემი ბიოსფერო ესაა Mehr-als-sein".

ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება მიზანშეწონილი მოქმედების, როგორც გარკვეული მდგომარეობის საფუძველზე წარმოშობილი პროცესის ახალი განზომილება. თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში დ. უზნაძემ განავითარა „ქვეფსიქიკურის" კონცეფციაში ჩანასახოვანი ფორმით წარმოდგენილი მოსაზრებები და აჩვენა, რომ მზაობა ქცევის განუყრელი კომპონენტია, რომელიც ინდივიდს აღძრავს გარკვეული ქცევისადმი: ასეთი და არა სხვაგვარად მოქმედებისადმი. „წინასწარ კოდირებული მოდელის" მიხედვით აღმოცენდება გარკვეულად ორიენტირებული და გარკვეულად ორიენტირებული და გარკვეულად ორგანიზებული ქცევა. განწყობის თეორიის მიხედვით ქცევა მისი რეალიზაციის პროცესში დადასტურებული განცდებისა და მოქმედებათა უბრალო ჯამზე მეტია. ამ პროცესების ასე და არა სხვაგვარად ორგანიზაცი-

ით ეს პროცესები არა მარტო არსებობენ, არამედ როგორც გარკვეულად ორგანიზებულნი არსებობენ. ამან საფუძველი შექმნა, რათა დ. უზნაძეს „არსებულზე ზეწარმატებულის“ შესახებ ალეთოლოგიური რეალიზმის თეზისის მის ფსიქოლოგიურ კონცეფციასთან სიახლოვე დაენახა.

დ. უზნაძის რეცენზიაში ალეთოლოგიური რეალიზმის სხვა დებულებების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციაც არის მოცემული. კერძოდ, მოცემულია „ჭეშმარიტების თავისთავადის“, როგორც შემეცნების პირობის, „კომპლექსური ბუნების გარკვეული ასპექტით ინტერპრეტაცია.

დ. უზნაძე განიხილავს შ. ნუცუბიძის შეხედულებას, რომ „ჭეშმარიტება თავისთავად“ გაუყოფელი კომპლექსია Sein -ისა და Sosein -ის. ამასთანავე თავის რეცენზიაში დ. უზნაძე შენიშნავს, რომ კომპლექსი „ჭეშმარიტება თავისთავად“ — შ. ნუცუბიძეს წარმოდგენილი აქვს როგორც შეერთება ამ ელემენტების: Sein -ისა და Sosein -ის, რაც მათ უბრალო ჯამადაა წარმოდგენილი. ე. ი. მეტს არაფერს შეიცავს ვიდრე ამ ცალკე ელემენტშია მოცემული. დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ მთლიანობა მეტია ვიდრე ელემენტების ჯამი. აქედან გამომდინარე, დ. უზნაძე თავის რეცენზიაში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ჭეშმარიტება თავისთავად“ როგორც შემეცნების პირობა, მთლიანობით „გეშტალტური“ ბუნებისაა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ჭეშმარიტება თავისთავადის“ ასეთი პირველადი მთლიანობითი ბუნების მატარებლად განხილვა შესაძლებელს ხდის შემეცნების, როგორც მთლიანიდან ნაწილებისაკენ მოძრაობის გაგებას.

დ. უზნაძე თავის რეცენზიაში აღნიშნავს, რომ მთლიანობითი მდგომარეობიდან ნაწილებისაკენ მოძრაობის ბუნება მან სხვა სფეროშიც სცადა ეჩვენებინა („ჩემი კვლევა სხვა სფეროში აქეთ მიდის, ბიოსფეროა ასეთი რამ“, წერს დ. უზნაძე).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საგულისხმოა არა „ჭეშმარიტება თავისთავადის“ ცნების ინტერპრეტაცია, არამედ დ. უზნაძის მიერ მისი კონცეფციის დახასიათება, როგორც თეორიით „პირველადი მთლიანობის“ არსებობის შესახებ, რომლის მიმართ აქტივობის კონკრეტიზებული გამოვლინებები მეორადი ბუნებისაა.

დ. უზნაძემ ეს დებულება შემდეგში დაახასიათა როგორც თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრისა და ლაბორატორიის დაარსებიდანვე მისი მუშაობის განმსაზღვრელი ყველაზე პრინციპული მნიშვნელობის მქონე დებულება.

1941 წელს დ. უზნაძე წერდა: საჭიროა საგანგებო მუშაობა, რათა ამ პირველადის, მთლიანობითი ხასიათის სინამდვილის ბუნება და კანონზომიერება რაც შეიძლება სრულად იქნეს გამოვლინებული და, ამრიგად, დაგროვილ იქნას მასალა, რო-

მელიც კონკრეტი, მოქმედი სუბიექტის ქცევას, როგორც მეორადს, ამ პირველად ცვლილებებზე აღმოცენებულ ფაქტს გასაგებად გახდის. ჩვენი კათედრისა და ლაბორატორიის ძირითადი პრობლემა სწორედ ესაა. პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზე ბევრის მხრით დამოკიდებულია ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის სიძნელეთა გადალახვისა და ახალი ფსიქოლოგიის აგების შესაძლებლობა.

კერძო აქტებსა და მოვლენებს რომ ინდივიდის გარკვეული მთლიანი ბდგომარეობა უსწრებს წინ და რომ მათ მიმდინარეობას მთლიანი მდგომარეობა განსაზღვრავს — ეს დებულება პირდაპირ კავშირშია შეხედულებათა კომპლექსთან, რომლითაც დ. უზნაძის განწყობის თეორიაში შეცვლილია „უშუალობის პოსტულატი" და მთლიანი პიროვნების შინაგანი დინამიკური ცოცხალი სისტემისაგან იზოლირებულად მოქმედი ფსიქიკურ ფუნქციათა მოზაიკის კონცეფცია.

დასასრულს, განვიხილოთ დ. უზნაძის შენიშვნა ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციაზე შემეცნების პროცესში Ursprung-ის ადგილის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, წინარელოგიკური, „ჭეშმარიტება თავისთავად" ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციის მიხედვით ლოგიკური გზით არ გამოიყენება, არამედ იმთავითვეა მოცემული Ursprung-ის სახით.

„იგი პირობაა, რომ შემდეგ დაიწყოს ჩვენი ლოგიკური აზროვნება ჩვეულებრივ ფორმებში". ამაზე დ. უზნაძე შენიშნავს: „უნიადაგოს" და „პირობის გარეშე" ლოგიკური არ არსებობს. ამიტომაა, რომ ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფცია ეძებს არალოგიკურ საფუძველს, რაც არაფრისაგან არ გამოიყვანება იმთავითვეა მოცემული. მაგრამ, როდესაც ნათქვამია, რომ ლოგიკური სრულიად შეუძლებელია, თუ წინარელოგიკური არ უსწრებს მას წინ, ამით მიღებულია წინარელოგიკურის ლოგიკური დასაშვებობა წინარელოგიკური, თუ შემეცნების აუცილებელი პირობაა იგი, ამბობს დ. უზნაძე, ამით უკვე ლოგიკურია. დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ წინარელოგიკური, როგორც შემეცნების პირველი საწყისი, ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციაში ვერ იქნა დადგენილი. ამასთანავე, აზროვნების ფსიქოლოგიაში ასეთი პირველსაწყისი, რომელიც ერთბაშად ჩნდება, არაფრისაგან არ გამოიყვანება და იმთავითვეა მოცემული, ნამდვილად დადგენილია. დ. უზნაძე წერს: „მე ექსპერიმენტულად დავამტკიცე, რომ ლოგიკურად როდი გამომდინარეობს შემეცნება, არამედ ერთბაშად ჩნდება მართლაც Ursprung-ის სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ დ. უზნაძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ჰქონდეს მისი გამოკვლევა „მნიშვნელობის წვდომის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ (1923). მართლაც, ამ საკითხზე ცდის

პირები აჩვენებენ, რომ მნიშვნელობის წვდომა სრულიად ერთბაშად ჩნდება. ასეთივე მონაცემები აქვს მოყვანილი დ. უზნაძეს თავის გამოკვლევაში „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ (1920).

დ. უზნაძეს ერთბაშად შემეცნება დადგენილი აქვს როგორც ფაქტი, ალეთოლოგიაში კი, — ამბობს იგი, — არაა ლაპარაკი ფაქტის შესახებ. ამ შემთხვევაშიც დ. უზნაძის შენიშვნებმა ალეთოლოგიური რეალიზმის კონცეფციის საკითხებზე ახალი შუქი მოჰფინა ისტორიული პერსპექტივის მქონე დებულებებს მის ფსიქოლოგიურ თეორიაში. ამ დებულებებმა შემდგომი განვითარება განიცადეს და შემეცნების ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლას დაედვნენ საფუძვლად. დავიმოწმებ დ. უზნაძის გამონათქვამს დარწმუნებულობის პრობლემის შესახებ. ის წერს: როდესაც მე რასმე აღვიქვამ, რამეზე ვმსჯელობ, რასმე ვიგონებ, ეს რამე მხოლოდ აღქმაში, მსჯელობაში, მოგონებაში მაქვს მოცემული. მაშ საიდან მაქვს რწმენა, რომ ჩემი აღქმა, ჩემი მსჯელობა, ჩემი მოგონება ამ რამეს სწორედ ასახავს? ეს „რამე“ ობიექტური ვითარება, თანახმად ჩვეულებრივი შეხედულებისა, ჩვენ მხოლოდ ცნობიერებაში ასახული გვეძლევა, ამიტომ, გასაგებია, რომ ამ პირობებში დარწმუნებულობის პრობლემის დაკმაყოფილებული გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხებულა.

სამაგიეროდ განწყობის თეორიისათვის აქ არავითარ სიძნელეს არა აქვს ადგილი. საქმე ისაა რომ ამ თეორიის ძირითადი აზრის მიხედვით... ობიექტური ვითარების განწყობით ასახვაც არსებობს. მაშასადამე, ობიექტური ვითარება განწყობისეულად უკვე აქვს ასახული სუბიექტს და აქედან მომდინარედ უნდა ვიგულისხმოთ დარწმუნებულობის განცდის აღმოცენება.

არალოგიკური გამომდინარეობის ბუნება, განწყობის ცნების შუქზე, დ. უზნაძეს წარმოდგენილი აქვს Einsicht-ის ფენომენის ანალიზის შემთხვევაშიაც. თუ დავუშვებთ, რომ ცნობიერების ჩვეულებრივი მოვლენების გარდა ჩვენ გვაქვს რაღაც, რაც მიუხედავად იმისა, რომ არ არის ცნობიერების შინაარსი, მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მას, მაშინ ჩვენ წინაშე იშლება შესაძლებლობა ვიქონიოთ მსჯელობა მსგავს მოვლენებსა და ფაქტებზე ახალი თვალთახედვით.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ შ. ნუცუბიძის დასახელებული შრომის განხილვასთან დაკავშირებით გამოვლინდა მონაცემები დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის რიგი დებულების ახალ ასპექტებში გასაშუქებლად, რამაც ამ დებულებების მნიშვნელობის გამოკვეთილად გათვალისწინების ახალი შესაძლებლობის ვითარება შექმნა.

ჩვენ ვეცადეთ ამ მონაცემებთან დაკავშირებით დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურებზე წამო-

ყენებული დებულებების საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიული პერსპექტივების თვალთახედვით შეფასება და საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემის ჩამოყალიბებისათვის მათი მნიშვნელობის გამოკვეთა.

საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის თეორიული ორიენტირებიᲬ შესწავლაში დ. უზნაძისა და მის მიერ დაფუძნებული ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაპოვართა მნიშვნელობის გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ განვითარების ის გზა, რომელიც „ქვეფსიქიკურის" კონცეფციის ჰიპოთეზებმა მათი მეცნიერული დასაბუთების მიმართულებით გაიარა.

აღსანიშნავია, რომ დ. უზნაძის შრომაში „Imperrsonalia"[2] პირველად იყო წამოყენებული ჰიპოთეზა „ქვეფსიქიკურის", „ბიოსფეროს" როგორც სინამდვილის „ჯერ უცნობი არის" — სუბსტანციის შესახებ, რომელიც „შუალობას წევს ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობაში".

აღსანიშნავია, რომ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლების მეორე გამოცემაში (1934 წ.) თავი „ბიოსფერული ფსიქოლოგიის", „ქვეფსიქიკურის" კონცეფციის შესახებ სულ ამოღებულია. დ. უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგიის" 1940 წლის გამოცემაში კი გვხვდება ცალკე, III თავი, „განწყობის" ფსიქოლოგიის სახელწოდებით. ამ თავში ექსპერიმენტულადაა დასაბუთებული შემდგომში „განაწყობის თეორიის" სახელით ცნობილი კონცეფციის ძირითადი დებულებები.

ამრიგად, 20-იან წლებში დ. უზნაძის კონცეფცია ვითარდებოდა როგორც „ქვეფსიქიკურის ფსიქოლოგია", ხოლო 30-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული, დ. უზნაძე თავის კონცეფციას „განწყობის თეორიას" უწოდებს. საფიქრებელია, რომ აქ საქმე არ უნდა გვქონდეს უბრალო ტერმინოლოგიურ ცვლილებასთან. საეარაუდოა, რომ ეს ვითარება დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვა პლანში განვითარების ფაქტთან არის დაკავშირებული. ამ საკითხს ჩვენ ცალკე შევეხებით, როდესაც განვიხილავთ საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემებში განწყობის თეორიის განვითარების მასალებს.

---

2 იხ. ჟურ. „ჩვენი მეცნიერება", № 1, 1923.

(შდრ. А. С. Прангишвили—„Ш. Нуцубидзе и Д. Узнадзе", сборник,— „Ш. И. Нуцубидзе (к 90-летию со дня рождения)" Тб., 1980, с. 41—54).

მასალები საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში განწყობის თეორიის განვითარების ისტორიისათვის

I

საბჭოთა ფსიქოლოგიის ისტორია არის მარქსიზმის მეთოდოლოგიის შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია. საბჭოთა მეცნიერებაში მხოლოდ 20-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მოძრაობა მარქსიზმის საფუძველზე ფსიქოლოგიის აგებისათვის. პირველი საგულისხმო ნაშრომი ამ საკითხზე — კ. კორნილოვის წიგნი „თანამედროვე ფსიქოლოგია და მარქსიზმი" — გამოვიდა 1923 წელს.

იმის მიხედვით, თუ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მარქსისტული მოძღვრების რა პრინციპები იყო შეწყნარებული, საბჭოთა ფსიქოლოგიის ისტორიაში ჩამოყალიბდა მატერიალისტური ფსიქოლოგიის აგების სხვადასხვა მეთოდოლოგიური კონცეფცია.

დ. უზნაძე ფსიქოლოგიის ამოსავალი ცნების საკითხის განხილვისას ეყრდნობა მარქსისტული თეორიის ძირითად პრინციპს, რომელიც „მარქსმა შემდეგი სახით გამოხატა: „განხილვის პირველი წესის დრო (ე. ი. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში — დ. უ.) გამოდიან ცნობიერებიდან, როგორც ცოცხალი ინდივიდიდან, მეორე წესით განხილვისას კი, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას შეეფერება, გამოდიან თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდიდან და განიხილავენ ცნობიერებას მხოლოდ როგორც მ ა თ ცნობიერებას" [2, 266]. დ. უზნაძე წერს, რომ მარქსის ეს დებულება „სავსებით გარკვევით მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერება თავის კვლევის საგანის გარკვევისას ამოდის ფსიქიკური მდგომარეობების ცნებიდან, რომელიც კონკრეტული ფსიქიკური აქტივობის მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ რაღაც უდავოდ აბსტრაქტულს, ადამიანის მოქმედების, ცოცხალი სინამდვილისაგან სრულიად განყენებულს". დ. უზნაძის და მისი სკოლის გამოკვლევებში კონკრეტული ფსიქოლოგია ნაგულისხმევია, როგორც ისეთი ფსიქოლოგია, რომლის საგანი არ არის მოწყვეტილი ცოცხალი სინამდვილიდან. ეს გულისხმობს იმ კონცეფციის დაძლევას, რომლის მიხედვით როგორც განცდა, ისე მოქმედება ადამიანის საქმიანობის ცო-

ცხალი სინამდვილიდან მოწყვეტილ, აბსტრაქტულ სფეროებადაა წარმოდგენილი; კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოცანადაა დასახული „ნამდვილად მოქმედი ადამიანის ფსიქოლოგიის აგება". „ფსიქოლოგიის ამოცანა, პირველ რიგში, სწორედ ა მ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს შესწავლაა, მოქმედებისა, რომლის საფუძველზეც აღიმართება შემდეგ მთელი ჩვენი ფსიქიკური შინაარსები" [2, 266].

ამრიგად, განწყობის თეორია მარქსისტული მოძღვრების პრინციპიდან გამომდინარეობს და ფსიქოლოგიის, როგორც კონკრეტული მეცნიერების აგების, მეთოდოლოგიურ კონცეფციას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ განწყობის თეორია, როგორც მეთოდოლოგური კონცეფცია, აგრეთვე ეყრდნობა განწყობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგებს.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს განწყობის ექსპერიმენტული, კონკრეტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების განვითარების ისტორიის გათვალისწინება და იმის დადგენა, თუ განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგებმა რა გავლენა იქონიეს ფსიქოლოგიის კერძო დარგების, სპეციალური ფსიქოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაზე. ეს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ისტორიის ცალკე სფერის განეკუთვნება. ჩვენი ამოცანაა ზ ო გ ი ე რ თ ი მასალის გამოვლინება, რომელიც შუქს მოჰფენს განწყობის თეორიის მონაპოვართა მნიშვნელობას საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლაში.

ჩვენ არა გვაქვს არც იმის პრეტენზია, რომ წარმოვადგენთ განწყობის თეორიის როგორც საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციის განვითარების სრულ, სისტემატურ ისტორიას. როგორც ამ ისტორიის მრავალი ფაქტის მოწმე, შეეცდებით ზოგიერთი, ჩვენი აზრით ამ საკითხის უფრო სისტემატური გამოკვლევისათვის მნიშვნელობის მქონე, მასალის მხოლოდ ფრაგმენტულ მიმოხილვას. ამასთანავე მიმოხილული იქნება ისეთი მასალები, როლებიც ერთგვარად გაგვითვალისწინებს განწყობის თეორიის შინაგანი განვითარების ეტაპებს.

თავს შევიკავებთ მეთოდოლოგიურ საკითხებში განწყობის თეორიიდან განსხვავებული თეორიების კრიტიკიდან, მხოლოდ შეეცდებით საბჭოური ფსიქოლოგიის თეორიის განვითარებაში განწყობის ცნების მნიშვნელობისა და სხვადასხვა მეთოდოლოგიურ კონცეფციებში მისი ადგილის გარკვევას.

* * *

1. დ. უზნაძის ფსიქოლოგიური მოძღვრების განვითარებამ გარკვეული ეტაპები გაიარა. დასაწყისი ეტაპების („ბიოსფერული ფსიქო-

ლოგია", „ქვეფსიქიკურის კონცეფცია") ზოგიერთი საკითხი განხილული გვაქვს ჩვენს წერილებში (ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის" № 5—7, № 8—9, თბ., 1932. კრებული „Ш. И. Нуцубидзе". თბ., 1980. თბილ. სახ. უნივერს. გამომცემლობა). დ. უზნაძის ფსიქოლოგიური მოძღვრების განვითარების დასაწყისი ეტაპი რიგ მკვლევართა შესწავლის საგანი იყო. ამათგან, ჩვენ გამოვყოფთ ა. ასმოლოვის გამოკვლევას [5]. ა ასმოლოვი დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის განვითარებაში გამოყოფს ორ პერიოდს „ბიოსფერული ფსიქოლოგიის" შესწავლისა და „განწყობის" შესწავლის პერიოდებს. ა. ასმოლოვის შეხედულებით, თავდაპირველად, დ. უზნაძის მიერ „უშუალობის პოსტულატის" დაძლევა ნაცადი იყო ფილოსოფიურ პლანში ფიზიკურსა და ფსიქიკურის შორის დამოკიდებულების შუა რგოლის ცნების შემუშავების გზით. „ბიოსფეროს", „ქვეფსიქიკურის" ცნებები მოწოდებული იყვნენ ნეიტრალური სუბსტანციის შესახებ ფილოსოფიური წარმოდგენების შემუშავებისათვის, ნეიტრალური სუბსტანციისა, რომელიც წარმოქმნის ფსიქიკურ პროცესებს და იმყოფება ცნობიერების დახშული წრის მიღმა. შემდეგში დ. უზნაძე უშუალობის პოსტულატის დაძლევას იმით ცდილობს, რომ ექსპერიმენტული გზით შეისწავლის **კონკრეტულ რეალობას — „განწყობას"**, როგორც სუბიექტის საქმიანობაში გარკვეული როლის მქონეს, წარმოჩენილს „საშუალო ტერმინის" ფუნქციით [5, 17—25].

საგულისხმო ისიც არის, რომ ა. ასმოლოვი განწყობის როგორც არაცნობიერი ფსიქიკურის დადებითი დახასიათების ცნებას „უშუალობის პოსტულატის" დაძლევის ამოცანას უკავშირებს [1].

---

[1] დ. უზნაძემ არაცნობიერი ფსიქიკურის ცნების კანონიერების დასაბუთების ის გზა დასახა, რომელიც „ქვეფსიქიკურის" იდეის შემუშავებისას არ იყო მხედველობაში მიღებული. „სულ სხვა სურათი გადაიშლება თვალწინ — წერს დ. უზნაძე — თუ საქმის ვითარებას მატერიალისტური თვალსაზრისით შევხედავთ. თუ ვიგულისხმებთ, რომ ფსიქიკა სინამდვილის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს, რომ იგი განვითარების პროცესში ჩართული რეალობაა. „...ბუნებრივი იქნება ეიფიქროთ, რომ შეუძლებელია იგი ცნობიერების ფარგლებით იყოს შეზღუდული, დაუსაბუთებელი იქნებოდა აზრი, რომლის მიხედვითაც ცნობიერი ფსიქიკური მოვლენების აღმოცენებას წინ არ უსწრებს საფეხური ცნობიერებას მოკლებული ფსიქიკური რეალობისა" [2, 10].

„ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის, რომელიც ფსიქიკურს მხოლოდ სუბიექტურში — ცნობიერში თუ არაცნობიერში — სპეკულირებს, განვითარების თვალსაზრისი უცხოა... რაც შეეხება საკითხს, თუ განვითარების რა საფეხურები უსწრებენ წინ ამ ცნობიერი პროცესების აღმოცენებას... როგორ მზადდება მათი წარმოშობა და აქტიურ მდგომარეობაში გადასვლა... ეს საკითხი ბურჟუაზიულ მეცნიერებას ყოველთვის ყურადღების გარეშე რჩებოდა. იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ ცნობიერი სულიერი ცხოვრება ისეთ პირველადია, ისეთ თავისთავადი და გამოუყვანელი როგორც ფიზიკური, მატერიალური სინამდვილე. იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ სული, რო-

დ. უზნაძის ფსიქოლოგიურ კონცეფციაში უნდა გამოიყოს ორი მხარე: ფსიქიკური მოქმედების ზოგადი თეორია და განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემის აგებისაკენ მიმართული ძიებების ნაკადს ადრე შეუერთდა განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემები. საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ კონცეფციაში განწყობის თეორიის პრინციპული დებულებების პროცესი უფრო შენელებულად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, როგორც სწორად აღნიშნავს ა. პეტროვსკი, „განწყობის თეორია მთლიანად ვითარდებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიის შიგნით და მასთან ერთად" [10, 317].

იმის საილუსტრაციოდ, რომ განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაპოვარი ფართო მასშტაბით მკვიდრდებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში, მოვიყვან რამდენიმე საგულისხმო ისტორიულ ფაქტს. დ. უზნაძემ განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საკითხებზე პირველი გამოკვლევა გამოაქვეყნა საბჭოთა ფსიქოლოგიის ცენტრალურ ჟურნალ „ფსიქოლოგიაში" 1930 წელს: „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის საკითხისათვის".

ფსიქოტექნიკის საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში 1933 წელს დ. უზნაძემ, როგორც საბჭოთა ფსიქოლოგთა დელეგაციის წევრმა, წაიკითხა მოხსენება, რომელშიც პროფესიის ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით გადმოცემული იყო განწყობის ფსიქოლოგიის პოზიტიური მონაცემები („პროფესიის ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანები და თეორიული საფუძვლები", თბ., 1938).

დ. უზნაძემ პირველი განმაზოგადებელი მოხსენება განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე, მის მიერ დაფუძნებული სკოლის მიღწევების შესახებ, გააკეთა მოსკოვში, პედაგოგიური მეცნიერების საკავშირო კონფერენციაზე, 1941 წელს.

თუ რამდენად მტკიცე შემოქმედებითი კავშირები არსებობდა საბჭოთა ფსიქოლოგიის სხვადასხვა სამეცნიერო კოლექტივებსა და ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას შორის, ამას მოწმობს საიუბილეო კრე-

---

მელიც შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის აქტებში იჩენს თავს, დამოუკიდებელი რეალობაა, და მისი წინასაფეხურებზე დაყვანის აზრი თავში არავის მოუვიდოდა" (იქვე, გვ. 10). ასეთი მიდგომის შედეგად მიღებულ იქნა მონაცემები, რომლებმაც დ. უზნაძე მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ „მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, ა რ ს ე ბ ი თ ა დ, ა დ ა მ ი ა ნ ი ს ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს წ ო რ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს ე მ ყ ა რ ე ბ ა, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც მ ა რ თ ე ბ უ ლ ა დ უ ს ვ ა მ ს ხ ა ზ ს, რ ო მ ც ნ ო ბ ი ე რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა მ ო ს წ ო რ ა ვ ე ნ ფ ს ი ქ ი კ ი ს მ თ ე ლ შ ი ნ ა რ ს ს" [2, 46], შეად. П р а н г и ш в и л и А. С. Проблема бессознательного в психологической концепции установки, «Психологический журнал», т. 1, № 6, 1980.

ბული „ფსიქოლოგია“, ტ. III, 1946 წ. (პასუხისმგებელი რედაქტორი ა. ფრანგიშვილი), რომელიც მიეძღვნა დ. უზნაძის 60 წლისა და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავს. ამ კრებულში, რომელმაც გააერთიანა გამოკვლევები, მრავალმხრივ მონათესავე დ. უზნაძის ძირითად სამეცნიერო მიმართულებისაგან, მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ფსიქოლოგიის მრავალი სამეცნიერო კოლექტივის გამოჩენილმა მესვეურებმა: ბ. ანანიევმა, პ. გალპერინმა, ნ. ვოიტონისმა, ა. ზაპოროჟეცმა, ს. კრავკოვმა, ა. ლეონტიევმა, ა. ლურიამ, ნ. ლადიგინა-კოტსმა, ვ. ოსიპოვმა, ა. სმირნოვმა, ბ. ტეპლოვმა და სხვა.

საიუბილეო გამოცემაში «Психологическая наука в СССР» (I—II) სპეციალური დანაყოფები მიეძღვნა ქართველ ფსიქოლოგთა ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებს. მრავალი მონაცემების მოყვანა შეიძლებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შედეგების ფართო აღიარების დასადასტურებლად. ვფიქრობ, მოყვანილი ფაქტებიც ნათელს ხდიან, თუ რამდენად არასწორი იყო ბ. ტეპლოვის განცხადება, რომელიც მან გააკეთა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწვეულ თათბირზე, 1952 წელს. თავის დასკვნით სიტყვაში პროფესორმა ბ. ტეპლოვმა თქვა: «Пусть простят меня уважаемые представители грузинского института психологии, я не могу не указать на совершенно исключительную оторванность грузинской школы от всей советской психологии. И вина в этой оторванности, конечно, лежит на вас, а не на всех советских психологах. Ведь не в том дело, что вы оторваны от московского института психологии или от московских психологов вообще. Вы оторваны от ленинградских психологов и от украинских, и от всех других психологов Советского Союза».

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, პროფ. ბ. ტეპლოვის ასეთი ზოგადი განცხადება ქართული ფსიქოლოგიური სკოლის „მოწყვეტილობის“ შესახებ არ იყო სწორი. განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ფართოდ შეიჭრა საბჭოთა მკვლევრების ექსპერიმენტული ძიებების ნაკადში. ეს პროცესი 1930 წლიდან დაიწყო. იგი ცალკე შესწავლის საგანია. თავისი სიტყვის დასასრულში პროფ. ბ. ტეპლოვი უფრო ნათელს ხდის, თუ რას გულისხმობს ამ „მოწყვეტილობის“ ქვეშ. მან თქვა: «Мы не сомневаемся в том, что вы представляете собой очень сильный научный коллектив, что у вас высоко стоит культура эксперимента, что вы накопили много очень интересных экспериментальных фактов. Это мы знаем. Но мы не знаем того, что является для вас главнейшим, — не знаем теорию установки» [8, 270].

პროფ. ტეპლოვს როგორც ჩანს, „განწყობის თეორიის“ მეთოდოლოგიური დებულებები მიიჩნდა საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიისაგან „მოწყვეტილად“. პროფ. ბ. ტეპლოვის განცხადება მოვიყვანეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ნათელი გაგვეხადა ფაქტი: მართალია საბჭოთა ფსიქოლოგიაში მკვიდრდებოდა განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, მაგრამ ერთსულოვნად არ იყო შეწყნარებული განწყობის თეორიის დებულებები, როგორც საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციის პრინციპები. დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ ამ მიმართულებით საჭირო გახდა ფართო დისკუსიების ჩატარება. დისკუსიების შედეგებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს საბჭოთა ფსიქოლოგიაში განწყობის თეორიის პრინციპების დამკვიდრებისათვის. განწყობის თეორიის საკითხებზე მნიშვნელოვანი დისკუსიები ჩატარდა ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრებისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესიის შედეგებთან დაკავშირებით. 1952 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თბილისში ჩაატარა დისკუსია თემაზე: „საბჭოთა ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“. მოხსენებით გამოვიდნენ: ა. ფრანგიშვილი — „ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“; ა. ბოჭორიშვილი — „ფსიქოლოგიის ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ“, რ. ნათაძე — „ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“; ი. ბჟალავა — „ფსიქიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლებისათვის“; დ. რამიშვილი — „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა ენის შესახებ ამხანაგ სტალინის მოძღვრების შუქზე“.

ჟურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის“ რედაქციამ აუცილებლად ჩათვალა თავისი გამოსვლის პირველივე წელი (1955) განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე დისკუსიის წამოწყებით აღენიშნა. ამ ჟურნალში დისკუსია განწყობის თეორიის საკითხებზე დაიწყო. ა. ფრანგიშვილის სტატიით: „განწყობის ცნებისათვის საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში“, № 3, 1955 წ. დისკუსია რამდენიმე წელს გაგრძელდა [2].

განწყობის თეორიის საკითხებზე დისკუსია გაიშალა აგრეთვე ფსიქოლოგთა III საკავშირო თათბირზე (1—5 ივლისი, 1955 წ.). ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ჟურნალის რედაქტორმა პროფ. ა. სმირნოვმა, შეაჯამა რა თათბირის მუშაობა, აღნიშნა:

---

[2] А. С. Прангишвили, Некоторые замечания по дискутируемым вопросам теории установки, журн. «Вопросы психологии», 1958, № 4. А. С. Прангишвили, Понятие установки в системе советской психологии в свете исследования грузинской психологической школы, журн. «Вопросы психологии», № 4, 1967. А. С. Прангишвили, Проблема бессознательного в психологической концепции установки. «Психологический журнал», т. 1, № 6, 1980.

«Многие из нас уже неоднократно имели возможность знакомиться с экспериментальными исследованиями грузинских психологов. Мы видим, что они представляют большой научный интерес... Вместе с тем, у нас всегда бывала большая неудовлетворенность от того, что в этих работах не были представлены в достаточно развернутом виде теоретические позиции авторов этих работ.

Именно поэтому мы решили на настоящем совещании особое внимание уделить теоретической концепции наших таварищей, работающих в институте психологии имени Д. Н. Узнадзе. Именно это занимало центральное место в их докладах. Именно это явилось предметом широкого обсуждения, развернувшегося по выслушанным нами докладам».

ფსიქოლოგთა III თათბირზე განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე მოისმინეს მოხსენებები: ა. ფრანგიშვილი — „განწყობის ცნება საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში"; ზ. ხოჯავა — „განწყობის როლი ვარჯიშის პროცესებში"; ვ. ნორაკიძე — „ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა"; ი. ბჟალავა — „ფიქსირებული განწყობის ფსიქოპათოლოგიისათვის".

ფსიქოლოგთა III საკავშირო თათბირზე გამართული დისკუსიის ანგარიში გამოქვეყნდა ჟურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის" 1955 წლის № 6, გვ. 72—112.

60-იან წლებში დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების შრომების რუსულ ენაზე გამოცემებმა (გამოვიდა სერია „ექსპერიმენტული გამოკვლევები განწყობის ფსიქოლოგიაში", რედ. ა. ფრანგიშვილი, ზ. ხოჯავა) და განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე ჩატარებულმა დისკუსიებმა უთუოდ დადებითი როლი ითამაშეს საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების შემდგომ შესწავლაში.

საიუბილეო გამოცემაში „ფსიქოლოგიური მეცნიერებანი სსრკ-ში", ტ. II, 1960, განწყობის კონცეფცია საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიულ მონაპოვრადაა წარმოდგენილი (იხ. ა. ფრანგიშვილი, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია). აღსანიშნავია, რომ ა. სმირნოვის მიერ შედგენილ სისტემატურ კურსში („ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა საბჭოთა კავშირში", 1975) „განწყობის პრობლემა" ცალკე თავადაა (VI) გამოყოფილი. ამ თავში, განიხილავს რა განწყობის ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლის დარგში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაპოვარს, ა. სმირნოვი დაასკვნის — „განწყობა — ესაა ცენტრალური ახსნითი ცნება" [12, 280].

აღსანიშნავია, ისიც, რომ ჟურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის"-ს საიუბილეო ნომერში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალის-

ტური რევოლუციის 50 წლისთავს, დაიბეჭდა ა. ფრანგიშვილის წერილი „განწყობის ცნება საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამოკვლევათა შუქზე".

ზემოთქმული ისე აო უნდა გავიგოთ, რომ დღეისათვის საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიის საკითხები საბოლოოდ დამუშავებულია და განწყობის თეორიის ადგილი ფსიქოლოგიის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიურ კონცეფციაში საბოლოოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. ეს ასე არ არის. ჯერ კიდევ შესასწავლია მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიური თეორიის ბევრი საკითხი. ჩვენი ამოცანა ახლა იმის გარკვევის ცდაა, თუ დღეისათვის საბჭოთა ფსიქოლოგიური სკოლების მეთოდოლოგიური კონცეფციების განვითარებაში რამდენად აქვს ანგარიში გაწეული განწყობის თეორიის მონაცემებს და რამდენად უკავშირდება მათი შემდგომი განვითარების გზები განწყობის თეორიის სფეროში წარმოებული ძიებების შედეგებს.

2. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარების მეთოდოლოგიური საფუძველია ასახვის მატერიალისტური თეორია, რომლის მიხედვით ადამიანის მიერ სინამდვილის ასახვა არ არის პასიური პროცესი. ასახვა ყოველთვის ხდება ადამიანთა აქტიური საქმიანობის პროცესში. აქედან გამომდინარე, ცნობიერებისა და საქმიანობის ერთიანობა წარმოადგენს საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპს. ფსიქიკის, ცნობიერებისა და საქმიანობის, ქცევის ერთიანობის პრინციპი სპეციფიკურ ასპექტშია წარმოდგენილი გამოკვლევებში განწყობის თეორიის საკითხებზე.

საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციების ჩამოყალიბების ისტორიის მკვლევარები ადასტურებენ, რომ ფსიქიკის, ცნობიერებისა და საქმიანობის ერთიანობის მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავების ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობის მქონე ორიენტირს წარმოადგენს დ. უზნაძის მიერ გამოვლინებული, ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში დოგმატურად მიღებული, „უშუალობის პოსტულატი"— ობიექტური სინამდვილე უშუალოდ ახდენს გავლენას ცნობიერებაზე, ფსიქიკაზე და უშუალო კავშირში განსაზღვრავს მის მოქმედებას. დ. უზნაძის შეხედულებით, საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბება და ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგება გულისხმობს „უშუალობის პოსტულატის" დაძლევას. ა. ლეონტიევი იზიარებს დ. უზნაძის შეხედულებას, რომ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის განვითარებისათვის „უშუალობის პოსტულატი" საბედისწეროა. ა. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ უშუალობის პოსტულატზეა დაფუძნებული ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში გაბატონებული ქცევის ორწევროვანი ანალიზის სქემა: სუბიექტის რეცეფციის სისტემებზე ზემო-

ქმედება და ნოცემული ზემოქმედებით აღძრული სუბიექტური და ობიექტური მოვლენები [9, 75—76].

სამართლიანად აღნიშნავს ა. ასმოლოვი რომ „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევის ამოცანას სავსებით კანონზომიერად შეიძლება ეწოდოს „უზნაძის ამოცანა“. ჩვენი აზრით, საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარებაში ამ ამოცანის სხვადასხვა გაგებამ და მისი გადაწყვეტის სხვადასხვა გზით დასახვამ განაპირობა სხვადასხვა მეთოდოლოგიური კონცეფციების აღმოცენება და მათი სხვადასხვა მიმართულებით განვითარების ტენდენციები.

იმის დასამტკიცებლად, რომ დ. უზნაძის ამოცანის გაგებისა და გადაწყვეტის გზების გარკვევამ განსაზღვრა საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიის სხვადასხვა კონცეფციების განვითარება, მოვიყვანოთ ა. ასმოლოვის მოსაზრება.

«Можно сказать, не рискуя впасть в преувеличение, что классик отечественной психологии Д. Н. Узнадзе самой постановкой задачи преодоления постулата непосредственности задал, пользуясь термином Т. Куна, исходную парадигму, которая в значительной степени определила ход теоретических поисков в советской психологии. Достаточно раскрыть вышедшую монографию А. И. Леонтьева «Деятельность, сознание, личность», в которой постановка задачи преодоления «рокового» по выражению Д. Н. Узнадзе постулата непосредственности — одна из отправных точек исследования».

მართალია „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევა, ე. ი. „დ. უზნაძის ამოცანის“ გადაწყვეტა ა. ლეონტიევის კონცეფციის ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ამის მიუხედავად მას მიაჩნია, რომ „უზნაძის ამოცანის“ დ. უზნაძისეული გადაწყვეტა არაა სწორი. ა. ლეონტიევის შეხედულების მიხედვით, „უშუალობის პოსტულატის“ გადალახვა დაკავშირებულია იმ დიდ სიძნელეებთან, რომლებიც ფსიქოლოგიაში შექმნა ამ პოსტულატის საფუძველზე დამკვიდრებულმა ქცევის ანალიზის ზემოაღნიშნულმა ორწევროვანმა სქემამ. ქცევის ანალიზის ორწევრიანი სქემის გადალახვის ის გზა, რომელსაც ა. ლეონტიევის აზრით დ. უზნაძე გაჰყვა, უპერსპექტივო აღმოჩნდა.

ლეონტიევი სწერს: «Одна из линий, по которой шли эти попытки (იგულისხმება უშუალობის პოსტულატის დაძლევა) нашла свое выражение в подчеркивании того факта, что эффекты внешних воздействий зависят от их преломления субъектом, от тех психологических «промежуточных переменных» (Толмен и другие), которые характеризуют его внутреннее состояние. В свое время С. Л. Рубинштейн выразил это в формуле, гласящей, что «внешние причины действуют через внутренние условия». Конечно, формула эта является бесспорной. Если, однако, под

внутренними условиями подразумеваются текущие состояния субъекта, подвергающегося воздействию, то она не вносит в схему ничего принципиально нового... Введение понятия промежуточных переменных несомненно обогащает анализ поведения, но оно вовсе не снимает упомянутого постулата непосредственности» [9,76].

ა. ლეონტიევს უშუალობის პოსტულატის დაძლევის ამოცანა ისე ესმის, რომ შუამდებარე ცვლადის ცნებებს ქცევის ანალიზის სამწევროვანი სქემის ადექვატურად არ მიიჩნევს. ამიტომაც ის არ თვლის, რომ განწყობის, როგორც „შუამდებარე ცვლადის“, ცნების მეშვეობით შეიძლებოდეს უშუალობის პოსტულატის მანკიერების დაძლევა. საქმე ისაა, რომ ა. ლეონტიევის შეხედულებით, განწყობა სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის ცნებაა. ამიტომ სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთშიმართებებში „შუა წევრის“ მნიშვნელობის გამოსახვა ამ ცნებით არ შეიძლება. ამასთან დაკავშირებით, ა. ლეონტიევი ასე მსჯელობს: „თუ სუბიექტური მდგომარეობას ჩავთვლით „შუა რგოლად“, მაშინ ისევ რჩება საქმიანობის ანალიზის „ორწევროვანი სქემა“ — ობიექტი და სუბიექტი“.

მაგრამ, დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, განწყობა როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსი, რომლის საფუძველზე გარკვეული ქცევა აღმოცენდება, არ ჩაითვლება წმინდა „სუბიექტურ მდგომარეობად“. განწყობა სუბიექტის ისეთი შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც, როგორც რეგირებისადმი მზაობის მდგომარეობა, თვითონვეა ობიექტური ქცევის მომენტი. ამდენად, განწყობა ერთი და იმავე დროს ყოფიერების ასახვაც არის და რგოლიც საქმიანობის რეგულაციაში. ამ მნიშვნელობით იგი როგორც შინაგანი — სუბიექტისა და ქცევითი — ობიექტური მომენტების მთლიანობაა. ასეთ მთლიანობით მდგომარეობად წარმოსდგება ფსიქოლოგიისათვის ამხსნელი ინსტანცია — „შუა რგოლი“ განწყობის თეორიის მიხედვით.

მაშ, ლეონტიევის აზრით, უშუალობის პოსტულატის დაძლევის გზაა სწორი, რომელიც გამაშუალებელ რგოლს გულისხმობს სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობაში და არა სუბიექტის მდგომარეობაში. უშუალობის პოსტულატი, ლეონტიევის აზრით, დაძლეული იქნება ნამდვილად, თუ გამაშუალებელ რგოლად გაგებული იქნება სუბიექტის რეალური საქმიანობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შინაარსობრივი პროცესი, რომელშიც ხორციელდება სუბიექტის რეალური კავშირი ობიექტურ სინამდვილესთან. სუბიექტის რეალური კავშირი ობიექტურ სინამდვილესთან კი ხორციელდება საგნობრივი საქმიანობით.

მეთოდოლოგიური კონცეფცია, რომელიც სათავეს იღებს ვიგოტსკის შრომებიდან და ვიგოტსკი-ლეონტიევის კონცეფციითაა ცნობილი, ამოდის მარქსის შეხედულებიდან მეტაფიზიკური მატერიალიზმის ნაკლოვანებების შესახებ: „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა — ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით — ისაა, რომ იგი

საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის, ანუ განჭვრეტის ფორმაში განიხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ავითარებდა. მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგანაც იდეალიზმი რასაკვირველია, ნამდვილ გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს, არ იცნობს" [1, 1].

მარქსის ამ დებულებიდან გამომდინარე, ვიგოტსკი-ლეონტიევის სახელთან დაკავშირებული მიმდინარეობა ფსიქოლოგიური გამოკვლევის პრინციპად მიიჩნევს ადამიანის საქმიანობას. საქმიანობას და არა ქცევას! ა. ლეონტიევის აზრით, ქცევა აქტივობაა, რომლის აღწერის ენა სხვა არის, ვიდრე საქმიანობისა. საქმიანობა აღიწერება სინამდვილის გარდაქმნის ტერმინებში. საქმიანობა ნახელავს ქმნის. გამოდის, რომ ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება სუბიექტის ცნებიდან კი არ უნდა ამოვიდეს, არამედ რეალური საგნობრივი საქმიანობის ცნებიდან. პირველადია რეალური საგნობრივი საქმიანობა, აქედან გამოიყოფა თეორიული მოქმედება. საქმიანობის საგნობრივი შინაარსი განვითარებას ნახულობს მის მომდევნო ფსიქიკური ასახვის ფორმირებაში, ფსიქიკური ასახვისა, რომელიც საქმიანობის რეგულიაციას ახდენს საგნობრივ გარემოში.

მაშ, იმისათვის, რომ უშუალობის ორწევროვანი სქემა იყოს დაძლეული, უნდა დადგინდეს ის „საშუალო რგოლი", რომელიც რეალურად აკავშირებს პოლუსებს: სუბიექტ-ობიექტს. ა. ლეონტიევის აზრით, ასეთია საქმიანობა. ა. ლეონტიევი წერს — „საქმიანობაში ხდება ობიექტის გარდაქმნა მის სუბიექტურ ფორმაში, ხატში; ამასთანავე ხორციელდება საქმიანობის გადასვლა მის ობიექტურ რეზულტატებში, მის პროდუქტებში. ამ მხრივ განხილული საქმიანობა წარმოჩნდება როგორც პროცესი, რომელშიაც ხორციელდება ურთიერთ გადასვლა პოლუსებს შორის: სუბიექტი — ობიექტი [9, 81].

ამრიგად, განწყობის თეორია (დ. უზნაძე) და საგნობრივი საქმიანობის თეორია (ა. ლეონტიევი) ერთი და იგივე ამოცანის — „უზნაძის ამოცანის" გადაწყვეტას ისახავს მიზნად. ეს არის უშუალობის პოსტულატისა და მისგან გამომდინარე ქცევის ანალიზის ორწევროვანი სქემის დაძლევის ამოცანა.

ამ ამოცანის დაძლევის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გზა არის დასახული. დ. უზნაძე იცავდა „პირველადი" განწყობის, როგორც „საშუალო რგოლის" ცნების, იდეას.

განწყობა წარმოჩენილია როგორც მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებს ყოველი ფორმის ფსიქიკური აქტივობის აღძვრას და განსაზღვრავს მას.

ამის საპირისპიროდ, ა. ლეონტიევის სკოლა საგნობრივ საქმიანობას მიიჩნევს ისეთ კატეგორიად, რომელიც ადექვატურად ასახავს ფსი-

ქაჯური მოვლენების წარმოქმნის პროცესს... „პირველად იყო საქმე". ამიტომაც ფიქრობენ, რომ ფსიქოლოგიაში „უშუალობის პოსტულატის" დაძლევისაკენ მიმართული ყველა ცდა საგნობრივი საქმიანობის პრინციპიდან უნდა ამოდიოდეს. იგულისხმება, რომ არ არის კანონიერი პრობლემა განწყობისა „თავის თავად", ესე იგი არ არის კანონიერი განწყობის შესწავლა საქმიანობის გარეშე, საქმიანობისაგან მოწყვეტილად.

საგნობრივი საქმიანობის, როგორც ფსიქოლოგიის ამოსავალი კონცეფციის, ფარგლებში განწყობის ცნების ადგილის შესახებ ორი თვალსაზრისია აღსანიშნავი. ერთია შეხედულება, რომელსაც ა. ასმოლოვი და მისი ჯგუფი ავითარებს, და მეორეა ვ. ზინჩენკოსა და მისი თანაშრომლების თვალსაზრისი.

ე. ა. ასმოლოვისა და მისი ჯგუფის ამოსავალი პოზიცია ასეთია: საქმიანობა კი არ უნდა იქნეს გამოყვანილი განწყობის ანალიზიდან, არამედ განწყობა—საქმიანობის ანალიზიდან [5. 141].

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ცენტრებში განწყობის ცნების გამოკვლევა ამ ალტერნატივის შესწავლის პლანში მიმდინარეობდა, ე. ი. განწყობისა თუ საქმიანობის პირველადობის საკითხის გამორკვევასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ფართო დისკუსია პირველად გაიმართა ფსიქოლოგთა III საკავშირო თათბირზე (იხ. ჟურნ. «Вопросы психологии», № 6, 1955). უფრო გვიან ა. ლეონტიევის სკოლაში განვითარდა მიმართულება, რომლის თანახმად განწყობისა და საქმიანობის, როგორც ფსიქიკურის, ცნობიერების წარმომქმნელი „შუა რგოლის" ცნებების ალტერნატულობა სრულიადაც არ ამოწურავს განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართულებების ყველა ასპექტს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ა. ასმოლოვის, ვ. პეტროვსკის, მ. კოვალჩუკის, მ. მიხაილოვსკაიას ჯგუფის გამოკვლევები. ისინი ცდილობენ უჩვენონ, რომ არ შეიძლება განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართების შესწავლის ამოცანის რომელიმე მათგანის პირველადობის გამოკვლევაზე დაყვანა. ამოცანა ისაა, რომ გამოკვლეულ იქნეს თუ რა ადგილი უკავია და რა ფუნქციები აქვს განწყობისეულ მოვლენებს სუბიექტის საქმიანობაში [5. 141].

საქმე ისაა, რომ რაც უფრო ღრმად გახდა შესაძლებელი განწყობის თეორიის საკითხების შესწავლა, ა. ასმოლოვის შეხედულებით, ამ თეორიის მით უფრო მეტმა „პარადოქსებმა" იჩინა თავი, „პარადოქსებმა", რომელიც, ა. ასმოლოვის აზრით, მხოლოდ ამ ვითარებაში შეიძლება გადაილახოს, თუ უკუგდებული იქნება განწყობის როგორც გამაშუალებელი რგოლის კონცეფცია, კონცეფცია იმის შესახებ, რომ

პირველადია განწყობა და განწყობის ანალიზიდან უნდა იყოს გამოყვანილი საქმიანობა.

ა. ასმოლოვის შეხედულებით, „პარადოქსები“ იმასთან დაკავშირებით ჩნდებიან, რომ განწყობა საქმიანობასთან მიმართებაში პირველადაა წარმოდგენილი; თანაც განწყობა არ არის გაგებული როგორც ქცევის წარმომქმნელი შინაგანი ძალა, შინაგანი დეტერმინანტი. განწყობა გაგებულია, როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედების შედეგად აღმოცენებული მდგომარეობა და პარადოქსებიც ამ დებულებასთან დაკავშირებით იჩენენ თავს.

ასე მაგალითად, ა. ასმოლოვის შეხედულებით, პარადოქსი იჩენს თავს, როდესაც განწყობისა და აღქმის ურთიერთმიმართების საკითხი დგება. პირველადი განწყობის ცნება გულისხმობს, რომ იგი (განწყობა) ყოველგვარი ქცევის უწინარეს, მათ შორის აღქმამდეც, აღმოცენდება. პარადოქსი ისაა, რომ ამასთანავე, აღნიშნავს ა. ასმოლოვი, განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელია მოთხოვნილების სიტუაციის აღქმა. ამასთან დაკავშირებით, დ. უზნაძე მიუთითებს განწყობის წარმოშობისათვის ერთგვარი აქტივობის — წინასწარი „შემჩნევის“ [2, 63—65, 274—278] განხორციელების აუცილებლობას. ამით იქმნება პარადოქსი: განწყობის როგორც ქცევამდე წინასწარული მდგომარეობის, აღმოცენებისათვის გარკვეული აქტივობის („შემჩნევის“ აქტივობის) განხორციელების აუცილებლობის დაწვება [5, 32—33].

ასეთივე „პარადოქსი“ ჩნდება მოთხოვნილების, როგორც განწყობის წარმოშობის ფაქტორის, საკითხის განხილვისას, რადგანაც დ. უზნაძის მიხედვით, წერს ა. ასმოლოვი, „ურთიერთობა გარემოსთან, რომლის პროცესში ხდება ამ გარემოს მოთხოვნილების სიტუაციად გარდაქმნა, ხორციელდება აქტივობის პროცესში, რომელიც მოთხოვნილებითაა აღძრული“ ა. ასმოლოვი იმოწმებს დ. უზნაძის გამონათქვამს, რომ სუბიექტს განწყობა ყოველთვის „სინამდვილის ზემოქმედების პროცესში უჩნდება და მისდა შესატყვისი განცდის ქცევის შესაძლებლობას აძლევს“ [3, 94]. ა. ასმოლოვს მიაჩნია, რომ განწყობის აღმოცენების ბუნების შესწავლამ აუცილებელი გახადა განწყობის აღმოცენების საქმეში მოქმედების შემოტანა.

ა. ასმოლოვი წერს, რომ ცნობიერების გარედან მოქმედი „სინამდვილის ჯერ უცნობი არე“, „რომლისათვისაც სუბიექტურისა და ობიექტურის საწინააღმდეგო პოლუსები სრულიად უცხოა“ თავიდანვე წარმოადგენდა დ. უზნაძის ძიების საგანს. ა. ასმოლოვის შეხედულებით, დ. უზნაძის მეცნიერული შემოქმედების „მეორე ეტაპზე“ საქმიანობის კონსტიტურ ფაქტორად იგულისხმება განწყობა, როგორც ქცევის ობი-

ექტური და სუბიექტური დეტერმინანტების ურთიერთზემოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსი [2, 270].

ა. ასმოლოვი და მისი ჯგუფი ავითარებს შეხედულებას, რომ საქმიანობის თეორიაში უნდა შემოტანილ იქნეს აქამდე მასში გამოტოვებული რგოლი — განწყობის მოვლენები. ამის გამო საქმიანობისა თუ განწყობის ცნებების დაპირისპირებაში, პირველადის გამოკვლევის ნაცვლად, აღებულ იქნა განწყობის როგორც საქმიანობის შინაგანი რგოლის თავისებურებების შესწავლის კურსი.

ა. ასმოლოვის შრომებში განწყობის პირველადობის დ. უზნაძისეული კონცეფციის ანალიზი მიმართულია იქითკენ, რომ საქმიანობის რეგულაციაში აჩვენოს განწყობის ფუნქცია.

საგნობრივი საქმიანობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე, ა. ასმოლოვი და სხვ. გამოყოფენ საქმიანობის შესწავლის ორ პარადიგმას — მორფოლოგიურსა და დინამიკურს. საქმიანობის ანალიზის მორფოლოგიური პარადიგმა გულისხმობს საქმიანობის, როგორც ერთგვარად ინვარიანტარული სისტემის განხილვას და იმ შედარებით მდგრადი ერთეულების გამოყოფას, რომელიც ამ სისტემას წარმოქმნიან. ა. ლეონტიევისა და მისი სკოლის წარმომადგენელთა გამოკვლევების მონაცემების მიხედვით, სუბიექტის საქმიანობაში გამოიყოფა ისეთი საგნობრივი მომენტები, როგორიცაა მოტივი გაგებული როგორც მოთხოვნილების საგანი, მიზანი და მოქმედების განხორციელების პირობები. საქმიანობის სტრუქტურული მომენტები დახასიათებულია მათი მოტივებთან, მიზნებთან და მოქმედების განხორციელების პირობებთან მიმართებაში. მოტივის მხრივ განხილული პროცესი ხასიათდება როგორც თავისებური საქმიანობა, მიზნის მხრივ — როგორც მოქმედება; მოქმედების განხორციელების პირობების მხრივ — როგორც ოპერაცია. საქმიანობის ფსიქოლოგიური აგებულების მეოთხე მომენტია „აღმასრულებელი“ ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდება საქმიანობა. საქმიანობის როგორც შედარებით ინვარიანტული სისტემის ზემოთ მოყვანილი აღწერა დასრულებულად არ ითვლება. შესაძლებლადაა მიჩნეული საქმიანობის მიკროსტრუქტურის შემდგომი დაზუსტება, ანალიზი. მაშასადამე, მორფოლოგიური პარადიგმის ფარგლებში შეისწავლება საქმიანობის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: თავისებური საქმიანობა, მოტივი აღძრული, მოქმედება, მიზნით წარმართული, ოპერაცია — მოქმედების პირობასთან შეფარდებული და საქმიანობის ფსიქოფიზიოლოგიური რეალიზატორები [6, 10].

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქმიანობის მორფოლოგიური პარადიგმის ჩარჩოებში შესწავლისას განწყობა არ გამოიყოფა სტრუქ-

ტურულ ერთეულად. სხვა ვითარებაა წარმოდგენილი საქმიანობის დინამიკური პარადიგმის ფარგლებში შესწავლის შედეგად. საქმიანობის ანალიზის დინამიკური პარადიგმა გულისხმობს იმ მომენტების სპეციფიკის გამოკვლევას, რომლებიც ახასიათებენ საკუთრივ საქმიანობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დინამიკასა და მოძრაობას. საქმიანობის დინამიკური პარადიგმის ფარგლებში შესწავლის პლანშია განწყობა, გამოყოფილია საქმიანობის ანალიზის ერთეულად. განწყობა ახასიათებს თავის საქმიანობის მოძრაობასა და მის დინამიკას. ამ მიმართებებში განწყობა წარმოდგენილია როგორც მოძრაობის სტაბილიზატორი. იგულისხმება, რომ საგნობრივი მოქმედების მოძრაობაში, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ყოველგვარი სხვა ხასიათის მოძრაობის შემთხვევაში, აუცილებლად მონაწილეობს ამ მოძრაობის მიმართულების შენარჩუნების ტენდენცია; ამასთანავე იგულისხმება, რომ მოძრაობის მიმართულების შენარჩუნების ეს ტენდენცია თვით საქმიანობის პროცესში წარმოიშობა. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ვითარებას, რომ განწყობა უზრუნველყოფს საქმიანობის სტაბილობასა და მდგრადობას, ამავე დროს იგი განაპირობებს საქმიანობის კონსერვატულობასა და რიგიდობას, საქმიანობის პირობების მუდმივი ცვალებადობისას. ამდენად, განწყობა განიხილება როგორც ფაქტორი, რომელიც საქმიანობის ახალ სიტუაციასთან შეგუებას აფერხებს.

ამასთან ერთად, წამოყენებული იყო ჰიპოთეზა განწყობის, როგორც ქმედების სტაბილიზაციის მექანიზმის, იერარქიული ბუნების შესახებ.

ამ ჰიპოთეზის მიხედვით, განწყობის შინაარსი, ფუნქციები და ფენომენოლოგიური გამოვლენები იმაზეა დამოკიდებული თუ საქმიანობის რა დონეზე ფუნქციონირებენ ისინი. საქმიანობის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების (თავისებური საქმიანობა, მოქმედება, ოპერაცია, ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმები — საქმიანობის რეალიზატორები) შესაბამისად გამოყოფენ: აზრობრივი, მიზნობრივი და ოპერაციონალური განწყობის, აგრეთვე ფსიქო-ფიზიოლოგიური მექანიზმების — განწყობის რეალიზატორების დონეებს. იგულისხმება, რომ თითოეული ამ დონის განწყობები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებიან.

საქმიანობის განწყობისეული რეგულაციის წამყვან დონედ აზრობრივი განწყობის (смысловых установок) დონე ითვლება. აზრითი განწყობა საქმიანობის მოტივით აქტუალიზდება და მთლიანად გარკვეული ქმედებისადმი მზაობის სახით პიროვნული აზრის გამოსახვის ფორმას წარმოადგენს. აზრითი განწყობა ცალკეული საქმიანობის მიმართულებას ადგენს და ფენომენალურად მის სუბიექტურ შეფერილობასა და აზრობრივ წაცდენებში გამოვლინდება. შემდეგ დონეზე, მოქმე-

ლების დონეზე. მიზნობრივი განწყობები მოქმედებენ. მიზნობრივი განწყობა განაპირობებს ნოქმედების მიმდინარეობის მდგომარეობას. მიზნობრივი განწყობის გამოვლინებად ითვლება ზეიგარნიკის ფენომენი: შეწყვეტილი მოქმედების დასრულების ტენდენცია და სისტემატური პერსეველაციები.

უფრო ქვედა დონედ ითვლება ოპერაციული განწყობები. ოპერაციული განწყობის ქვეშ იგულისხმება მოქმედების გარკვეული წესის განხორციელებისადმი მზაობა, რომელიც აღმოჩნდება ამოცანის ამოხსნის სიტუაციაში. განწყობის უზნაძისეული მეთოდით დაფიქსირებული განწყობები განიხილება, როგორც ოპერაციული დონის განწყობები. დაბოლოს, ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების დონეზე განწყობა თავს იჩენს სენსორულ და მოტორულ მზაობებში, რომლებიც წინ უსწრებენ ამა თუ იმ მოქმედების გაშლას. განწყობის ეს დონეა გამოვლინებული პ. ანოხინის გამოკვლევებში „ნოქმედების აქცეპტორის" შესახებ და ნ. ბერნშტეინის გამოკვლევებში მოძრაობათა რეგულაციაში „საჭირო მომავლის ხატისა" და ტონიკური მომართვის როლის მნიშვნელობის შესახებ.

ა. ასმოლოვი დაასკვნის, რომ რა დონეზედაც და რა თავისებურ ფორმებშიაც არ უნდა გამოვლინდეს განწყობა, მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს საქმიანობის მოძრაობის სტაბილიზაციაში. განწყობისეული ნიშნები, არ თანხვდებიან რა სტრუქტურულ მომენტებს, ქმნიან საქმიანობის რეალიზაციის უცილობელ პირობას. ამ მომენტების დინამიკური პარადიგმის ფარგლებში გამოკვლევისას აუცილებელია საქმიანობის მდგრადი ხასიათის ახსნა; იგივენი წარმოჩნდებიან როგორც საქმიანობის კონსერვატული მომენტები „ჯებირები ჩვენს შიგ", რომლებიც ახალი სიტუაციებისადმი შეგუებას აძნელებენ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე, განწყობის დინამიკური პარადიგმის ფარგლებში გამოკვლევისას აუცილებელი გახდა ცნების შესწავლა, რომელიც საქმიანობის მოძრაობასა და განვითარებაში მის პროგრესულ მომენტს ახსნიდა. საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის ზოგიერთი მიმდევარი ასეთად „ზესიტუაციური აქტივობის" ცნებას განიხილავს, უპირისპირებს რა მას საქმიანობის კონსერვატორული და რიგიდული მომენტის ამსახველი „სიტუაციური" განწყობის ცნებას. განწყობისაგან განსხვავებით, შემოქმედებითი აქტივობა გაგებულია როგორც „ზესიტუაციური საქმიანობა"[3] [6, 78—79].

---

[3] ზოგი საბჭოთა მკვლევარის მიერ ქცევის რეგულაციაში განწყობის ფუნქცია გაგებული იყო სრულიად საწინააღმდეგოდ იმ შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც განწყობა მხოლოდ ქცევის რიგიდობას, მის კონსერვატულობას, პიროვნების ახალი სიტუაციებისადმი შეგუების შეფერხებას განაპირობებს.

4. იმავე საგნობრივი საქმიანობის კონცეფციიდან გამომდინარე, ვ. ზინჩენკომ და მისი ჯგუფის წარმომადგენლებმა განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართების ანალიზი თავისებური გზით წარმართეს.

ვ. ზინჩენკო საგანგებოდ განიხილავს იმ საკითხს, თუ საქმიანობისა და განწყობის ფსიქოლოგიის რა მეთოდოლოგიის საფუძველზე წარმოიშვა ამ ორი ცნების, როგორც სწორედ დაპირისპირებული ცნებების, შესწავლის პრობლემა.

განწყობისა და საქმიანობის ცნებების ურთიერთისადმი დაპირისპირება, ა. ზაპოროჟეცის გამოკვლევის თანახმად, საქმიანობისა და განწყობის შესწავლის გენეტიკური და ფუნქციონალური ასპექტების ურთიერთში ალრევის შედეგია. ბუნებრივია, გენეტიკური ასპექტის წინწამოწევას მკვლევარები იმ დასკვნამდე მიყავდა, რომ განწყობა საქმიანობის შედეგად შემუშავდება; პირიქითაც, როდესაც წინ იყო წამოწეული ფუნქციონალური ასპექტი, მაშინ გამოკვლევების შედეგების მიხედვით გამოდიოდა, რომ განწყობა წინ უსწრებს საქმიანობას, ასტრუქტურებს მას, განსაზღვრავს მის მიმართულობას და ა. შ.

ვ. ზინჩენკო აღნიშნავს, რომ გენეტიკური და ფუნქციონალური ასპექტების არსებობის დადგენა მაინც ვერ გახდა საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ დაძლეული ყოფილიყო მკვლევართა შეგნებაში გაბატონებული გაგება ამ ცნებათა და მათი მეშვეობით აღნიშნული სინამდვილის სფეროთა ურთიერთდაპირისპირებულობის შესახებ.

„ჩვენს—წერს ვ. ზინჩენკო — ამ შეხედულების შენარჩუნების ღრმა ფესვები არსებობს". კერძოდ, ასეთად მას მიაჩნია ამ კატეგორი-

---

ობიექტივაციის საფუძველზე განწყობის შეცვლისა და ფორმირების შესახებ, დ. უზნაძის კონცეფციიდან გამომდინარე, მკვლევარები დასკვნიან, რომ დ. უზნაძის თეორიის მიხედვით, განწყობა ქცევაში არ ვლინდება, როგორც „სტიმულირებისა" და რეაქციების „შეთანაფარდების" ერთგვარად ჩაკირული, რიგიდული რეაქციისადმი მზაობის მდგომარეობა. დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, ქცევაში განწყობა გამოვლინდება როგორც დინამიკური, ერთგვარად ალბათური მდგომარეობა. განწყობა როგორც სწორედ წინასწარული ორიენტაციის ალბათური მდგომარეობა გულისხმობს პერორიენტაციასა და რეალობას შორის განსვლისადმი ერთგვარი მზაობის მომენტს. ასე, მიიჩნევენ, რომ განწყობის ბუნება გაგებული უნდა იყოს, როგორც ქცევის რეგულაციის ახალი წესების გამოვლინების შესაძლებლობის შემცველი. განწყობა სტაბილობისა და ლაბილობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიალექტიკას შეიცავს. მიზანშეწონილი ქცევის მექანიზმად განწყობა შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გარემოსთან შეგუების უზრუნველმყოფი მექანიზმი. ობიექტური სინამდვილის ცვალებადობის, სუბიექტის ობიექტთან განსვლის პირობებში [4, 206, 242—243]. ამრიგად, იგულისხმება, რომ საქმიანობის მოძრაობასა და განვითარებაში პროგრესული მომენტის ბუნება განწყობის კანონზომიერების მოქმედების სფეროდან სრულიადაც არ გადის, როგორც ეს, ეთქვათ, „ზესიტუაციური აქტიურობის" ცნების ავტორს აქვს ნაგულისხმევი. ამრიგად, საქმიანობის კონცეფციის ნიადაგზე დინამიკური პარადიგმის ჩარჩოებშიაც განწყობის შესახებ თანმიმდევარი კონცეფცია ვერ ჩამოყალიბდა.

ათა პოლიფუნქციონალობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განწყობისა და საქმიანობის ცნებების დაპირისპირების სათავე იმაშია, რომ ისინი „ურთიერთმონაცვლეობით ხან საგნისა და ხან საშუალების ურთიერთდაპირისპირებულ ფუნქციებს ასრულებენ. ერთ შემთხვევაში განწყობა არის წარმოდგენილი ახსნის იარაღად, საქმიანობა კი კვლევის საგნად. ასევე საქმიანობის ცნებას შეიძლება ჰქონდეს ახსნის საშუალების ფუნქცია და განწყობა წარმოდგენილი იყოს ძიების საგნად". ასეთი მეთოდოლოგიის მიხედვით — წერს ვ. ზინჩენკო, — განწყობისა და ქცევის დაპირისპირების პრობლემა მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. ასეთ საფუძველზე შესრულებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით წამოყენებულია თეზისი, რომ გ ა ნ წ ყ ო ბ ა ი მ დ ე ნ ა დ ვ ე ა ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ი გ ი ა რ ი ს მ ი ს ი ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ი ს ა დ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს პ ი რ ო ბ ა. ამრიგად, ორივე ეს ცნება მიჩნეულია თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ა დ და თ ა ნ ა ც თ ა ნ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ა დ

ამასთანავე, ამ ცნებების თანასწორუფლებიანობა გააზრებულია ფსიქოლოგიური რეალობის შესწავლის ზოგადი კონცეფციის საფუძველზე.

ვ. ზინჩენკო წერს: „იმისათვის, რომ მოიხსნას „პირველადობის" პრობლემა, აუცილებელია დამკვიდრდეს თეზისი ფსიქოლოგიური ამოსავალი მთლიანობისა და ერთდროულად მისი ჰეტეროგენურობის შესახებ" [7, 135]. ვ. ზინჩენკოს აზრით, საქმიანობაცა და განწყობაც ერთნაირი ზომით აკონსტრუირებენ ისეთ რთულ წარმონაქმნს, როგორიცაა ფსიქიკური რეალობა, სუბიექტის სულიერი ცხოვრება. ჰიპერტროფია სულიერი ცხოვრების მაკონსტიტუირებელ რაგინდარა კომპონენტისა კი არ გვაახლოვებს, არამედ გვაშორებს ფსიქიკური რეალობის ამოსავალი მთლიანობის მეცნიერული შემეცნებისაგან.

აქედან გამომდინარე, ვ. ზინჩენკოს მიაჩნია, რომ განწყობის ფუნქცია არ შეიძლება შემოიფარგლოს საქმიანობის გარკვეულ ფარგლებში დაკავებისა და სტაბილიზატორის სამსახურებრივი როლით. ამიტომაც ის ითვლის, რომ ა. ასმოლოვმა ვერ მოახერხა საქმიანობის პირადიგმის დაძლევა. ამ გარემოებამ მკვლევარი მიიყვანა ქცევასა და საქმიანობაში განწყობის რეალური ფუნქციის მეტად შეზღუდულ გაგებამდე — განწყობის როლის სტაბილიზატორის ფუნქციასთან გაიგივებამდე. საქმიანობის მიმართ, ვ. ზინჩენკოს თქმით, მსგავს ფუნქციას ასრულებს კანონი და არა განწყობა. განწყობა, კი, მისი აზრით, გაელენას ახდენს მთლიანად საქმიანობის როგორც სტრუქტურულ ორგანიზაციაზე, ასევე მექანიზმებზედაც, რომლებიც მის რეალიზაციაში არიან ჩართულნი [7, 134]. მაგრამ განწყობის ასეთი მნიშვნელობა გააზრებულია ფსიქიკური რეალობის მთლიანობისა და ერთდროულად მისი

ჰეტეროგენულობის თეზისის საფუძველზე. ფსიქიკური რეალობა, რაგინდ ელემენტარული არ უნდა იყოს ის, აუცილებლად ჩაირთავს თავისთავში ოპერატიულ (საქმიანობას), კოგნიტურ და მოთხოვნილებით (მათ შორის ემოციურ-განწყობით ან მათ განვითარებულ ფორმაში ინტიმურ-პიროვნულ) კომპონენტებს. იგულისხმება, რომ განვითარებისა და ორგანიზაციის სხვადასხვა დონეებზე ამ კომპონენტებს შორის შეფარდება არ არის ერთგვაროვანი. რაც უფრო მაღალია ორგანიზაცია, მით უფრო მეტი კუთრი წონა აქვს და დიდი როლი ენიჭება ფსიქიკური რეალობის ინტიმურ-პიროვნულ კომპონენტს. განწყობისა და საქმიანობის ცნებების თანასწორუფლებიანობა და თანაც მათი თანაშეფარდობითობა ფსიქიკური რეალობის მთლიანობით ბუნების კონცეფციის საფუძველზეა გააზრებული; თანაც მიჩნეულია, რომ ამ მთლიანობაში რაც უფრო მაღალია ორგანიზაცია, მით უფრო მეტია პიროვნული კომპონენტის მნიშვნელობა. ფსიქიკური რეალობის ამოსავალი მთლიანობის შემეცნების პლანშია გადაწყვეტილი განწყობისა და საქმიანობის ცნებების ურთიერთმიმართების საკითხიცა და, კერძოდ, ამ მთლიანობის პიროვნული კომპონენტის, განწყობის ცნების შესწავლის ამოცანა. რასაკვირველია, უთუოდ მნიშვნელოვანია და მრავალის მთქმელი, რომ თვით საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის წარმომადგენლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის თანმიმდევარი განვითარება საქმიანობაში განწყობისეული მოვლენების კანონზომიერებათა გათვალისწინების გარეშე.

ლიტერატურა

1. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1975.
2. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
3. უზნაძე დ., შრომები, ტ. III—IV.
4. Абульханова К. А. О субъекте психической деятельности, М., 1978.
5. Асмолов А. Г. Деятельность и установка, М., 1979.
6. Асмолов А. Г., Петровский В. О динамическом подходе к психологическому анализу деятельности, «Вопросы психологии», № 1, 1978.
7. Зинченко В. П. Установка и деятельность: нужна ли парадигма? «Бессознательное: природа, функции и методы исследования», т. 1, Тб., 1978.

8. Известия Академии педагогических наук РСФСР, т. 45, М., 1975.
9. Леонтьев А. Н. Деятельность, сознание, личность. М.,1975.
10. Петровский А. В. История советской психологии. М., 1967.
11. Психологическая наука в СССР, т. I—II. М., 1960.
12. Смирнов А. А. Развитие и современное состояние психологической науки в СССР, М., 1975.
13. Узнадзе Д. Н. Актуальные задачи и теоретические основы психологии профессии, Тб., 1938.

II

იმ მიმართულების განვითარება, რომლის თანახმად საგნობრივი საქმიანობის თანმიმდევარი ფსიქოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბება განწყობის კანონზომიერებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია, არ წარიმართა განწყობის მნიშვნელობის, განწყობის ცნების სწორი გაგების საფუძველზე. არ იყო ბოლომდე გააზრებული, თუ ნამდვილად რა მხრივაა მნიშვნელოვანი საქმიანობის ფორმირებაში განწყობის კანონზომიერებები.

კოლექტიურ წერილში. ფ. ბასინთან და ა. შეროზიასთან ერთად, ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რაში მდგომარეობს ადამიანში გარკვეული ფსიქოლოგიური განწყობის აღმოცენების უშუალო ეფექტი. მოქმედ სუბიექტში გარკვეული განწყობის ჩამოყალიბება, რასაკვირველია, სრულიადაც არ ცვლის ადამიანის გარემოს, „მაგრამ ის განაპირობებს მეტად მნიშვნელოვან ძ ვ რ ა ს, რომელიც ადამიანის გარემოსთან დამოკიდებულების სისტემაზე ახდენს ზეგავლენას, რადგან იგი ს ც ვ ლ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს გ ა რ ე მ ო ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს. ჩამოყალიბებული განწყობის ზეგავლენით ადამიანი სხვაგვარად უყურებს ქვეყანას, იწებს მის სხვაგვარ „წაკითხვას“ და ამიტომაც მის მიმართ სხვაგვარადაც იქცევა“.

ამრიგად, როგორ საქმიანობას გაშლის სუბიექტი, ეს იმაზე არის დამოკიდებული თუ ჩამოყალიბებული განწყობის ზეგავლენით ის როგორ „წაიკითხავს“ გარემოს. განწყობის ფორმირება მოასწავებს სუბიექტის გარემოსთან ურთიერთობაში განუსაზღვრელობის, „უწესრიგობის“ მინიმუმის მიღწევას. განწყობის მნიშვნელობის ასეთი გაგება სრულიადაც არ შეცვლის ა. ლეონტიევის მიერ შემოთავაზებულ დაყოფას საქმიანობისა „მოქმედებად“, „ოპერაციად“ და ა. შ. განწყობა რელევანტური ცნებაა საქმიანობის გარემოს ფორმირების პრობლემისა [5].

საბოლოო ანგარიშით, საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის დამცველებმა არ შეიწყნარეს ფსიქოლოგიაში პიროვნების, მოქმედების სუბიექტის ცნება „უზნაძის ამოცანის“ გადასაწყვეტად. „უზნაძის ამოცანა“

კი თვით უზნაძემ გადაწყვიტა მოქმედების სუბიექტის ცნების საფუძველზე.

ამრიგად, განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას საქმიანობის კონცეფციის დამცველები (ა. ასმოლოვი, ვ. ზინჩენკო და სხვ.) მხედველობიდან უშვებენ ძირითად ფაქტს, რომ ჩამოყალიბებული განწყობის ზეგავლენით ადამიანი თავისებურად უყურებს ქვეყანას და ამითაა განპირობებული ყველა შემდგომი პროცესი: ამის მიხედვითაა, რომ სუბიექტები სხვადასხვა ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა ს მიყვებიან და ა. შ.

გასარკვევია გამოკვლევათა მიმდინარეობის ის ლოგიკა, რომელმაც საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის წარმომადგენლები მოქმედების სუბიექტის ცნების უგულებელყოფამდე მიიყვანა. გასარკვევია, თუ საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის საფუძველზე რამდენად მოხერხდა იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა მიმართ, სხვადასხვა ფსიქოლოგიური სკოლის მონაცემების მიხედვით, რელევანტურად პიროვნების, მოქმედების სუბიექტის ცნება არის მიჩნეული.

ცნობილია საბჭოთა ფსიქოლოგიის მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენლის გამოკვლევები (დ. უზნაძე, ს. რუბინშტეინი, ბ. ანანიევი, ბ. ტეპლოვი, ვ. მიასისჩევი, ნ. დობრინინი, ვ. მერლინი, ლ. ბოჟოვიჩი და სხვ.), რომლებშიაც ცნობიერებისა და საქმიანობის ერთიანობის ამოსავალი დებულება, ა. ლეონტიევის სკოლისაგან განსხვავებით, პიროვნული მიდგომის, როგორც ფსიქოლოგიის პრინციპის, გამოკვლევის მიმართულებითაა განვითარებული.

საგულისხმოა, რომ საქმიანობის კონცეფციის მიმდევრებს მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ნ ს გ ა რ ე შ ე ა რ დ ა რ ჩ ე ნ ი ა თ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ც ნ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე „უშუალობის პ ო ს ტ უ ლ ა ტ ი ს“ დ ა ძ ლ ე ვ ი ს თ ე ო რ ი ა. პიროვნული მიდგომა, როგორც ფსიქოლოგიის პრინციპი, სრულიად გარკვეული მონაცემების საფუძველზე იქნა უარყოფილი. საგნობრივი საქმიანობის თეორიის მიხედვით, პიროვნული მიდგომის პრინციპი უშუალობის პოსტულატის დაძლევის მხოლოდ ილუზიას ქმნის, ამიტომაც საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის განვითარებაში განწყობამ. როგორც მოქმედების სუბიექტის ცნებამ, ვერ დაიკავა ფსიქოლოგიის ამოსავალი ცნების მნიშვნელობის მქონე ადგილი.

ა. ლეონტიევი წერს: „დიადიური სქემის გადასალახავად, პირველყოვლისა, აუცილებელია გამოიყოს ის „საშუალო რგოლი“, რომელიც აშუალებს სუბიექტის კავშირს რეალურ სამყაროსთან“. [6, 159]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. ლეონტიევმა ასეთად მიიჩნია საგნობრივი საქმიანობა. საქმიანობის განსაზღვრაში, — წერს ა. ლეონტიევი, — აუცილებლად შედის ცნება მისი საგნის შესახებ... სხვა საქმეა — საქმიანობის სუბიექტის ცნება... ის წ ა რ მ ო ჩ ე ნ ი ლ ი ა მ ხ ო ლ ო დ ს ა ქ მ ი-

ა ნ ო ბ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ს, მ ი ს ი პ ი რ ო ბ ი ს ნ ი შ ნ ი თ (ხაზ-ჩვენია) [6, 159].

ფსიქოლოგიის ამოსავალ კატეგორიად პიროვნების კატეგორიის მიჩნევას, პიროვნულ მიდგომას, როგორც ფსიქოლოგიის პრინციპს, ა. ლეონტიევი უწოდებს ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის „პტოლომურ" [6, 229] კონცეფციას, „გულუბრყვილო ანთროპოლოგიზმს" [6, 131]. ა. ლეონტიევის აზრით, პიროვნული მიდგომის პრინციპი „პტოლომურია", რადგანაც არასწორად წარმოადგენს ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის ცენტრს: ადამიანია წარმოდგენილი როგორც ცენტრი, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის გარეგანი ზემოქმედებანი; ამის მიხედვით იგულისხმება, რომ ობიექტურ სინამდვილესთან ინდივიდის კავშირების ინტერაქციების გზები ამ ცენტრიდან იღებენ სათავეს. ეს ცენტრი, აღქურვილი ცნობიერებით — ესაა „მე" [6, 228]. სინამდვილეში, საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის მიხედვით, საქმის ვითარება ასე არ არის. ობიექტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელშიც სუბიექტი ობიექტური აუცილებლობით შედის, სუბიექტის მრავალფეროვანი საქმიანობები ერთმანეთში გადაიკვეთებიან და კვანძებად შეინასკვებიან. ეს კვანძები, მათი იერარქიები, წარმოქმნიან პიროვნების „ცენტრს", რომელსაც „მე"-ს ვუწოდებთ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, წერს ა. ლეონტიევი — „პიროვნების ცენტრი" ი ნ დ ი ვ ი დ ი კ ი ა რ ი მ ყ ო ფ ე ბ ა, მ ი ს ი კ ა ნ ი ს ზ ე დ ა პ ი რ ი ს უ კ ა ნ, ა რ ა მ ე დ მ ი ს ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა შ ი" [6, 229].

როდესაც ადამიანის „მე" განიხილება როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთკავშირების სისტემაში ჩართული — ამ თვალსაზრისით ა. ლეონტიევი კოპერნიკულს უწოდებს [6,228—229].

საგნობრივი საქმიანობის კონცეფციაში პიროვნული მიდგომის პრინციპის ასეთ გაგება იმ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებაში ადამიანი პოულობს არა უბრალოდ გარეგან პირობებს, რომლებსაც მან უნდა შეუგუოს თავისი საქმიანობა, არამედ თვით ეს საზოგადოებრივი პირობები თავის თავში ატარებენ მისი საქმიანობის მოტივებსა და მიზნებს, საქმიანობის საშუალებებსა და წესებს. ლეონტიევის გამოთქმით, „ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ა წ ა რ მ ო ე ბ ს მ ი ს ი შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ი ნ დ ი ვ ი დ ე ბ ი ს ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა ს" [6, 83]. ეს უკანასკნელი დებულება საკმარის საფუძველს იძლევა დაეჭვებისათვის, რომ საქმიანობის კონცეფცია „უშუალობის პოსტულატის" დაძლევისას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს მოქმედების სუბიექტის ცნებას.

ჩანს, ასეთი შემოდავების შესაძლებლობა გათვალისწინებულია, როდესაც ა. ლეონტიევი აღნიშნავს: როდესაც ადამიანის „მე" ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთკავშირების სისტემაში ჩართულად განი-

ხილება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ასეთი მიდგომისას ადამიანის „მე“, პიროვნება ობიექტურ ყოფიერებაში სავსებით გათქვეფილადაა წარმოდგენილი. „სისტემაში ჩართულობა — წერს ა. ლეონტიევი — მასში პიროვნების გათქვეფას არ ნიშნავს, პირიქით, ეს პიროვნების ძალების გამომდინარეობასა და მისი სრული შესაძლებლობებით გამოვლინებას გულისხმობს“ [6, 229]. ა. ლეონტიევი ითვალისწინებს, რომ ასეთი მსჯელობის გაგება შეიძლება როგორც პიროვნების ბუნებაში შინაგანის, შინაგანი სტრუქტურის სრული შეუფასებლობა და უგულებელყოფა. ამიტომაც ლეონტიევი საგანგებოდ განიხილავს პიროვნების შინაგანი სტრუქტურის საკითხს.

მიუხედავად ძველი აფორიზმის დიდი დამარწმუნებლობისა, რომ აზროვნება კი არ აზროვნებს, არამედ ადამიანი აზროვნებს, ეს დებულება, — წერს ლეონტიევი, — მაინც მეთოდოლოგიურად გულუბრყვილოა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სუბიექტი, უმაღლესი სასიცოცხლო მოქმედების გავლენათა ანალიტიკურ შესწავლამდე, აუცილებლად წარმოჩნდება ან როგორც ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი, „შ ე უ ვ ს ებ ე ლ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა“ ან როგორც მეტაფსიქოლოგიური „მე“ (persone), რომელიც აღჭურვილია მასში იმთავითვე ჩასახული თანდაყოლილი დისპოზიციებით ან შინაგანი მიზნებით. ეს უკანასკნელი დებულება, როგორც ცნობილია, ყველა პერსონალისტური თეორიის პოსტულატს წარმოადგენს [6, 161].

ამრიგად, საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის მიხედვით, პიროვნული მიდგომის, როგორც ფსიქოლოგიის ამოსავალი პრინციპის, ამოსავალი თეზისი, რომ „გ ა რ ე გ ა ნ ი მ ი ზ ე ზ ე ბ ი შ ი ნ ა გ ა ნ ი პ ი რ ო ბ ებ ის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ მ ო ქ მ ე დ ებ ე ნ“, შესაბრუნებელია: შ ი ნ ა გ ა ნ ი (ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი) მ ო ქ მ ე დ ებ ს გ ა რ ე გ ა ნ ის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ დ ა ა მ ი თ თ ა ვ ის თ ა ვ ს შ ე ც ვ ლ ი ს.

ა. ლეონტიევი წერს — „თავდაპირველად ხომ ცხოვრების სუბიექტი — წარმოჩნდება „რეაქციის დამოუკიდებელი ძალით“ (ენგელსი). მაგრამ ამ ძალას მხოლოდ გარეგანის მეშვეობით შეუძლია მოქმედება. ამ გარეგანში ხდება მისი გ ა დ ა ს ვ ლ ა შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ი დ ან ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე დ, მისი კონკრეტიზაცია, მისი განვითარება და გამდიდრება — ერთი სიტყვით, ხდება ისეთი გარდაქმნები, მეტამორფოზები, რომლებიც იმავე დროს არის გარდაქმნები თვით მათი მატარებელი სუბიექტისა. მხოლოდ უკვე გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ის ს ა ხ ით ა რ ს ებ ობ ის ფ ო რ მ ა ში წ ა რ მ ო ჩ ნ დ ებ ა შ ი ნ ა გ ა ნ ი, რ ო გ ო რ ც თ ა ვ ის მ ი მ დ ი ნ ა რ ე მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ში გ ა რ ე გ ა ნ ი ზ ე მ ო ქ მ ე დ ებ ის გ ა რ დ ა მ ტ ე ხ ი შ უ ა მ დ ებ ა რ ე ც ვ ლ ა დ ი“ [6].

აქედან ცხადია, — წერს ა. ლეონტიევი, — რომ „როგორი მორფოფიზიოლოგიური ორგანიზაციით, როგორი მოთხოვნილებებითა და ინსტინქტებით არ უნდა იყოს ინდივიდი დაბადებიდანვე აღჭურვილი, ყველა ისინი წარმოჩნდებიან მხოლოდ როგორც მისი განვითარების წინამძღვრები, რომლებიც მაშინვე ხდებიან სხვად, ვიდრე ვირტუალურად, „თავისთავად" იყვნენ, როგორც კი ინდივიდი იწყებს საქმიანობას" [6, 182]. აქედან გამომდინარეობს ა. ლეონტიევის კონცეფცია პიროვნების შესახებ: „პიროვნება როგორც ფსიქოლოგიური ახლადწარმონაქმნი... ფორმირდება ინდივიდის სასიცოცხლო მიმართებაში, მისი საქმიანობის გარდაქმნის შედეგად". ადამიანის პიროვნება არავითარი მნიშვნელობით არ არის წინმსწრები მისი საქმიანობისა, ისევე როგორც მისი ცნობიერება, ის მით წარმოიშვება [6, 173].

ამრიგად, საქმიანობის კონცეფციაში პიროვნული მიდგომა არ არის გათვალისწინებული იმ პრინციპის საფუძველზე, რომ გარეგანი მიზეზები შინაგანი პირობების გაშუალებით მოქმედებენ. საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის მიხედვით საქმის ვითარება ამის საპირისპიროა: გარეგანის მეშვეობით ხდება ისეთი გარდაქმნები, რომლებიც იმავე დროს არის გარდაქმნები თვით მათი მატარებელი სუბიექტისა [6, 181—182].

ამ პრინციპიდან ამოსვლით ცდილობს ა. ლეონტიევი პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხის განხილვას. გამომდინარე დებულებებიდან, რომ შინაგანი (სუბიექტი) მოქმედებს გარეგანის მეშვეობით და ამით თავის თავსაც ცვლის, ა. ლეონტიევი განიხილავს მოთხოვნილებასა და განწყობას როგორც პიროვნების ფსიქოლოგიის „შინაგანის" გამომხატველ კატეგორიებს. პიროვნების ქვესტრუქტურების (განწყობისა და ა. შ.) საქმიანობაში გარდაქმნების კანონზომიერებას ა. ლეონტიევი არკვევს მოთხოვნილების ბუნების შესწავლის მაგალითზე. საგულისხმოა მის მიერ შემოთავაზებული მოთხოვნილების, როგორც პიროვნების ქვესტრუქტურის კატეგორიის, ანალიზი ქცევის აქტიური სუბიექტის ცნების გარეშე, რაც გამომდინარეობს დებულებიდან, რომ შინაგანი (სუბიექტური) მოქმედებს გარეგანის მეშვეობით. ეს ანალიზი მიესადაგება განწყობის როგორც პიროვნების ქვესტრუქტურის ცნების გაგებას.

ა. ლეონტიევის აზრით, უნდა განსხვავდეს მოთხოვნილებები, როგორც შინაგანი პირობა, წანამძღვარი, საქმიანობისა და როგორც საგნობრივ სინამდვილეში სუბიექტის კონკრეტული ქცევის მმართველი. მისი რეგულაციის საწყისი [6, 87]. პირველ შემთხვევაში მოთხოვნილება მხოლოდ ორგანიზმის დანაკლისი მდგომარეობაა, როგორც ასეთს, მას არ შეუძლია გამოიწვიოს არავითარი გარკვეულად მიმართული ქცევა. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოთხოვნილება შეხვდება მისი დაკმაყოფილების საგანს, ის იძენს საქმიანობის რეგულაციის მოხდენის

უნარს. ეს „შეხვედრა“, შინაარსობრივი „შევსება“, ის ვითარებაა, რასაც ა. ლეონტიევის აზრით, მოთხოვნილება გადაჰყავს ფსიქოლოგიურ დონეზე.

მოქმედების სუბიექტის ცნების მეთოდოლოგიური მნიშვნელობის, პიროვნული მიდგომის როგორც ფსიქოლოგიის პრინციპის დაცვა მოთხოვნილების ფსიქოლოგიის მონაცემების საფუძველზედაც იყო ნაცადი. ამ მიმართულებით გაშლილ დისკუსიაზე განწყობის თეორიის რიგი საგულისხმო დებულებები იყო მოტანილი.

დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, „ქცევის წანამძღვრების“ დადგენის საფეხურზევე ანალიზის სქემა აუცილებლობით გულისხმობს მოქმედების სუბიექტის ცნებას. საქმე ისაა, რომ **მოთხოვნილების აღმოცენებისთანავე ინდივიდი დგება გარემოსაგან გარკვეული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობის წინაშე, ე. ი. მოთხოვნილების აქტუალიზაციისას ინდივიდი, პირველყოვლისა, მოქმედების სუბიექტი** ხდება. იგივე ცნება აუცილებელია ქცევის შემდგომი პროცესის შესწავლისასაც. „გარემო სინამდვილე — წერს დ. უზნაძე—ცოცხალი არსების არა რომელიმე ნაწილობრივ მომენტზე, არამედ მასზე როგორც მთლიანზე, ... როგორც სუბიექტზე მოქმედებს... ეფექტიც თვითონ სუბიექტის მოდიფიკაციას წარმოადგენს“. ამრიგად, მოქმედების სუბიექტის ცნების აუცილებლობასთანაა დაკავშირებული გარემო სინამდვილის ინდივიდზე ზემოქმედების ანალიზიც. საქმე ისაა, რომ გარემო სინამდვილე აქტივობის სუბიექტზე მოქმედებს, როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია, როგორც სისტემა, რომელიც ქცევის სუბიექტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს“.

ა. ლეონტიევის მიხედვით, მხოლოდ თავის დაკმაყოფილების საგანთან შეხვედრის შემდეგ იძენს მოთხოვნილება საქმიანობის მიმმართველ და მარეგულირებელ ძალას.

ამ მსჯელობაშიაც თავის განვითარებას პოულობს საქმიანობის კონცეფციის ძირითადი თეზისი, რომ „შინაგანი მოქმედებს გარეგანის მეშვეობით“. იგულისხმება, რომ აქამდე ფსიქოლოგიაში ბატონობდა მოთხოვნილების აბსტრაქტული ცნება, მოთხოვნილება განიხილებოდა საგნობრივი საქმიანობისაგან მოწყვეტილად. ა. ლეონტიევს მიაჩნია, რომ თავის პირველ დაკმაყოფილებამდე მოთხოვნილებამ „არ იცის თავისი საგანი“. ა. ლეონტიევის მიხედვით, მოთხოვნილება ფსიქიკურ რეგულაციას ახორციელებს მხოლოდ ა ღ მ ძ ვ რ ე ლ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ფ ო რ მ ა შ ი. ამრიგად, ფსიქიკური რეგულაციის ბუნების გარკვევისათვის ა. ლეონტიევმა არ დაისაჭიროვა მოქმედების სუბიექტის ცნება. მისი შეხედულებით, მოთხოვნილება ფსიქიკურ რეგულაციას მხოლოდ აღმძვრელი ობიექტის ფორმაში ახორციელებს.

განწყობის თეორიის მონაცემებით, ა. ლეონტიევის ასეთი შეხედულება საქმის ვითარების ცალმხრივი განხილვის შედეგია.

მხოლოდ აღმძვრელი ობიექტის ფორმის ცნებით არ შეიძლება ქცევის მიმართულების ბუნების წვდომა, საქმე ისაა რომ საქმიანობის სუბიექტის ცნების აუცილებლობა წარმოჩნდება მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთობის ფსიქოლოგიური შინაარსის პრობლემის კანონიერების მიხედვითაც, ურთიერთობისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება გარკვეული მიმართულების ქცევა [1, 270].

დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, მხოლოდ მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფლების სიტუაციის არსებობისასაა, რომ სუბიექტში აღმოჩნდება სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება, როგორც მიდრეკილება, მიმართულება, მზაობა ისეთი აქტის განხორციელებისათვის, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია [1, 270]. მიმართებების ეს ველი, რომელშიაც წარმოჩნდება მოქმედების სუბიექტის ცნება, არ არის გათვალისწინებული საქმიანობის კონცეფციაში.

საკითხის განხილვისადმი ცალმხრივი მიდგომის გამო ა. ლეონტიევს მიაჩნია, რომ მოთხოვნილება „მხოლოდ ა მ ღ ვ რ ე უ ლ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ფ ო რ მ ა შ ი ახორციელებს საქმიანობის რეგულაციას (საგანი იძენს საქმიანობის აღმძვრელ და მიმმართველ ფუნქციას)“ [6, 88—89].

გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კონცეფციას ფრიად სადავო დებულება უდევს საფუძვლად, რომ მოთხოვნილებამ თავისი საგანი „არ იცის“ მისი დაკმაყოფილების საქმიანობის განხორციელებამდე.

ეს დებულება სადავოდაა მიჩნეული იმიტომ, რომ ყოველი მოთხოვნილება უკვე მისი არსებობის ფაქტითვე გულისხმობს თავისი დაკმაყოფილების საგანს. ზოგი მკვლევარი მოთხოვნილებას ადარებს ამოცანის არსებობას. მოთხოვნილება თავისი არსებობითვე ისევე გულისხმობს მისი დაკმაყოფილების საგანს, როგორც, ვთქვათ, ყოველი ამოცანა თავის წამოჭრის ფაქტშივე გულისხმობს მის ამომხსნელ დებულებას.

მოთხოვნილებამ რომ დაკმაყოფილების საქმიანობის განხორციელებამდე „არ იცის“ თავისი საგანი და რომ მოთხოვნილება საქმიანობის რეგულაციის ფუნქციას მხოლოდ საგანთან შეხვედრის შემდეგ იძენს. ასეთ კონცეფციას საფუძვლად უდევს ფრიად სადავო „ემპირიული პოსტულატი“. ამ პოსტულატის აზრი, დ. უზნაძის თქმით, შემდეგზე დაიყვანება: ორგანიზმსა და გარემოს შორის იგულისხმება ღრმა უფსკრულის არსებობა, რაც ცოცხალ ორგანიზმს არ აძლევს ამ გარემოს მონაცემების უშუალოდ გამოყენების საშუალებას. რათა მან შეძლოს რაიმე მისთვის აუცილებელის გამოყოფა გარემოდან, რაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაფერისია, უნდა მიმართოს ე. წ. „ცდათა და შეცდომათა“ რიგს და ეს „ცდები და შეცდომები“ მანამ

განაგრძოს, სანამ შემთხვევით ისეთი რამ არ ჩაუვარდება ხელთ, რაც სწორედ მის მოთხოვნილებას შეეფერება [1, 52].

ა. ლეონტიევის კონცეფციაში მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების საგნის „შეერთება" როგორც თავდაპირველად, ისევე გამოცდილების შემუშავების პროცესში მხოლოდ ასეთი შამთხვევითი მიგნების სახითაა წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც განწყობის თეორიაში „შემთხვევითობის პოსტულატის" კრიტიკული განხილვა იყო წარმოდგენილი, საქმიანობის კონცეფციადი არსებითად უნდა განხილულიყო მოთხოვნილების საგნის მიგნების პროცესის ბუნება. ქცევის განვითარებაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შინაგანისა და გამოცდილებით შეძენილის ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკის პრობლემები.

შედავების საგანი გახდა აგრეთვე საქმიანობის კონცეფციაში მოქმედების სუბიექტის ცნების გარეშე პიროვნების ფორმირების ბუნების გაგების ცდა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქმიანობის კონცეფციაში **მოტივი** გაგებულია როგორც საქმიანობის აღძვრისა და მართვის ფუნქციით აღჭურვილი საგანი [6, 190]. ასეთი „საგნობრივად ავსებული" მოთხოვნილებების — მოტივების ცნების საფუძველზე პიროვნების სტრუქტურა გაგებულია როგორც თ ა ვ ი ს შ ი გ ი ე რ ა რ ქ ი ზ ე ბ უ ლ ი მ თ ა ვ ა რ მოტივაციური ხაზების შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ დ გ რ ა დ ი კ ო ნ ფ ი გ უ რ ა ც ი ა [6, 221]. ეს იმას ნიშნავს, რომ „პიროვნება გამოიყვანება საქმიანობის სტრუქტურიდან, საქმიანობის სტრუქტურა კი მხოლოდ მისი (საქმიანობის) საგნობრივი მახასიათებლებიდან". რიგი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ **მიმართულების, როგორც მოქმედების, სუბიექტის მდგომარეობა, ცნების გარეშე, მიმართულების მხოლოდ საგნის ფუნქციად წარმოდგენის მიხედვით შეუძლებელია „მოტივაციური ხაზების შედარებით მდგრადი კონფიგურაციის"** გაგება. საქმე ისაა, რომ მოტივთა დომინანტური სისტემის, მოტივთა სფეროს იერარქიული აგებულების არსებობამ აუცილებელი გახადა საქმიანობის მიმართულების ცნების შესწავლა. მოტივი — მოთხოვნილება — გარდამავალი მდგომარეობაა. იგი თავისი დაკმაყოფილებისთანავე ამოსწურავს თავის თავს. „მოტივაციური ხაზების", მოტივაციური სფეროს იერარქიული აგებულების მდგრადი კონფიგურაციის არსებობის ფაქტი იმას მოწმობს, რომ არსებობს გარკვეულად მოტივირებული ქცევების აქტუალიზაციისადმი მზაობა, ანუ არსებობს მოტივი — მოთხოვნილება, როგორც მიმართულება, ე. ი. მოქმედების სუბიექტის ისეთი პ ე რ მ ა ნ ე ნ ტ უ ლ ი მდგომარეობა, რომელიც არ შეიძლება გაიგივდეს მოთხოვნილებასთან როგორც გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ მდგომარეობასთან.

აქ იმის ანალოგიური მდგომარეობაა, რაც მაკ დაუგოლმა აღნიშნა, როდესაც ასხვავებდა ემოციისა და „სენტიმენტის“ ცნებას. ემოცია, მაკ დაუგოლის აზრით, გარდამავალი მდგომარეობაა, სენტიმენტი კი „გარკვეული ემოციების აქტუალიზაციისათვის მზაობის შედარებით მდგრადი დისპოზიციაა“.

ამრიგად, შეუძლებელია „მოტივაციური ხაზების შედარებით მდგრადი კონფიგურაციის“ საქმიანობის აღძვრის ფუნქციით აღჭურვილი საგნის ცნების საფუძველზე გაგება. ფსიქიკური რეგულაცია გულისხმობს საქმიანობის სუბიექტის შედარებით მდგრად მდგომარეობას, მიმართულების არსებობას, მიუხედავად საქმიანობის საგნობრივი სიტუაციის მუდმივი ცვალებადობისა. შეუძლებელია მიმართულების ასეთი მდგრადობის გაგება მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ი ტ უ ა ც ი ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ი ს ა, საქმიანობის საგნობრივი მახასიათებლების მიხედვით, საქმიანობის აღძვრისა და მართვის ფუნქციით აღჭურვილი საგნის ცნების საფუძველზე. საქმიანობის მიმართულების შედარებით მდგრადობის ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საქმიანობის მიმართულების ბუნების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულად მოტივირებული ქცევისადმი სუბიექტის მზაობის პერმანენტული მდგომარეობის ცნების საფუძველზე.

ამრიგად, საქმიანობის კონცეფციასთან დაკავშირებულ დისკუსიაში სერიოზული შედავების საგანი გახდა ა. ლეონტიევის მიერ განწყობის თეორიის საპირისპიროდ წამოყენებული დებულება, რომ „...ვიდრე გამოირკვევა მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებიც წარმოქმნიან საქმიანობის პროცესს, ს უ ბ ი ე ქ ტ ი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს ფ ა რ გ ლ ებ ს გ ა რ ე თ რ ჩ ე ბ ა“ (ხაზი ჩვენია — ა. ფ.) [6, 159]. დისკუსია წარიმართა განწყობის თეორიის სასარგებლოდ. გამოვლინდა საქმიანობის მოძრაობის მრავალი ისეთი მიმართება, რომელთა ველზე ნათლადაა წარმოჩენილი მოქმედების სუბიექტის ცნება, ცნება რომლის გამოკვლევის ფარგლებს გარეთ დარჩენისას (ა. ლეონტიევი) შეუძლებელია ფსიქიკური პროცესების წარმომქმნელი „შუა რგოლის“ ანალიზის ბოლომდე მიყვანა.

საბჭოთა ფსიქოლოგიის მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი ავითარებდა ფსიქიკურის სოციალური განპირობებულობის კონცეფციას — დ. უზნაძე, ბ. ტეპლოვი, მ. ანანიევი, ვ. მიასიშჩევი, ნ. დობრინინი. ვ. მერლინი, ლ. ბოჟოვიჩი და მრავალი სხვა. მიუხედავად საკუთრივ ფსიქოლოგიური შეხედულებების სხვადასხვაობისა — წერს ს. რუბინშტეინის მოწაფე ქ. აბულხანოვა — მათი საერთო მეთოდოლოგიური თავისებურება გამოიხატება ფსიქიკურის სოციალური განპირობებულო-

ბის ანალიზში, პიროვნული მიდგომის პრინციპის შემოტანაში.

საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლისას განწყობის თეორიის მონაცემების გათვალისწინების მხრივ გამოირჩევა ს. რუბინშტეინის სკოლა. საგნობრივი საქმიანობის კონცეფციისაგან განსხვავებით, ს. რუბინშტეინისა და მისი სკოლის გამოკვლევებში ცნობიერებისა და საქმიანობის ერთიანობის თეზისი განვითარებულია ცნობიერებისა და საქმიანობის კავშირის პიროვნებით გამეშვეულობის დებულების დასაბუთების შიმართულებით. ამ სკოლის გამოკვლევებში (ქ. აბულხანოვა) პიროვნებისა და საქმიანობის სინთეზი განხორციელებულია დ. უზნაძის შრომებში წამოყენებული მოქმედების სუბიექტის პრინციპის საფუძველზე. დ. უზნაძის შეხედულებით, „ფსიქიკური აქტივობა თავის თავში შეიცავს სუბიექტის, როგორც მთელის, აქტივობას“ [1, 265—267].

ჩვენ ვეცდებით გავითვალისწინოთ საქმიანობის მოძრაობის ზოგიერთი მიმართება, რომლის ვალზედაც ს. რუბინშტეინის სკოლამ განწყობა წარმოაჩინა როგორც მოქმედების სუბიექტის ცნება.

საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის ბირთვია დებულება, რომ გარეგან პრაქტიკულ, მატერიალურსა და შინაგან მოქმედებას ერთნაირი საერთო აგებულება აქვთ [6, 101]. პიროვნული მიდგომის პრინციპი კი გამომდინარეობს ამის საპირისპირო დებულებიდან, რომ ფსიქიკური, როგორც თავისებური მოქმედება, უნდა განსხვავდეს ადამიანის რეალური მოქმედებისაგან. ამ ცნებების განსხვავების აუცილებლობა ფსიქოლოგიაში დასაბუთებულია ს. რუბინშტეინის შრომებში [2, 266]. ფსიქიკური მოქმედების ადამიანის რეალური მოქმედებისაგან განსხვავების მიმართებაში წარმოჩნდა პიროვნების, მოქმედების სუბიექტის ცნების ფუნდამენტური მნიშვნელობა ფსიქოლოგიური შემეცნებისათვის.

საგნობრივი მოქმედების კონცეფციის თეზისი, რომ პირველადია პრაქტიკული მოქმედება და რომ მისი ინტერიორიზაციის შედეგად აღმოცენდება ფსიქიკური მოქმედება, ს. რუბინშტეინის აზრით, არასწორი მიმართულებით განვითარებაა სწორი თეზისისა — პირველადია პრაქტიკული მოქმედება. ს. რუბინშტეინის აზრით, არ შეიძლება პრაქტიკული მოქმედების დაყვანა მხოლოდ მის გარეგან, საშემსრულებლო მომენტზე. საქმიანობის ანალიზისას არ შეიძლება სრულიად გამოირიცხოს მისი შინაგანი, ფსიქიკური კომპონენტების არსებობა და მნიშვნელობა. მხოლოდ ინტერიორიზაციის პროცესის ცნების საფუძველზე, საქმიანობის შინაგანი, ფსიქიკური პროცესების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია საქმიანობის ბოლომდე ამომწურავი ანალიზი.

ს. რუბინშტეინს მიაჩნია, რომ ინტერიორიზაცია სრულიადაც არ არის შინაგან ფსიქიკურ კომპონენტებს მოკლებული საგნობრივი საქმიანობის ფსიქიკური კომპონენტით აღჭურვის პროცესი. ეს იმიტომ, რომ ყოველგვარი მატერიალური, საგნობრივი საქმიანობა უკვე შეიცავს თავის თავში ფსიქიკურ კომპონენტს, კომპონენტს, რისი მეშვეობითაც ხორციელდება საქმიანობის რეგულაცია. ს. რუბინშტეინის შეხედულებით, ინტერიორიზაცია სხვა არაფერია თუ არა საქმიანობის მარეგულირებელი ფსიქიკური კომპონენტის არსებობის ერთი წესიდან არსებობის მეორე წესზე გადასვლის პროცესი. მისი აზრით, ინტერიორიზაციის პროცესია ფსიქიკური კომპონენტის სიგნალის სახით არსებობიდან, გარეგანი საქმიანობისაგან შედარებით დამოუკიდებლად არსებობის წესზე გადასვლა.

ეს შეხედულება უფრო ზოგადი სახის დებულებიდან გამომდინარეობს, დებულებიდან, რომ საქმიანობა არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი მხრითაა ფსიქოლოგიის საგანი. ს. რუბინშტეინის აზრით, პრაქტიკული, საგნობრივი საქმიანობა მხოლოდ თავისი შინაგანი ფსიქიკური შინაარსებისა და სუბიექტურ მდგომარეობათა მხრითაა ფსიქოლოგიის საგანი. ამ ფსიქიკური შინაარსებისა და მდგომარეობათა სპეციფიკაში იგულისხმება ინდივიდის საქმიანობის რეგულაცია.

ამრიგად, პიროვნული მიდგომის კონცეფციაში ფსიქიკური მოქმედების ადამიანის მოქმედებიდან განსხვავების სპეციფიკურობის დადგენა ნაცადია ფსიქიკური მოქმედების ფუნქციონირების ბუნების შესწავლის გზით. მის თავისებურებად მიჩნეულია ინდივიდის საქმიანობის რეგულაცია.

საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის თანახმად, გარეგანსა და შინაგან მოქმედებას ერთგვარი აგებულება აქვთ [6, 101]. ს. რუბინშტეინის სკოლის მიმდევრობის შეხედულებით, ფსიქიკური და საგნობრივი საქმიანობის სტრუქტურათა ერთგვაროვნების კონცეფციის შუქზე სრულიად გაუგებარია ფსიქიკური მოქმედების სპეციფიკური რეგულატორული ფუნქციის წარმოშობა [2, 267].

გარდა ზემოაღნიშნულისა, იმის ნათელსაყოფად, რომ ა. ლეონტიევის კონცეფციაში საგნობრივი საქმიანობის მოძრაობის მნიშვნელოვანი მიმართებების უგულებელყოფის გამო ვერ იქნა დანახული მოქმედების სუბიექტის ცნების ფუნდამენტური მნიშვნელობა, მიუთითებენ, რომ საგნობრივი საქმიანობის კონცეფციაში განსახილველი მიმართების „ძირითად წევრად“ აღებულია ინდივიდის ცნობიერება და არა თვითონ ის და მისი საკუთარი საქმიანობა. ამიტომაც ამ კონცეფციაში გამოტოვებული აღმოჩნდა თვითონ ინდივიდი [3, 67] და მისი რეალური საქმიანობა.

ჩვეულებრივად, — წერს ქ. აბულხანოვა, — ფსიქოლოგიაში პირო-

ვნების განსაზღვრება პირდაპირ გამოყავთ ადამიანის საზოგადოებრივი არსის საზოგადო გვარეობითი დახასიათებიდან. ამ გზით პიროვნების განსაზღვრების ნაკლოვანება იმაშია, რომ აქ უგულებელყოფილია ადამიანის გვარეობითი განსაზღვრების დონე და ფსიქიკურის სუბიექტურ დონეს (მათ რიცხვში პიროვნების დონეს) შორის კიდევ ინდივიდური სასიცოცხლო მოქმედების, ინდივიდის საზოგადოებრივი ყოფიერების შუალედური დონის არსებობა. ქ. აბულხანოვა წერს: „წინააღმდეგ ეგზისტენციალისტების მტკიცებისა, მარქსიზმი სრულიადაც არ უარყოფს ინდივიდის „მის საკუთარ წესში არსებობას". ის მხოლოდ უარყოფს პიროვნების თვით მისი თავიდან ახსნის შესაძლებლობას, ავრცელებს მასზე სოციოლოგიურ ახსნას, უკავშირებს რა მის განვითარებას საზოგადოების განვითარებას". აქედან ის დებულება გამოყავთ, რომ არ არის სწორი ა. ლეონტიევის შეხედულება, რომლის მიხედვით საქმიანობა ჩაირთავს თავის სტრუქტურაში ინდივიდებს როგორც საქმიანობის შემსრულებლებს. ინდივიდი უნდა შეისწავლებოდეს როგორც საქმიანობის სუბიექტი [4, 261]. ამიტომაც ფსიქიკური მოქმედების სპეციფიკურობის საკითხი უნდა განიხილებოდეს ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედებაში ფსიქიკურის ადგილის შესწავლის მიხედვით. ს. რუბინშტეინის სკოლაში ინდივიდის როგორც ფსიქიკური მოქმედების სუბიექტის პრობლემა უკავშირდება ინდივიდის მთელი სასიცოცხლო მოქმედების თავისებურებებს. ამრიგად, საქმიანობის კატეგორია ფსიქოლოგიაში წარმოჩნდება, პირველყოვლისა, კონკრეტული ინდივიდის საქმიანობის ანალიზისას (შეად. 2,266). ინდივიდისა, რომელიც საქმიანობის მეშვეობითაა ჩართული საზოგადოებაში.

ამრიგად, პასუხის გასაცემად კითხვაზე: რა თვისებაში უნდა გაითვალისწინოს თავის მეთოდოლოგიურ გამოკვლევაში ფსიქოლოგიამ ინდივიდი, აუცილებელია შესატყვისად იყოს ჩამოყალიბებული თვით პრობლემაც ფსიქიკურის კავშირისა ადამიანის სასიცოცხლო მოქმედებასთან. საკითხი ასე უნდა იყოს დაყენებული: ინდივიდუალური სასიცოცხლო მოქმედების რა თავისებურებანი ბადებენ ფსიქიკას როგორც აქტივობის გარკვეულ ფორმას? გამოკვლევა მიმდინარეობს არა ფსიქიკურის ზოგიერთი თვისების დასადგენად, რომელთაგან გამომდინარე განისაზღვრება მისი ფუნქცია სასიცოცხლო მოქმედებაში, არამედ ონტოლოგიური საფუძვლიდან — ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედებიდან გამოიყვანება ფსიქიკა როგორც ამ სასიცოცხლო მოქმედების გარკვეული ფსიქიკა. ინდივიდი შეიძლება წარმოჩნდეს შემეცნების. სა-

ქმიანობის, ურთიერთობის და ა. შ. სუბიექტის თვისებებით. ყველა ეს თვისება სპეციალური გამოკვლევის საგანია — ლოგიკის, სოციოლოგიისა და ა. შ. მაგრამ ინდივიდი როგორც სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტი არ არის შემეცნების, საქმიანობის, ურთიერთობისა და ა. შ. სუბიექტთა ნაკრები. ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედება სპეციფიკური მთლიანობითი პროცესია, რომელსაც განვითარებისა და რეალიზაციის თავისი ლოგიკა გააჩნია; სასიცოცხლო მოქმედება მიმართებათა გარკვეულ სისტემას წარმოადგენს. ინდივიდი, პირველყოვლისა, არის სასიცოცხლო მოქმედების ინდივიდური პროცესის სუბიექტი. ამიტომაც, ინდივიდი როგორც სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტი თავად სასიცოცხლო მოქმედების მთლიანობითი შინაარსის ყველა მხარესა და ყველა წინაალმდეგობასთან მიმართებასა და კავშირში უნდა იყოს განხილული.

საჭიროა გაირკვეს ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედების პროცესში წამოჭრილი ობიექტური ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად აღმოცენდება ფსიქიკა, როგორც აქტივობის სრულიად სპეციფიკური ფორმა. ეს გულისხმობს ინდივიდის როგორც სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტის იმ თვისების გამოვლინებას, რაც მას ფსიქიკური მოქმედების სუბიექტად აქცევს.

ამასთან დაკავშირებით, ქ. აბულხანოვას მოჰყავს ასეთი ანალოგია: ორგანიზმის მიმართ ისმის მისი როგორც მთლიანობის ფუნქციონირების წარმოქმნის, მისი როგორც ასეთის დაცვისა და შენარჩუნების ბუნების გამოკვლევის კანონიერი პრობლემა, ორგანიზმის ეს მთლიანობა უზრუნველყოფილია გარკვეული რეგულატორული მექანიზმებით. ამათი წყალობითაა, რომ გარემოსთან დამოკიდებულების ცვალებადობის, თვით ორგანიზმის ცვლილებებისა და განვითარების ვითარებაში ორგანიზმი ინარჩუნებს თვისობრივად თავისებურ მთლიანობას. ეს თუ ასეა, მაშინ კონცეფცია ინდიკიდური არსებობის წესის შენარჩუნებისა და დაცვის აუცილებლობის წარმოშობის შესახებ კიდევ უფრო საფუძვლიანია. ამრიგად, საკითხი ინდივიდის, როგორც სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტის, შესახებ აყენებს სასიცოცხლო მოქმედების ორგანიზაციის პრობლემას იმ მნიშვნელობით, რომ ინდივიდი შეიმუშავებს თავისი სასიცოცხლო მოქმედების გარკვეულ წესს; შემუშავდება ინდივიდის შედარებითი კონსტანტობა, მიუხედავად მისი სასიცოცხლო მოქმედების პირობების დროში მუდმივი ცვალებადობისა. ფსიქიკური ორგანიზაცია უზრუნველყოფს ინდივიდური არსებობის წესის თვისობრივად თავისებურების კონსტანტობის შენარჩუნებას (კონსტანტობის და არასტაბილურობის — ა. ფ.).

ამრიგად, ფსიქიკური რეგულაციის ფუნქციის, საქმიანობის ფსიქიკური ორგანიზაციის ცნება ყო-

ფიერების ინდივიდური ფორმის თვისობრივი თავისებურების შენარჩუნებისა და დაცვის აუცილებლობის პრობლემის წამოჭრასთანაა დაკავშირებული. სასიცოცხლო მოქმედების ორგანიზაციის ეს თვისება ინდივიდს აქცევს ფსიქიკური მოქმედების სუბიექტად. ამ კონცეფციის მიხედვით, ინდივიდის მიერ თავისი სასიცოცხლო მოქმედების „ორგანიზაციის" პროცესი უნდა გვესმოდეს როგორც სიტუაციის ობიექტური ვითარების სასიცოცხლო მოქმედების ორგანიზაციის სუბიექტურ წესად გარდაქმნის პროცესი. ფსიქიკა წარმოდგენილია მექანიზმად, რომლის აღმოცენება დაკავშირებულია ყოფიერების ინდივიდური ფორმის თვისობრივი თავისებურების შენარჩუნების აუცილებლობის წარმოშობასთან.

ამრიგად, ს. რუბინშტეინის სკოლის შეხედულების თანახმად, ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედების „კონსტანტობის" „მთლიანობის" ორგანიზაციის აუცილებლობამ დაბადა ფსიქიკა როგორც აქტივობის სპეციფიკური ფორმა. საკითხის განხილვის ასეთ კონცეფციაში წარმოდგენილი დ. უზნაძის განწყობის თეორია, ს. რუბინშტეინის სკოლის შეხედულებებში, ისევე როგორც ეს განწყობის თეორიაში ნაგულისხმევი, ფსიქიკა წარმოდგენილია სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტის ყოფიერების ფორმად, თვისებად. დ. უზნაძე დამოწმებულია როგორც ავტორი, რომელიც განსაზღვრავს ფსიქიკურს როგორც სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთმიმართების თავისებურებიდან გამომდინარეს.

ამრიგად, პიროვნული მიდგომის პრინციპის მიხედვით, ფსიქიკურის სოციალური განპირობებულობის შესწავლა მოითხოვს რათა ანალიზში ჩაირთოს რეალური ინდივიდი. ამოცანაა ინდივიდის სოციალურთან კავშირის შესწავლა და არა უბრალოდ ადამიანის ფსიქიკაზე სოციალურობის საზოგადო ფორმების გავლენის გამოკვლევა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სოციალურობასთან თვითონ ინდივიდის კავშირის პრობლემასთან დაკავშირებით წარმოჩნდა საქმიანობის კატეგორიის მნიშვნელობა ფსიქოლოგიაში, საქმიანობისა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ჩაერთვება საზოგადოებაში.

ასეთი მიდგომის შემთხვევაში იგულისხმება, რომ უნდა განსხვავდეს ადამიანი როგორც ინდივიდი და მისი, როგორც პიროვნების, თავისებურებანი. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანის გვარეობითი განსაზღვრების დონესა და ფსიქიკური აქტივობის, პიროვნების ფსიქოლოგიის დონეს შორის არის ინდივიდური სასიცოცხლო მოქმედების, ინდივიდის საზოგადოებრი-

ვი ყოფიერების დონე. ინდივიდი, პირველყოვლისა, არის მოქმედების ინდივიდური პროცესის სუბიექტი. ინდივიდის როგორც სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტის პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებით ისმის ფსიქოლოგიური შემეცნების სპეციფიკურობის საკითხი. ეს არის საკითხი სასიცოცხლო მოქმედების „ორგანიზაციის" შესახებ, იმ მნიშვნელობით, რომ ინდივიდი შეიმუშავებს ობიექტური ვითარებების სუბიექტური წესით გარდაქმნის ორგანიზაციას. ამ უკანასკნელის არსია არსებობის ინდივიდური ფორმის თვისობრივი თავისებურების დაცვა და შენარჩუნება.

ამის საფუძველზე წამოყენებულია პიროვნების როგორც სასიცოცხლო მოქმედების თვისების პრობლემა. პიროვნება გაგებულია არა როგორც თავის თავში დახშული რეალობა (როგორც ეს პერსონალიზმს აქვს წარმოდგენილი), არამედ როგორც ინდივიდის სოციალურობაში ჩართულობის წარმონაქმნი. პიროვნება თავისი არსით განპირობებულია იმ საზოგადოებრივი პირობებით, რომელშიც ის ფორმირდება [3, 68].

ფსიქიკა, როგორც დაბალი დონე, არსებითად, განსხვავდება პიროვნების ფსიქოლოგიის დონისაგან. აქტივობის ეს ფორმები განსხვავდებიან იმ ამოცანების მიხედვით, რომლებიც ობიექტურად წყდება ყოველ ამ დონეზე. იგულისხმება, რომ პიროვნების განვითარების შამოძრავებელი ძალები, მისი ძირითადი წინააღმდეგობები სასიცოცხლო მოქმედების მიმართულებებში ძევს. პიროვნების ფსიქოლოგია გაგებულია როგორც ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის ტიპიური წესი, ტიპიური სინთეზი. ამრიგად, ამ კონცეფციაში წარმოდგენილია ცდა პიროვნების ფსიქოლოგია განისაზღვროს ცხოვრების წინააღმდეგობების გადაწყვეტის სხვადასხვა წესიდან გამომდინარე და ცხოვრების სხვადასხვა წესის ტიპოლოგიის მეშვეობით. ამ კონცეფციის მიხედვით, ინდივიდური სასიცოცხლო მოქმედების დონესა და პიროვნების დონეზე ფსიქიკური ორგანიზაციის განსხვავება ეხმაურება განწყობის თეორიაში პიროვნების ზოგად ფსიქოლოგიურ და პერსონოლოგიურ მიდგომას შორის განსხვავებას.

როგორც აღვნიშნეთ, ქ. აბულხანოვამ ს. რუბინშტეინის კონცეფცია განავითარა იმ მიმართულებით, რომ ეჩვენებია ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედებაში აღმოცენებული ობიექტური ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად აღმოცენდა ფსიქიკა, როგორც აქტივობის სრულიად სპეციფიკური ფორმა. იგულისხმება, რომ ინდივიდი ობიექტურ ამოცანებს, აღმოცენებულს მის სასიცოცხლო მოქმედებაში, მისთვის სპეციფიკური წესით წყვეტს. ერთია საკითხი ფსიქიკის დონის კავშირის შესახებ ინდივიდური ყოფიერების თავისებურებებთან, რომლებიც რო-

გორც ასეთი, საერთოა ყველა ინდივიდისათვის, სხვა არის საკითხი ფსიქიკის დონისა ყოველი ცალკე აღებული ინდივიდის მიერ ყველა ინდივიდისათვის საერთო ამოცანის გადაწყვეტის წესთან დაკავშირებით. აი ეს არის პიროვნული დონის პრობლემა, ფსიქიკურის პიროვნული განსაზღვრება, ანუ პროვნების ფსიქოლოგია.

მეთოდოლოგიური პრობლემა, რომელიც დააყენა დ. უზნაძემ და მისმა სკოლამ, იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება შესწავლილ უნდა იქნეს როგორც გარკვეული მთლიანობა და არა როგორც უბრალო კონგლომერატი სხვადასხვა ფსიქიკური მოდალობებისა — ცნობიერების, ნებელობის, მოტივების, ხასიათის და ა. შ. რუბინშტეინის მოწაფე ქ. აბულხანოვა ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს მ ა ღ ა ლ ი დ ო ნ ი ს მ ი მ ა რ თ ე ბ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს გ ზ ი თ ცდილობს ამ მთლიანობის წარმოდგენას. ის იკვლევს პიროვნების უნარს თავისი სასიცოცხლო მოქმედების ინტეგრაციისა და ორგანიზაციის მხრით, უნარს პიროვნებისა გაატაროს ცხოვრების ერთიანი ხაზი სხვადასხვა ვითარებებსა და გარემოებებში, პიროვნების ძირითადი საცხოვრებო მიმართებების სისტემურ ხასიათს [4, თავი 3.]

ჩვეულებრივად ფსიქოლოგიაში პიროვნებას მისი ცნობიერების მეშვეობით განსაზღვრავენ. პიროვნების ცნობიერების მეშვეობით განსაზღვრებას, ქ. აბულხანოვას აზრით, იქამდე მივყავართ, რომ პიროვნების ფსიქოლოგიის ანალიზისას გამორიცხულია პიროვნების გაუცნობიერებელი, მაგრამ რეალურად მოქმედი — მათ შორის სოციალური დეტერმინაცია, რომელიც სრულიადაც არ რეალიზდება მხოლოდ ცნობიერების მეშვეობით [3, 273].

ამრიგად, პიროვნების ცნობიერების მეშვეობით განსაზღვრების ნაკლოვანება, ქ. აბულხანოვას მიხედვით, იმაშია, რომ პიროვნება როგორც ცნობიერების მატარებელი მოწყვეტილია პიროვნების როგორც მოქმედების სუბიექტს. ეს მაშინ, როდესაც ფსიქიკის დაბალი და მაღალი დონეების განსაზღვრების საფუძვლად შეიძლება მივიღოთ მხოლოდ საქმიანობის (ანუ სასიცოცხლო მოქმედების) რეგულაციის პრინციპი [3, 273].

მტკიცება, რომ ინდივიდი არის თავისი სასიცოცხლო მოქმედების სუბიექტი, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ინდივიდი ყოველთვის ცნობიერად ისახავს თავის მიზნებს, თანმიმდევრულად ახორციელებს მათ, რომ ის ყოველთვის მიზანსწრაფულად გარდაქმნის სინამდვილეს და ა. შ. საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაციის უნარი, მიზანშეწონილობა და მიზანსწრაფულობა სრულიადაც არ არის სინონიმი ცხოვრების ამოცანების გაცნობიერებულობისა და ა. შ. [3, 273, 274].

მკვლევარები აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ საქმიანობის რეგულაციის გარკვეული წესის გაცნობიერება ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მის შეცვლას. არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდს შეუძლია თავისი ფსიქიკური მდგომარეობების რეგულაცია და როდესაც დიდი სურვილის მიუხედავად ამის გაკეთება მას არ ძალუძს [3, 283]. ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ აუცილებელია პიროვნების ფსიქოლოგიური მხარის მისი ცნობიერებისაგან განსხვავება, რათა პიროვნება როგორც მთლიანობა ცნობიერებით არ იქნეს შენაცვლებული [3, 274].

პიროვნების როგორც მოქმედების ფსიქიკური რეგულაციის მექანიზმის არსის წვდომა პიროვნების, როგორც მოქმედების სუბიექტის მთლიანობის შემეცნების გზით შეიძლება იქნეს მიღებული, ე. ი. პიროვნება განხილულ უნდა იქნეს მთლიანად ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედების ორგანიზაციის პროცესთან ერთიანობაში, ანუ სასიცოცხლო მოქმედების ობიექტური ვითარების სუბიექტური ორგანიზაციის წესით გარდაქმნის პროცესთან ერთიანობაში.

პიროვნების ფსიქოლოგიური მხარის განსხვავება ცნობიერებისაგან მიუთითებს რეალური მოქმედების რეგულაციის გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიური მექანიზმის არსებობას. ამიტომაც ქცევის სუბიექტად წარმოჩნდება პიროვნება და არა მისი ცნობიერება. დ. უზნაძის კონცეფციაში რეგულაციის გაუცნობიერებელი მექანიზმია განწყობა როგორც სუბიექტის ყოფიერების ფორმა, როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთზემოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსი, რომლის საფუძველზედაც აღმოცენდება გარკვეული მიმართულების მოქმედება. მზაობა, განწყობა ეს არის რეალური მოქმედების წინასწარული ალბათური ქცევა, რომელიც წარმოჩნდება როგორც რეგულაციის გაუცნობიერებელი ფსიქიკური მექანიზმი. ქ. აბულხანოვა აღნიშნავს, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორიამ მოხსნა ცნობიერებისა და საქმიანობის წინასწარულობის მოჩვენებითი ალტერნატივა: განწყობა მოქმედების განხორციელების მზაობის ფორმაცაა და უშუალო მოქმედების რეზულტატიც. დ. უზნაძემ, გამოყო რა მოქმედების მიმართ ფსიქიკის, ცნობიერების სპეციფიკა, ცნობიერებისა და საქმიანობის პრობლემა დააყენა ზოგადი სახით, როგორც პრობლემა სუბიექტის დამოკიდებულებისა სინამდვილესთან, კონსტანტურისა და ცვალებადის, სტერეოტიპული და არასტერეოტიპული წესების შეფასების პლანში [3, 239—242]. დ. უზნაძე ცნობიერების დონის აღმოცენებას უკავშირებს სტერეოტიპული, კონსტანტური განწყობის საფუძველზე ქცევის განხორციელების შეუძლებლობას. ამრიგად, პიროვნების დონეზე განწყობა ფსიქიკურ რეგულაციას აღწევს აქტივობის ყველა დონის ერთიანობის საფუძველზე.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ განწყობის თეორიის მონაპოვარი საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიაში განვითარდა პიროვნული მიდგომის, როგორც ფსიქოლოგიის პრინციპის, დამკვიდრების მიმართულებით.

საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ ძიებაში განწყობის თეორიის მონაპოვარი გახდა ცნობიერებისა და საქმიანობის კავშირის პიროვნებით გაშუალებულობის დებულების დასაბუთების საფუძველი [4, თავი V].

ამრიგად, განწყობის ფსიქოლოგიის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამოკვლევები საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლის ისტორიაში წარმოჩენილია როგორც პიროვნული მიდგომის მეთოდოლოგიური პრინციპის შემუშავების მნიშვნელოვანი საფუძველი.

XVIII საერთაშორისო ფსიქოლოგიური კონგრესზე ა. სმირნოვის მოხსენებაში — „საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარების გზები" აღნიშნული იყო, რომ „ქართული ფსიქოლოგიური სკოლა ამოსავალი პრობლემის გაგებაში სრულ სოლიდარობაშია საბჭოთა ფსიქოლოგიაში პიროვნების სხვა კონცეფციებთან". ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ძიებების წარმმართველი პრინციპი, რომელიც ამ სოლიდარობას უეევს საფუძვლად, ა. სმირნოვმა ჩამოაყალიბა დ. უზნაძის მიერ შემუშავებული ფორმულით „სინამდვილესთან აქტიურ ურთიერთობას ამყარებს უშუალოდ თვითონ სუბიექტი და არა მისი ფსიქიკური მოქმედების ცალკეული აქტები, ამიტომ ფსიქოლოგიამ, პირველყოვლისა, უნდა შეისწავლოს სუბიექტი, პიროვნება. ცნობიერების მოვლენები ეს მხოლოდ სუბიექტის მოდიფიკაციებია".

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. უ ზ ნ ა ძ ე დ. შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
2. А б у л ь х а н о в а-С л а в с к а я К. А. О субъекте психической деятельности, М., 1973.
3. А б у л ь х а н о в а-С л а в с к а я К. А. Соотношение индивидуального и общественного как методологический принцип психологии личности. Сб. «Теоретические проблемы психологии личности», М., 1974.
4. А б у л ь х а н о в а-С л а в с к а я К. А. Деятельность и психология личности. М., 1980.
5. Б а с с и н Ф. В., П р а н г и ш в и л и А С., Ш е р о з и я А. Е. О перспективах дальнейшего развития научных исследований в психологии (к проблеме бессознательного и собственно психологической закономерности). «Вопросы психологии», № 5, 1979.
6. Л е о н т ь е в А. Н. Деятельность, сознание, личность. М., 1977.

განწყობის პრობლემა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიერ მისი დამუშავების თანამედროვე დონეზე

1. განწყობის ზოგადი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარების მოცემულ ეტაპზე პირველ პლანზე გამოდის განწყობის ერთიანი ბუნების კვლევა, განწყობისა, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიაში მეტად პოლიმორფულადაა წარმოდგენილი და, ამასთან ერთად უაღრესი ტერმინოლოგიური გაურკვეველობით ხასიათდება (Einstellung, Set, Attitude, determinierende Tendenzen, Bewussteinslage, Eigenschaft და ა. შ.).

განწყობის ერთიანი არსის პრობლემის კვლევა საჭიროებდა პრობლემის ადექვატური მეთოდის შემუშავებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მეცნიერებაში დ. უზნაძის მიერ შემოტანილი „ფიქსირებული განწყობის" მეთოდი.

ფსიქოლოგიაში ცნობილია წონის ილუზია (ფეხნერი და სხვ.): არატოლი წონის სხეულების მრავალჯერადი შედარების შემდეგ ტოლი წონის სხეულები არატოლად აღიქმება; ამასთან, ტვირთი იმ ხელში, რომელშიც ცდისპირს წინასწარ უფრო მსუბუქი საგანი ეძლეოდა, უფრო მძიმედ აღიქმება, ვიდრე მეორე ხელში (კონტრასტის ილუზია). მიულერისა და შუმანის თეორიის მიხედვით, ამ შემთხვევაში არატოლი სიმძიმეების მრავალჯერადი აწევის შედეგად, ცდისპირს უმუშავდება „მოტორული განწყობა", როგორც ხელის პერიფერიული მდგომარეობა. უფრო მძიმე ტვირთის აწევისას შეასაბამის ხელში გამომუშავდება უფრო ძლიერი იმპულსი (მოტორული განწყობა). ამიტომ, ტოლი ტვირთების მიწოდებისას ის ტვირთი, როგორც უფრო ძლიერი „მოტორული განწყობანი" ხელით აიწევა, „ზევით მიფრინავს" და ცდისპირს უფრო მსუბუქად ეჩვენება, ვიდრე მეორე, რომელიც უფრო სუსტი იმპულსით აიწევა (ეს უკანასკნელი „ზედაპირს ეწებება").

დ. უზნაძემ (1) დაამტკიცა, რომ წონის ილუზიის ახსნა შეუძლებელია მიულერისა და შუმანის მიერ შემოთავაზებული „მოტორული განწყობის" ცნების საფუძველზე. აგრეთვე „ზევით აფრენის", „ზედაპირზე მიწებების" და მისი თანამდევი განცდების არსებობით, რომლებიც მხოლოდ კუნთური გრძნობისათვისაა დამახასიათებელი. ნაჩვენები იქ-

ნა, რომ ანალოგიურ ილუზიებს (რაოდენობრივი მიმართებების ილუზორული აღქმა, როდესაც არატოლი სიდიდეების მრავალჯერადი აღქმის შემდეგ ტოლი სიდიდეები არატოლებად აღიქმებიან) ადგილი აქვთ მაშინაც; როდესაც არაა არც ერთი ზემოაღნიშნული, კუნთური გრძნობისათვის დამახასიათებელი თანამდევი განცდა. დ. უზნაძემ აღმოაჩინა ახალ ილუზიათა მთელი რიგი, რომლებიც წონის ილუზიის ანალოგიურია — მოცულობის ილუზია ჰაპტურ და მხედველობით სფეროებში, წონა-მოცულობის ილუზია (შარპანტიეს ილუზიის საწინააღმდეგო), წნევის ილუზია, სმენითი ილუზია, განათების ილუზია, რაოდენობის ილუზია და სხვ. (1, 2, 3).

მოგვიანებით ი. ბჟალავამ (4,63) აჩვენა, რომ ანალოგიურ ილუზიებს ადგილი აქვთ თანმიმდევრული ხატების შემთხვევაშიც. ორი არატოლი წითელი წრის მრავალჯერადი აღქმის შემდეგ ობიექტურად ტოლი წითელი წრეები არატოლებად აღიქმება. ამის შემდეგ აღმოცენდება ილუზორულად არატოლი წრეების დადებითი თანმიმდევრული ხატები, ე. ი. ასეთ შემთხვევაში დადებითი თანამიმდევრული ხატები გვევლინებიან არა როგორც თანამიმდევრული ხატები არაგამღიზიანებლისა — ობიექტურად ტოლი წრეების, არამედ ტოლი წრეების ილუზირულად არატოლად აღქმისა.

ამჟამად ელექტრომიოგრამის (ემგ) მეთოდიკის საშუალებით მიღებულ იქნა მონაცემები, რომლებიც მოწმობენ წონის ილუზიის და შისი ანალოგების ე. წ. „პერიფერიული თეორიის" უსაფუძვლობის შესახებ.

თ. ჯავრიშვილმა და ა. ავალიშვილმა (5,23) შეისწავლეს კონტრასტული ილუზია ჰაპტურ მოდალობაში წინამხარის კუნთების ემგ-ის საშუალებით. ცდისპირს ჯერ 10-15-ჯერ ორივე ხელში ერთდროულად ეძლეოდა სხვადასხვა მოცულობის ბურთები (საფიქსაციო ცდები). კრიტიკულ ცდებში არატოლი ბურთები იცვლებოდა საფიქსაციო ცდებში გამოყენებული მცირე ბურთის ტოლებით. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულ ცდებში საკონტროლო ხელში მოწოდებული ბურთის ზომა ობიექტურად არ იცვლებოდა, პერიფერიული სტიმულაციის საწინააღმდეგოდ, იგი ილუზორულად აღიქმებოდა (კონტრასტულად დიდად), რაც გამოიხატებოდა საკონტროლო ხელის კუნთების ბიოდენების ამპლიტუდის გადიდებაში. ეს შედეგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მოცულობის ილუზია ცენტრალური ბუნების ფაქტორით განისაზღვრება.

ჩვენთვის საინტერესო ილუზიების „ცენტრალური" ბუნების შესახებ მოწმობენ აგრეთვე ი. ბჟალავას მიერ მიღებული ამ ფაქტების ელექტროენცეფალოგრაფიული კვლევის შედეგები. (И. Т. Бжалава—Новые методы экспериментального исследования установки. В сборнике „Психологические исследования", Тбилиси, 1973, გვ. 92—98).

მოყვანილი მონაცემები უჩვენებენ, რომ რეაქციები, მოქმედ სტიმულთან ერთად, განისაზღვრებიან „შინაგანი გარემოთი", ინდივიდის შინაგანი ორგანიზაციით. აღნიშნულ ილუზიებში წინამორბედი რეაქციის მიერ შემდგომი რეაქციის მომზადება გაშუალებულია ცდის იმგვარი „შუალედური" ორგანიზაციით, რომლის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება რომელიმე ცალკე აღებული ადამიანური გრძნობის მოდალობის ვიწრო ჩარჩოებით, არამედ ვრცელდება ყველა გრძნობისეულ მოდალობაზე.

დ. უზნაძე თავისი ექსპერიმენტების შედეგების განზოგადების შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ წონის ილუზიების (ფეხნერი, შარპანტუ და სხვ.) ანალოგიური ილუზიები შეიძლება გამოვავლინოთ ყველგან, სადაც კი „ადგილი აქვს კონფლიქტს სუბიექტის აქტუალურ განწყობასა და მასზე მოქმედ გამღიზიანებლებს შორის" (3). ეს მოასწავებდა განწყობის ახალი კანონზომიერების (განწყობის ილუზიის) აღმოჩენას, რომელსაც მეცნიერებაში „უზნაძის ეფექტი" (პიაჟე) (6) ეწოდა.

ამრიგად, დ. უზნაძემ და მისმა მოწაფეებმა უჩვენეს, რომ წონის ილუზიის და მისი ანალოგების შემთხვევაში განწყობა როგორც პრეორიენტაცია და რეაგირების გარკვეული ფორმისადმი დისპოზიცია გვევლინება,როგორც „ინდივიდის შინაგანი ორგანიზაციის" ზოგადი მაკონსტიტუირებელი ფაქტორი.

დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, განწყობის ილუზიის ფაქტი წარმოადგენს იმ კანონზომიერების გამოვლენას, რომლის მიხედვითაც აქტივობის არსებითი ზოგადფსიქოლოგიური თავისებურებაა მისი წარმოქმნა რეაგირების გარკვეული ფორმისადმი მზაობის — განწყობის საფუძველზე; არც ერთი აქტივობა არ იწყება „ცარიელი ადგილიდან".

აქედან გასაგებია, რომ დ. უზნაძემ შესაძლებლად მიიჩნია განწყობის ექსპერიმენტული შესწავლა იმ როლის საფუძველზე, რომელსაც თამაშობს განწყობა აღქმის ილუზიებსა და მათ ანალოგიურ ფსიქიკურ პროცესებში.

ამ საფუძველზე შესაძლებელი გახდა „ფიქსირებული განწყობის" ექსპერიმენტული მეთოდის (დ. უზნაძე) შემუშავება. ცდისპირს წინასწარ ექმნება შემოთავაზებული ამოცანების გადაწყვეტის მოთხოვნილება, მაგალითად, შეადაროს ზომის მიხედვით არატოლი ობიექტები (წრეები, ბურთები, სიმძიმეები და სხვ.). ამ არატოლი ობიექტების ექსპოზიცია რამდენჯერმე მეორდება (10—15-ჯერ), რათა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღმოცენებული „დიდ-პატარად" შეფასების პირველადი განწყობა ცდისპირს სათანადოდ დაუფიქსირდეს (საგანწყობო ცდები). ამას მოსდევს „კრიტიკული ცდები", რომელთა მსვლელობაში ფიქსირებული განწყობის გავლენით ცდისპირი ტოლ ობიექტებს ილუზორულად აღიქვამს.

საგანწყობო ცდებმა ცდისპირს შეუქმნეს მდგომარეობა, რომელმაც კრიტიკულ ცდებში მასში ტოლი ბურთების ილუზორული აღქმა გამოიწვია. ეს მდგომარეობა სხვა არაფერია, თუ არა აქტივობის გარკვეული ფორმისადმი დისპოზიცია, ე. ი. განწყობა.

რამდენადაც ამ კრიტიკულ ცდებში ჩვენ ილუზორული აღქმის ფაქტთან გვაქვს საქმე, უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ იმ ფიქსირებული განწყობის აქტივობის შესახებ, რომელიც მას უდევს საფუძვლად და იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს ეს განცდა, ვიმსჯელოთ ამ განწყობის თავისებურებების შესახებ, თვალი ვადევნოთ მისი წარმოქმნის, მიმდინარეობისა და ჩაქრობის პროცესს. რაოდენობრივ მიმართებებზე განწყობის ამგვარი მეთოდიკით კვლევისას შესაძლებელი ხდება ფიქსირებული განწყობის ეფექტის გაზომვა (პიაჟე, ხაჭაპურიძე, კინწურაშვილი და სხვ.).

უკანასკნელ პერიოდში მეცნიერულ ფსიქოლოგიაში, ხატების შემდეგმოქმედების შესწავლისას მიღებულ იქნა ისეთი შედეგები, რომლებმაც ეჭვის ქვეშ დააყენეს „უზნაძის ეფექტის“, როგორც განწყობის ეფექტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ხატების დროში მიმდინარეობის სუქცესიური ეფექტი, რომელიც განწყობის ილუზიების („უზნაძის ეფექტის“) დროს წარმოქმნილი ეფექტის ანალოგიურია, კელერის და ვალაჰის ცდებში ინტერპრეტირდება როგორც „ფიგურული შემდეგმოქმედება“ (figural after-effects).

კელერი ამ ილუზიების ელექტროფიზიოლოგიურ ახსნას გვთავაზობს. ყოველი ფიგურის მოქმედება ტვინის მხედველობით ქერქში წარმოქმნის „მაძღარ ელექტრულ ველს“. „სიმაძღრის ველში“ ფიგურის ხანგრძლივი აღქმისას იქმნება „ელექტროტონუსის“ მდგომარეობა. ყველა „შემდეგეფექტი“ აიხსნება „სიმაძღრის ველისა“ და „ელექტროტონუსის“ მდგომარეობის კანონზომიერებით. „ფიგურული შემდეგმოქმედების“ ამომწურავი აღწერა და ახსნა დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება იხილოს კელერის და ვალაჰის ნაშრომში(7).

საკითხი „უზნაძის ეფექტის“ ინტერპრეტაციის შესაძლებლობის შესახებ კელერისა და ვალაჰის თეორის შუქზე პირველად ჟ. პიაჟემ დააყენა. პასუხი უარყოფითი იყო (6).

ავტორთა რიგი მიუთითებს „ფიგურული შემდეგეფექტების“ წარმოქმნაში განწყობის მონაწილეობაზე (ნ. ადამაშვილი, ი. ბჟალავა, მ. ვერნონი, მ. მალოტრა, შ. ჩხარტიშვილი, ზ. ხოჯავა და სხვ.). ამ მიმართებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზ. ხოჯავას გამოკვლევის (8, 102) შედეგები. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ზ. ხოჯავა აანალიზებს შემდეგ ეფექტებს: ზომისა, ფერისა, სიღრმისა, გადახრისა.

ზ. ხოჯავამ აჩვენა, რომ „გადაადვილების შემდეგი ეფექტი“ არსებითად მანძილის აღქმის კონტრასტული ილუზიაა: სატესტო ფიგურების ობიექტურად ტოლი მანძილები ცდისპირს იმიტომ ეჩვენება არატოლად, რომ ამ მანძილთაგან ერთ-ერთი ინსპექციურ ბარათზე წინასწარ აღქმული მეორე მანძილის (დიდის ან პატარის) კონტრასტულად იცვლება. „ზომის ეფექტი“, ზ. ხოჯავას მონაცემებით, აგრეთვე აღქმის კონტრასტული ილუზიაა, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „ზომის ეფექტი“ წარმოადგენს იმ მანძილების აღქმის კონტრასტულ ილუზიას, რომლებიც ორგანზომილებიანი ფიგურის ზომებს წარმოადგენენ. ზ. ხოჯავას მონაცემების მიხედვით, არ არსებობს „ფიგურული შემდეგ-ეფექტები“, როგორც მხოლოდ ფიგურული. ეს ეფექტები სხვა არაფერია, თუ არა გამღიზიანებლების სიდიდეების აღქმის ჩვეულებრივი ილუზიები, რომლებიც „უზნაძის ეფექტში“ გამოვლინდნენ.

ზ. ხოჯავას გამოკვლევის შედეგები უჩვენებენ, რომ „ფიგურული შემდეგმოქმედების“ შემთხვევაში ილუზიის ეფექტის შუალედურ ცვლადად გვევლინება არა კვალების თვითორგანიზაცია „მაძღარი ველის“ და „ელექტროტონუსის“ მდგომარეობის პრინციპის მიხედვით, არამედ ინდივიდის ორიენტირებული და აქტიური ორგანიზაცია-განწყობა. ცდისპირში, რომელმაც ინსპექციურ ბარათზე აღიქვა გარკვეული მანძილი, წარმოიქმნება განწყობა, გარკვეული მანძილის აღქმის „ალბათობითი პროგნოზირების“ მდგომარეობა და მხოლოდ ამ მდგომარეობის — განწყობის გავლენით „სხვა მანძილები ილუზორულად აღიქმება“. ამ მხრივ მეტად თვალსაჩინოა ზ. ხოჯავას მიერ შენიშნული ფაქტი: ფიგურების შემდეგმოქმედების ცდებში კონტრასტული ილუზია ჩნდება მაშინ, როდესაც ინსპექციურ და სატესტო ბარათებზე გამოსახული ფიგურების მანძილებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად აღემატება ზღურბლოვანს ზ. ხოჯავას სამართლიანი თქმით, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს „განწყობის შეცვლის კანონთან“.

დ. უზნაძეს ეკუთვნის „განწყობის შეცვლის კანონის“ აღმოჩენა, რომლის მიხედვითაც, როდესაც საგანწყობო და კრიტიკულ გამღიზიანებლებს შორის სხვაობა დიდია, აღმოცენდება კონტრასტული ილუზია, თუკი ეს სხვაობა მინიმალურია, ადგილი აქვს ასიმილაციურ ილუზიას.

ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიების ფაქტი გასაგები ხდება მხოლოდ განწყობის თეორიის პოზიციებიდან.

ა. ვ. ზაპოროჟეცის სამართლიანი შენიშვნით (9), კონტრასტის ილუზია განწყობის ცდებში დაკავშირებულია განწყობის როგორც ისეთი მდგომარეობის მოქმედებასთან, რომელიც ასახავს სწორედ სუბიექტის პოზიციას, მის დამოკიდებულებას საგნებთან, — იმ საზრისს, რომელიც ამ საგნებს აქვთ მისთვის.

ფიგურების კონტრასტული გადაადგილება ინსპექციური და სატესტო ბარათების ფიგურების მანძილებს შორის განსხვავების შესაბამისად წარმოადგენს საზრისისეული მომენტის გამოვლინებას — გადაადგილება არის იმ განსხვავების („კონფლიქტის") ფუნქცია, რომელსაც ადგილი აქვს სუბიექტში მომავალი სიტუაციის ალბათობრივ პროგნოზირებასა და ფაქტიურად მომხდარი სიტუაციის ხასიათს შორის, რაც მეტია ეს განსვლა, მით უფრო კონტრასტულია სხვაობის ილუზორული გადაფასების აღქმა.

პიაჟე აგრეთვე აკრიტიკებს განწყობის ილუზიის (რომელსაც მან „უზნაძის ეფექტი" უწოდა) „მაძღარი ველის" და „ელექტროტონუსის" თეორიის (კელერი-ვალაჰი) საფუძველზე გაგების ცდებს, მაგრამ პიაჟე ამ ილუზიების აღმოცენებას სენსომოტორული ინტელექტის მონაწილეობით გაშუალებულად თვლის. მას შემდეგი მონაცემები მოჰყავს: 5—7 წლის ბავშვებმა, მოზრდილებთან შედარებით, აჩვენეს „უზნაძის ეფექტის" დაბალი სიდიდე და დაბალი ტრანსპოზიცია, აგრეთვე მისი ნელი ჩაქრობა. ამ ფაქტებს პიაჟე ხსნის ბავშვის სენსომოტორული ინტელექტის ნაკლები ძალით და ამასთან, ნაკლები შექცევადობით.

ე. გერსამიამ შეისწავლა საკითხი განწყობის ილუზიების თავისებურების შესახებ ოლიგოფრენ ბავშვებთან იმ პარამეტრებით, რომლებშიც ეს ილუზიები გენეტიკურად შეისწავლებოდა პიაჟეს მიერ, ე. ი. ილუზიის სიდიდე, მისი ჩაქრობის სისწრაფე და სხვა ფიგურებზე ტრანსპოზიცია (10).

მეტად საინტერესოა ე. გერსამიას შედეგები ტრანსპოზიციის მიმართ (განწყობის ეფექტის გამოვლენა ფიგურებზე, რომლებიც განსხვავდებიან საგანწყობო ფიგურებისაგან). გამოირკვა, რომ ტრანსპოზიციის შემთხვევათა სიხშირე ოლიგოფრენებთან გაცილებით მაღალია (90%), ვიდრე ნორმალურებთან (65%, ხოჯავას მონაცემებით). ამრიგად, დადგინდა უარყოფითი კორელაცია ინტელექტის დონესა და ტრანსპოზიციის უნარს შორის, წინააღმდეგ პიაჟეს თეორიის მიხედვით მოსალოდნელი დადებითი კორელაციისა.

თუმცა მონაცემები „უზნაძის ეფექტის" სიდიდისა და ჩაქრობის სისწრაფის შესახებ ოლიგოფრენებთან თითქოს ადასტურებენ, პირველი შეხედვით, პიაჟეს თეორიით ნავარაუდევ დამოკიდებულებას ამ მახასიათებლებსა და ინტელექტს შორის, მაგრამ ამ შედეგების ანალიზმა განწყობის ცნების პოზიციებიდან საშუალება მისცა ე. გერსამიას დაეფენებინა საკითხი მოტივაციური ფაქტორის — განწყობის სუბიექტური ფაქტორის — როლის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. უზნაძის ეფექტის ოლიგიფრენებთან გამოვლენისას ამ ასპექტით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ დამატებითი მოტივაციური ფაქტორის შემოტანისას ა) ილუზიის საშუალო სიდიდე ოლიგოფრენებთან ორჯერ

მატულობს და უტოლდება ნორმალურ სუბიექტთან ილუზიის სიდიდის საშუალო მაჩვენებლებს; ბ) ოლიგოფრენი ბავშვების ნაწილში შეიმჩნევა ილუზიის ჩაქრობის მნიშვნელოვანი დაჩქარება.

ეს მონაცემები ეწინააღმდეგებიან პიაჟეს თეორიას, რომლის მიხედვით ილუზიის ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები განპირობებულია სენსომოტორული ინტელექტის განვითარების დონით. მაგალითად, გაუგებარია, თუ როგორ ხდება, რომ სენსომოტორული ინტელექტის „შეუქცევადი" სტრუქტურა, რომელიც ხელს უშლის ოლიგოფრენთან ილუზიის ჩაქრობას, გადაიქცა „შექცევადად" მოტივაციური ფაქტორის ჩართვისას, რასაც ილუზიის ჩაქრობა მოჰყვა. პიაჟეს თეორია არ იძლევა გარკვეულ პასუხს კითხვაზე, თუ როგორია ერთმანეთთან დაკავშირებული ქცევის სტრუქტურული და დინამიური ასპექტები, როგორია მათი ურთიერთკავშირის კონკრეტული მექანიზმი.

ოლიგოფრენებთან „უზნაძის ეფექტის" კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ „უზნაძის ეფექტის" შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განწყობის გამოვლინებასთან, რომელიც შეიცავს აქტივობის დინამიური და სტრუქტურული მომენტების ერთიანობას (იხ. ქვემოთ). ამრიგად, ახალი ასპექტით დამტკიცდა „ფიქსირებული განწყობის" მეთოდის (დ. უზნაძე) მნიშვნელობა განწყობის ბუნების ექსპერიმენტული შესწავლისათვის.

ფიქსირებული განწყობის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შევისწავლოთ თვით განწყობის არსი იმ როლის მიხედვით, რომელსაც იგი თამაშობს ილუზიის წარმოქმნისას, განვითარებისას და ჩაქრობისას, ილუზიური აღქმისას და ამ უკანასკნელის ანალოგიური ფსიქიკური პროცესების დროს (რაც არ შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც გათვალისწინებულია ფაქტიურად მხოლოდ განწყობის ზემოქმედების შესასწავლად ფსიქიკური აქტივობის აპა თუ იმ სახეებზე).

ეს ექსპერიმენტული მეთოდიკა ამოდის იმ დებულებიდან, რომ განწყობის პრობლემა წარმოიქმნება მოქმედების ზოგადი თეორიის დონეზე; ე. ი. არა მარტო ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებების (attitude-ის) შესწავლისას, არამედ მაშინაც, როდესაც შეისწავლება სუბიექტის ყოველგვარი აქტივობის ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერებები.

როდესაც შეისწავლება განწყობა (set) იმ როლის საფუძველზე, რომელსაც იგი თამაშობს ილუზიის წარმოქმნისას, განვითარებისას და ჩაქრობისას, ყურადღება მახვილდება განწყობის როგორც ინდივიდის ქცევის ორგანიზაციის სელექტიური და რეგულატორული სისტემის ზოგადი, არსებითი კანონზომიერებების გახსნაზე.

2. განვიხილოთ დ. უზნაძის ზემოთ მოყვანილი მეთოდის მიხედვით ჩატარებული განწყობის ექსპერიმენტული კვლევის ზოგიერთი ძირითადი შედეგი.

ექსპერიმენტულად ფსიქოლოგიური განწყობის წარმოქმნის, განვითარებისა და ჩაქრობის კანონზომიერებების კვლევამ განწყობის სტრუქტურაში მთელი რიგი განზომილება და მახასიათებელი გამოავლინა. როგორც ექსპერიმენტული კვლევებიდან ჩანს, დ. უზნაძის მიხედვით, უნდა გავარჩიოთ დიფუზური (არადიფერენცირებული) განწყობა, დიფერენცირებული, ე. ი. არსებული ქცევის პირობებისადმი სპეციფიკურად ადექვატური განწყობა და ფიქსირებული (თუ განწყობა აქტუალიზირებულია, იგი, შესაბამისი პირობებისას, აქტუალიზაციისადმი მზაობას ინარჩუნებს); შემდეგ, არჩევენ ადვილად აგზნებად განწყობას, რომელიც საგანწყობო ცდების მცირე რაოდენობის შედეგად ფიქსირდება და ძნელად აგზნებად ან საერთოდ აუგზნებად განწყობას (არაფიქსირებადი განწყობა). ამას გარდა, განწყობის ჩაქრობის საკვლევ ექსპერიმენტში აღმოჩნდა:

1. დინამიური განწყობა, რომელიც კრიტიკული ცდების გამეორებათა რიგის შემდეგ ქრება, და სტატიკური განწყობა, რომელიც ასეთი ცდების სერიაში არ ქრება;

2. პლასტიკური განწყობა, რომელიც თანდათანობით სუსტდება და მხოლოდ გარკვეული საფეხურების გავლის შემდეგ უთმობს ადგილს მოცემული სიტუაციის შესაბამის ახალ განწყობას და ტლანქი განწყობა, რომელიც ერთბაშად, აღნიშნული საფეხურების გავლის გარეშე ქრება;

3. არჩევენ ლაბილურ და მეტ-ნაკლებად სტაბილურ განწყობას (ბ. ხაჭაპურიძის ცდები), რომელიც თავის აქტივობას მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებს (განზომილებებში: ლაბილურობა—სტაბილურობა, დინამიურობა-სტატიკურობა — განწყობის ფორმირება წარმოდგენილია უწყვეტი რიგის სახით, დაწყებული არსებული პირობებისადმი სპეციფიკურად ადექვატური აქტივობიდან და სტერეოტიპული განწყობებით დამთავრებული).

განწყობის ბუნების შემდგომი კვლევა დაკავშირებული იყო ამ მახასიათებელ-განზომილებების გამოვლენასთან ფსიქოლოგიური აქტივობის სხვადასხვა სახეების შემთხვევებში.

ამ მიზნით შემუშავებული ექსპერიმენტული კვლევის მეთოდიკები ამოდიოდნენ ერთი საერთო პრინციპიდან, რომელიც საფუძვლად უდევს ფიქსირებული განწყობის მეთოდს.

განწყობის, ე. ი. ექსპერიმენტულ სიტუაციაში რეაგირების გარკვეული ფორმისადმი მზაობის არსებობა დასტურდება აქტივობის სრულიად სხვადასხვა სახეებში, იმ ობიექტური სიტუაციის გარკვეული შეცვლისას, რომელშიც მოცემული კონკრეტული მოქმედებისადმი მზა-

ობა შეიქმნა (ეს შეცვლა არ უნდა აღემატებოდეს განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას); მაგალითად კიბეზე მოძრაობისას შეიძლება გარკვეული პრეორიენტაციის განწყობის აღმოჩენა თუ საფეხურს მოვაშორებთ.

მოვიყვანთ განწყობის მოქმედების აღნიშნულ პრინციპებზე აგებული ზოგიერთი ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგს ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში (ჩვევა, აღქმა, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, ხასიათი და ა. შ.).

განწყობის მოქმედება ჩვევების გამომუშავებისას იკვლია ზ. ხოჯავამ ნეიტრალური შრიფტის მეთოდით (11, 71). ზ. ხოჯავას ცდებში ლათინური ასოებით დაწერილი უაზრო სიტყვების კითხვისას ცდისპირს უფიქსირდება ლათინური შრიფტის კითხვის განწყობა. ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედების შედეგად „ნეიტრალური შრიფტით" (ე. ი. რუსული ასოებით, რომლებიც ფორმით ემთხვევიან ლათინური ანბანის ზოგიერთ ასოს) დაწერილი გავრცელებული რუსული სიტყვებისაგან შედგენილი ტექსტი იკითხება როგორც უაზრო ლათინური სიტყვებისაგან შედგენილი. ჩვევის ფუნქციონირების პროცესში გამოვლინდა ფიქსირებული განწყობა ყველა ზემოაღნიშნული მახასიათებლებით.

ანალოგიური შედეგები აღქმის სფეროში მიიღო ნ. ელიავამ (12). ერთი წამყვანი თემის მატარებელი სურათის მრავალჯერადი ტაქისტოსკოპური ექსპოზიციის შემდეგ ცდისპირს ეძლეოდა (აგრეთვე ტაქისტოსკოპით) სურათი სხვა წამყვანი თემით. მეორე სურათი ფიქსირებული განწყობის მიერ ასიმილირდებოდა და აღიქმებოდა, როგორც პირველი სურათის თემის შემცველი. ფიქსირებული განწყობის წარმოქმნა, მიმდინარეობა და ჩაქრობა ამ შემთხვევაში ისეთივე ნიშნით ხასიათდება, როგორც არაპერცეპტული აქტივობის შემთხვევებში. მნიშვნელოვანი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ თვისებრივ მიმართებებზე განწყობის ფიქსაციისას იგივე სტრუქტურული მახასიათებლები ვლინდება, რაც რაოდენობრივ მიმართებებზე მისი ფიქსირებისას.

შეისწავლა რა დროის აღქმისა და განწყობის ურთიერთმიმართების საკითხი, ქ. მდივანმა აჩვენა, რომ დროის ინტერვალების აღქმა ილუზიის ტიპების განაწილების მიხედვით, აგრეთვე კონტრასტული ილუზიების პრევალირების მიხედვით, ხასიათდება აქტივობის სხვა სფეროებში მიღებული განწყობის მოქმედების მონაცემებთან დიდი მსგავსებით (13).

ასეთივე სურათი გამოვლინდა რ. ნათაძის ექსპერიმენტებში (14). წარმოსახვის და ექსპრესიული აქტივობის სფეროში, სადაც იქმნებოდა სცენური გარდასახვის ანალოგიური, „როლთან შეგუების" სიტუაცია. ამ ცდებში ცდისპირები აქტიურად აღიქვამენ ისეთ გამღიზიანებლებს,

რომლებიც წარმოსახული საგანწყობო ობიექტების საწინააღმდეგოა. მაგალითად, ცდისპირებს ეძლეოდათ წონით ტოლი, მოცულობით კი განსხვავებული შარპანტის ობიექტები. მათ არაფერი უშლით ხელს საკუთანადო ილუზიების შექმნაში, მაგრამ მათ ეძლევათ ამოცანა, წარმოისახონ, რომ წონები რეალური სიტუაციის საწინააღმდეგოდაა განაწილებული. ამ წარმოსახვაზე დაფუძნებული განწყობის გზით მსახიობები ახერხებენ შარპანტეს ილუზიის ძალის დაძლევას. ეს ექსპერიმენტები უჩვენებენ, რომ როლის შესრულების ანალოგიური აქტივობის შემთხვევებშიც (როლის ცნების მნიშვნელობა ფართოდაა ცნობილი პიროვნების თანამედროვე თეორიაში) განწყობის მოქმედება ისევ იგივე მახასიათებლების — აგზნებადობის, პლასტიკურობის და ა. შ. — ფარგლებში ვლინდება (14, 295).

ის ფაქტი, რომ განწყობის ზემოთ დასახელებული ცალკეული მახასიათებლები ერთმანეთთან მჭიდრო დამოკიდებულებაში იმყოფებიან და რომ მათი ცვალებადი გამოვლინებანი ერთიანი სტრუქტურის მომენტებს წარმოადგენენ, ვ. ნორაკიძის გამოკვლევებში დადგინდა. ვ. ნორაკიძემ აჩვენა, რომ განწყობის მახასიათებლების ცალკეული ვარიაციების შეხამებანი შეადგენენ ამ თუ იმ ინდივიდის როგორც გარკვეული ტიპის წარმომადგენლის განწყობას (15. 184).

ვ. ნორაკიძემ ამ საფუძველზე ხასიათის ტიპები გამოავლინა, მაგალითად, აჩვენა, რომ დინამიური განწყობა წარმოადგენს მთლიან ჰარმონიულ ხასიათს, სტატიკური და რიგიდული განწყობა კი — კონფლიქტური ხასიათის ტიპს.

ვ. ნორაკიძის ცდებში გამოირკვა, რომ პროექციული მეთოდებით დადგენილი მრავალი ლატენტური თუ გაცნობიერებული ნიშანი როგორც ქცევის მოტივი, კანონზომიერად განაწილდა ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილი ტიპების მიხედვით; მაგალითად, სოციალური გარემოსადმი ადაპტაციის თვალსაზრისით დადებითი ნიშნები (კომუნიკაციური ნიშნები — მეგობრობა, კოლექტიურობა, სხვისი დახმარება, აფილიაცია და ა. შ.), რომლებიც თემატიური აპერცეფციის ტესტით დადგინდა, გამოვლინდა პლასტიკურ-დინამიური განწყობის მქონე პიროვნებებთან, ე. ი. გარემოსთან ადაპტირებულ პიროვნებებთან, ხოლო გარემოსთან ადაპტაციის თვალსაზრისით უარყოფითი ნიშნები (ეგოცენტრიზმი, აგრესიულობა, ზედმეტი ავტონომიურობა, ბიგიდობა და სხვ.) გამოვლინდა გარემოსთან ძნელად ადაპტირებულ, სტატიკური ან ლაბილური განწყობის მქონე სუბიექტებთან (15).

დ. ჰრიცუკმა (კანადა) შეისწავლა განწყობის თავისებურებების საფუძველზე დადგენილი ხასიათის ტიპებსა და აიზენკის მიერ შესწავლილი ხასიათების ტიპებს შორის ურთიერთკავშირი. გამოვლინდა არსებითი თანხვდომათა რიგი; მაგალითად გამოირკვა, რომ დისთიმიკები

(აიზენკის მიხედვით) ემთხვევიან სტატიკური განწყობის მქონე კონ-ფლიქტურ ტიპებს (ნორაკიძის მიხედვით), ისტერიული ტიპი (აიზენკის მიხედვით) ემთხვევა ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის მქონე იმპულ-სურ პიროვნებას (ნორაკიძე) (15).

ი. ბუალავას გამოკვლევებში დადგინდა, რომ ფსიქოზები და ნერ-ვოზები თავიანთ გამოხატულებას განწყობის ზემოაღნიშნული ასპექ-ტების სტრუქტურის ცვლილებაში პოულობენ (16).

მარტივი სენსორული სტიმულების მასალაზე გამოვლენილი განწყობის შეცვლის კანონი (კონტრასტისა და ასიმილაციის ეფექტი) უფრო რთულ ფორმებში ვლინდება ნეგატივიზმისა და ბოდვის მოვ-ლენებში (ზაპოროჟეცი) (9). კონტრასტული და ასიმილაციური ილუ-ზია ფიქსირებულ განწყობის ცდებში გამოხატავს შინაარსობრივი წინა-აღმდეგობების იმ ტიპს, რომელსაც გამოვლინების რთული ფორმები გააჩნია — ეს, მაგალითად, „იელის გამოკვლევებშიც" დამტკიცდა (17).

რ. ჰერცოგმა (კანადა) ნაშრომში „ლინგვისტური კოდის განწყო-ბის მახასიათებლები" (18) აჩვენა რომ დინამიური განწყობის მქონე (უზნაძე) ინდივიდები ავლენენ განვითარებული ლინგვისტური კოდის (ბერნსტაინი) მახასიათებლებს.

ო. სოდჰიმ (კანადა) განწყობის მაჩვენებლების მიხედვით (დ. უზნა-ძის მეთოდით) შეისწავლა განსხვავება მეორე ენის შემსწავლელთა ძლი-ერ და სუსტ ჯგუფებს შორის (19).

გამოვლინდა ფიქსირებული განწყობის ცალკეული მახასიათებლე-ბისა და მათი ურთიერთკავშირის შეცვლის თავისებურებები ოლიგო-ფრენიის შემთხვევაში. აღმოჩნდა, რომ ეს მახასიათებლები იმდენად სპეციფიკურია, რომ ე. გერსამიას მონაცემების მიხედვით, მათ დიფე-რენციულ-დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ოლიგოფრენიის ხასია-თის დადგენისათვის (10).

დამახასიათებელია, რომ ბოდვითი მდგომარეობისას, უტოლობაზე ფიქსირებული განწყობის შესაბამისად, განწყობისეულისაგან ძლიერ განსხვავებული სხვადასხვა ფიგურათა წყვილები არატოლად აღიქმე-ბიან (21).

დ. უზნაძის ექსპერიმენტებში და მისი ხელმძღვანელობით ჩატა-რებულ კვლევებში (ნ. ადამიშვილი და სხვ.) დადგინდა ირადიაციის ფაქტი: ერთი მოდალობის სფეროში შექმნილი განწყობა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლით, ვლინდება არა მარტო ამ მოდალობის ფარგლებში, არამედ სხვა მოდალობებშიც (მაგალითად, ჰაპტურ სფერო-ში ბურთებზე ჩატარებული საგანწყობო ცდების შემდეგ ცდისპირს უჩნდება ილუზიები (მხედველობითი ილუზიები ტაქისტოსკოპში ტო-ლი წრეების წარდგენისას) (3).

დადგინდა კანონზომიერებათა რიგი განწყობის გენერალიზაციის სფეროში (ხ. ხოჯავა) და გამოვლინდა განწყობის სახეები, რომლებიც განზოგადების ხარისხის მიხედვით განსხვავდებიან: მაგალითად, ორი წრის სიდიდის მიხედვით გარჩევაზე ფიქსირებული განწყობა ასიმილირებს ისეთ კრიტიკულ ფიგურათა მთელ რიგს, რომელთაც წრესთან ძალზე ცოტა რამ აქვთ საერთო (3).

დ. უზნაძემ საგანწყობო ცდები ჩაუტარა ჰიპნოტური ძილის მდგომარეობაში მყოფ ცდისპირებს. გამოირკვა, რომ ცდისპირებს, რომლებსაც არაფერი ახსოვდათ საგანწყობო ცდების შესახებ, ამ ცდების დროს გამოუმუშავდათ შესაბამისი განწყობა; გაღვიძების შემდეგ ჩატარებულ კრიტიკულ ცდებში გამოვლინდა საგანწყობო ილუზია მთელი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ცხადია, ამ დროს ცდისპირს უმუშავდება განწყობა, რომელიც არ შეიძლება მისი ცნობიერების შინაარსს შეადგენდეს და რომელიც არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ცალკეულ ფსიქიკურ ფაქტებზე (როგორც, მაგალითად, ინტენცია-განზრახვები, მოლოდინები, ამოცანის ინსტრუქცია და ა. შ.), ვინაიდან მისი არსებობის შესახებ ცდისპირმა არაფერი იცის.

ამიტომ, წერდა დ. უზნაძე, განწყობა როგორც აქტივობისაკენ მზაობა, უეჭველად უნდა იქნეს გაგებულ არა როგორც კერძო ფსიქიკური ფენომენი, ასევთივე კერძო ფენომენების რიგში, არამედ როგორც თვით მთლიანი სუბიექტის მდგომარეობა.

შევეცადოთ განვაზოგადოთ ზემოთ მოყვანილი კვლევების შედეგები, რომლებიც მიმართულნი იყვნენ ფიქსირებული განწყობის ძირითადი მახასიათებლების და განზომილებების გამოვლენისაკენ ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა სახეების შემთხვევებში. ეს შედეგები შესაძლებლობას გვაძლევენ განწყობის, როგორც რეაგირების გარკვეული ფორმისადმი მზაობის, არსებითი თავისებურებები გამოვავლინოთ.

კვლევების შედეგების თანახმად, აქტივობის სრულიად სხვადასხვა მოდალობებში (პერცეპტულში, ექსპრესულში და ა. შ.) განწყობა მუდამ გვევლინება, როგორც მუდმივი მახასიათებლების კომპლექტის (ნაკრები) მქონე მთლიანობითი სტრუქტურა ეს საშუალებას გვაძლევს, ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე, გავიგოთ განწყობა როგორც ინდივიდის აქტივობის დისპოზიციის შინაგანი ორგანიზაციის, შინაგანი მთლიანობის, ქცევის თანმიმდევრობის და სტრუქტურული მდგრადობის მაკონსტიტუირებული ფაქტორი აქტივობის პირობებიდ მუდმივი ცვალებადობის პირობებში.

3. მოქმედების ფუნქციონალური სტრუქტურის შესახებ თანამედროვე შეხედულებების შუქზე, რომლებიც კიბერნეტიკის განვითარებასთანაა დაკავშირებული, განწყობა გვევლინება როგორც არა ენტროპიული რიგის ფაქტორი.

განწყობა, გამოხატავს რა მოწესრიგებულობას, ქცევის განსაზღვრულობის საფუძველს წარმოადგენს. განწყობის სწორედ ასე და არა სხვაგვარად მოქმედებისადმი მზაობის წარმოქმნა, ქცევის განუსაზღვრელობის დაცემას იწვევს. განწყობა (რეაქციის საბოლოო შედეგის დაკოდირებული მოდელი, რომელიც ამ რეაქციას დროში უსწრებს) წარმოადგენს მიზანდასახული აქტივობის საესებით განუყოფელ კომპონენტს, რომლის გარეშეც აქტივობის რეგულირება პრინციპულად შეუძლებელი ხდება.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად განწყობის ფუნქცია მხოლოდ ამგვარ რეგულატორულ, მიმმართველ ეფექტში გამოიხატება: განწყობა მხოლოდ ამა თუ იმ კალაპოტში წარმართავს იმ ენერგეტიკულ ძალისხმევას (порыв), რომელიც აქტივობისათვისაა აუცილებელი და რომელიც განწყობის მიმართ გარეგანია, მაგრამ განწყობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ სტრუქტურა, როგორც მოდელი, რომელიც მომავალი აქტივობის მხოლოდ არსებით ნიშნებს ასახავს. მრავალი გამოკვლევით დადასტურებულია, რომ განწყობას ერთდროულად გააჩნია როგორც დინამიური (მოტივაციური), ისე რეგულატორული ეფექტი.

განწყობის მოქმედების აღმძვრელი, მოტივაციური ბუნება თანამედროვე ფსიქოლოგიაში განიხილება განწყობის როგორც რეაგირების ჩვეული მოდუსის გამეორების დისპოზიციად (როგორც ქცევის „შედეგის", გამოცდილების) გაგების პლანში, მაგრამ რეაგირების ჩვეული მოდუსის გამეორების დისპოზიციის გაგება არ შეიძლება სხვანაირად, თუ არა როგორც რეაგირების პირველადი მოდუსის შედეგად, რომელიც ამ დისპოზიციის შექმნას წინ უსწრებს.

ამიტომ ქართველი ფსიქოლოგების გამოკვლევებში განწყობის ბუნება, უპირველეს ყოვლისა, განიხილება არა როგორც მისი როგორც ქცევის სტერეოტიპულობის საფუძვლის გაგების პლანში, არამედ როგორც მიზანდასახულ-შეგუებითი ქცევის თვით შესაძლებლობის წინამძღვარის პლანში, რომელიც აქტივობის რეალურ პირობებს შეესაბამება. განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობა, რომლის ბაზაზეც იქმნება კონკრეტული მიმართულების აქტივობა, გამოვლინდა სწორედ როგორც კონკრეტული მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის [1], ქცევის ამ ორი დეტერმინანტის ურთიერთ-

[1] ჩვენი აზრით, განწყობის თეორიის ამ დებულებას, გარკვეული თვალსაზრისით, ეხმიანება ა. ნ. ლეონტიევის კონცეფცია იმის შესახებ, რომ „შინაარსის" (ის „რაც ობიექტურად იხსნება საგანსა თუ მოვლენაში") და საზრისის (ის, რაც წარმოიქმნება მოტივების, მოთხოვნილებების საფუძველზე) ცნებების განცალკევება ხელს უწყობს პიროვნების აქტივობის აგებულების გახსნას.

ქმედების ფსიქოლოგიური შინაარსი (სწორედ ეს განსაზღვრავს არსებითად განწყობის ცნების ახსნით მნიშვნელობას).

ამ თვალსაზრისით სასარგებლოა მოვიყვანოთ შ. ჩხარტიშვილის ცდების შედეგები, სადაც ნაჩვენებია განწყობის შექმნისათვის მოთხოვნილების მნიშვნელობა (22, 194).

შ. ჩხარტიშვილის ცდებში ცდისპირი დარწმუნებულია, რომ:

1. ლატარიაში მოიგებს ფასიან ნივთს, თუ 200 ბარათიდან, რომლებზეც ორ-ორი არატოლი წრეა გამოსახული, ამოიღებს ოც ისეთს, რომელზეც დიდი წრე 10 შემთხვევაზე მეტჯერ იქნება მის მიერ წინასწარ არჩეულ მხარეს განლაგებული (მარჯვნივ ან მარცხნივ);

2. ამ ცდების მსვლელობაში ტაქისტოსკოპში მას აჩვენებს სწორედ იმ 20 ბარათს, რომლებიც მან „შემთხვევით" ამოირჩია. სინამდვილეში კი ტაქისტოსკოპით ცდისპირს აჩვენებს არა მის მიერ ამორჩეული, არამედ სხვა 20 ბარათს, რომლებზეც ტოლი წრეებია გამოსახული. ამ ცდების შედეგებიდან ჩანს, რომ ცდისპირის მიერ წინასწარ არჩეულ (როგორც მოგების პირობა) მხარეს განლაგებული წრე შემთხვევათა 60,3% დიდად აღიქმება, მაშინ, როდესაც საწინააღმდეგო მხარეს განლაგებული — 18,8%; შემთხვევათა 20,9% წრეები ტოლებად აღიქმებიან. ამ ცდების შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განწყობის წარმოქმნის შემთხვევაში მოთხოვნილება სიტუაციას ასიმილირებს, რის გამოც განწყობაში მოთხოვნილების შესაბამისად შეცვლილი სიტუაცია აისახება, რაც ილუზორული აღქმების საფუძველი ხდება.

ზემოთ ნაჩვენები იყო, თუ როგორ ავლენს ფიქსირებული განწყობის მეთოდი, აგრეთვე ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში განწყობის მოქმედების კვლევის სხვა მეთოდები, განწყობის გამომუშავების პროცესში ობიექტური სიტუაციის მნიშვნელობას.

მოვიყვანთ ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოკვლევების შედეგებს.

მეტყველებაში ხმარებული ყოველდღიური ცნებების ბუნების ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დ. რამიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეტყველებით აქტივობაში სიტყვა, როგორც წესი, იხმარება გარკვეული საგნის მიმართ, მაგრამ იმ საერთო ნიშნების ცოდნა, რომლის საფუძველზეც მოცემული მოვლენა სიტყვით გამოიყოფა, ყოველთვის არაა ცნობიერებაში მოცემული. ამ შემთხვევაში განწყობა განსაზღვრავს მეტყველებით აქტივობას სწორედ როგორც რეალური პირობების შესატყვისი მდგომარეობა.

6—13 წლის ბავშვებზე ნ. ჭრელაშვილის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემები ავლენენ ენობრივი განწყობის არსებობას, რომელიც უნობრივი აუცილებლობის შესაბამისად არეგულირებს წინადადების წყობას, როდესაც ენობრივი კანონზომიერების რეალიზაცია

ცდისპირის მეტყველებაში არ გულისხმობს ცნობიერების მხრივ ქმედით კონტროლს (24).

ამრიგად, ქართველი ფსიქოლოგების გამოკვლევებში განწყობა გვევლინება როგორც დინამიური ნდგომარეობა, რომელიც მოქმედებას აღძრავს და ამდენად აქტივობაში ვლინდება. განწყობის ცნების ამგვარი გაგებისას აზრს კარგავს ზოგიერთ შრომაში გამოთქმული განწყობის ორი თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი ფუნქციის აღმძვრელი (ენერგეტიკული) და რეგულატორული (მაკონტროლისებული) — დაპირისპირება.

განწყობის კოგნიტური ფუნქცია ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევებში შესწავლილ იქნა ობიექტივაციის აქტისა და განწყობის ურთიერთმიმართების პლანში.

კვლევათა მონაცემების მიხედვით (დ. უზნაძე, ა. ფრანგიშვილი, ნ. ელიავა, ე. კეკერაძე, შ. ნადირაშვილი (3, 25, 26, 27, 28), ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის პროცესი აუცილებლობით გულისხმობს წინასწარი აქტის მონაწილეობას, „ობიექტივაციის აქტისას, რომელიც საშუალებას გვაძლევს რაიმე განვიცადოთ როგორც მოცემული, როგორც რაიმე „ობიექტი" (უზნაძე). ყურადღების ჩვეულებრივი განსაზღვრა არსებითად არ იძლევა ამ აქტის მკაფიო წარმოდგენას, ვინაიდან იმისათვის, რომ რაიმეზე კონცენტრაცია მოვახდინოთ, სრულად აუცილებელია გვქონდეს განცდა როგორც მოცემულობა. განწყობის თეორიის შუქზე ყურადღება ხასიათდება როგორც ობიექტივირებულ განცდაზე კონცენტრაციის ხარისხი. მეორე სრულიად განსაკუთრებულ მომენტს შეადგენს ფსიქიკური აქტივობა, რომელიც წარმოადგენს ობიექტივაციის შედეგად მიღებულ ფაქტზე ზედნაშენს. ჩვენთვის საინტერესო გამოკვლევებში ობიექტივაციის ცნება განუყოფელადაა დაკავშირებული განწყობის ცნებასთან. გამოირკვა, რომ „ობიექტივაციის პლანში" გაცნობიერების ობიექტად გვევლინება ის, რაც არ შეესაბამება აქტუალიზებულ განწყობას, მოტივებისა (მოთხოვნილების) და სიტუაციის შეცვლილ პირობებთან განსვლის გამო. ობიექტივაციის პლანში წარმოქმნილი ფსიქიკური აქტივობის შედეგები, რომლებსაც ინფორმაცია მიაქვთ ხსენებული შეცვლილი პირობების შესახებ, თავის მხრივ, უკუკავშირის პრინციპით ედებიან საფუძვლად ან განწყობის ფორმირების („კორიგირების") პროცესს, ან აქტუალური განწყობის აქტივობის შეცვლილი პირობების შესაბამის განწყობით შეცვლას. ამიტომ ფსიქიკური აქტივობა ერთდროულად წარმოადგენს როგორც ყოფიერების ასახვას, ისე ქცევის რეგულაციის რგოლს. ერთის მხრივ, ობიექტივაციისა და მასზე ზედნაშენის სახით აგებული ფსიქიკური აქტივობის და მეორეს მხრივ განწყობის მოქმედების ურთიერთმიმართების ასპექტით შესწავლილ იქნა პროდუქტიული აზროვნების ფაქტორები (ნ. ელიავა) (25). მეხსი-

ერების განვითარება (ე. კეკერაძე, (26), მეტყველებისა და აზროვნების ერთიანობა (შ. ნადირაშვილი, (27), დარწმუნებულობა (ა. ფრანგიშვილი (17)).

ქართველი ფსიქოლოგების გამოკვლევებში წარმოდგენილი განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგებმა საშუალება მოგვცეს გამოვლენილი და დახასიათებული ყოფილიყო განწყობის სხვადასხვა „ფუნქცია" (კოგნიტური, აღმძვრელი, რეგულატორული და სხვ.). ეს მონაცემები მკაფიოდ მიუთითებენ, რომ განწყობა რთული სტრუქტურაა, რომლის დახასიათება შეიძლება სხვადახსვა ასპექტში და სხვადასხვა ფუნქციების მხრივ. მაგრამ, ამასთან ერთად ძნელი არაა განწყობის ამ გამოვლინებებს (ფუნქციებს) შორის სრული შესატყვისობის შემჩნევა. ყოველი მათგანი როგორღაც ხსნის განწყობის ერთიან მთლიანობით თავისებურებას. ყოველი ამ „ფუნქციათაგან", როგორც აქტივობის განმსაზღვრელი, მაგალითად „აღმძვრელი", „რეგულატორული", „სელექტური" და მისთანა სისტემები, წარმოადგენს არა იმდენად კონკრეტულად არსებულ სისტემებს, არამედ განწყობის როგორც ინდივიდის მთლიანობითი ორგანიზაციის სხვადასხვა ასპექტებს, ასპექტებს, რომლებიც ერთმანეთში გადადიან.

უპირველეს ყოვლისა, ნათელი ხდება განწყობის, როგორც ინდივიდის მთლიანობითი ორგანიზაციის, ცნების კავშირი აქტივობის სუბიექტის როგორც გარკვეული სახით ორგანიზებული სისტემის, სუბიექტის არსის ფსიქოლოგიურ პრობლემასთან. ინდივიდი იმდენადაა აქტივობის სუბიექტი, რამდენადაც იგი „ორგანიზდება" არა აქტივობის მომენტში, არამედ წინასწარაა მომზადებული მისდამი, გარკვეული მიმართულებით „განწყობილია" გარკვეული აქტივობისაკენ. ამას გარდა, ისიც ცხადია, რომ განწყობის ცნება შუქს ჰფენს აქტივობის ერთიანობის, მთლიანობის ფსიქოლოგიურ არსს.

კონკრეტულ პირობებში ინდივიდი, სუბიექტი ახორციელებს ერთიან, მთლიანობით ქცევას. აქტივობის მთლიანობითობა — ესაა მისი განხორციელების დროს არსებული ყველა პროცესის სისტემა („განწყობილება", „წყობა"), ორგანიზაცია.

მივმართოთ მაგალითებს.

აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში სელექტურ-მიმართული პროცესები — აღქმა, მეხსიერება, წარმოსახვა, ამოცანის გადაწყვეტა და ა. შ. ავლენენ რა გარკვეულ ურთიერკავშირს და თანმიმდევრობას, გამოდიან როგორც პროცესები, რომელთაც ერთიან მართვას უწევს „შუალობითი ცვლადი", ე. ი. როგორც პროცესები, რომლებიც ფსიქიკური ორგანიზაციის გარკვეულ ფორმაში მიმდინარეობენ.

სოციალურ ფსიქოლოგიაში შესწავლილია ფაქტები, როდესაც კულტურული, ნაციონალური, კლასობრივი, ჯგუფური ზემოქმედებანი,

რომლებიც თავის დროზე შეიქმნენ როგორც განსაკუთრებული ტენდენციები, პიროვნების სოციალურ ფიქსირებულ განწყობებში (ატიტიუდებში) „ორგანიზდებიან“ ერთიან მთლიანობით სტრუქტურად.

პიროვნების სოციალური აქტივობის ატიტიუდებში ერთ ფუნქციონალურ მთლიანობად შეიძლება „ორგანიზდნენ“ არსებითად სხვადასხვა — აფექტური და შემეცნებითი ელემენტები ან სტრუქტურული და დინამიური მომენტები და ა. შ.

დასასრულ, განმცდელი და მოქმედი პიროვნება შეიძლება გააზრებულ იქნეს მხოლოდ როგორც ერთიანობა. სავსებით ჭეშმარიტია, როდესაც განცდის (ცნობიერების) და აქტივობის ერთიანობის ფსიქოლოგიური მნიშვნელობა მიაჩნიათ ერთიან, მთლიანობიდან ფუნქციონირებადი ორგანიზმის ბიოლოგიური მნიშვნელობის ანალოგიურად (ორგანიზმი ბიოლოგიურად არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი როგორც მთლიანობა ფუნქციობს).

რამდენადაც ინდივიდის აქტივობის მთელი თავისებურება ყოველ დისკრეტულ მომენტში დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, აქტივობის მთლიანობითი ორგანიზაციისაგან, სრულიად ბუნებრივად დგება აქტივობის განხორციელების დროს არსებული ყველა განცდის და მოქმედების პროცესების ურთიერკავშირის და ორგანიზაციის სისტემის, პრინციპის ცნების პრობლემა; დგება „საბოლოო საერთო გზის“ პრობლემა, რომელიც შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მთლიან-პიროვნული განზომილების დინამიური სტრუქტურის რომელ ერთეულზე და როგორ ფორმაში — ვინაიდან ეს ერთეული წარმოადგენს გარკვეულად ორიენტირებული აქტივობის ბაზისს — დაიყვანება მომქმედი სუბიექტი ყოველ დისკრეტულ მომენტში. განწყობის ცნება იძლევა ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას.

განწყობის ყველა ზემოთ განხილული სხვადასხვა გამოვლინება (ფუნქცია) ლაგდება აქტივობის სუბიექტის (პიროვნების) მთლიანობითი დინამიური სტრუქტურის ერთ ცალკეულ განზომილებაზე. ესაა „მთლიანად სუბიექტის (პიროვნების) მოდუსი მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში“ (დ. უზნაძე), რომლის ბაზაზეც წარმოიქმნება გარკვეული მიმართულების მქონე აქტივობა.

განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის მოყვანილი შედეგების თანახმად, აქტივობის ზოგად თეორიაში განწყობის ცნების ადგილი განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ეს ცნება საშუალებას იძლევა გადავჭრათ ზოგადფსიქოლოგიური პრობლემა — ფსიქიკური ორგანიზაციის უმაღლესი დონის — მთლიანი სუბიექტის (პიროვნების) მოდუსისა მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში (როგორც მისი მთლიანობითი, დინამიური სტრუქტურის ცალკეული განზომილებისა).

ამრიგად, ფიქსირებული განწყობის მეთოდით ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე განწყობა უნდა გავიგოთ როგორც მთლიანი სუბიექტის (პიროვნების) მოდუსი მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში (დ. უზნაძე), — მოდუსი, რომელიც „ადამიანური ძალების“ (კ. მარქსი) ორგანიზაციის უმაღლეს დონეს წარმოადგენს და რომელიც თითქოს აფოკუსირებს ინდივიდში მასზე მოქმედი სტიმულების ფსიქოლოგიური ეფექტების გამაშუალებელ ყველა შინაგან დინამიურ მიმართებებს და რომლის ბაზაზეც წარმოიქმნება გარკვეული მიმართულების მქონე აქტივობა როგორც ინდივიდსა და გარემოს შორის დამოკიდებულებების გაწონასწორება.

4. განწყობის ცნების შუქზე ნათელი ხდება ბუნება ადამიანური აქტივობისა, როგორც მისი პიროვნების, როგორც მთლიანის გამოვლენა. უფრო ზუსტად, პიროვნებისა და საქმიანობის ერთიანობის ბუნება.

აქტივობის სუბიექტის ზოგადფსიქოლოგიური არსი გვეძლევა მისი „აქტივობის ყოველ დისკრეტულ შემთხვევაში მისი განწყობების გარკვეულ მოდიფიკაციებში“ (დ. უზნაძე). ამ ასპექტით პიროვნების ფსიქოლოგია უნდა იყოს განწყობის თეორია.

დებულება იმის შესახებ, რომ გამოვლენილი აქტივობა განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

საქმე შემდეგში მდგომარეობს: თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში მიაჩნიათ, რომ თავის განწყობებს პიროვნება ინტერვიუს პროცესში ავლენს, და ის ფაქტი, რომ პიროვნების მოქმედება ძალიან ხშირად არ შეესაბამება ინტერვიუში გამოვლენილ განწყობებს, საფუძველად ედება დებულებას: პიროვნების გამოვლენილი ქცევა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ მისი განწყობით დეტერმინირებული. გამოვლენილი აქტივობა განისაზღვრება ბევრი სხვა ფაქტორით: მოტივებით, პიროვნების ნიშნებით, შეხედულებებით და ა. შ. ამითი ხსნიან რომ გამოვლენილი აქტივობა შეიძლება არ შეესაბამებოდეს პიროვნების განწყობებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესო შეუსაბამობის დასამტკიცებლად მოყვანილი ფაქტები მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სიტუაციასთან უშუალო კონტაქტისას განწყობა, რომელიც თავის დროზე გამომუშავდა ამ სიტუაციის მიმართ მხოლოდ წარმოსახვის ბაზაზე, შეიძლება შეიცვალოს.

მაგრამ საქმე ამაშიც კი არაა. თუ ჩავთვლით, რომ ტერმინი „განწყობა“ აღნიშნავს მხოლოდ გამოვლენილი ქცევის ერთ-ერთ ფაქტორს, მაინც დაგვჭირდება სხვა ტერმინი, ინდივიდის ორგანიზაციის ფორმის სხვა ცნება, ღირებულებით — პიროვნული დინამიური სტრუქტურის ერთეულის ცნება, რომელზედაც დაიყვანება სუბიექტი მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში.

ამის გარდა, თუ ინდივიდის აქტივობა ამა თუ იმ შემთხვევაში არ განისაზღვრება ატიტიუდით — პერმანენტული დისპოზიციით, ე. ი. ფიქსირებული განწყობით, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი არ განისაზღვრება განწყობით (set) როგორც სუბიექტის მოდუსით მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში.

ქართველ ფსიქოლოგთა კვლევის საგანი გახდა განწყობის ცნებისა და ქცევის იმ პერმანენტული „რეგულატორების" ცნებებს შორის ურთიერთმიმართების პრობლემა, რომლებიც გამოცდილების განმავლობაში იქმნებიან (მაგალითად, პიროვნების ნიშნები, ატიტიუდები და ა. შ.). მიღებულ იქნა მეტად თვალსაჩინო შედეგები: მკაფიოდ გამოხატული ხასიათის ტიპს შეესაბამება ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მკაფიო ტიპი (ვ. ნორაკიძე, (25). აქედან თვალნათლივ გამომდინარეობს, რომ განწყობისა და „პირადი კუთრი წონის" ერთიანობის ხარისხის ზრდასთან ერთად განწყობის თავისებურებები სულ უფრო ამჟღავნებენ ხასიათის ნიშნებთან შერწყმის ტენდენციას.

ამ საკითხის კვლევას გარკვეული სამუშაო ჰიპოთეზა ედო საფუძვლად: ატიტიუდები, მოტივები, პიროვნების ნიშნები, კონცეპტები და მისთანა ქცევის ფაქტორები განსაზღვრავენ გამოვლენილ ქცევას არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად და არა „ცალობით", არამედ ექვემდებარებიან განწყობის (set) პიროვნების აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში მისი მოდუსის — რეგულატორულ მოქმედებას. განწყობა — ესაა „საერთო საბოლოო გზა", რომელიც თავის თავში „იწოვს" პერმანენტული დისპოზიციების სისტემებს და რომელიც განსაზღვრავს საბოლოო ჯამში გამოვლენილი აქტივობის ორიენტაციას. მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ ინდივიდის გამოვლენილი ქცევა როგორც გარკვეული ფორმის რეაგირებისადმი დისპოზიციის — განწყობის რეალიზაცია.

განწყობა როგორც განზოგადებული მდგომარეობა, როგორც მთლიანი სუბიექტის მოდუსი აქტივობის ყოველ დისკრეტულ მომენტში, განსაზღვრავს იმ წანამძღვრებს, რომლებიც ფსიქიკური აქტივობის კონკრეტულ გამოვლენებს უდევს საფუძვლად. განწყობის თეორიის ამ დებულებას პირდაპირი კავშირი აქვს იმ წარმოდგენათა კომპლექსთან, რომელიც ამ თეორიაში ცვლის ფსიქიკური ფუნქციების მოზაიკის კონცეფციას, ფუნქციებისა, რომლებიც იზოლირებულნი არიან მთლიანი პიროვნების შინაგანი დინამიური ცოცხალი სისტემისაგან.

თუ არ ამოვალთ ინდივიდის ამ „პირველადი" მთლიანობითი მდგომარეობის — განწყობის (რომლის საფუძველზეც აღმოცენდება გარკვეულად ორგანიზებული და გარკვეულ მხარეს მიმართული აქტივობა და რომელთა მიმართებაში ცალკეული ფსიქიკური პროცესებისა და მოქმედებების წარმოქმნა „მეორად პროცესს" წამოადგენს) ცოდნიდან,

შეუძლებელია აქტივობის აღწერაც, ახსნაც და შეცვლაც[2]. მათ შორის ე. წ. „გაცნობიერებული განწყობებისა“ როგორც ფსიქიკური „აქტივობის“ რთული ფორმების რეგულაციის ფაქტორებისა. (Ф. В. Бассин, К проблеме осознаеваемости психологических установок, Всб. „Психологические исследования“ Тбилиси. 1973, გვ. 45—51).

მაგალითად, სასწავლო აქტივობის საწყის მომენტად ტრადიციულად ითვლება გაკვირვების გრძნობის აღმოცენება. იგი ითვლება „უკანასკნელ ინსტანციად“, რომელიც სწავლის პროცესის დაწყებას ხსნის.

მაგრამ გამოირკვა, რომ გაკვირვების (შეკითხვის) გრძნობის წარმოქმნა — „მეორე რიგის“ მოვლენაა: ერთი და იგივე მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს ან არ გამოიწვიოს გაკვირვების გრძნობა და მასთან დაკავშირებული შეკითხვის წარმოქმნა, ინდივიდის სპეციფიკურად ორიენტირებული აქტიური და დინამიური ორგანიზაციისაგან (განწყობისაგან) დამოკიდებულებით (28).

სხვა მაგალითი მოგვყავს პანიკის ფსიქოლოგიის კვლევისას, მიღებული შედეგებიდან გამოირკვა, რომ პანიკურ ქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როდესაც არ არის ნებისმიერი იმ ფაქტორთაგან, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც პანიკის გამომწვევი მიზეზები. ნაჩვენები იქნა, რომ ერთი და იგივე გარემოებები შეადგენენ როგორც ინდივიდების პანიკური ქცევის გამომწვევ, ისე არგამომწვევ სიტუაციას; ყველაფერი დამოკიდებულია ამ გარემოებებში მოქმედი პიროვნების განწყობის სპეციალური ბუნებისაგან (29).

5. ქართველ ფსიქოლოგთა კვლევებში ნაცადია არაცნობიერის პრობლემის გადაჭრა როგორც ისეთი პრობლემისა, „რომელიც მეცნიერებაში მუშავდება ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური შესწავლის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენებით“ (3; 178). ეს გამოკვლევები მოწმობენ, რომ ჩვეულებრივი ფსიქიკური ფაქტების, ცალკეული ცნობიერი განცდების გარდა არსებობს სპეციფიკური სფერო, აქტივობის სუ-

---

[2] ეს დებულება არსებითად დაკავშირებულია „გაშუალებულობის პოსტულატთან“, რომელიც დ. უზნაძემ დაუპირისპირა „უშუალობის პოსტულატს“. ამ უკანასკნელის თანახმად, ობიექტის ზემოქმედებასა და ფსიქიკურ პროცესებს შორის კავშირი უშუალოა. „გაშუალებულობის პოსტულატს“ პიროვნების აქტივობის ცნება ცენტრალურ ადგილზე გამოაქვს, ვინაიდან პიროვნება ებმება ობიექტურ სამყაროსთან ურთიერთქმედებაში, ხოლო ფსიქიკური პროცესები აქტივობაში ჩაირთვებიან როგორც „ინდივიდუალობის ორგანოები“ (კ. მარქსი).

„ღირებულ განცდათა“ პრობლემა (რომელიც ფართო დისკუსიის საგანი გახდა ეურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის“ ფურცლებზე) განწყობის თეორიაში იხსნება „გაშუალებულობის პოსტულატის“ საფუძველზე, რომელიც ერთნაირად ამოსავალია ფსიქოლოგიური ცოდნის ყველა სფეროსათვის.

ბიექტის განწყობის, მისი მთლიანობითი მდგომარეობის მოდუსის სფერო, რომელიც არ შეიძლება იყოს ცნობიერების ცალკეული აქტი.

განწყობა როგორც ფსიქიკურის სპეციფიკური სფერო, აქტივობის კანონზომიერ კომპონენტს წარმოადგენს სწორედ როგორც გაუცნობიერებელი მდგომარეობა. ესაა აქტიური მდგომარეობა, რომელიც არ იღებს ცნობიერების შინაარსისათვის დამახასიათებელ ფორმას.

ამით განწყობის ცნება უკავშირდება აქტივობის როგორც ფსიქიკური ასახვის არაცნობიერი და ცნობიერი ფორმების **სინერგიის** პრობლემას.

როგორც ამ საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, აქტივობის შეგუების უმაღლესი ფორმა, მისი შინაგანი მოწესრიგებულობა, ამ სინერგიით მიიღწევა (ფ. ბ. ბასინი და სხვ.).

აღნიშნული სინერგიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აქტივობის ორი პლანის — განწყობისეული პლანის და ობიექტივაციური პლანის — ურთიერთმიმართება.

დ. უზნაძის თეორიის შუქზე საგნის ობიექტივაცია დაკავშირებულია განწყობის რეალიზაციის შეფერხებასთან, რომელიც გამოწვეულია ინდივიდის განწყობების არაადექვატურობით აქტივობის შეცვლილი პირობების მიმართ. ცნობიერი აქტივობის პლანის წარმოქმნა დაკავშირებულია აქტუალიზებული განწყობების მოქმედების თავისებურებებთან, ხოლო ობიექტივაციის პლანში განხორციელებული აქტივობის შედეგები, თავის მხრივ, საფუძვლად ედება აქტუალიზებული განწყობის ისეთი განწყობით შეცვლას, რომელიც აქტივობის ობიექტურ პირობებში ცვლილებებს შეესატყვისება. ასე უნდა წარმოვიდგინოთ, აქტივობის ორი პლანის (განწყობისეული პლანისა და ობიექტივაციის პლანის) ურთიერთმიმართების შუქზე, ფსიქიკური ასახვის არაცნობიერი და ცნობიერი ფორმების სინერგია, — იმ ურთიერთობების დონისაგან დამოკიდებულებით, რომლებიც ინდივიდსა და გარემოს შორის იქმნება. ამით განწყობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება ზ. ფროიდის მოძღვრებისაგან, რომლის მიხედვით ადამიანის აქტივობის ამოსავალი დეტერმინატები განიხილება როგორც ფაქტორები, რომლებიც არ ემორჩილებიან ცნობიერების აქტივობის განსაზღვრულ კანონზომიერებებს.

ЛИТЕРАТУРА

1. D. N. Uznadze. Ueber die Gewichtstäuschung und ihre Analoga. Psych. Forschung, 1931, B XII.
2. D. N. Uznadze. Untersuchungen zur Psychologie der Einstellung. Acta Psychologica, B. IV, 1939.

3. Д. Н. Узнадзе. Экспериментальные основы психологии установки. Тбилиси, 1961, под. ред. А. С. Прангишвили.

4. И. Т. Бжалава. Восприятие и установка. Тбилиси, 1965.

5. Т. Д. Джавришвили, А. М. Авалишвили. О физиологическом механизме контрастной иллюзии в гаптической сфере. Экспериментальные исследования по психологии установки, т. IV, под ред. А. С. Прангишвили и З. И. Ходжава.

6. 6. J. Piaget, M. Lambercier. Essai sur un effect d „Einstellung" survenant au cours de perceptions visuelles (effet Uznadze). Arch. d. Psychol. Geneve, 1945, t. XXX.

7, W. Köhler and H. Wallach. Figural after-effects. An investigation of visual process. «Proc. Amer. Phil. Soc.» 1944, 88, 269—357.

8. З. И. Ходжава. Фигурные «после-эффекты перемещения и размера» в опытах В. Калера и Г. Валлаха, как контрастные иллюзии восприятия расстояний. Экспериментальные исслед. по психологии установки, т. IV, под. ред. А. С. Прангишвили, З. И. Ходжава.

9. А. В. Запорожец. Развитие произвольных движений, Москва, 1960.

10. Е. А. Герсамия. Фиксированная установка детей-олигофенов и некоторые особенности структуры их психики. Тбилиси, 1968.

11. З. И. Ходжава. Проблема навыка в психологии, Тбилиси, 1960.

12. Н. Л. Элиава. К проблеме переключения установки. Экспериментальные исследования по психологии установки, т. 1, под. род. А. С. Прангишвили, З . И. Ходжава.

13. К. Д. Мдивани. Восприятие времени и установка. Материалы XVIII Международного психологического конгресса, 14 симпозиум — «Экспериментальные исследования установки», под. ред. А. С. Прангишвили.

14. Р. Г. Натадзе. К вопросу о связи способности сценического перевоплощения со способностью вырабатывать фиксированную установку на основе представления. Психология, т. III, посвященный 60-летию со дня рождения Д. Н. Узнадзе. Отв. ред. А. С. Прангишвили.

15. В. Г. Норакидзе. Экспериментальные исследования по психологии установки — т. V, 1971, под ред. А. С. Прангишвили, З. И. Ходжава.

15а. В. Г. Норакидзе. Методы исследования личности подростка. «Экспериментальные исследования по психологии установки», под. ред. А. С. Прангишвили и З. И. Ходжава, т. V, Тбилиси, 1971.

16. I. T. Bzhalava. On the psychopathology of fixated set in epilepsy and schizophrenia. Cortex. v. I, 1965.

17. А. С. Прангишвили. Исследования по психологии установки. Тбилиси, 1967.

18. Р. Герцог. Характеристики установки лингвистического кода. Экспериментальные исследования по психологии установки, т. IV, под ред. Прангишвили А. С. и Ходжава З. И.
19. S. S. Sodhi. Rigidity and Set in Second Language Acquisition. University of Alberta, 1968.
20. J. Hritzuk. An experimental and comparative application of the psychology of set.
21. М. А. Сакварелидзе. Особенности генерализации фиксированной установки при бредовых состояниях. «Экспериментальные исследования по психологии установки», т. II, под род. А. С. Прангишвили и З. И. Ходжава, Тбилиси, 1968.
22. Ш. Н. Чхартишвили. Установка и потребность. Материалы XVIII Международного психологического конгресса, 14 симпозиум. «Экспериментальные исследования установки, под ред. А. С. Прангишвили.
23. Д. И. Рамишвили. Психология видов речи. Тбилиси, 1964.
24. Н. В. Чрелашвили. Психологическая природа возникновения речи в онтогенезе. Тбилиси, 1965.
25. Н. Л. Элиава. Мыслительная деятельность и установка. Сб. «Исследования мышления в советской психологии». М., 1966.
26. Е. Д. Кежерадзе, Роль слова в запоминании. Журн. «Вопросы психологии», 1960, № 2.
27. А. С. Прангишвили. Учение и установка, «Экспериментальные исследования по психологии установки», т. V, 1971, под ред. А. С. Прангишвили и З. И. Ходжава.
29. А. С. Прангишвили. Социальная психология пашки. В книге А. С. Прангишвили «Исследования по психологии установки», Тбилиси, 1967.
30. Ф. В. Бассин. Сознание и бессознательное. Сб. «Философские вопросы физиологии высшей нервной деятельности и психологии». М., 1962, там же «обсуждение» — А. С. Прангишвили, стр. 613.

(«Психологические исследования», Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1973, с.

განწყობა როგორც ფსიქიკური ასახვის არაცნობიერი საფუძველი[1]

სამტომიანი კოლექტიური მონოგრაფიის ფურცლებზე „არაცნობიერი: ბუნება, ფუნქციები და კვლევის მეთოდები" (თბილისი, 1978), არაცნობიერის პრობლემასთან განწყობის ცნების მიმართების საკითხთან დაკავშირებით, გამოყოფილია შემდეგი ნეგატიური დებულებები 1. არაცნობიერი რეალურია მხოლოდ როგორც ფიზიოლოგიურ პროცესთა არსებობის ფორმა. 2. არაცნობიერი ისეთი კატეგორიაა, რომლის გამოყენება შეუთავსებელია ფსიქოლოგიური მეცნიერების დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდოლოგიასთან. 3. განწყობის ცნების გაიგივება (უზნაძისეული გაგებით) არაცნობიერის ფსიქოლოგიურ ცნებასთან ზედმეტს ხდის მას ფსიქოლოგიისათვის, როგორც ამხსნელი მეცნიერებისათვის (შდრ. ტ. I, გვ. 74), განვიხილოთ ამ დებულებათა ზოგიერთი ასპექტი.

თუ არაცნობიერის პრობლემა — ფსიქოლოგიის პრობლემაა (ეს კი უეჭველად ასეა), მაშინ სრულიად ნათელია, რომ ის შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მეცნიერული ფსიქოლოგიური მეთოდების მეშვეობით. ამდენად არაცნობიერის ფსიქოლოგიური ცნების შესახებ დისკუსიას საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ მეცნიერული ექსპერიმენტული მონაცემები. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო დებულებები სწორედ ამ ჭრილში იქნება განხილული.

1. დავიწყოთ იმ ცდების განხილვით, სადაც არაცნობიერი რედუცირებულია ფიზიოლოგიური მდგომარეობის დონემდე.

უზნაძის სკოლის ნაშრომები, რომელნიც ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლიან და ბევრი სხვა დაკვირვება, განზოგადება თუ ფაქტი ცხადყოფენ, რომ ცნობიერების აქტივობის ექსპერიმენტულ კანონზომიერებათა შემადგენელ ნაწილებად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს მიმართულობის, ორიენტირების, ღირებულების და სხვ. ფაქტორთა მოქმედება ე. ი. ფსიქოლოგიურ განწყობათა მოქმედება, რომლებიც განცდაში

---

[1] А. С. Прангишвили, «Проблема бессознательного в психологической концепции установки». «Психологический журнал», том 1, № 6, 1980, М., изд-во «Наука».

ცნობიერად არ გვეძლევა, მაგრამ ამასთანავე გაცნობიერებული ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებათა გარეშეც არ ხორციელდება.

მაგალითისათვის შევჩერდეთ დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში დ. რამიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე, რომლებიც ეხება ამ თუ იმ მოვლენის სიტყვის საშუალებით გამოყოფას სამეტყველო მოქმედების პროცესში. რამიშვილის ცდებში ყველა ცდისპირი შეკითხვაზე: არის თუ არა ია ბალახი, კატეგორიულად უპასუხებდა, რომ ია ყვავილია და არა ბალახი; რაც შეეხება ანალოგიურ შეკითხვას სამყურას შესახებ, პასუხი იყო, რომ სამყურა ბალახია, თუმცა მას აქვს ყვავილი. რამიშვილის მონაცემების მიხედვით, ყოველდღიურ ცნებათა აღნიშნული სიტყვების ერთმნიშვნელოვანი გამოყენება, როგორც წესი, განპირობებულია სრულიად ობიექტური ფაქტით, კერძოდ. გარკვეულ მოვლენათა როლით მოცემული ენობრივი კოლექტივის სოციალურ პრაქტიკაში. მაგალითად, ბალახია ყველაფერი ის, — რაც გამოიყენება, როგორც მწვანე მასა. სამაგიეროდ, ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება ასეთ გამოყენებას, გამოირიცხება ბალახის კატეგორიიდან. მაგრამ სუბიექტის ცნობიერებაში ენობრივი მოქმედების ცნობიერი პროცესის განმსაზღვრელი ეს კანონზომიერება არ აისახება. *სუბიექტი არ აცნობიერებს, თუ რას უწოდებს ის ბალახს. მაგრამ გაუცნობიერებლობის მიუხედავად, ეს კანონზომიერება არ კარგავს ფსიქოლოგიურობის ნიშნებს — აზრიანობას და სხვ.* გამოირკვა, რომ ადამიანის საგნებთან პრაქტიკული ურთიერთობისას ცნობიერებისაგან დაფარული კავშირების დონეზე განმტკიცდება ზოგადი ობიექტური მიმართებები, მაგალითად, ბალახი — როგორც მცენარე, რომელსაც მწვანე მასის სახით ვიყენებთ (6, ტ. III, გვ. 179).

უზნაძის სკოლის მიერ ჩატარებული ცდების შედეგები ნათელყოფენ იმას, რომ გაუცნობიერებელი ფსიქიკური მოქმედება „თანამონაწილეობს", ფარული სახით, როგორც ცნობიერების აქტიობის ნებისმიერი ფორმის ჩამოყალიბების წინა პირობა და მარეგულირებელი ფაქტორი.

„არაცნობიერის" I ტომისათვის, ფ. ბასინისა და ა. შეროზიას თანაავტორობით დაწერილ სარედაქციო წერილში, ჩვენ ავღნიშნავდით: „თუ კი არაცნობიერისათვის დამახასიათებელია ასეთი თანამონაწილეობა, მაშინ ცხადი ხდება, რომ არაცნობიერის მხოლოდ ფიზიოლოგიური მდგომარეობისა თუ ფაქტორების დონემდე რედუცირდება ისევე არალოგიკურია, როგორც იმის მოთხოვნა, რომ ამ დონემდე დავიყვანოთ თვით ცნობიერებაც, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ განხორციელებული ფსიქიკური მოქმედების ნებისმიერი აქტი ფიზიოლოგიური მექანიზმით ხორციელდება" (6, ტ. I, გვ. 76).

2. ახლა განვიხილოთ ის დებულება, რომ არაცნობიერი ფსიქიკური დიალექტიკურ-მატერიალისტურ მოძღვრებასთან შეუთავსებელი კატეგორიაა. ზოგიერთი ფსიქოლოგი ვარაუდობს, რომ ჰიპოთეზა არაცნობიერი ფსიქიკის რეალურად არსებობის შესახებ, უდრის ტვინის, როგორც ფსიქიკის მატერიალური სუბსტრატის, უარყოფას და ფსიქიკის სუბსტრატად საკუთრივ ფსიქიკური მოვლენების აღიარებას ცნობიერების გამოკლებით.

იმის მტკიცება, რომ ფსიქიკური ტვინის ფუნქციაა, არ შეიძლება ნიშნავდეს და არც ნიშნავს იმას, რომ ფსიქიკა, ტვინის მხოლოდ შინაგანი კანონზომიერებით, მისი უჯრედული სტრუქტურით დეტერმინირებული მთლიანობაა. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა რუბინშტეინი, ფსიქიკურის, როგორც ტვინის წარმონაქმნის შესახებ წარმოდგენას, მივყავართ ფიზიოლოგიურ იდეალიზმამდე. აგრძელებს რა ამ აზრს, ს. რუბინშტეინი წერს: ტვინი ფსიქიკური მოქმედების მხოლოდ ორგანოა და არა მისი წყარო (9, გვ. 6). ამოსავალი წერტილი ფსიქიკური მოქმედების სუბიექტივისტური გაგების გადასალახავად არის იმის აღიარება, რომ ობიექტური სამყარო, რომელიც ახდენს ზეგავლენას ტვინზე, თავიდანვე მონაწილეობს ფსიქიკურ მოვლენათა დეტერმინაციაში (9.9). რუბინშტეინი აღნიშნავს, რომ სწორედ დაყენებული საკითხი ფსიქიკური მოქმედების ტვინთან კავშირის თაობაზე აუცილებლობით გადაიზრდება საკითხში იმის შესახებ, რომ ფსიქიკური მოვლენები განპირობებულია ადამიანის ურთიერთმოქმედებით სამყაროსთან, მთელი მისი ცხოვრებით (9, 30). ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის ამ სისტემაში ძირითადია ადამიანის მოქმედება, მიმართული სამყაროს გარდასაქმნელად აქტიური, ადამიანური მოთხოვნილებების შესაბამისად.

ამრიგად, მატერიალისტური ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპის თანახმად „ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ე ა დ გ ე ნ ს მ ი ს ი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა ს“ (7).

მარქსიზმის კლასიკოსებმა, იკვლევდნენ რა ადამიანის პრინციპებისა და იდეების ფორმირების პროცესებს როგორც ყოფიერების, რეალური სინამდვილის ასახვას, აჩვენეს, რომ ცნობიერება არ უნდა გავიგოთ ფსიქიკურის არსებობის აუცილებელ გარდაუვალ ფორმად და მითუმეტეს არ უნდა გავაიგივოთ ფსიქიკური ასახვის ბუნება შემეცნების ცნობიერ პროცესთან. მარქსის მიერ ეს ნაჩვენები იყო სასაქონლო ფეტიშიზმის ბუნების გაანალიზების მაგალითზე; ადამიანის ქცევის ფორმირების პროცესში ასახვის გაუცნობიერებელი ფორმების მონაწილეობის ფაქტზე მითითება არის იქ, სადაც მარქსი ახასიათებს კაპიტალისტის პიროვნულ ნიშნებს, როგორც კაპიტალის გამოვხატველ თვისებათა პერ-

სონიფიკაციას და სადაც ის აღნიშნავს, რომ მინერალებით მოვაჭრე ვეო ხედავს მათ სიმშვენიერეს და ა. შ.

ცნობიერების მეშვეობით ადამანის აქტივობის რეალიზების ფაქტი. წერდა ენგელსი, ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ აქტივობა მხოლოდ ცნობიერებაზეა დამოკიდებული (1).

ამრიგად, ფსიქოლოგიური მეცნიერების დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სავსებით კანონზომიერია ფსიქოლოგიის ამოცანად მივიჩნიოთ ადამიანის მოქმედების მართვაში გაცნობიერებულისა და გაუცნობიერებელის ფუნქციათა თვისებრივი განსხვავების შემეცნება.

3. ახლა შევჩერდეთ განწყობის (უზნაძისეული გაგებით) მიმართეზაზე არაცნობიერის ფსიქოლოგიურ ცნებასთან და მის მეცნიერულ ღირებულებაზე.

არაცნობიერის რეალობის აღიარება, ე. ი. იმის დაშვება, რომ ნებისმიერი ფსიქიკური აქტივობის ჩამოყალიბებაში „ფარული სახით" მონაწილეობს არაცნობიერი ფსიქიკური მოქმედება, მოითხოვს ფსიქოლოგიური კვლევის ამოსავალი პოსტულატების განსაზღვრასთან ერთად დამუშავდეს კატეგორიალური აპარატი, რომელიც ადეკვატურად ასახავს არაცნობიერის სპეციფიკას და მისი კანონზომიერების თავისებურებას. არაცნობიერის ფსიქოლოგიის კატეგორიალური აპარატის პრობლემის თვალსაზრისით შეიძლება რელევანტური აღმოჩნდეს „ჰიპოთეტური კონსტრუქტები", ანალოგიური სხვა მეცნიერებაში (მექანიკა, ფიზიოლოგია და სხვა) დამუშავებული კონსტრუქტებისა, რომელნიც ეხებიან გამომავალ (выводных) არსებს და არ არიან მოცემულნი ცნობიერების უშუალო განცდების სახით.

არაცნობიერის თვისებრივ თავისებურებათა ასახვისათვის აუცილებელი კატეგორიული აპარატის შექმნას საბჭოთა ფსიქოლოგიაში დასაბამი მიეცა დ. უზნაძისა და მისი სკოლის მიერ განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის დამუშავებით, რომელიც ფართოდაა გაშუქებული ქართული საბჭოთა ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში.

თავს უფლებას მივცემთ, მხოლოდ გავიხსენოთ საბჭოთა ფსიქოლოგიურ თეორიაში გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიური განწყობის, როგორც არაცნობიერის შესახებ წარმოდგენათა კონცეფციალური საფუძვლის დამუშავების ლოგიკა.

ეყრდნობა რა დებულებას, რომ ცნობიერის საშუალებით ადამიანური მოქმედების განხორციელების ფაქტი არ მოწმობს მის მხოლოდ ცნობიერებაზე დამოკიდებულებას, რომ „მისთვის უცნობი რჩებიან, მისი მოძრაობაში მომყვანი, ჭეშმარიტი აღმძვრელი ძალებია", ფ. ენგელსმა ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიურად ორიენტირებული საკითხი ცნობი-

ერების ფორმებისა და შექმნის გზების შესახებ მისგან დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე (I, გვ. 83). ლეონტიევის დებულების გამოყენებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გაუცნობიერებელის როგორც ფაქტის აღიარება არ ნიშნავს ჩვენ მიერ ფსიქიკის სიღრმეში ჩაძირული განსაკუთრებული საწყისის გამოხატვას. გაუცნობიერებელი ისევეა დეტერმინირებული, როგორც ნებისმიერი ფსიქიკური ასახვა: რეალური არსებობით, ობიექტურ სამყაროში ადამიანის მოქმედებით (7, გვ. 204). ა. ლეონტიევი წერდა: „განხორციელებული მოქმედება უფრო მდიდარია, უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ცნობიერება, რომელიც მას უსწრებს, ამასთან ერთად, სუბიექტის ცნობიერებისათვის დაფარული რჩება ის, რაც იქმნება მოქმედებით: აქედან გამომდინარეობს, რომ ცნობიერება შეიძლება მივიჩნიოთ მოქმედების საფუძვლად (7. გვ. 129). ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიერ შექმნილი განწყობის კონცეფცია იმით ამდიდრებს ქცევის ანალიზს, რომ განწყობა, როგორც ცვლადი, ითვლება გამაშუალებელ საფეხურად სწორედ როგორც ყოფიერების, ანუ რეალური სინამდვილის ამსახველი სპეციფიური დონე და ფორმა.

უზნაძის კონცეფცია გამომდინარეობს პოსტულატიდან, რომელიც საფუძვლად უდევს მოქმედების ანალიზის სამწევროვან სქემას, რომლის თანახმად, ნებისმიერი ქცევა, როგორადაც და სადაც არ უნდა წარმოიქმნას იგი, განისაზღვრება გარე სინამდვილის არა უშუალო ზემოქმედებით, არამედ გაშუალებულად, მოქმედების სუბიექტში მისი მთლიანობითი ასახვით, ე. ი. ფსიქოლოგიამ თავისი კვლევა მოქმედების სუბიექტით უნდა დაიწყოს. სინამდვილესთან აქტიურ ურთიერთობაში მოდის სუბიექტი და არა ფსიქიკური მოქმედების ცალკეული აქტები, რომელნიც წარმოადგენენ მხოლოდ მოქმედების სუბიექტის მოდიფიკაციებს. აქედან ცხადი ხდება, რომ უპირველესად ყოვლისა გარკვევას საჭიროებს ის, თუ „რა სახით უნდა ჩართოს ფსიქოლოგიამ ინდივიდი თავის მეთოდოლოგიურ ძიებაში“ (3., გვ. 77). ამ მეთოდოლოგიური პრობლემების საინტერესო ანალიზი შემოთავაზებული იყო ქ. აბულხანოვას მიერ, რომლის პოზიციას ჩვენც ვიზიარებთ.

იხილავს რა საკითხს „ინდივიდის, როგორც ცხოველმოქმედი სუბიექტის თვისებების შესახებ, რომელიც მას გადააქცევს ფსიქიკური მოქმედების სუბიექტად“, მას მოჰყავს შემდეგი ანალოგია: თვით ორგანიზმის მიმართაც კი დგება პრობლემა მისი ერთგვარი სპეციფიკური მთლიანობის შენარჩუნებისა, რასაც უზრუნველყოფს გარკვეული მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც ინახავენ ამ თვისებრივად თვითმყოფად მთლიანობას, ორგანიზმის გარემოსთან ყველა ცვალებადი ურთიერთქმედების მიუხედავად, თვითონ ორგანიზმის ცვალებადობის პირობებში, რომ არაფერი ვთქვათ მისი განვითარების შესახებ.

მით უმეტეს შესაძლებელია, აღნიშნავს კ. ა. აბულხანოვა, ვილაპარაკოთ ინდივიდის არსებობის წესის მთლიანობისა და თვისებრივი სპეციფიკის შენარჩუნების აუცილებლობაზე მის სოციალურ ვარემოცვაში (3, გვ. 78—79).

ავტორი თვლის, რომ ცხოველმოქმედების ეს თავისებურება ქმნის ობიექტურ აუცილებლობას გარკვეული ფუნქციის არსებობისათვის, რომლის არსიც იქნებოდა ინდივიდის თვისებრივი განსაკუთრებულობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან ერთად, განუწყვეტელი განახლებაც, სხვა ადამიანებთან კავშირის დამყარება და მათი შენარჩუნება" (გვ. 79).

„მარქსიზმი, ეგზისტენციონალისტების მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, წერს აბულხანოვა, — სრულიადაც არ უარყოფს ინდივიდს „მისი არსებობის საკუთარი წესით", ის უარყოფს მხოლოდ პიროვნების მისი შინაგანი ბუნებიდან ახსნის შესაძლებლობას და უკავშირებს რა მის განვითარებას საზოგადოების განვითარების პროცესს, ავრცელებს მასზედ სოციოლოგიურ ახსნით პრინციპს" (4, გვ. 61).

როგორც სამართლიანად აღნიშნავს აბულხანოვა, ეს პრობლემა არ დაიყვანება ყოველი ცალკეული ინდივიდის შემთხვევითობის ფაქტის აღიარებაზე. ის მდგომარეობს იმაში, რომ ვიკვლიოთ ორგანიზაციის ამ დონის კანონზომიერება, ადამიანის არსებობის ეს ფორმა ადამიანთა მოდგმის ყოფიერებასთან მიმართებაში (4).

მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიური თეორიის ძირითად დებულებათა შუქზე, ფსიქიკური მოქმედების სუბიექტის მთლიანობის არსის პრობლემა (რამდენადაც ეს მთლიანობა ვლინდება პიროვნების, სუბიექტის მოქმედებაში და შეიძლება გაიხსნას ჩვენთვის ჩვეული მეცნიერულ-კვლევითი მეთოდების გამოყენებით), კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოსავალ პრობლემად გვევლინება.

ფსიქიკური მოქმედების მთლიანი სუბიექტის პრობლემის დასმა წარმოაჩენს საკითხს ინდივიდის ფსიქიკური ორგანიზაციის, როგორც გარკვეული სახით აგებული სისტემის შესახებ, მისი გამოცდილებისა და ქცევის გაბმული თანმიმდევრობის მოქმედების გარემოებების მუდმივი ცვალებადობის პირობებში, მისი შედარებითი სტრუქტურული მდგრადობის შესახებ.

დ. უზნაძის მიერ შემოთავაზებული იყო „ფიქსირებული განწყობის" როგორც ამ პრობლემისათვის ადეკვატური ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი. ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევჩერდებით აქ ამ მეთოდის დეტალურ განხილვაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: კვლევის შედეგები მოწმობს იმას, რომ რეაქციები წარმოიქმნებიან არაშემთხვევითად და განისაზღვრებიან მოქმედ სტიმულებთან ინდივიდის შუალედური

(ე. ი. სტიმულისა და რეაქციას შორის მყოფი) შინაგანი, ფსიქიკური ორგანიზაციის მიერ.

აღქმის ილუზიებში და მის ანალოგიებში განწყობა როგორც რეაგირების გარკვეული ფორმის მიმართ პრეორიენტირება და დისპოზიცია, გვევლინება ინდივიდის შინაგანი ფსიქიკური ორგანიზაციის საერთო მაკონსტრუირებელი ფაქტორის სახით.

განწყობის სტრუქტურაში ექსპერიმენტებმა გამოავლინეს მთელი რიგი მახასიათებლის არსებობა, როგორიცაა: აგზნებადობა, სტატიკურობა-დინამიკურობა, პლასტიკურობა-რიგიდულობა და ა. შ. ქართველ ფსიქოლოგთა აღნიშნულ გამოკვლევებში (აღქმის, ჩვევის, წარმოდგენის, აზროვნებისა და ა. შ.) ნაჩვენებია, რომ მაშინ, როდესაც მოქმედების ცალკეული სისტემები, რომლებიც თავიანთი მოდალობებით განსხვავებული (პერცეპტული, ექსპრესიული და სხვ.) აქტივობის კომპონენტებს წარმოადგენენ, განიცდიან სხვადასხვაგვარ ცვლილებებს, განწყობა გვევლინება მახასიათებლების მუდმივი სიმრავლის მქონე მთლიან სტრუქტურად. ეს ნიშნავს იმას, რომ განწყობა ინდივიდის როგორც ფსიქიკური მოქმედების სუბიექტის სისტემური თავისებურებაა.

წარმოადგენს რა რეაგირების გარკვეული ფორმის მიმართ დისპოზიციას, — ინდივიდის შინაგანი გარემოს ფსიქოლოგიურ ორგანიზაციას, განწყობა გვევლინება ფსიქიკური მოქმედების სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობის მახასიათებლად მისი აქტიობის ყოველ დისკრეტულ მომენტში. სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, ფსიქიკური მოქმედების „დამასრულებელი საერთო მიმართულების“ ორგანიზაციის ფორმაა, რომლის მიხედვითაც ვითარდება აქტიობათა გარკვეული სისტემა და ერთი გარკვეული ქცევა.

ეს კი ნიშნავს, რომ ატიტიუდები, მოტივები, პიროვნული ნიშნები, კონცეფციები და მოქმედების მსგავსი ფაქტორები, აპირობებენ გამოვლენილ ქცევას არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად და არა „ცალობით“, არამედ ექვემდებარებიან განწყობის მარეგულირებელ ბუნებას —მოქმედების განხორციელების პროცესთა, განცდათა და ქმედებათა ორგანიზების უმაღლეს დონეს.

განწყობა — მთლიანპიროვნული განზომილების ერთეულის აღმნიშვნელი ცნებაა, რომელზედაც დაიყვანება მოქმედი სუბიექტი, მისი აქტიობის ყოველ დისკრეტულ მომენტში.

ინდივიდის აღქმის, მეხსიერების, წარმოსახვის, ამოცანათა გადაწყვეტისა და სხვ. მიზანშეწონილი პროცესები, მისი მოქმედების ყოველ დისკრეტულ მომენტში, ამყარებენ რა გარკვეულ შინაგან ერთიანობასა და თანმიმდევრობას, გვევლინებიან ისეთი პროცესების სახით, რომელთაც მართავს შუალედი ცვლადი — რეაგირების გარკვეული ფორმისათვის მზაობა, ანუ განწყობა, ე. ი. წარმოგვიდგებიან ფსიქიკური

ორგანიზაციის გარკვეულ მთლიან ფორმაში მიმდინარე პროცესებად.

გ. ოლპორტმა მართებულად აღნიშნა, რომ ამგვარი წარმმართველი განწყობის გარეშე ინდივიდი დაიბნეოდა და აღმოჩნდებოდა სრული გაურკვევლობის წინაშე.

ვერც ერთი მოქმედება ვერ განხორციელდება, თუ მას წინ არ უსწრებს რეაგირების გარკვეული ფორმისადმი მზაობა, რომელიც მას უბიძგებს იმოქმედოს სწორედ ამგვარად და არა რაიმე სხვა სახით.

ინდივიდი იმდენად არის მოქმედების სუბიექტი, რამდენადაც ის განეწყობა არა უშუალოდ მოქმედების მომენტში, არამედ წინასწარ არის ამისათვის მზად. ეს კი ნიშნავს, რომ რეაქცია ხორციელდება არა სტიმულ რეაქციის პრინციპით, არამედ გარდატყდება ინდივიდის ფსიქიკური ორგანიზაციის მთელ სისტემაში, როგორც გარკვეულად აწყობილ სისტემაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეაქცია ხორციელდება „გაზოგადებული პასუხის" სახით.

„ფსიქიკური ორგანიზაციის სისტემა", „სისტემა ინდივიდი" არ გვეძლევა უშუალოდ, როგორც ცნობიერი განცდების ფაქტი (როგორც ცნობილია, კ. მარქსი ჰეგელისეული ფენომენოლოგიის ერთ-ერთ შეცდომად თვლიდა პიროვნების იდეალისტურ გაიგივებას ცნობიერებასთან და თვითშემეცნებასთან).

დ. უზნაძე წერდა, რომ „სრულიად ბუნებრივია, დავუშვათ, რომ თუ კი რაიმე ჩვენს შიგნით მართლაც არაცნობიერად მიმდინარეობს, ეს, პირველ რიგში, განწყობაა, სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც არ შეიძლება იყოს ცნობიერების ცალკეული აქტი (10, გვ. 178), მაგრამ ეს არ უშლის ფსიქოლოგიურ განწყობებს, დარჩნენ აქტიურ ძალებად, რომელნიც მართავენ სუბიექტის მოქმედებას ამა თუ იმ მიმართულებით. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ამ მოქმედების სუბიექტი ვართ, არ ძალგვიძს უშუალოდ განვიცადოთ განწყობის ეს წარმმართველი აქტიობა. მხოლოდ განწყობის „ეფექტის" გაჩენის, მიმდინარეობის და ჩაქრობის პროცესზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ მისი კანონზომიერებისა და დინამიკის შესახებ.

კოლექტიურ სტატიაში ფ. ვ. ბასინთან და ა. ე. შეროზიასთან თანაავტორობით, ჩვენ შევნიშნავთ, რომ მხოლოდ მას შემდეგ რაც განწყობა გაგებულ იქნა, როგორც ინდივიდის ფსიქიკური ორგანიზაციის მთლიანი ფორმა, როგორც გარკვეული წესით აგებული სისტემა, გაადვილდა ობიექტური შესწავლა. მაგალითად, ისეთი, ადრე ძნელად მისაწვდომი, მთლიანი ფსიქოლოგიური ფენომენებისა, როგორიცაა განზრახვების ფორმირება და მათი განუხორციელებლობის შედეგები; ჩასახვა, განვითარება და ჩაქრობა განცდათა ანტაგონიზმისა, გაგებული განწყობათა კონფლიქტების სახით და სხვ. (5).

სულიერი ცხოვრების ამ რიგის მთლიანობითი ძვრები უფრო ადვილი ასახსნელია „რამდენადაც ყველა ამ ფსიქოლოგიური ფენომენის მოძრაობა შინაგანად უკავშირდება განწყობათა ჩამოყალიბებასა და გარდაქმნებს (5, გვ. 86). — ფსიქიკური ორგანიზაციის უმაღლეს დონეს, სუბიექტის მთლიანი მოქმედების მოდუსს მისი აქტიობის ყოველი ცალკეულ დისკრეტულ მომენტში, მოდუსს, რომლის საფუძველზე ჩნდება გარკვეული მიმართულების მქონე მოქმედება.

განწყობა გვევლინება არაგენტროპიული რიგის ფაქტორად, თავისი არსით ის გამოხატავს მოწესრიგებას, ორგანიზაციას და ამდენად გარკვეული, განსაზღვრული ქცევის საფუძველია; ამიტომ თუ განწყობის რეალიზაცია შეფერხდა, ქცევის განხორციელებისას სუბიექტის მოქმედების და განცდების ორგანიზაციაშიც ირღვევა წესრიგი, „ჩნდება დეზორგანიზაცია და კონფლიქტები...“ ამოსავალში განწყობა ყოველთვის არაგენტროპულად ორიენტირებული ფაქტორია, ე. ი. იმგვარად, რომ როგორც ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობისას, ისე თვით ადამიანის სულიერ ცხოვრებაში „მოუწესრიგებლობის“ გაჩენის ალბათობა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

შესწავლილია განწყობის კანონზომიერებები, რომელნიც საშუალებას იძლევიან აიხსნას ადამიანის ქცევა და მოქმედება, დაკავშირებული სუბიექტისათვის ღირებული გარემოს ელემენტების გარდაქმნასთან.

შეიძლება იმის ბევრი მაგალითის მოყვანა, რომ „განწყობის კანონზომიერი ცვლილება — ერთდროულად განწყობის მიერ განპირობებულ მნიშვნელობათა კანონზომიერი ცვლაც არის... სუბიექტისათვის გარე სამყაროს ამა თუ იმ ელემენტის ღირებულების გარდაქმნაცაა“ (5, გვ. 91).

ა. ზაპოროჟეცმა თავის დროზე აღნიშნა, რომ ფიქსირებულ განწყობაზე ცდების პირობებში ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიის აღმოცენება უკავშირდება განწყობით განპირობებულ კანონზომიერ ცვლილებებს, რომლებსაც განცდის სუბიექტის დამოკიდებულება საგნების მიმართ, ის მნიშვნელობა რომელიც საგნებს ჰქონდათ სუბიექტისათვის (8).

განწყობით განპირობებული ცვლილებების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებასთან არსებითად საქმე გვაქვს პიროვნული აქტიობის ყველა უბანში. როგორც ეს ჩვენ მიერ აღნიშნულია ზემოთ მოტანილ კოლექტიურ წერილში ფ. ბასინთან და ა. შეროზიასთან თანაავტორობით, მაგალითად, პიროვნების რეაქციებში მისთვის არახელსაყრელი გარემოებების გაჩენის შემთხვევაში, ისინი გვევლინებიან „ფსიქოლოგიური თავდაცვის“ კანონზომიერების სახით, როგორც პიროვნული განწყობების სხვადასხვაგვარი ფორმის სპეციფიკური გარდაქმნები, რომელნიც ცვლიან სუბიექტისათვის იმის ღირებულებას („პიროვნული ღირებულე-

ბა"), რაც მის გარშემო იმყოფება და სხვ. (5). მოყვანილი მაგალითები კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ შემცდარია თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს განწყობის, როგორც არაცნობიერი ფსიქიკის კატეგორიის, მეცნიერულ მნიშვნელობას.

განწყობის კონცეფციას არ მივყავართ ცნობიერების აქტიური როლის შეუფასებლობამდე.

განწყობის ცნება რელევანტურია „ცნობიერების შემქმნელი" ცნებებს თვალსაზრისით, იმ ფუნქციის მიმართ, რომელსაც თითოეული მათგანი ახორციელებს სუბიექტის მიერ სამყაროს სურათის ობიექტივაციის პროცესში.

ექსპერიმენტულმა მონაცემებმა ცხადყვეს, რომ გაუცნობიერებელი განწყობა, როგორც ფსიქიკური პროცესების წარმმართველი შუალედი ცვლადი, თავის მხრივ მუდმივად განიცდის კორექციას იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიიღება უკუკავშირის სახით ობიექტივაციის პლანში გაშლილი ცნობიერი აქტიობის შედეგად.

მაგრამ ობიექტივაციის პლანი აღმოცენდება მხოლოდ ისეთი განწყობის რეალიზაციის შეფერხებისას, რომელიც არ შეესატყვისება აქტუალურ სიტუაციას.

განწყობის თეორიის თვალსაზრისით სწორედ ამგვარადაა წარმოდგენილ ფსიქიკური ასახვის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ფორმების სინერგია. ამის წყალობით განწყობის თეორია იკავებს ფსიქოანალიტიკური კონცეფციისაგან მაქსიმალურად დაშორებულ პოზიციას, რადგან ფსიქოანალიზი ცდილობს ადამიანის მოქმედებაში დააშკვიდროს ცნობიერებისათვის მიუწვდომელი სფეროების ჰეგემონია და ანტაგონიზმის ცნება, როგორც ცნობიერის და არაცნობიერის შორის პროდუქტიული კავშირის ამოსავალი პრინციპი.

განწყობა ფსიქიკურის სფეროს განეკუთვნება, რამდენადაც გამოხატავს რა მოთხოვნილებისა და სიტუაციის (მოქმედების ამ ორი დეტერმინანტის) ურთიერთქმედების ფსიქოლოგიურ შინაარსს, ასახავს „სიტუაციის საზრისს" და განსაზღვრავს მოქმედებისა და ცნობიერების პროცესების ძირითად მიმართულებას.

ამით განწყობა, როგორც ასეთი, არ ამოიწურება პროცესის ფიზიოლოგიური მახასიათებლებით. განწყობის კანონზომიერებებით არ დაიშვება რედუქცია ფიზიოლოგიის დონემდე, ისინი არ გამოიყვანებიან ნეიროფიზიოლოგიური პროცესების კანონზომიერებიდან.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორიაში გაეცნობიერებული ფსიქიკური ფუნქციის თვისებრივი თავისებურებები იხსნება გარკვეული კანონზომიერების სახით: მოქმედების სუბიექტის ზოგადფსიქოლოგიური არსი გვევლინება, უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი აქტივობის ყოველ დისკრეტულ შემთხვევაში

განწყობის გარკვეული მოდიფიკაციებით, რომელნიც არ ღებულობდნენ ცნობიერების შინაარსისათვის დამახასიათებელ ფორმებს (10).

როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს კოლექტიურ სტატიაში ფ. ბასინისა და ა. შ. შეროზიას თანაავტორობით, განწყობათა ამ რიგის მოდიფიკაციებს აქვთ კერძო ფსიქოლოგიური ტიპის კანონზომიერებების თავისებური ხასიათი. ამით ეს ცვლილებები — ე. ი. განწყობათა მოდიფიკაციები — „იძენენ ისეთ პრინციპების სტატუსს — რომელნიც ახორციელებენ აზრობრივი მხარის ამხსნელ ფუნქციას, კონკრეტული ადამიანების ქცევასა და მოქმედების მიმართულების ამხსნელ ფუნქციას" (6, ტ. III, გვ. 728).

აბრიგად, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით დ. უზნაძის გაგებით განწყობის ინტერპრეტაცია, როგორც არაცნობიერის ფსიქოლოგიური ცნებისა, თითქოსდა ზედმეტს ხდიდეს მას ფსიქოლოგიისათვის, როგორც ამხსნელი მეცნიერებისათვის.

ЛИТЕРАТУРА

1. Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 39, М., 1966.
2. Маркс К. и Энгельс Ф., Немецкая идеология. Соч., т. 3, М., 1955.
3. Абульханова-Славская К. А., Соотношение индивидуального и общественного как методологический принцип психологии личности. В Сб.: Теоретические проблемы психологии личности. М., 1974.
4. Абульханова-Славская К. А., Существует ли для психологии проблема индивида? Вопросы философии, 1972, № 7.
5. Бассин Ф. В., Прангишвили А. С., Шерозия А. Е., О перспективах дальнейшего развития научных исследований в психологии (к проблеме бессознательного и собственно психологической закономерности). Вопросы психологии, 1979, 5.
6. Бессознательное: природа, Функции, методы исследования, тт. I—III. Тб., Мецниереба, 1978.
7. Леонтьев А. Н., Деятельность, сознание, личность, М., 1975.
8. Прангишвили А. С., Исследования по психологии установки. Тб., 1967.
9. Рубинштейн С. Л., Бытие и сознание. М., 1975.
10. Узнадзе Д. Л., Экспериментальные основы психологии установки. Тб., 1968.

მოგონება და განწყობა *

(მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძვლები)

რამდენიმე წინასწარი შენიშვნა

როგორც ცნობილია, მოგონება და ცოდნა ეკუთვნის მეხსიერების სპეციფიკურ ადამიანურ ფორმებს. მოგონებას, პირველ რიგში, ახასიათებს ისტორიული ბუნება. მოგონება — ესაა ისტორიული მეხსიერება, მოცემული პიროვნების მიერ ოდესღაც განცდილი ცალკეული მოვლენის ბოლომდე ინდივიდუალიზებული ასახვა. ბუნებრივია, ამგვარი მეხსიერების განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში. საუბარს ისტორიული მეხსიერების შესახებ აზრი აქვს მხოლოდ ამ ურთიერთობებთან კავშირში, როგორც მკვლევართა რიგი მიუთითებს, ადამიანი საზოგადოებაში უნდა აუცილებლობით მოქმედებდეს იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც მას წარსულში დაუმყარდა სხვა ადამიანებთან; ეს კი იწვევს წარსულის, როგორც ასეთის, შესახებ მოგონების შენარჩუნების აუცილებლობას.

მოგონების ფუნქციას შეადგენს პიროვნების მიერ წარსულის გაცნობიერების უზრუნველყოფა; ასეთ გაცნობიერებასთან განუყრელადაა დაკავშირებული პიროვნების თვითცნობიერება. უდავოდ სამართლიანია დებულება, რომლის მიხედვით მოგონებას პიროვნებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ერისთავის — თავისი ისტორიული წარსულის გაცნობიერებას.

ცოდნა, როგორც მეხსიერების ფორმა, მოგონებისაგან მთელი რიგი თავისებურებით განსხვავება. აქ ჩვენ მხოლოდ ნეგატიური განსაზღვრებით შემოვიფარგლოთ რომლის მიხედვითაც ცოდნა ა რ ა რ ი ს „ისტორიული" მეხსიერება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ცოდნა და მოგონება ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მეხსიერების პროცესებს შეადგენენ; ისინი „დაპირისპირებულთა ერთიანობას" წარმოადგენენ.

მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძვლების პრობლემის გადა-

---

[1] «Хрестоматия по возрастной и педагогической психологии». Издательство Московского университета, 1980, с. 277—282.

წყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ჩვენ კარდინალურ ჰეშმარიტებად მივიღებთ დებულებას, რომლის მიხედვითაც მოგონება წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის ასახვას; ამის გამო მოგონებაში დარწმუნებულობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ცნობიერების შინაარსების შინაგანი უეჭველობა, რომელიც დაკავშირებულია მოგონების წარმოდგენების ფორმალურ ნიშნებთან. მოგონებაში დარწმუნებულობა გაშუალებულია ფაქტორებით, რომლებიც, წარმოიქმნებიან რა მოქმედების პლანში, პიროვნებისა და გარემოს ურთიერთმოქმედების პროცესში უზრუნველყოფენ სუბიექტისათვის შესაძლებლობას იმოქმედოს აქტივობის რეალური პირობების შესაბამისად.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ასეთ გამაშუალებელ ფაქტორს წარმოადგენს განწყობა-მოქმედებისადმი მზაობა, რომელიც ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენდება.

ფსიქოლოგიურად, მოგონებაში დარწმუნებულობა წარმოიქმნება რეპროდუცირებული კომპლექსის ობიექტივაციის შედეგად შექმნილი განწყობის სრული შესატყვისობის განცდის შედეგად. ეს იმიტომ ხდება, რომ სწორედ ასეთ პირობებში ფორმირდება მოქმედებისადმი მზაობა, რომელიც შეიძლება გახდეს მოგონებით მსჯელობაში დარწმუნებულობის ფსიქოლოგიურად გამაშუალებელი საფუძველი. არსებითად განწყობის შესატყვისი „რეპროდუქცია", რასაც ადგილი აქვს დარწმუნებული მოგონების შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად სხვა არაფერია, თუ არა „ისტორიის აღდგენა", იმ გამაშუალებელი რგოლის შესაბამისად, რომელიც წარსულში წარმოქმნა როგორც მომავალში მოქმედების სინამდვილის გაშუალებული ასახვასთან შესაბამისობის უზრუნველყოფილი ფაქტორი [2].

---

[2] განწყობა იმ აქტის შესრულებისადმი, რვმელსაც შეუძლია ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, შეიძლება მოქმედებდეს ისე, რომ სუბიექტმა იგი არ გააცნობიეროს. განწყობა არ განიცდება ყველა შემთხვევაში; იგი განიცდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილება განუსაზღვრელი დროით ყოვნდება (რაც საკმარისია იმისათვის, რომ სუბიექტის ძალების გარკვეული დაძაბულობა გამოიწვიოს). ჩვეულებრივ, საკმე არ მიდის იქამდე, რომ ამან ასახვა ჰპოვოს სუბიექტის ემოციებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევებში ეს მდგომარეობა არ ჰპოვებს სუბიექტში თავის ასახვას (დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1961). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც რიგი გარემოებების გამო, ის რგოლები, რომლებიც აშუალებენ დარწმუნებულ მოგონებებს, არ ცნობიერდებიან („ამოვარდებიან"); მოგონებაში დარწმუნებულობა შეიძლება თითქოს „უშუალოდ" გაჩნდეს — მხოლოდ „მოქმედებისადმი მზაობის" რსებულ განცდებთან კავშირში.

დარწმუნებულობა განუყრელადაა დაკავშირებული მოქმედებისადმი მზაობასთან. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს. „დარწმუნებული ვარ“ — ნიშნავს „მზად ვარ ვიმოქმედო“. დარწმუნებული მოგონების არსებობა ნიშნავს წარსული გამოცდილების შესაბამისად მოქმედებისათვის მზადყოფნას. დარწმუნებულობის საფუძველის წარმოშობა განუყრელადაა დაკავშირებული ადამიანი „არსობრივი ძალების“ იმ დინამიურ ორგანიზაციასთან, რომელიც ვლინდება განწყობის მოქმედებისადმი მზაობაში.

მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძვლების შესახებ ჩვენ მიერ განვითარებულ დებულებებს შეუძლიათ, ჩვენი აზრით, შუქი მოჰფინონ მოგონებითი მსჯელობის იმ თავისებურებებს, რომლებიც განასხვავებენ მას ლოგიკური მსჯელობისაგან და რომელთა შესახებაც უკვე იყო საუბარი საზღვარგარეთული ფსიქოლოგიური თეორიების კრიტიკასთან დაკავშირებით. მოგონებითი მსჯელობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეფუძნება ლოგიკურ ევიდენტობას. ეს მსჯელობები შუალდებიან ფსიქოლოგიური პროცესებით, რომლებიც მოქმედებისადმი მზაობას უკავშირდებიან (ამ მზაობის ჩამოყალიბების პირობების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი). ამით განისაზღვრება მოგონებითი მსჯელობის ადგილი შეგრძნებიდან აზროვნებისაკენ დიალექტიკურ გადასვლაში.

ჩვენი აზრით, წამოყენებული დებულებები მოგონებაში დარწმუნებულობის შესახებ შუქს ჰფენენ ზოგადი, პედაგოგიური და პათოლოგიური ფსიქოლოგიის მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოგონების ფსიქოლოგიური ბუნების როგორც მეხსიერების პროცესის შესწავლასთან.

განვაზოგადოდ მონაცემები, რომლებიც მიღებულ იქნენ განწყობის კანონზომიერებების ექსპერიმენტული შესწავლისას იმ პროცესებში, რომლებიც ფსიქოლოგიურად აშუალებენ უშუალო მოგონებაში (ე. ი. ისეთ მოგონებაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს მასალის აღქმას) დარწმუნებულობის წარმოქმნას, და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ძირითადი დასკვნები აღნიშნული საკითხის გარშემო.

დ. უზნაძის და მისი მოსწავლეების მიერ შემუშავებული ფიქსირებული განწყობის მეთოდიკამ უშუალო მოგონების პროცესებში ფიქსირებული განწყობის კანონზომიერებების გამოვლენის საშუალება მოგვცა.

დ. უზნაძემ ფიქსირებული განწყობის მოქმედების შესწავლის შემდეგი ექსპერიმენტული მეთოდი შეიმუშავა: სუბიექტს ექმნება შემოთავაზებული ექსპერიმენტული ამოცანის გადაწყვეტის მოთხოვნილება (მაგალითად, ზომის მიხედვით შეადაროს ექსპონირებული არატოლი

წრეები). ასეთი მოთხოვნილების არსებობისაა არატოლი წრეების ექსპოზიცია როგორც ობიექტური სიტუაცია, რომელიც შეესაბამება ამ მოთხოვნილებას, ქმნის გარკვეული მოქმედებისადმი მზაობის — განწყობას — „დიდად“ და „პატარად“ შეფასებაზე. ამ ობიექტების ექსპოზიცია რამდენჯერმე (10—15-ჯერ) მეორდება, რათა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოქმნილი განწყობა ცდისპირს საკმარისად მტკიცედ გაუფიქსირდეს („განწყობის ცდები“). ამის შემდეგ, მორიგ ექსპოზიციაში (მაგ. მეთექვსმეტეში) იცვლება ის ობიექტური სიტუაცია, რომელშიც დაფიქსირდა მოქმედებისადმი მზაობა (მაგალითად, ექსპონირდება ტოლი წრეები). ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური გავლენით ტოლი წრეები არატოლად აღიქმება.

მოგონებაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს აღქმას, არატოლი წრეების მოგონებითი წარმოდგენა (ფიქსირებული განწყობის შესაბამისად რეპროდუქცირებული მაანტიციპირებული პროცესი) დარწმუნებულობის მაქსიმალური ხარისხით აღმოცენდება.

ქვემოთ აღწერილი ექსპერიმენტული მეთოდები წარმოადგენენ დ. უზნაძის მეთოდის მოდიფიკაციებს.

ზ. ხოჯავას მიერ შემუშავებული მეთოდი იძლევა საშუალებას გაირკვეს, თუ როგორ მოქმედებს განწყობა თვალსაჩინო მასალის (ფიგურების) უშუალო მოგონების პროცესებში. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა რიგი (კოლმანი, როტერსი და სხვ) მოგონებაში დარწმუნებულობას იკვლევდა სწორედ მარტივი ფიგურების მოგონების ფაქტებზე.

ზ. ხოჯავას მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: ტაქისტოსკოპში სხვადასხვა არატოლი წრეების წყვილების მრავალჯერადი ექსპოზიციის შედეგად ფიქსირდება ექსპონირებული წრეების სიდიდის შეფასების განწყობა (საგანწყობო ცდები); შემდეგ ცდისპირს თანმიმდევრულად აჩვენებენ (აგრეთვე ტაქისტოსკოპში) 11 სხვადასხვა (საგანწყობო სერიის ფიგურებისაგან განსხვავების ხარისხის მიხედვით) ტოლი ფიგურებისწყვილს, რომლებიც ფერითა და ფორმით ერთნაირია (კონკრეტული ცდები). როგორც ამ ცდების შედეგების ანალიზი უჩვენებს, კრიტიკული ცდის ფიგურების ზომის უშუალო მოგონებაში დარწმუნებულობა აღმოცენდება უტოლობაზე ფიქსირებული განწყობის გავლენით. უშუალო მოგონებისას ფიგურების გარკვეული წყვილები დარწმუნებულობის მაქსიმალური ხარისხით რეპროდუცირდება როგორც არატოლები. მეტად მნიშვნელოვანია ამ ცდებში დადგენილი მეორე ფაქტიც, სახელდობრ: უშუალო მოგონებების რიცხვი არაადეკვატური დარწმუნებულობით უშუალო მოგო-

ნებაში ამ დროს იცვლება საგანწყობო ცდის პროცესში ექსპონირებული ფიგურების განსხვავების ხარისხის მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რა ზომითაა უშუალო აღდგენის პროცესებში რეალიზებული ფიქსირებული განწყობის როგორც მოცემულ პირობებში სპეციფიკურად ადექვატური მზაობის ასიმილაციური მოქმედება.

დასკვნები:

ა) ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედებით განპირობებული, მცდარ მოგონებაში უშუალო და საკმაოდ ძლიერი დარწმუნებულობის ფაქტები მოწმობენ, რომ მოგონების ზოგიერთ შემთხვევაში არსებული წარსულის უშუალო წვდომის განცდები წარმოადგენენ რედუცირებად მოვლენებს, რის გამოც ისინი ვერ გამოდგებიან მოგონებითი დარწმუნებულობის ინტუიტურობის დამამტკიცებელ საბუთად. მოგონებისას წარსულის უშუალო წვდომის განცდა უნდა განვიხილოთ არა როგორც მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძველი, როგორც ეს წარმოდგენილია ზოგიერთ თეორიაში (ფოლკერტი და სხვ.), არამედ პირიქით, როგორც დარწმუნებული მოგონების შედეგი.

ბ) ის ფაქტი, რომ დარწმუნებულობის წარმოქმნაზ განპირობებელ პროცესებში განწყობის მოქმედება არ ცნობიერდება, ამტკიცებს რომ მოგონებითი დარწმუნებულობა არაა „შეფასებითი" მსჯელობის აზროვნებითი აქტი, რომელიც აიგება მოგონებაზე როგორც მეხსიერების „პროდუქტიულ" პროცესზე. მოგონებითი დარწმუნებულობა წარმოადგენს მთლიანად მოგონების როგორც შემეცნებითი პროცესის სპეციფიკური საფეხურის განუყოფელ კონსტიტუციურ მომენტს.

გ) მოგონებაში დარწმუნებულობა წარმოადგენს „წარსული განცდების შედეგად წარმოქმნილი განწყობის შესაბამისად წარმოდგენის რეპროდუქციის" (დ. უზნაძე) რეზულტატს.

განწყობის ფიქსაცია ობიექტების მრავალჯერადი აღქმისას ხდება იმის გამო, რომ ყოველ აღქმისას განისაზღვრება და ამასთან ერთად განმტკიცდება სწორედ ის განწყობა, რომლის ბაზაზეც წარმოიშვა ეს აღქმა. მოყვანილი მონაცემები უჩვენებენ, რომ უშუალო მოგონებაში დარწმუნებულობის წარმოქმნა დაკავშირებულია წარსულში განცდილის რეპროდუქციის რეალურ პროცესთან, რაც შეესაბამოდა იმ განწყობის მაანტიციპირებულ პროცესს, რომელის საფუძველზეც ეს განცდა წარსულში აღმოცენდა და განისაზღვრა და განმტკიცდა ნამდვილი განცდის შედეგად.

მოგონებითი დარწმუნებულობის გამაშუალებელ პროცესებში გან-

წყობის კანონზომიერებანი არ უნდა განიხილებოდეს როგორც გრძნობადი ან აფექტური ბუნების სუბიექტური მდგომარეობის არსი.

ამ აზრით მეტად მნიშვნელოვანია ზემოთ მოყვანილი მონაცემები უნებლიედ დახსომების მოგონებაში დარწმუნებულობის წარმოქმნის პირობების შესახებ. გამოირკვა, რომ ე. წ. „იმპულსური“ მოქმედებისას, სუბიექტზე მოქმედი სტიმულების გარჩევა და მოქმედების რეგულაცია ხდება ამ პროცესის მკაფიო განცდის საფუძველზე (ჩვენთვის ამჟამად საინტერესო გრძნობადი ან აფექტური სუბიექტური „განწყობების“ ჩათვლით); მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვეულებრივ არ აქვს ადგილი ამ პროცესების შესახებ დარწმუნებულ მოგონებას.

უნებლიედ დახსომებულის მოგონებაში დარწმუნებულობა დაკავშირებულია იმ სიტუაციის გაცნობიერებასა და გაშუალებულ ასახვასთან, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება; ეს განპირობებულია ამ მოქმედების მიმართულების ხასიათით, ე. ი. განწყობით. განწყობა, წარმოადგენს რა მოქმედების რეალური პირობების მიმართ სპეციფიკურად ადექვატურ მდგომარეობას (მაგრამ არა გრძნობადი ან აფექტური ბუნების სუბიექტურ მდგომარეობას), აქაც განწყობა განსაზღვრავს სუბიექტის მიერ გაშუალებულ ასახვას. ობიექტის განწყობა შეიცავს ამ დონეზე აღმოცენებული „აფექტური ბუნების“ მდგომარეობებს და ამ უკანასკნელის საფუძველზე მოგონებაში დარწმუნებულობის ფსიქოლოგიურად გამაშუალებელი პროცესების ფორმირებას; მოგონებაში დარწმუნებულობა დაკავშირებულია რეპროდუცირებული კომპლექსის და ამ პროცესის მაანტიციპირებული განწყობის სრული შესატყვისობის გაცნობიერებასთან.

დ) განწყობის გაუცნობიერებლობა მიუთითებს იმაზე, რომ მოგონებაში დარწმუნებულობის წარმოქმნის გამაშუალებელ პროცესში განწყობა გვევლინება არა როგორც „კერძო ფსიქიკური აქტი“, არამედ „თვით სუბიექტის როგორც მთლიანის მდგომარეობა“, როგორც ისეთი აქტივობის სფერო, რომელიც წინ უძღვის მის ჩვეულებრივ ცნობიერ ფსიქიკურ აქტივობას (დ. უზნაძე). განწყობა, წარმოადგენს რა მოქმედებისადმი მზაობას, ამ პროცესებში გვევლინება როგორც მოქმედების სუბიექტის თავისებურება, ვინაიდან მოქმედების სუბიექტი ა რ ს ებ ობ ს: ი მ დ ე ნ ა დ, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც იგი „ორგანიზდება“ არა მოქმედების მომენტში, არამედ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ზ ა დ ა ა მოქმედებისათვის. ამასთან ერთად, განწყობა როგორც მზაობა მოქმედებისადმი, წარმოადგენს ამ უკანასკნელის მომენტს. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ფიქსირებული განწყობის შესაბამისად რეპროდუცირებული მოგონებების კომპლექსის აღდგენა უნდა განვიხილოთ როგორც მოქმედებისადმი მზაობის ფორმირება მოქმედე-

ბის რეალური, ობიექტური პირობების შესაბამისად. მოქმედების რეალური პირობების შესაბამისად მოქმედებისადმი მზაობა ფსიქოლოგიურად აშუალებს მოგონებითი დარწმუნებულობის წარმოქმნას.

თავის დროზე ა. ბენმა წამოაყენა დებულება, რომ მოქმედებისადმი მზაობა უნდა განიხილებოდეს როგორც მოგონებითი დარწმუნებულობის საფუძველი, მაგრამ, აღიარა რა „შინაგანი განცდის" განცალკევებულობა „გარე" მოქმედებისაგან, იგი, ჯ. ს. მილთან დისკუსიისას, იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ დებულებაზე.

წარსულის მოგონებაში დარწმუნებულობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოქმედების ხელმძღვანელობას ახორციელებს. მოგონება მოქმედებას ემსახურება. წარსულის გაცნობიერება, ცოდნა წარსულის შესახებ მხოლოდ მოქმედი არსებისათვისაა აუცილებელი; მხოლოდ ასეთ არსებას შეუძლია მიანიჭოს მნიშვნელობა რაიმეს, რაც აწმყოს ფარგლებს გარეთაა.

ჩვენ მიერ მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მოგონებაში დარწმუნებულობის განცდა შეუძლებელია არსებობდეს იმ მოქმედებისაგან მოწყვეტით, რომლ-ს პროცესშიც წარმოიქმნება და ფუნქციონირებს ეს დარწმუნებულობა, და აგრეთვე ყოველივე იმისაგან მოწყვეტით, რაც მოქმედების შინაგან შინაარსს შეადგენს.

სწავლა და განწყობა*

1. ჩვენ აქ ამოცანად არ დაგვისახავს სწავლის ფსიქოლოგიაში განწყობის ცნების ადგილის საკითხის ექსპერიმენტალურად შესწავლა. ჩვენ შეშოვ-ფარგლებით სწავლის თეორიაში განწყობის ცნების ადგილის პრობლემის მხოლოდ ზოგადი თეორიული და პრინციპული ასპექტების განხილვით. ამასთან, ჩვენი განხილვის საგანი იქნება **საგანმანათლებლო სწავლის** ფსიქოლოგია. სკოლაში მოსწავლე სწავლობს ორგანიზებული პედაგოგიური პროცესის პირობებში, სადაც სწავლებას მასწავლებელი ახორციელებს. სწავლების პირობებში მოსწავლის მოქმედებას ჩვენ განვიხილავთ როგორც საგანმანათლებლო სწავლას, ე. ი. როგორც მოსწავლის პიროვნების ფორმირებაზე მიმართულ პროცესს. ამდენად საგანმანათლებლო სწავლა არის სწავლის ისეთი ფორმა, რომელიც ადამიანისათვისაა სპეციფიკური. საგანმანათლებლო სწავლა განხილული იქნება როგორც ფსიქოლოგიური გამოკვლევის სპეციფიკური საგანი საგანმანათლებლო სწავლის მიმართ, გარდა კითხვებისა „რა" და „როგორ" ვსწავლობთ, კანონიერი იქნება დავაყენოთ კითხვა თვითონ სწავლის პროცესის ბუნების შესახებ (სწავლების პირობებში განხორციელებული სწავლის პროცესის „შინაგანი რგოლების" შესახებ). სწავლის პროცესის ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში ჩვენ **გამოვყოფთ სწავლის როგორც მოსწავლეთა ქცევის დამოუკიდებელი ფორმის საკითხს,** ე. ი. საკითხს **სწავლის როგორც ისეთი პროცესის შესახებ, რომლის შედეგადაც რეალიზდება მოსწავლის გარკვეული დამოკიდებულება სწავლების სისტემისმიერ მის წინაშე დასმული ამოცანების მიმართ.**

აქედან გასაგებია, რომ სწავლის ფსიქოლოგიაში განწყობის ცნების ადგილის განსაზღვრისას პირველ რიგში საჭიროა ამოვიდეთ ქცევის (მოქმედების) ზოგადფსიქოლოგიური თეორიიდან და იქიდან, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული განწყობის ცნების ადგილი ამ თეორიის კონცეპტუალურ კოორდინატთა სისტემაში.

ამ საკითხის განხილვისას ჩვენ დავეყრდნობით ქცევის (მოქმედების) იმ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას, რომელიც საქ. სსრ მეცნიერებათა

---

* წაკითხულია მოხსენებად პრაღის მე-2 კონფერენციაზე სწავლისა და პრობლემის გადაწყვეტის საკითხებზე (პრაღა. 19—21 ივლისი, 1973 წ.).

აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში იქნა დამუშავებული განწყობის ცნების შექმნა (იხ. А. С. Прангишвили — Исследования по психологии установки, Тб., 1967. ა. ფრანგიშვილი—სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები. განათლება, თბ., 1969).

2. ქცევის ანალიზის სხვადასხვა მეთოდოლოგიის კვალობაზე სწავლის ფსიქოლოგიაში განწყობის ცნების მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულ მიმართებებში, ე. ი. ქცევის (და სწავლის) თეორიის გარკვეული პრობლემების მიხედვით წარმოგვიდგება.

მიუხედავად იმისა, რომ ქცევის (სწავლის) ფსიქოლოგიაში მეტად განსხვავებული მიმართულებები არსებობს, მათ მეთოდოლოგიურად საერთო ის აქვთ, რომ ისინი **ამოდიან „უშუალობის პოსტულატიდან"** (დ. უზნაძე), რომლის მიხედვითაც განცდა და მოქმედება, რომელსაც ქცევის შესრულებისას აქვს ადგილი, უშუალოდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და გარემოსთან. **უშუალობის პოსტულატიდან** გამომდინარე კონცეპტუალურ კოორდინატთა სისტემა აიგება ანალიზის ორწევრიანი სქემის მიხედვით: ესაა მიმღებ სისტემაზე სიტუაციის ზემოქმედება და საპასუხო განცდები და მოქმედებები. უშუალობის პოსტულატზე აიგება ქცევის შესწავლისადმი მოლეკულარული მიდგომა: ქცევის შესწავლა დაიყვანება იმ ელემენტარული ხასიათის რეაქციების ცხადყოფაზე, რომელთა ჯამადაც ეს ქცევაა გაგებული. ასეთი მიდგომისას უარყოფილია გარეგანი ზემოქმედების ეფექტის რეალური დამოკიდებულება **მოქმედების მთლიანი** სუბიექტის (პიროვნების) ცოცხალი სისტემის შინაგან დინამიკურ მიმართულებაში ამ ზემოქმედების გარდატეხისაგან. ყოველი ქცევა, თუ მისგან გამოვრიცხავთ აქტიური სუბიექტის ცნებას, არსებითად, მოლეკულურად იქნება გაგებული. უშუალობის პოსტულატისა და მასზე დამყარებული ანალიზის ორწევრიანი სისტემისა და ქცევის (სწავლის) შესწავლისადმი მოლეკულური მიდგომის ნაკლი სწორედ ისაა, რომ ისინი კვლევის სფეროდან სრულიად გამოთიშავენ იმას, რომ სიტუაციის ცვლადთა გარდა არსებობს აგრეთვე შუამდებარე ცვლადებიც, რომლებიც მოქმედ სუბიექტთან (პიროვნებასთან) არიან დაკავშირებული.

ივარაუდება, რომ სწავლის პროცესის დასაწყისიც და ბოლოც ისეთ ფარგლებში მიმდინარეობს, რომ ამ პროცესის შესწავლა არ მოითხოვს კვლევის საგანში შევიტანოთ **ქცევის მთლიანობითი სუბიექტი** (პიროვნება). მაგალითად, ფიქრობენ, რომ სწავლის საფეხურები იმის შედეგად წარმოიშობიან და ვითარდებიან, რომ უშუალოდ ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და პროცესში სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფუნქციები ჩაერევიან ან ამოირთვებიან. საქმის ვითარება იმგვარადაა წარმოდგენილი, თითქოს ერთი საფეხური ისე წარმოიშობა და იცვლება მე-

ორეთი, რომ დამოკიდებული არაა მთლიანობითი პროცესების შინაგან დინამიკურ სტრუქტურაზე.

ქცევა როგორც **სუბიექტის მთლიანობის** გამოვლინება, უპირველეს ყოვლისა, ყველა იმ პროცესის აქტიურ და ორიენტირებულ ორგანიზაციის სისტემურობაში („მზაობაში", „განწყობაში") გამოიხატება, რომელთაც ქცევის განხორციელებისას აქვთ ადგილი. მოქმედების ყოველ დისკრეტულ მომენტში არჩევითად წარმართული პროცესები — აღქმა, მეხსიერება, წარმოსახვის, ამოცანის გადაჭრისა და სხვა პროცესები — გარკვეულ ურთიერთკავშირსა და თანამიმდევრულობას გვიჩვენებენ და გვევლინებიან ერთიანად შუამდებარე ცვლადად მართული პროცესების სახით, ე. ი. ისეთი პროცესების სახით, რომელებიც ფსიქიკური ორგანიზაციის გარკვეული ფორმით მიმდინარეობენ. რის შესაბამისად ვითარდება **აქტივობათა ერთი სისტემა**, ერთი მთლიანობით გამოვლენილი ქცევა.

მაგალითად, სწავლის ყოველი კონკრეტული პროცესის საფეხურთა ჩამოყალიბებისა და განვითარების არჩევითად წარმართული ხასიათი, ფსიქიკურ ფუნქციათა ურთიერთშეთანხმებულობა და ურთიერთზემოქმედება ცხადად მოწმობენ, რომ სწავლის მთელ ამ პროცესს მართავს სწავლის პირველადი, მთლიანობით პროცესის მაორგანიზებელი „შუამდებარე" ცვლადი, რომელიც განაპირობებს საგანმანათლებლო სწავლის როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმის წესრიგს, თანმიმდევრობას, შინაგან სტრუქტურულ მდგრადობას.

როდესაც „უშუალობის პოსტულატზე" დაყრდნობით სწავლობენ სწავლის პროცესის ბუნების საკითხებს, მხედველობიდან უშვებენ ფუნდამენტური მნიშვნელობის გარემოებას, კერძოდ, ინდივიდის მთლიანობით დინამიკური ორგანიზაციის მოქმედებას, რომელიც გამოიხატება სწავლის ცალკეულ საფეხურთა წარმოქმნასა. განვითარებასა და პროდუქტიულობაში, ამ საფეხურებთან დაკავშირებულ ფსიქიკურ ფუნქციათა აქტივაციაში.

ამრიგად, უდავო ფაქტია, რომ სინამდვილესთან რეალურ ურთიერთობას ამყარებს არა განცდებისა და მოქმედებების ცალკეული აქტები, არამედ ქცევის მთლიანობითი სუბიექტი. ეს ცალკეული აქტები გულისხმობენ იმ გარკვეული მთლიანობის, ინდივიდის, სუბიექტის არსებობას, რომლის ცალკეულ აქტივებსაც ისინი წარმოადგენენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევა რეალური ინდივიდის სასიცოცხლო მოქმედების მოლარული, არაადიტივურ ერთეულს წარმოადგენს. ქცევის მოლარული განსაზღვრა გულისხმობს ქცევის, როგორც კონკრეტული მთლიანობის, ცალკეულ **განზომილებათა** დადგენას, იმისდა მიუხედავად, თუ კიდევ რომელი სხვა ფსიქიკურ პროცესთა და მოქმედებათა არსებობა იქნება დადასტურებული ქცევის შემადგენლობაში.

ქცევის შესრულებისას მოცემული ყველა პროცესის აქტიური და ორიენტირებული ორგანიზაციის ახსნა იმ შუამდებარე ცვლათა არსებობის დაშვებიდან გამომდინარე, რომლებიც ქცევის მთლიანობითი სუბიექტის არსთან არიან დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა, აყენებს **მთლიანად — პიროვნული განზომილების დინამიკური სტრუქტურის ერთეულის პრობლემას (რამდენადაც ეს ერთეული შეადგენს გარკვეულად ორიენტირებული მოქმედების საფუძველს), რომელზე დაყვანადიცაა მოქმედი სუბიექტი მისი მოქმედების ყოველ კონკრეტულ მომენტში.**

„ცარიელი ადგილიდან" არც ერთი ქცევა არ იწყება. ინდივიდი მაშინაა ქცევის სუბიექტი, როცა იგი თავის „არსებით ძალებს" თვითონ ქცევის მომენტში კი არ უკეთებს მობილიზაციას, არამედ წინასწარი მზაობა აქვს ამისა. აქედან ნათელია, რომ მთლიანპიროვნული განზომილების დინამიკური სტრუქტურის ერთეულის (გარკვეულად ორიენტირებული ქცევის საფუძვლის) საძიებელი ცნება სუბიექტის ისეთი მდგომარეობის ცნებას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც „შინაგანად განსაზღვრავს", „მიმართავს" მოქმედებისაკენ, ე. ი. ის უნდა იყოს აქტივობის გარკვეული ფორმისადმი მზაობის, ტენდენციის, დისპოზიციის ცნება.

ვუპასუხებთ ჩვენი თემის ძირითად საკითხს და აღვნიშნავთ: ქცევის (სწავლის) ზოგად თეორიაში განწყობის ცნების ადგილს პირველ რიგში ის განსაზღვრევს, რომ ეს ცნება შეესაბამება **ფსიქიკური ორგანიზაციის უმაღლესი დონის — მთლიანი სუბიექტის მოდუსს მისი მოქმედების ყოველ კონკრეტულ მომენტში (როგორც მისი მთლიანობითი დინამიკური სტრუქტურის ცალკეული განზომილებისა და გარკვეულად ორიენტირებული ქცევის ბაზისისა) — პრობლემას. საბჭოთა ფსიქოლოგთა ქართული სკოლის ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგების საფუძველზე განწყობა უნდა გავიგოთ როგორც მთლიანობითი სუბიექტის (პიროვნების) მოდუსი მისი მოქმედების ყოველ დისკრეტულ მომენტში — მოდუსი, რომელიც წარმოადგენს „ადამიანურ არსებით ძალათა" ორგანიზაციის უმაღლეს დონეს, და რომელიც თითქოსდა ერთ ფოკუსში უყრის თავს ყველა იმ შინაგან დინამიკურ მიმართებებს, რომელებიც აშუალებენ ინდივიდში მასზე სტიმულთა ზემოქმედებების ფსიქიკურ ეფექტს და რომლის საფუძველზეც წარმოიშობა გარკვეული მიმართულების მქონე ქცევა, როგორც ინდივიდისა და გარემოს შორის განონასწორება.**

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ განწყობა უნდა განვიხილოთ როგორც გამოვლინებული ქცევის ერთ-ერთი ფაქტორი. მაგალითად, სწავლის თეორიაში განწყობას განიხილავენ როგორც ისეთ ცნებას, რო-

მელიც მიუდგება ქცევის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორის — ქცევის აქტივაციისა და მოტივაციის და ა. შ. — პრობლემას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოტივები, პიროვნების ნიშნები, კონცეპტები და ქცევის სხვა ამგვარი ფაქტორები უშუალოდ არ განსაზღვრავენ ქცევას. ისინი გამოვლენილ ქცევას ერთამენთისაგან იზოლირებულად და ცალ-ცალკე კი არ განსაზღვრავენ, **არამედ ემორჩილებიან მარეგულირებელ მოდუსს მთლიანობითი პიროვნებისა მისი მოქმედების თითოეულ დისკრეტულ მომენტში.** კიდევაც რომ ვიფიქროთ, რომ ტერმინი „განწყობა" გამოვლენილი ქცევის მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორს აღნიშნავს, სულ ერთია, საჭირო გახდება სხვა ტერმინი, რომ აღვნიშნოთ ცნება მთლიანი პიროვნული განზომილების დინამიკური სტრუქტურის ერთეულისა, განზომილებისა, რომელზეც დაიყვანება სუბიექტი თავისი მოქმედების ყოველ დისკრეტულ მომენტში. ამასთან გამორიკვევა, რომ განწყობის ფუნქციას წარმოადგენს არა მარტო ჯერ კიდევ განუხორციელებელი აქტივობის პოტენციური წინასწაროორიენტაციის შექმნა, არამედ უკვე რეალიზირებული აქტივობის აქტუალური მართვაც.

გაკვრით შეიძლება შევნიშნოთ, რომ ქცევის ზოგად თეორიაში განწყობის ადგილისა და მნიშვნელობის ისეთი გაგება, რომლის მიხედვითაც გამოვლენილი ქცევა წარმოადგნს რეალიზაციას რეაგირების გარკვეული ფორმისადმი დისპოზიციისა, ე. ი. განწყობისა, რომელიც დროში წინ უსწრებს რეაქციას, მოქმედებას, — თავის გამართლებას პოულობს მოქმედების ფუნქციონალური სტრუქტურის შესახებ თანამედროვე წარმოდგენათა შუქზე, რომლებიც კიბერნეტიკის წარმოშობასთანაა დაკავშირებული. განწყობა წარმოგვიდგება როგორც არაგენტროპული რიგის ფაქტორი. განწყობა წესრიგს, ორგანიზაციას გამოხატავს და ქცევის განსაზღვრულობის საფუძველს წარმოადგენს.

განწყობის სწორედ ამ სახით და არა რომელიმე სხვა სახით მოქმედებისადმი მზაობის წარმოშობა განუზღვრელობის დაქვეითებას იწვევს. განწყობა — რეაქციის საბოლოო შედეგის „დაშიფრული მოდელი" — მიზანმიმართული მოქმედების სტრუქტურის სრულიად მოუცილებელი კომპონენტია. ასეთის გარეშე პრინციპულად შეუძლებელი იქნებოდა ქცევის რეგულირება.

განწყობა როგორც საფუძველი ქცევისა, რომელიც ისეთი პროცესია, რასაც შედეგად მოჰყვება თავის გარემოსთან ინდივიდის ამა თუ იმ დამოკიდებულების რეალიზაცია, იმაში იჩენს თავს, რომ იგი (განწყობა), ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამოკვლევათა შედეგების თანახმად, როგორც სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობის მოდუსი, როგორც რეაგირების გარკვეული სახისადმი მზაობა, წარმოადგენს ფსიქოლოგიურ შინაარსს მოთხოვნილებისა და სიტუაციის (ქცევის ამ ორი

დეტერმინანტის) ურთიერთგავლენისა, ურთიერთგავლენისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა ქცევა, რომელსაც გარკვეული მიმართულება აქვს და ამის მეშვეობით არეალიზებს ინდივიდის გარკვეულ დამოკიდებულებას თავის გარემოსთან.

საქმე ისაა, რომ მოთხოვნილების წარმოშობა არის პირობა, რათა ინდივიდი გარემოსთან ურთიერთობის დამყარების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდეს და მან ქცევის აქტები განახორციელოს. როცა ინდივიდს რაიმე მოთხოვნილება აქვს, მაშინ გარემო ინდივიდზე გავლენას ახდენს არა როგორც მოვლენათა შემთხვევითი ერთობლიობა, არამედ როგორც გარკვეული სისტემა, როგორც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სიტუაცია. როგორც იტყვიან, სტიმული, რომელიც „აბსოლუტური" ხასიათისა იყო, იქცევა „დეტერმინირებულ სტიმულად", ე. ი. სტიმულად, რომელიც სხვა სტიმულებთანაა დაკავშირებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთსა და იმავე განზომილებაში. ამის შესაბამისად, სიტუაციაც ზემოქმედებას ახდენს არა უშუალოდ რომელიმე ცალკე აღებულ ფუნქციაზე, არამედ მთლიან ინდივიდზე და ამ ზემოქმედებით ცვლის მის მთლიანობითს სტრუქტურას.

კონკრეტული მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის თანაარსებობის შედეგად სუბიექტში წარმოიქმნება სპეციფიკური მდგომარეობა — განწყობა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც მომართვა, სპეციფიკური დამოკიდებულება, როგორც იმ აქტის შესრულებისადმი მზაობა, რომელსაც შეუძლია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. „რომ ინდივიდმა შეძლოს განახორციელოს რომელიმე ქცევა, ამისათვის იგი, როგორც მთლიანობა, სრულიად გარკვეულ მდგომარეობაში უნდა იყოს".

„განწყობა არის სუბიექტის მოდუსი მისი მოქმედების ყოველ მოცემულ მომენტში — მთლიანობითი მდგომარეობა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება პიროვნების ყველა სხვა დიფერენცირებული ფსიქიკური პროცესებისაგან და ფსიქიკური თვისებებისაგან" (დ. უზნაძე). ამრიგად, სუბიექტის ძირითადი ფსიქოლოგიური არსი ჩვენ გვეძლევა აქტივობის თითოეულ შემთხვევაში მისი განწყობის მოდიფიკაციების სახით. აქედან ცხადია, რომ ქცევის ანალიზის დროს ქცევის სუბიექტთან დაკავშირებულ შუამდებარე ცვალდთაგან ამოსვლა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ამოსვლას „ფსიქიკის პირველადი მთლიანიდან" — განწყობიდან, რომელზეც დაიყვანება მოქმედი სუბიექტი ყოველ დისკრეტულ მომენტში, როგორც მიზანშეწონილი შეგუებითი ქცევის სუბიექტი, ე. ი. როგორც სუბიექტი ისეთი ქცევისა, რომლის აზრიც სუბიექტის მოთხოვნილებასაც შეესატყვისება და მისი ქცევის საგნობრივ სინამდვილესაც.

ეს „ფსიქიკის პირველადი მთლიანი" (მთლიანი სუბიექტის მოდუსი

როგორც მისი მთლიანობითი დინამიკური სტრუქტურის ცალკეული განზომილება) განსაზღვრავს იმ წინამძღვრებს, რომლებიც საფუძვლად ედება ფსიქიკური აქტივობის კონკრეტიზებულ გამოვლენებს. ანალიზის ასეთი სამწევრიანი სქემა პირდაპირ კავშირშია იმ წარმოდგენათა კომპლექსთან, რომლებიც ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში ცვლის „უშეალობის თეორიის" ორწევრიან სქემას და მთლიანობითი სუბიექტის, პიროვნების შინაგანი დინამიკური ცოცხალი სისტემისაგან იზოლირებულ „ფსიქიკურ ფუნქციათა" მოზაიკის კონცეფციას.

ამრიგად, **ქცევის, და ამდენად აგრეთვე სწავლის, თეორიის საფუძველს შეადგენს ფუნქციონალური სისტემის ცნება მთლიან-პიროვნული განზომილების სტრუქტურული ერთეულის სახით, ერთეულისა, რომელზეც დაიყვანება სუბიექტი თავისი მოქმედების ყოველ კონკრეტულ მომენტში, ე. ი. განწყობის ცნება.** სწორედ ეს განსაზღვრავს განწყობის ცნების ადგილს სწავლის თეორიაში.

შეუძლებელია აღვწეროთ, ავხსნათ ან შევცვალოთ ქცევა (სწავლა), თუკი არ ამოვალთ ქცევის სუბიექტის პირველადი მთლიანობითი მდგომარეობის ცოდნიდან, ე. ი. განწყობიდან, როგორც თავის გარემოსადმი ინდივიდის გარკვეული დამოკიდებულებებიდან, როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთობის ფსიქოლოგიური შინაარსიდან, ურთიერთობისა, რომლის ნიადაგზეც აღმოცენდება მოქმედება, რომელიც ხასიათდება გარკვეული მიმართულებითა და ორიენტაციით და რომელთან შედარებითაც კერძო ფსიქიკური პროცესები და ცალკეული მოქმედებები მხოლოდ „მეორედ მოვლენებს" წარმოადგენენ.

დავიწყოთ იმით, რომ საგანმანათლებლო სწავლის ქცევის დამოუკიდებელ ფორმად გამოყოფა მხოლოდ მის საფუძვლად მდებარე განწყობის ნიადაგზეა შესაძლებელი.

ქცევის ისეთი ფორმებისაგან განსხვავებით (მაგალითად, მომსახურების, მოხმარების, შრომის და სხვათაგან განსხვავებით), რომელთათვისაც დამახასიათებელია ინდივიდის ორიენტირება რაიმე „მათ გარე" არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, და რომელთა მიზანს შეადგენს ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ პროდუქტთა შექმნა, „სწავლა არასოდეს არ ისახავს მიზნად შექმნას პროდუქტი, რომელიც არსებულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. იგი თვითონ აქტივობას შეეხება. სწავლაში მთავარია არა პროდუქტი, რომელსაც იგი ითვალისწინებს კონკრეტული ჩვევის სახით ან კონკრეტული შინაარსის ცოდნის სახით, და ა. შ., არამედ მოსწავლეთა ძალებს განვითარება გარკვეული მიმართულებით.

სწავლაში მთავარია არა კონკრეტული ჩვევა ან ცოდნა, არამედ სწავლის პროცესში მონაწილე ძალთა განვითარება... შრომობენ პროდუქტის შექმნისათვის, ხოლო სწავლობენ პროდუქტის შექმნაში მონა-

წილე ძალათა განვითარებისათვის" (დ. უზნაძე). ასეთი განწყობა, რომელიც სპეციფიკურია სწავლისათვის, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმისათვის, ინდივიდის, როგორც გარკვეული სახით ჩამოყალიბებული სისტემის ორიენტირებული ორგანიზაცია, შინაარსიანი კატეგორიაა. პირველ რიგში სწავლისათვის სპეციფიკური ისაა, რომ სწავლის პროცესში ადამიანის ძალათა აქტივაცია იმ მასალის საფუძველზე ხორციელდება, რომელსაც „გარედან" აწვდიან: სწავლა ყოველთვის გულისხმობს რაიმეს, რაც უნდა ვისწავლოთ. სწავლის თვით ცნებაც კი უკვე შეიცავს რაღაც გარეგანის იდეას, რაც მოსწავლეს გარედან ეძლევა როგორც სწავლის საგანი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სწავლებისას მოწოდებული შინაარსი ინდივიდის ორიენტირებული ორგანიზაციის — განწყობის — წარმოქმნაში მხოლოდ თავისი ობიექტური მნიშვნელობით იკავებს ადგილს, რაც სწავლის საგანს **ფსიქოლოგიურად** შინაარსიან ხასიათს აძლევს, ესაა შინაარსის — სწავლის საგნის — მიმართება ინდივიდის მოთხოვნილებებსა და მოტივებთან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარკვეული მიმართულების მქონე მოქმედება აღიძვრის მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის ურთიერთობის ნიადაგზე, ურთიერთობისა, რომლის ფსიქოლოგიურ შინაარსსაც განწყობა წარმოადგენს. სწავლის განწყობა, როგორც ქცევის სუბიექტის პირველადი მთლიანობითი მდგომარეობა — როგორც სუბიექტის მოდუსი მისი მოქმედების დისკრეტულ მომენტში, წარმოიშობა სწავლის კონკრეტული საგნისა და იმ კონკრეტული მოთხოვნილების ნიადაგზე, რომლის დაკმაყოფილების სიტუაციასაც ეს საგანი წარმოადგენს. ამით განწყობა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სწავლის აზრზეც და ქცევის მიზანშეწონილობის სპეციფიკურ მიმართებაზეც, რომლის რეალიზაციასაც იგი ახდენს. ქცევა ინდივიდის მთლიანობითს მდგომარეობაში — განწყობაში — არის ინტიციპირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ განწყობა ქცევის მიზნად გვევლინება, მაგრამ როგორც ასეთი იგი წარმოიქმნება როგორც მდგომარეობა, რომელიც ითვალისწინებს სუბიექტსაც და ობიექტურ სინამდვილესაც — ქცევის ამ ორივე დეტერმინანტს.

განწყობის წარმოქმნის პროცესის ასეთი გაგებიდან ცხადად გამომდინარეობს დებულება განწყობის აქტიური, დინამიკური და იერარქიული ორგანიზაციის შესახებ. განწყობის იერარქიას სწავლის შემთხვევაში ის განსაზღვრავს, თუ რამდენად უახლოვდება განწყობა მისი ისეთი წარმოქმნის დონეს, როცა სწავლის საგანი, და არავითარი სხვა რამ, გვევლინება აგრეთვე სწავლის მოტივად, მოთხოვნილებად. განწყობის ბუნების შესატყვისად, ეს პროცესი ხორციელდება არა მარტო ცოდნის სისტემის თანამიმდევრული გაფართოების შედეგად, არამედ სწავლის მოთხოვნილებებისა და მოტივების თანამიმდევრული ფორმი-

რების შედეგადაც. ცოდნის შეძენა გარკვეულ მოტივთა შედეგია, მაგრამ თავის მხრივ ცოდნა აყალიბებს სწავლის მოტივებს.

ჩვენ შევეცადეთ დაგვეხასიათებინა თავისებურებები სწავლის განწყობისა, როგორც ინდივიდის პირველადი მთლიანობითი მდგომარეობის — გარკვეული სახით ორგანიზებული სისტემისა, რომელიც საფუძვლად უძევს სწავლის იმ კონკრეტული პროცესების განვითარებას, რომლებიც ამ მთლიანობითს სტრუქტურასთან შედარებით „მეორადი რიგის" მოვლენებს წარმოადგენენ. სწავლის შედეგები თავის მხრივ „უკუკავშირის გზით" საფუძვლად ედება განწყობის ფორმირებას. სწავლა, როგორც სწავლების სისტემის მიერ მოსწავლის წინაშე დასმულ ამოცანებისადმი მოსწავლის ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულების რეალიზაციის პროცესი, ნებისმიერ მოქმედებას წარმოადგენს. ამის შესაბამისად, სწავლის პროცესისათვის არსებითია შემდეგი საფუძვლები:

ა) სწავლის დასაწყისი სტადია: სწავლის საგნის, სწავლის ამოცანის (კითხვის) „პრეზენტაცია";

ბ) ამოცანის გადაჭრის, საკითხის გაშუქების, სიტუაციის ცხადყოფის განზრახვის წარმოშობა;

გ) განზრახვის — სწავლის ამოცანის განხორციელება;

დ) იმ ცოდნის განმტკიცება, რომელიც მოპოვებულ იქნა სწავლის განზრახვის განხორციელების საფუძველზე.

ჩვენს ინსტიტუტში შესრულებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ განწყობა, როგორც პირველადი მთლიანობითი სტრუქტურა, განსაზღვრავს იმ წინამძღვრებს, რომლებიც საფუძვლად უძევს სწავლის პროცესის ზემომითითებულ კონკრეტულ საფეხურთა განვითარებას.

ზოგიერთ ავტორს კითხვის წარმოქმნა, გაკვირვების გრძნობა, როგორც სწავლის დაწყებითი საფეხური, წარმოუდგენია როგორც „უკანასკნელი ინსტანცია", რომელიც ახსნის სწავლის მთელი პროცესის წარმოშობასა და თავისებურებებს. გამოირკვა, რომ კითხვის, გაკვირვების გრძნობის წარმოქმნა „მეორადი რიგის" მოვლენაა იმ აზრით, რომ ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება იწვევდეს ან არ იწვევდეს გაკვირვების გრძნობას და მასთან დაკავშირებული კითხვის წარმოშობას იმის მიხედვით, თუ როგორია ინდივიდის აქტიური ორიენტირებული ორგანზაცია, მისი განწყობა, გარდა ამისა, გამოვლინდა ფაქტები,რომლებიც საფუძველს იძლევა ვამტკიცოთ, რომ სწავლის ამოცანის განხორციელების ჭილების მომენტი წარმოადგეს განწყობის შეცვლის მოვლენას, აქტუალიზებული, ფიქსირებული განწყობის შეცვლას იმ განწყობით, რომელიც სწავლის საგნის ობიექტივაციის შედეგად წარმოიშობა.

გამოირკვა, რომ სწავლის განზრახვის შესრულების პროცესის მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს სწავლის საგნის მნიშვნელობის ის გაგება და სწავლის ის მოტივი, რის საფუძველზეც იყო წარმოქმნილი

სწავლის განზრახვის საფუძვლად მდებარე განწყობა. ეს კანონზომიერება შესწავლილ იქნა განზრახვის შესრულების პროცესის შემდეგ ორ მოტივთან დაკავშირებით: ა) სიძნელეების გადალახვა სწავლის განზრახვის რეალიზაციის გზაზე და ბ) ამოცანის გადაჭრის გზების წვდომა.

სწავლის პროცესის იმ საბოლოო საფეხურის შესწავლამ, რომელიც მოპოვებული ცოდნის დამახსოვრებასა და განმტკიცებაში მდგომარეობს, გამოავლინა, რომ დამახსოვრება დამოკიდებულია პიროვნების განწყობების იერარქიულ ორგანიზაციაზე. სწავლის პროცესში განწყობა „შენაცვლებადს", მდგომარეობას წარმოადგენს: იგი სწავლის პირობაცაა და შედეგიც. ნაჩვენები იქნა აგრეთვე, რომ განათლების პროცესში მოპოვებული ცნებათა და წარმოდგენათა სისტემა გარკვეულ პროცესთა შედეგად გარდაიქმნება მაღალგანზოგადებულ დინამიკურ სქემებად — განწყობებად, რომელსაც, გ. ოლპორტის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნარი აქვთ ფუნქციონალურად ეკვივალენტური გახადონ ბევრი სტიმული და წარმოქმნან და მწყობრად წარმართონ ადაპტიკური და ექსპერიმენტული ქცევის თანამიმდევრული ფორმები.

ამრიგად, საგანმანათლებლო სწავლის პროცესი ორგანულადაა დაკავშირებული განწყობების ფორმირებასთან, რომლებიც სწავლის როგორც პიროვნების ქცევის დამოუკიდებელი ფორმის საფეხურთა თანამიმდევრობასა და სტრუქტურულ მდგრადობას უდევს საფუძვლად.

ჩვენს მოხსენებაში დავაყენეთ ამოცანა განგვესაზღვრა განწყობის ცნების ადგილი სწავლის თეორიაში. ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ **სწავლის თეორიის საფუძველს წარმოადგენს განწყობა, ანუ ფუნქციონალური სისტემის ცნება მთლიანობით-პიროვნული განზომილებისა, რომელზეც დაიყვანება სუბიექტი** მისი მოქმედების **ყოველ** კონკრეტულ მომენტში. სწორედ ეს განსაზღვრავს განწყობის ცნების ადგილს სწავლის თეორიაში.

სწავლის ძირითადი ფუნქციონალური ერთეულის მოდელური სქემის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი ემყარებოდა საგანმანათლებლო სწავლის განხილვას ისეთ ნებისმიერ მოქმედებად, რომელიც მიმართულია შეგნებულად დასმული მიზნის შესრულებისაკენ. ამასთან, ჩვენ ამოვდიოდით იმ მეთოდოლოგიური პრინციპიდან, რომ საგანმანათლებლო სწავლის ბუნება გასაღებს მოგვცემს სწავლის დაბალ ფორმათა განვითარების შინაგანი მიმართულების გასაგებად, იმის მსგავსად როგორც, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის ანატომია გვეხმარება მაიმუნის ანატომიის გაგებაში.

შინაარსი

1. ასახვის ლენინური თეორია — ფსიქოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი 3
2. ნუთუ ადამიანის შესახებ მეცნიერული ცოდნის მთელი სისტემა მხოლოდ ეკლექტიკურია და მეცნიერების კომპეტენციაში არ შედის მთლიანად ადამიანის ბუნების შემეცნება და მის შესახებ სინთეზური თეორიის განვითარება? 21
3. საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორია 35
4. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის" ხალხურობის საკითხისათვის . . 44
5. ფსიქოლოგიურ ცოდნათა სისტემა ანტონის „სპეკალში" . . . 66
6. ვახტანგ VI და მეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში . . 70
7. ს. დოდაშვილი და ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარება საქართველოში 79
8. დ. უზნაძის თეორიის განვითარების სათავეებთან 91
9. მასალები საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში განწყობის თეორიის განვითარების ისტორიისათვის 107
10. განწყობის პრობლემა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიერ მისი დამუშავების თანამედროვე დონეზე 144
11. განწყობა როგორც ფსიქიკური ასახვის არაცნობიერი საფუძველი . 167
12. მოგონება და განწყობა 178
13. სწავლა და განწყობა 185

Прангишвили Александр Северианович

ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ОЧЕРКИ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1987

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3857

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხანჯალაძე
მხატვარი ნ. გაბუნია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი თ. ქიტიაშვილი
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 8.5.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.9.1987;
ქაღალდის ზომა 60X90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 12,5;
პირ. საღ. გატ. 12,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,8;
УЭ 01028; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1638;
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19